# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№7 (49)

ივლისი, 2017 წელი

ფასი 2 ლარი

1970
2017

Richard Berengarten

ნომრის ავტორები
თეონა დოლენჯაშვილი & რიჩარდ ბერენგარტენი

პოეზია
ანდრო ბუაჩიძე
შონ აბრამი

პროზა
რატი რატიანი

კრიტიკა, ესეისტიკა
ლელა კოდალაშვილი – პატრიკ მოდიანოზე
ნათია ზოიძე – აირის მერდოკზე

ახალი თარგმანები
ალისტერ მაკგრეთი
ზბიგნევ ჰერბერტი
ტატიანა ტოლსტაია






PUBLISHING HOUSE

ჟურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით

მწერალთა
სახლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები

### თეონა დოლენჯაშვილი

ეკა ქევანიშვილი – როცა თეონა დოლენჯაშვილის რადარი ყვირის – 3
თეონა დოლენჯაშვილი – მესხი მესხის წინააღმდეგ (მოთხრობა) – 9
**იტალიური ლიტერატურული პრესა თეონა დოლენჯაშვილის „მემფისის“ შესახებ** – 27

### რიჩარდ ბერენგარტენი

**ბიოგრაფია** – 28
რიჩარდ ბერენგარტენი: პატარა პეპელამ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა (ესაუბრა თემურ კობახიძე) – 29
რიჩარდ ბერენგარტენი – ლექსები (ინგლისურიდან თარგმნეს ანი კოპალიანმა, პაატა შამუგიამ და მანანა გელაშვილმა) – 32
რიჩარდ ბერენგარტენი – 12 დებულება (ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა) – 37
რიჩარდ ბერენგარტენი – ოქტავიო პასი კემბრიჯში, 1970: ანარეკლები და იტერაციები (ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) – 39
რიჩარდ ბერენგარტენი – რამდენიმე შენიშვნა გიორგოს სეფერისის კითხვის კვალდაკვალ (ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) – 43
რიჩარდ ბერენგარტენი – ლექსი-გამოსახულებები – 47
**რიჩარდ ბერენგარტენის პოეზიის შესახებ** – 48

## პოეზია

ანდრო ბუაჩიძე – 50
შონ აბრამი – 53

## პროზა

რატი რატიანი – რომეო იცინოდა (ფრაგმენტი რომანიდან) – 55

## კრიტიკა, ესეისტიკა

ლელა კოდალაშვილი – წარსულის აღდგენის მცდელობა პატრიკ მოდიანოს ყველაზე უცნაურ წიგნში – 61
ნათია ზოიძე – აირის მერდოკი – ლიტერატურაში ნაპოვნი ფილოსოფია – 64

## ახალი თარგმანები

ალისტერ მაკგრეთი – სტივენ ჰოკინგი, ღმერთი და მეცნიერების როლი (ინგლისურიდან თარგმნა დავით თინიკაშვილმა) – 66
ზბიგნევ ჰერბერტი – ტიტების მწარე სუნი (პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა) – 69
ტატიანა ტოლსტაია – კაგო (რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ) – 79

45

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ეკა ქევანიშვილი
თეონა დოლენჯაშვილი
თემურ კობახიძე
ანი კოპალიანი
პაატა შამუგია
მანანა გელაშვილი
მანანა მათიაშვილი
თამარ კოტრიკაძე
ანდრო ბუაჩიძე
შონ აბრამი
რატი რატიანი
ლელა კოდალაშვილი
ნათია ზოიძე
დავით თინიკაშვილი
ამბროსი გრიშიკაშვილი

გამომცემლობა – „საუნჯე"
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.saungeo.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1 ნომრის ავტორები

## როცა თეონა დოლენჯაშვილის რადარი ყვირის

*ეკა ქევანიშვილი*



საგანგებოდ არ ჩავხედე თეონასთან წინა ინტერვიუს, რამდენიმე წლის წინ რომ ჩავწერეთ, გუმანს მივყვები და კითხვებიც ისე წამოვა-მეთქი. ის კი მახსოვს, მაშინ მისი ახალი მოთხრობების კრებული, „რეალური არსებები“ უნდა დაბეჭდილიყო. ახალი რომანის წერაც დაწყებული ჰქონდა. „მემფისი“ კი ევროპაში უნდა გამოცემულიყო. კიდევ ისიც მახსოვს, რომ მითხრა, ლიტერატურას ძალიან მოდურად ვაქცევდი ჩემს ქვეყანაში და წიგნების ფეშენუიკებს მოვაწყობდიო... ჩამრჩა ეს ნათქვამი, მას მერე მთლად ფეშენუიკი არა, მაგრამ წელიდში წიგნის რამდენიმე ფესტივალი კი ტარდება. ახლაც მოლოდინი მაქვს, ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში მის ფოტოს გადავაწყდი, ყველაზე ცხელ წერტილში იყო, ცეცხლმოდებული ალეპოდან ალბათ რამდენიმე კილომეტრში, ლტოლვილების ბანაკში და მივხვდი, თეონა დოლენჯაშვილი რაღაც ახალს უმზადებდა თავის მკითხველს... და მაინც, რა უცნაურია და, ისევ იმ მოთხრობაზე ლაპარაკით დავიწყე ინტერვიუ, რომლითაც თეონა, როგორც მწერალი გავიცანი.

**„ფიდაის“ მერე ათ წელზე მეტი გავიდა. და მაშინ, მახსოვს, თქვი, რომ გინდოდა სხვა მხრიდანაც დაგენახა ტერორიზმი – შაჰიდი ქალის ისტორიის გადმოცემით. თითქოს მისი სიმართლის ჩვენება გინდოდა – ამ მოთხრობის დაწერის მერე ტერორიზმმაც სხვა მასშტაბები მიიღო. მაინტერესებს, დღეს რომ წერდე ამ მოთხრობას, იგივე პათოსს შეინარჩუნებდი?**

– არ ვფიქრობ, რომ მოთხრობის მიზანი თვითმკვლელი ტერორისტის სიმართლის ჩვენება იყო. მათ არც სიმართლე აქვს და არც გამართლება. მე მაშინაც და ახლაც მხოლოდ იმ იდეის ამოცნობა მინდა, რაც ადამიანებს ასეთებად აქცევს. მოვლენების „სხვა მხრიდან დანახვა“ ნამდვილად იყო მიზანი და ეს ალბათ არის კიდეც ლიტერატურის ერთ-ერთი დანიშნულება. „ფიდაის“ შექმნის მიზანი, ამის გარდა, ზოგადად ადამიანის ბუნების კვლევაც იყო. იმის ჩვენება, თუ რა ხდება თვითმკვლელის გულსა და გონებაში, სიკვდილამდე რამდენიმე საათით თუ წუთით ადრე, და რა ვნებაა სიკვდილი, რატომ ხდებიან აღმოსავლელი ქალები სიკვდილის მხევლები, რატომ ისწრაფვიან მისკენ. ამ თემაზე შემდეგ ესეც დავწერე – „სექსი და სიკვდილი არაბი მწერალი ქალების შემოქმედებაში“, სადაც ვთქვი, რომ იქ, ჩადრქვეშ, სულ სხვა, ნამდვილი და ჩვენთვის უცნობი სახეები იმალება. ამასობაში ტერორიზმმაც სხვა მასშტაბები მიიღო და ეს თემა უკვე ასევე სხვა მასშტაბით ჩემთანაც გრძელდება.

**რას გრძნობ ხოლმე, როცა მკითხველი სულ გახსენებს ერთ კონკრეტულ მოთხრობას ან რომანს, რომელიც ძალიან დაამახსოვრდა, შენ კი ფიქრობ, რომ მას მერე გაცილებით უკეთესი ტექსტები დაწერე?**

32306

საპარლამენტო ბიბლიოთეკა



3 წლის

– ეს, ალბათ, ბუნებრივია. მკითხველს ის პირველი ან ის ყველაზე გახმაურებული ტექსტი დაამახსოვრდა. ის, რომელზეც ბევრი ითქვა და დაიწერა და ბოლოს და ბოლოს ის, რომელიც წაიკითხა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ დიდად მკითხველი ხალხი არ ვართ და ამიტომ არ მიკვირს, რომ, ვთქვათ, „საბას" გამარჯვებული „მემფისი" უფრო ახსოვთ, ვიდრე „რეალური არსებები", რომელიც არც კი წარმიდგენია ამ პრემიაზე. ყველა შემთხვევაში, სასიხარულო და სასიამოვნოა, როდესაც მკითხველს თავისი ფავორიტი ნაწარმოები აქვს. ეს უკვე ძალიან კარგია, თუმცა ყველაფერი ვითარდება და ბუნებრივია, მეც მიჩნდება სურვილი, მათ ახალი ამბები მოვუყვე, ახალი ტექსტები დავამახსოვრო და ახალი ემოციები განვაცდევინო.

**როცა შენს მოთხრობებს ვკითხულობ, სულ მგონია, რომ უბრალოდ მომხდარ ამბავზე თითქმის არ წერ – ყოველთვის რაღაც მწვავე და ხანდახან, სკანდალურიც კი უნდა წამოწიო ხოლმე წინ. მოხუცებზე უნდა წერო, რომლებიც აღარავის სჭირდება, ან კლონირებასა და მის სავარაუდო შედეგებზე, ტერორიზმზე, ეკოლოგიურ კატასტროფაზე, 90-იანების სოციალურ ყოფასა და რა ვიცი, ორგანოების ტრანსპლანტაციაზეც კი – როგორ მოდის ეს თემები შენამდე? რაზე გაქვს მწერლური რეაქცია და რა შემთხვევაში შეიძლება წერა დაიწყო?**

– არ მახსოვს, ვინ თქვა, „საინტერესო ამბები მას გადახდება, ვინც მათი საინტერესოდ მოყოლა იცისო". მე მაინც ვფიქრობ, რომ „უბრალოდ მომხდარი ამბები" არ არსებობს. ყველა ამბავშია რაღაც განსაკუთრებული, რაზეც წერა ღირს. დანარჩენი სიღრმეში ჩასვლაზეა, მოყოლის სტილსა და მანერაზე. ჩემთვის მნიშვნელოვანია, მქონდეს სათქმელი და კარგი იქნება, თუ ეს სათქმელი მარტო ჩემი ან ჩემი ახლობლების ყოველდღიურობა არ იქნება. ის იქნება რაღაც უფრო მნიშვნელოვანი და საზოგადო, უფრო ურბანული თემატიკის, უფრო დიდი და, ამავე დროს, გამორჩეული. მნიშვნელობა არ აქვს, მცირეს აღწერიდან მიდიხარ დიდისკენ, თუ დიდი თემა დაგყავს ერთი ადამიანის ერთ დღემდე და მის ტკივილებამდე, ოკეანის წვეთში ჩანს მთელი ოკეანე თუ პირიქით, ოკეანე შედგება ამ წვეთებისგან. მე მინდა ის, რაც სტატისტიკას და გახმაურებული სატელევიზიო სიუჟეტების მთავარი თემა, ადამიანურ ისტორიებამდე დავიყვანო. ამ მხრივ ძალიან საინტერესო მწერალია სვეტლანა ალექსიევიჩი, რომელიც ჩერნობილისა თუ მსოფლიო ომების ტრაგედიების ჩვენამდე მოტანას რიგითი ადამიანური ბედის თუ რაღაც ნიუანსის აღწერით ახერხებს. ასეთი ლიტერატურა ახლა ალბათ ყველაზე მეტად საჭიროა. ჩემი მწერლური რეაქციაც ძირითადად ამ თემებზეა – ადამიანი და სამყარო. ადამიანი თავისი პატარა ცხოვრებით და დიდი ქარტეხილებით. ეს დიდი ამბები მართალია, ფონია, ანტურაჟია, მაგრამ უმეტესწილად წარმართავს ბევრ რამეს, განაპირობებს ჩვენს არჩევანს, ამიტომ ის, თუ როგორ მოქმედებს ადამიანი კრიტიკულ სიტუაციებში, ყველაზე საინტერესოა.

**„მემფისმა", რომელიც „საბას" ლაურეატი რომანია, იტალიაშიც გაიკვლია თავისი გზა და ითარგმნა. როგორ შეხვდა იქაური მკითხველი ამ რომანს?**

– „მემფისი" ქართული რომანია, რომელიც ქართველ გოგოზე მოგვითხრობს, მოქმედება 90-იანი წლების თბილისში ხდება და თან, არამხოლოდ ქართული, ამიტომ ის თან უჩვეული იყო და თან გასაგებიც იტალიელი მკითხველისთვის. მათ ზუსტად ეს ორმაგი განცდა ჰქონდათ. თან იდენტიფიცირებას ახდენდნენ გმირთან, მის ცხოვრებისეულ ამბებთან და თანაც, ერთგვარ კულტურულ შოკსაც იღებდნენ. თითქოს რაც გმირს გადახდა, ეს მათი წარსულიც იყო და ამ დროს უცნობი წარსული. ალბათ, ამ ორმაგობამ და მრავალშრიანობამ გამოიწვია ის, რომ ძალიან ემოციურად შეკითხებოდნენ ჩვენს ქვეყანაზე, ხალხზე, კულტურაზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო ეს თანაგანცდა პატარა ქალაქებში მკითხველთან შეხვედრისას. იმის დანახვა, თუ როგორ ემოციურად კითხულობდნენ ტექსტს და როგორ ტიროდა დარბაზში მსმენელი. მართლა გაოცებული დავრჩი. შესაძლოა, ვთქვათ, სკანდინავიურ ქვეყნებში ასეთი მძაფრი რეაქციები არ ჰქონდეს მკითხველს, მაგრამ იტალიელები ჩვენსავით ემოციური ხალხია, თანაც უძველესი და უდიდესი კულტურით. მათი აღელვება თან იოლიცაა და თან ძნელიც. მიხარია, რომ ეს გამომივიდა. მათი რეცენზიები, პარალელები, შეფასებები ნამდვილად ძალიან ძვირფასია და კიდევ ერთი დასტურია იმის, რომ ჩვენს ქვეყანაში თემატურად მრავალფეროვანი ცხოვრებაა და, შესაბამისად, ჩვენი ლიტერატურაც ევროპისთვის ძალიან საინტერესოა.

**როგორ ფიქრობ, „მემფისიდან" „რეალურ არსებებამდე" რა შეიცვალა შენი, როგორც პროზაიკოსის ენაში, ტექსტის მიმართ მიდგომაში, რომანის წერაში, მოკლედ.**

– სათქმელის მხრივ, ალბათ, ბევრი არაფერი. იმ გზას, რომელიც თავიდანვე მოვნიშნე, მივყვები და რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ისევ იმ თემებს ვაგრძელებ. რაც შეეხება ენობრივ თუ სტილისტურ მხარეს, აქ, რა თქმა უნდა, რაღაცები შეიცვალა, ვფიქრობ, რომ განვითარდა და დაიხვეწა. ვთქვათ, „მემფისში" უფრო ემოციური და მაღალ რეგისტრში წერის მანერა მქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტაფორულად უფრო სავსე და მხატვრულადაც უფრო დატვირთული. „რეალურ არსებებში“ ეს სტილი გამარტივდა, განიტვირთა. თუმცა ჩემთვის ტექსტში მუსიკაა მთავარი, მე ვერ ვყვები ამბავს „ისე, უბრალოდ“. ეგ კი არა, ყოველდღიურ საუბარშიც კი მიყვარს შედარებები და რაღაც მიგნებები. პროზა ჩემთვის პოეზიაცაა და მოყოლილ ამბავს აუცილებლად უნდა ახლდეს ის, რაც მის მიღმაა, რასაც შეიძლება ვერ ხედავდე შეუარაღებელი თვალით. მოკლედ, სტილი ჩემთვის ის ჭოგრიტია, რომელსაც ახლოს მოჰყავს ის, რაც არ ჩანს, ან, სულაც, უხილავს გიჩვენებს. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, რომ „მემფისში“ თხრობის მაღალი რეგისტრი უკვე შემდგომ ტექსტებში დაბალანსდა და დაიმშვიდდა, ფორტე პიანოში გადავიდა. ბევრი ზედმეტი სიტყვისა თუ ემოციისგან განიტვირთა. შესაბამისად, ის საჭირო მაღალი ნოტებიც უფრო კარგად გაისმა. მინდა ეს სწორი, დაბალანსებული აქცენტები ახალ ტექსტზე შევინარჩუნო, თუმცა, თემიდან გამომდინარე, ეს არც ისე იოლია.

**ვიცი, რომ ახლაც ახალ ტექსტზე მუშაობ – შეგიძლია, უფრო მეტი გვითხრა, რა ამბავზე იქნება?**

– გასული წლის დეკემბერში ვიყავი თურქეთი-სირიის საზღვარზე, სირიელი დევნილების ბანაკებში. სულ რამდენიმე ასეულ მეტრში, ზუსტად ერთი კედლის იქით ცეცხლმოკიდებული ალეპო იყო. იმ ხალხთან შეხვედრა ადამიანურად ძალიან ემოციური და ამაღელვებელი იყო და, რაც მთავარია, მქონდა შეგრძნება, რომ თანამედროვე სამყაროს ყველაზე მტკივნეულ და გადახსნილ არტერიაზე დავაბიჯებდი. ისინი მიყვებოდნენ დახოცილ შვილებზე თუ მშობლებზე, აფეთქებულ სახლებზე, ომზე, რომელიც ყველაზე აბსურდული და დაუსრულებელი ომია დღეს. თავიდან ამ წიგნს ტერორიზმზე ვწერდი, მაგრამ ტერორიზმი ამ დიდი ბოროტების მხოლოდ ნაწილია. ვფიქრობ, რომ ჩვენ – აღმოსავლეთდასავლეთის გზაჯვარედინზე მცხოვრებმა ადამიანებმა ყველაზე უკეთ უნდა ამოეხსნათ ეს საიდუმლო, გავუგოთ ერთ მხარესაც და მეორესაც, ვიფიქროთ იმაზე, თუ რად იქცევა ხოლმე რელიგია – სიკეთედ თუ ბოროტებად, და, რაც მთავარია, დავინახოთ ის ადამიანები, რომლებიც დღეს მსოფლიო საინფორმაციო გამოშვებების სტატისტიკაა. მე აქაც ადამიანი მაინტერესებს, მისი ბედი და მისი სულის ისტორია, მაშინ, როდესაც ის მარტოა და როდესაც ერთიანად დანგრეულ, მოჩვენებების ქალაქში ცხოვრობს.

**როგორ ფიქრობ, უკვე დღეს, როცა შენც ამდენი ხნის მწერალი ხარ, რა არის მთავარი წერისას, რაც არასოდეს უნდა დაგერღვეს? შენთვის თუ არსებობს რამე მანიშნებელი, რაც ეგრევე რადარივით გაგრძნობინებს, რომ გზას გადაუხვიე, ან – პირიქით, სწორად მიდიხარ?**

– 13 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი მოთხრობა გამოვაქვეყნე. ამ 13 წლის მანძილზე, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი დრო დავკარგე. წერით ცოტას ვწერ და, შესაბამისად, 5 წიგნი (და კიდევ რამდენიმე ტექსტი, ამ წიგნებში რომ არ შესულა) ძალიან ცოტაა. ასე რომ, ეს არ არის ჩემი ყოველდღიური თუ თუნდაც ყოველთვიური საქმიანობა, რაზეც ძალიან მწყდება გული. მთავარიც სწორედ ესაა – უბრალოდ ვწერო, მეტი და ბევრი უნდა ვწერო. ჩემი რადარიც, ამ გზას რომ გადავუხვევ, სწორედ ის არის, სულ მაქვს განცდა, რომ დროს ფუჭად ვკარგავ, რომ რაღაც საქმე მაქვს დაუმთავრებელი და მე კიდევ სხვა რამეს ვაკეთებ, რაც, რა თქმა უნდა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩემი მთავარი საქმე მაინც წერაა და რადარიც ამიტომ ყვირის.



სტუდენტობა

**როგორ მკითხველს მიეკუთვნები, ვინც წიგნს ბოლომდე ჩაიკითხავს, რომც არ მოსწონდეს, თუ შეუძლია, მაშინვე გადადოს და თავი არ დაიტანჯოს?**

– მე ვარ მკითხველი, რომელსაც ძალიან ცოტა დრო აქვს, ამიტომ თავის დატანჯვას არავის ვურჩევ. თუკი რამე არ მომწონს, ეგრევე გადავდებ. ვფიქრობ, რომ ლიტერატურა თან კულინარიასავითაა. გემო თუ არ მოგწონს, არ მოგწონს და მორჩა. შიმშილს სხვა რამით დავიკმაყოფილებ. ბავშვობაში, მომწონდა თუ არა, ყველაფერი აუცილებლად ბოლომდე უნდა წამეკითხა. ეს შემეცნებაც იყო, ცნობისმოყვარეობაც, ყველაფრის ბოლომდე გაგების სურვილიც. ახლა ვფიქრობ, ის დრო დამიდგა, კითხვა პირველ რიგში სიამოვნება იყოს და მერე სხვა დანარჩენი.

**ბოლო დროს რომელი იყო ის წიგნი, რომლის წაკითხვის მერეც გული დაგწყდა იმიტომ, რომ მისი კითხვა დაასრულე?**

– მიშელ უელბეკის „რუკა და ტერიტორია“. ხშირ შემთხვევაში უელბეკის წიგნები რომ მთავრდება, პირიქით, გიხარია, რადგან ეს დიდი დეპრესია და კრიზისი ბევრ მტანჯველ განცდას აჩენს, მაგრამ კონკრეტულად ამ წიგნზე ისე გამიტაცა თემატიკამ, ფორმის თვალსაზრისითაც ისეთი დახვეწილია და თარგმანიც ისეთი კარგი, რომ უკან, წიგნის თაროზე ველარ შევაბრუნე. დღემდე მაგიდაზე მიდევს.

**შენ თუ გიფიქრია იმაზე, როგორი მწერალი გინდოდა ყოფილიყავი – ან ვის უნდა მოსწონებოდი, ან როგორი წიგნები უნდა გეწერა?**



– ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცოტა მიჭირს, რადგან ამ მხრივ, ალბათ, ამბიციური ვარ. მინდა ელიტარული და მაღალინტელექტუალური წიგნები ვწერო, და თან ეს წიგნები ყველასთვის იყოს. ასე კი არ გამოდის. მასობრივი მკითხველი ელიტარული ვერასდროს იქნება. მაგრამ ალბათ ოქროს შუალედის მოძებნა შეიძლება. ლიტერატურაში მთავარი მაინც ამბავია. ამბავი კი, თუ კარგად არის დაწერილი, ყველასთვის საინტერესოა. მე მიმაჩნია, როდესაც წიგნი კარგად იკითხება და მკითხველს ითრევს, რაც არ უნდა რთულად იგებდეს ის რაღაც პასაჟებს, მაინც ეცდება, ჩაწვდეს და ეს უკვე მის გაზრდასაც ნიშნავს. ეს კი ის არის, რაც ლიტერატურის კიდევ ერთ მისიას ახორციელებს.

**შენი, როგორც მწერლის, რომანისტის მომავალი როგორ წარმოგიდგენია? აი, მე ვფიქრობ ხოლმე, ხანდახან, გავა 10-20 წელი და რაღაც ისეთს დავწერ, სერიოზულს, რაც უფრო დიდხანს დარჩება...**

– ამ ფიქრისა და ოცნების გარეშე მწერლობას, როგორც საქმიანობას, აზრიც ეკარგება. თუკი ჩვენ ჩვენზე უფრო გამძლე ტექსტებს არ ვქმნით და ამ, ალბათ, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ „უკვდავების ამბიციით" არ ვართ მოტივირებული, მეეჭვება, ვინმემ წერა განაგრძოს. ამ საქმიანობას ფული არ მოაქვს და კეთილდღეობა. ერთადერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი აქ სწორედ ესაა. ის დიდი სიამოვნება, რასაც წერისას იღებ და ის იმედი, რომ რაღაც ისეთიც დაიწერება, რაც შენზე უფრო დიდხანს და კიდევ უფრო დიდხანს დარჩება... ჩემი, როგორც, რომანისტის მომავალიც ასე წარმომიდგენია. თუკი იმას შევძლებ, რომ მეტი ვიმუშავო, მთლიანად გადავეშვა ამ სამყაროში, ვაკეთო ის, რაც ყველაზე მეტ სიამოვნებას მანიჭებს, მაშინ ასეთი ტექსტები აუცილებლად და ბევრი შეიქმნება. „Nulla dies sine linea" (არცერთი დღე სტრიქონის გარეშე) – ეს დევიზი უნდა გქონდეს და მაშინ ყველა მიზანი მიღწეული იქნება.

ბიბლიოთეკა

**წერის ჩვევები შეგეცვალა? თუ ისევ იგივე გარემო და სიტუაცია გჭირდება, რომ წერო?**

– წერის ჩვევები შეიცვალა, მეტი სიმშვიდე და კონცენტრაცია მჭირდება. გარდა ამისა, ბავშვები, საქმეები, მეგობრები, სოციალური ქსელი... მოკლედ, იმდენი რამეა ირგვლივ და იმდენი რამ მიფანტავს ყურადღებას, რომ აუცილებელი გახდა სხვა ქალაქში და ქვეყანაში წავიდე და ჩავიკეტო. ასეთი ერთი კვირაც კი პროდუქტიულობის თვალსაზრისით აქ, ჩვეულ რეჟიმში გატარებულ ნახევარ წელს უდრის.

**ქუთაისი. ვიცი, რომ ყველაფერი იქ დაიწყო და დღემდე შენს ქალაქად რჩება. მაგრამ მაინც მინდა გკითხო – რა მოაქვს ამ ქალაქს, გარდა იმისა, რომ ბავშვობა უკავშირდება. დღეს როცა ჩადიხარ და უყურებ ქუთაისს, როგორი ქალაქია ის შენთვის, რა ემოციის მატარებელი?**

– იქ დავიბადე და სკოლაც ქუთაისში დავამთავრე. 16 წელი ბევრია ბავშვობისთვის, მაგრამ ამ გადასახედიდან ცოტაა. ეს ქალაქი ჩემთვის უფრო მშვიდი და უზრუნველი ბავშვობაა, ის პატარა ქუჩა და სახლი, სადაც გავიზარდე. მამაჩემის სახელოსნოა, რომელიც ქალაქის სხვა უბანში იყო, სადაც ნახატებთან ერთად ვეშაპის ულვაში, ზღვის ლომები, ოკეანის ვარსკვლავები და ბევრი უცნაური ნივთი ეკიდა. მამა ბევრს მოგზაურობდა და ბევრს ხატავდა. ეს სხვა სამყარო იყო და ჩემი შემოქმედებითი ხეტიალიც იქიდან დაიწყო.

**როცა პატარა იყავი, რა ხდებოდა მაშინდელ ქუთაისში? როგორი სახლი გქონდათ, როგორი ეზო, რა თამაშებს თამაშობდით?**

ჩვენი ბავშვობა იყო მწვანე და მყუდრო ეზოებში თამაში, იყო კლასობანა და ლაფტა, თოჯინების აქეთ-იქით თრევა და ერთი დიდი საერთო მხიარულება. პროფესიული ნიშნით აშენებულ ეგრეთ წოდებულ მხატვრების ბინაში ვცხოვრობდი. დიდი და ნათელი სახლი გვქონდა, საღებავებით, ნახატებით, წიგნებით, მოლბერტებით სავსე. იქ ყველა ხატავდა და აქანდაკებდა, რაც გაელენას ბავშვებზეც ახდენდა. მეც ვხატავდი და დღემდე ვხატავ. მაგრამ წიგნები მაინც თავიდანვე მთავარ ვნებად იქცა. და თამაშებიც ამას მიესადაგა. თუკი სარდაფში განძის საპოვნელად ჩავდიოდით, ტომ სოიერი მქონდა ახალი წაკითხული, თუ გემზე მეკობრეებს ვეომებოდით – „განძთა კუნძული" და ასე შემდეგ...

**მამა ხატავდა. და დედა? როგორები იყვნენ ისინი მაშინ, როცა თეონა პატარა გოგო იყო?**

– მამას იშვიათად ვხედავდი. დილით სახელოსნოში მიდიოდა და გვიან ბრუნდებოდა, ან სამოგზაუროდ იყო უცხო ქვეყნებში და უკან დაბრუნებული საოჯახო კინოთეატრს ვაწყობდით, სადაც პროექტორს ვრთავდით და სახლის კედელზე იმ ქვეყნებში გადაღებულ ფერად სლაიდებს და ფოტოებს გვაჩვენებდა. დედა ისტორიკოსია, სკოლაში ასწავლიდა და მთელი ბავშვობა მასზე შეყვარებული მოსწავლეების უზარმაზარ არმიაზე ვეჭვიანობდი. დღემდე ვფიქრობ, რომ დედაჩემი მსოფლიოში საუკეთესო დედაა, ყველაზე გემრიელ საჭმელებს აკეთებს და ყველაზე დიდი გული აქვს. დედაჩემის გამო პერფექციონიზმის ისეთი კომპლექსი ამეკიდა, რომ ალბათ ვერასდროს დავძლევ და ისეთი სრულყოფილი, როგორიც ისაა, ვერასდროს ვიქნები.

**რომელმა რა მოგცა, როგორ გგონია? დღეს რომ გკითხონ – რა წამოიღე დედისგან და რა მამისგან?**

– მამისგან მხატვრობის და კლასიკური მუსიკის სიყვარული, მამა წელომანია, სულ ხატავს და მასთან სულ მუსიკა ისმის. და, რაც მთავარია, თავისუფლების სიყვარული. მისი თაობის და ასეთი თავისუფალი არავინ მინახავს. ერთი დღეც კი არსად უმუშავია, საბჭოთა პერიოდშიც და მერეც, ყველაზე მძიმე პერიოდებშიც, შეძლო მარტო საკუთარი შემოქმედებით ეცხოვრა. მამა იმის მაგალითია, რომ აქ მხატვრობით თავის გატანა შეიძლება და დიდი შემოქმედების შექმნაც. და რკინის ფარდაში დაგმანულისთვისაც დიდი თავისუფლების მიღწევაც. ერთი, რაც ვერ წამოვიღე და ვერ ავითვისე მამისგან, მისი გასაოცარი შრომისმოყვარეობაა. სხვა ყველაფერი კი, თუ რამ კარგი მაქვს, დედისგან მაქვს. გულმოწყალება, კომპრომისების უნარი, ქალური სინაზე და ღვთიური და ადამიანური სიყვარული – ამ უნარების და სილამაზის გამო დედა ჩემთვის მერი პოპინსიც იყო და კონკიაც, ჯეინ ეარიც და რემედიოსიც.

ზაფხულებს და ზამთრებს სად და როგორ ატარებდით? იყო ხოლმე ბანაკები? თხილამურები? თუ?

– რა თქმა უნდა, ზღვაც იყო და მთაც, ქობულეთიც და ბაკურიანიც, მაგრამ ჩემი ბავშვობის ზაფხულების და ზამთრების მთავარი ეპიცენტრი მაინც დედის სოფელი იყო. ბუნების შეცნობა და, საერთოდ, სამყაროს აღქმა, ალბათ იმ მიწიდან დაიწყო, ბებიის მისტიური რელიგიური თქმულებებიდან და ბაბუას ვენახებიდან. იქ, კარგა ხანია, აღარავინაა და სოფელიც აღარ არსებობს, მაგრამ ამ ბოლო დროს ხშირად ვწერ იქაურობაზე და ასე, ჩემთვის ვიხსენებ და ვაცოცხლებ.

**ჟურნალისტიკის ფაკულტეტი რატომ აირჩიე? რა ჰქონდა ამ პროფესიას ისეთი, რაც გიზიდავდა? და მაშინდელმა არჩევანმა გაამართლა, როგორ გგონია? თუ, ბევრის მსგავსად, შენც მიხვდი, რომ ეს შენი საქმე არ იყო?**

– მაშინ ვიფიქრე, რომ წერას უკავშირდებოდა და ამიტომ ავირჩიე, იმავე წელს მე[illegible]ზე კინოსარეჟისოროზეც ჩავაბარე, თუმცა, [illegible] წლები იყო, სად ისწავლიდი, ალბათ, დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. ჟურნალისტად მუშაობამ ბევრი რამ მომცა, მაგრამ დადგა დრო, როდესაც მივხვდი რომ სხვა ეტაპზე უნდა გადავსულიყავი.

**თბილისი როგორ ქალაქად იქცა შენთვის? რა მოგცა და, პირიქით, რა დაგავიწყა?**

– თბილისი ჩემი მთავარი ქალაქია. სადაც არ უნდა წავიდე, მაინც აქ დავბრუნდები. რომ მითხრან, მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო ქალაქში საუკეთესო პირობებში გადაგიცვლით აქ ცხოვრებასო, დაუფიქრებლად ვიტყოდი უარს. აქაურობა თავისი მიწითა და ცით, ტაძრებით და გალავნებით, დილებით და საღამოებით, ხალხითა და ამბებით განუმეორებელია და უშრეტი ინსპირაციის წყაროა. იმდენ რამეზე ვბრაზობ და იმდენი რამ მიხარია აქ, ნეტა რომელმა ქალაქმა შეიძლება ეს ემოცია მომცეს და, რაც მთავარია, მშობლიურობის ასეთი განცდა მომანიჭოს.

**ადრეც გკითხე შენი და ქალაქების სიყვარულის ამბავზე, მოგზაურობაზე – რა უფრო გიყვარს, ქუჩებში ხეტიალი თუ მუზეუმებში გატარებული საათები? რა არის შენთვის მოგზაურობების მთავარი სიყვარული?**

– რა თქმა უნდა, ქუჩებში ხეტიალი. არქიტექტურა, ლანდშაფტი, ცოცხალი სახეები, ხმები, ფერები, სუნები – ეს მთავარია! უცხო ქალაქში გატარებული იდეალური დღე ასეთია. მიდიხარ უმისამართოდ და რაც გხვდება, ყველაფერს ისრუტავ, იმახსოვრებ, ზურგჩანთაში იწყობ. გზადშემხვედრ გალერეაში თუ მუზეუმში შეივლი, იქ, როგორც წესი, პიკასოსა და შაგალზე ნაკლები არ გხვდება, მერე ბაღებს გადაჭრი და ხეების ჩრდილიდან მზეს ახედავ, მერე ლამაზ მოედანზე მოხვდები, მაღაზიაში ჭრელ კაბას ან უცნაურ ქუდს იყიდი, სულ საოცარი სახლები და ერთმანეთზე უფრო ლამაზი ქუჩები გხვდება, ერთმანეთზე უფრო მხიარული ხალხი, მერე, ბევრი ხეტიალით დაღლილი, კაფეში დაჯდები და ზუსტად იქაურ და იმ ჰაერზე გაკეთებულ კერძს შეჭამ, ღვინოს დალევ და ადამიანების სახეებს დააკვირდები. ხმებს მოისმენ, იქ სულ ამბებია, სულ ცხოვრებაა, სულ რაღაც ხდება. ისინიც გიყურებენ და გიღიმიან. არ სწყინთ, მათ ქალაქს ასე ჯიბეებში რომ ილაგებ. პირიქით. გინაწილებენ და შაქრის ნატეხებივით გიყრიან ყავაში. ქუჩის მუსიკოსებიც იქვე არიან. საპნის ბუშტების ფესტივალიც. უეცრად დაწყებული ცეკვებიც და ამ საერთო ფერხულის და მხიარულების ისეთი ორგანული ნაწილი ხდები, ისეთი თავისუფალი



მამის სახელოსნოში მამასთან და ძმასთან ერთად

და ლაღი... მსოფლიოს მოქალაქე! ზუსტად ასეთ წუთებში მოტანილი ერთობისა და სიყვარულის განცდა მარწმუნებს ხოლმე, რომ ეს პლანეტა არასდროს გაქრება და მარადიულად იარსებებს.

**მე არასოდეს მინახავს „საშინაო" თეონა – სულ ფორმაში ხარ, სულ აქტიური ხარ, და იქ როგორი ხარ, შიგნით, სადაც მხოლოდ შენები გხედავენ?**

– ახლა დავფიქრდი და საშინაო მგონი არც არასდროს ვარ. არ ვიცი, რატომ არ ვაძლევ თავს მოდუნების უფლებას. ყოველდღიურობა ძირითადად სულ მოძრაობაა, დღის ბოლომდე რაღაცის კეთება და რეპრეზენტაცია. მაგრამ ამის საკომპენსაციოდ მაქვს ერთთვიანი და კიდევ მეტხნიანი ინტროვერტული პერიოდებიც, როდესაც თაგვივით ჩემს სოროში შევიკეტები და არ გამოვდივარ, არავის ვენახები. ეს ყველაზე საუკეთესო დროა რეფლექსიისთვის, წერისთვის, ფიქრისთვის და საკუთარი თავის ბელახლა შექმნისთვის.

**ლუკას და ელენეს თეონა როგორია?**

ლუკას და ელენეს თეონა დედაა. ჩემი მწერლობა მათ ჯერჯერობით ნაკლებად აინტერესებთ. მარტო მაშინ, როდესაც ვწერ და ელენეს ვთხოვ, „ცოტა მაცადე, ახლა დრო არ მაქვს სათამაშოდ-მეთქი", თვითონაც იწყებს ჩემსავე ლეპტოპში რაღაცების „წერას". ეს კი ნამდვილად არ არის კარგი აზრი, მაგრამ... ელენე საერთოდ ცდილობს, ყველაფერში მომბაძოს, ჩემნაირი იყოს, ამ დროს, რა თქმა უნდა, 5 წლის გოგოსთვის სასაცილოა, მაგრამ მე ძალიან მიხარია და როდესაც თანატოლებს სიამაყით ეუბნება – აი, ჩემი დედიკო! ბედნიერი ვარ. ლუკა დიდია, თავისი განსაკუთრებული სამყარო აქვს. ტექნოკრატია, ზუსტი მეცნიერული ნაშრომები უფრო აინტერესებს და მხატვრულ ლიტერატურას შემწყნარებლური ღიმილით უყურებს, თუმცა იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან მაინც დავაინტერესებ და ჩვენს ბანაკშიც გადმოვიყვან.



საბა 2006

**ლიტერატურის გარდა რა არის ის, რაც ყველაზე მეტად გიყვარს და შენი ნებით არასდროს იტყვი უარს?**

– ძალიან მიყვარს ხატვა. კინემატოგრაფია საერთოდ მიუხაეს და იმედი მაქვს, ამ სფეროში რაღაცების გაკეთების საშუალებაც მომეცემა. საერთოდ კი იმდენი კარგი რამ ხდება, ნეტა მეტი დრო იყოს, კიდევ უფრო მეტ და მეტ რამეს აღმოვაჩენდი და ვისწავლიდი, რაზეც არასდროს ვიტყოდი უარს.

**ამასწინათ მკითხეს, როგორ გგონია, ლიტერატურას თუ შეუძლია ადამიანი შეცვალოსო. იგივე მინდა გკითხო – სადამდე მიდის წიგნის ძალა, როგორ გგონია?**

– ალბათ მაინც ადამიანს გააჩნია. კაცობრიობის ისტორიას ბევრი ადამიანი უნახავს, ვინც ხელოვნებას არ გაუკეთილშობილებია და არ შეუცვლია. მაგრამ ზოგადად, მე მჯერა, რომ ლიტერატურას ძალიან დიდი ძალა აქვს. აქ მთელი ადამიანური სიბრძნე და გამოცდილებაა თავმოყრილი, აქ მოყოლილი ამბები ისტორიაზე მეტია და ფილოსოფიაზე ღრმა. მან საუკუნეების სიღრმეში მიმალული სახეები, განცდები და გრძნობები შეინახა. ეს ისეთი სულის გამოცდილებაა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს, გქმნის და გაძლიერებს. ყველა იმ ამბის პრიზმაში გატარებს და შენც უკვე ინფორმირებულიც ხარ და, შესაბამისად, შეიარაღებულიც. და თუ იმ დიდ მწერლებთან და პერსონაჟებთან საუბარს შევძლებთ, მათ სწორად კითხვას და აღქმას, ლიტერატურას შეუძლია, შეცვალოს არა მხოლოდ ადამიანი, არამედ სამყაროც.

**ფული გიყვარს?**

– ფული მიყვარს, როგორც თავისუფლება. როგორც რაღაცის კეთების, სადმე წასვლის, რაღაც ახლის აღმოჩენის საშუალება. ამიტომ მე ფული არასდროს მიჩერდება. როგორ შეიძლება თავისუფლება გამოიზოგო? ხვალისთვის გადადო? მე ვფიქრობ, რომ ჩვენი პროფესიის ადამიანებს ეს თავისუფლება თავიანთ შრომის შედეგად უნდა მოსდიოდეთ, რადგან ერთი ქმნის მეორეს და პირიქით. ის ქართული სტერეოტიპი (სხვა ქვეყნის კულტურაში იშვიათად ან თითქმის არ მინახავს), რომ მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი ღარიბი უნდა იყოს, ის გაუგებარი რომანტიკა, რომ გალაკტიონს პალტო არ უნდა ჰქონოდა ზამთარში და ფიროსმანი კიბის ქვეშ შიმშილით უნდა მომკვდარიყო, თორემ ისე ფასეულს ვერაფერს შექმნიდნენ, მცდარია და არასწორი. დროა, თანამედროვე საქართველოში ბევრი ძლიერი, საკუთარი შემოქმედებით მატერიალურად გამდიდრებული და წარმატებული ადამიანი ვნახოთ. ასე თუ არ მოხდა, წინ ვერაფერში წავალთ. კულტურა უნდა გვშიოდეს და კულტურა უნდა გვაპურებდეს. მით უმეტეს, იმ ქვეყანაში, რომლის პირველი სავიზიტო ბარათი სწორედ კულტურაა.

**ყველაზე გაბედული როდის ხარ ხოლმე? თუ გახსენდება რამე ამბავი, როცა შენს თავზე არ გიფიქრია და ისე წასულხარ რაღაც რისკიან საქციელზე?**

– მიმაჩნია, რომ ზოგადად რისკიანი და გაბედული ვარ. ეს, შესაძლოა, მეტისმეტი თავდაჯერებულობის ბრალია. რატომღაც მგონია, რომ ყველაფერი გამომივა და ამიტომ ხშირად რთულ რაღაცებზე დაუფიქრებლად დავთანხმებულვარ. ყველაზე გაბედული კი მაშინ ვარ, როდესაც საქმე შვილებს ან ახლობელ ადამიანებს ეხება. საერთოდ, როდესაც დარწმუნებული ვარ, რომ სწორად ვმოქმედებ, მართალი ვარ და ეს ის საქმეა, რაც მნიშვნელოვანია, დიდ რისკზე წასვლაც შემიძლია. მგონია, რომ ამ დროს სხვა კეთილი ძალებიც მეხმარება და მარტო არა ვარ.

# მესხი მესხის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

*თეონა დოლენჯაშვილი*

**„ემბრიონს აქვს სპეციალური სტატუსი, იგი არის არა ადამიანი, არამედ პოტენციური ადამიანი და იმსახურებს პატივისცემას.“**

*უორნოკის კომისია*

*კანონი „ადამიანის ემბრიოლოგიისა და ფერტილიზაციის შესახებ“*

**„პრობლემურნი იქნებიან ის ბავშვებიც, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერებით დაიბადნენ და მათი სიცოცხლე მრავალი ემბრიონის განადგურების შედეგად განვითარდა.“**

*საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II*

*საშობაო ეპისტოლე*

სიზმარი, რომელიც მარიკას რამდენჯერმე ესიზმრა, მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდებს დაემთხვა და განსაკუთრებულ მინიშნებად და ინტერმეცოდ იქცა. მარიკა ამას მოგვიანებით გააცნობიერებს. თავდაპირველად კი მხოლოდ სიზმრისეული სურათები და ის უცნაური განწყობა ახსოვს, რომელიც კარგა ხნის მანძილზე მიჰყვება და ძილის ბურანსა და დღის რეალობას შორის დაკიდებულ საქანელაზე რამდენიმე კვირის მანძილზე არწევს.

პირველი სიზმრის ნახვისას მარიკა გათხოვილი და ჯერ ისევ იმედებით სავსე ქალია. ის ირაკლისთან ერთად ზის მანქანაში და მცხეთისკენ მიიჩქარის. შობის წინა დღეებია, ანუ ის დროა, როდესაც დედა პარასკევასაც ესიზმრა სიზმარი, სადაც წმინდანი გამოეცხადა და შობამდე მის საფლავზე მიმსვლელთ სამი სანუკვარი სურვილის ასრულება აღუთქვა. მოკლედ, ყველაფერი აქაც სიზმრით იწყება. უფრო სწორად, ხილვით, რომელმაც თითქმის მთელი ქვეყანა ააფორიაქა, მცხეთისკენ დაძრა და დედაქალაქიდან ძველ სატახტო ქალაქამდე გაჭიმული მცირე გზა მორწმუნეთა და მეოცნებეთა ავტომობილებით გაჭედა.

ირაკლის და მარიკას შავი „ლენდ კრუიზერ პრადოც“ ამ კოლონაშია. ისინი უკვე რვა წელია, შვილზე ოცნებობენ და მონაზვნის სიზმარსაც სილოამის საბანელში ანგელოზის ჩამოსვლის ნიშნად იღებენ[1] ქალაქს პირველები ტოვებენ, მაგრამ თბილისიდან გამოსვლიდან მეოთხე დღეს ისევ მცხეთის შესასვლელთან დგანან და არავინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი დღე ელოდებათ. წინ კუს ნაბიჯებით მიიწევენ. საჭმელს გზადშემხვედრი რესტორნებიდან ეზიდებიან. სხეულს სველი ხელსახოცებით იწმენდენ და ტანსაცმელს მანქანაში იცვლიან. მათ წინ და უკან ჯიპების და სედანების გრძელი კოლონაა. სუსხიანი ქარი ქრის, ცივა და მარიკა ფიქრობს, რომ კორტასარის გმირებს ჰგვანან, მოთხრობიდან – „სამხრეთის გზატკეცილი“. ღამით კი იმ საოცარ სიზმარს ნახულობს. ესიზმრება, თითქოს სულ სხვა დროსა და სივრცეშია. ხედავს გრძელ, მთვარის შუქით განათებულ, ხრიოკ და უცნობ გზას, რომელსაც შავ მოსასხამებში გახვეული კეთროვნები და ხეიბრები მიუყვებიან. თავადაც მათ შორისაა – მათსავით გლახაკი და მომაკვდავი. სიზმრის სიჩუმე დოლბის სისტემის კინოთეატრების მგრძნობიარე დინამიკებში უეცრად გამორთული ხმაურივითაა. საპყართა არმია ნელა და თავდახრილი მიაბიჯებს. მარიკაც მხოლოდ წინმიმავალთა ფეხის ტერფებს ხედავს. გზის ბოლოს ბოსელი დგას. ბოსელში სხვებთან ერთად, ვილაც უხილავის კარნახით შედის და ხედავს, რომ ბაგაში ცხვრების ნაცვლად ექიმი იესო წევს, რომელსაც ჩვილი ბავშვის სახე აქვს და ყველა მათგანს ღიმილითა და თავზე ხელის დადებით კურნავს.

თვალს რომ ახელს, გზატკეცილს მართლაც ანათებს მთვარის შუქი, სიჩუმეს დეკემბრის ცივი ქარის ზუზუნი და საპატრულო პოლიციის მანქანის სირენის ხმა არღვევს. მარიკას მანქანის სალონში მოუხერხებელი ძილისგან კისერი სტკივა. სიზმრიდან გამოყოლილი სურათები ცხადში ბოლომდე დაბრუნების საშუალებას არ აძლევს. გაოგნებული უცქერის მთვარიან და მანქანებით გაჭედილ ვიწრო ქუჩას. მერე ირაკლის აღვიძებს და სიზმარს უყვება. ეუბნება, რომ ქრისტე ნახა. ეს კი ალბათ იმის ნიშანია, რომ საფლავზე შესვლას მოახერხებენ და აუცილებლად ეყოლებათ შვილი. ირაკლი გამოუძინებელი და გატანჯული სახით უქნევს თავს, მანქანის სავარძელზე გვერდს იცვლის და რაღაცას ბურტყუნებს. ახლა ის ყველაზე ნაკლებად ჰგავს ბავშვის გამკეთებელ კაცს.

მარიკას ვარაუდის პირველი ნაწილი მალევე მართლდება. იმ დღესვე ირაკლი თანაკლასელს, მამა ვასილს (ერობაში ვასკას) ნახულობს, რომელიც შუაღამით მათ დაკეტილ საფლავზე შეაპარებს. მარიკას სხვებისგან განსხვავებით მთელი ღამე აქვს. მარიკა საფლავზე სრულიად მარტოა და, რა თქმა უნდა, რჩეული. საფლავზე წვება. წვება მუცლით. სახეს მიწაში რგავს

[1] იერუსალიმში, სილოამის საბანელში, წელიწადში ერთხელ უფლის ანგელოსი ჩამოდიოდა, წყალს ამღვრევდა. ეს იყო ნიშანი უშვილოთათვის, აუზში ჩასულიყვნენ და შვილოსნობა დაებრუნებინათ.

და თბილი მიწიდან საკუთარი თუ წმინდანის გულისცემა ესმის. ცივა. ყინავს. თავზე სწორედ ის დიდი ვერცხლისფერი მთვარე დაჰნათის. ჯადოსნური ღამეა და მარიკასაც ეჩვენება, არა, კი არ ეჩვენება, ნამდვილად ასეა... საფლავიდან წმინდანის უხრწნელი ხელი ამოდის და მარიკას გაყინულ თითებს ეხება.

მას შემდეგ, რაც მარიკას ცივი თითები, სუსტი სხეული და მერყევი სული წმინდანის ხელს ეჭირა, საკმაო დრო გავიდა. სიზმრის მეორე ნაწილი არ ამხდარა, რადგან, მარიკას აზრით, ირაკლის და მას მოთმინება, უფრო სწორად, რწმენა არ ეყოთ. მათი შვილი ქვეყანას ჯერ არ მოევლინა. არავინ იცის, გაჩნდება თუ არა საერთოდ. მარიკას და ირაკლის განქორწინების შემდეგ მათი ინ ვიტრო განაყოფიერებული ემბრიონი სინჯარაშია კონსერვირებული. დედის სურვილია, ის ცოცხალ ადამიანად იქცეს, მამის – არასდროს გაჩნდეს. ყველაფერს სასამართლო გადაწყვეტს.

### მარიკა

ფარდებჩამოფარებული ფანჯრების იქით კარგა ხნის გაღვიძებული ქალაქის ხედი იშლება. მრავალსართულიანი კორპუსების უსწორმასწორო ერთიანობა, ორიგინალური ლანდშაფტი და ქვაბულებზე ამფითეატრივით შეფენილი ძველი უბნები ქალაქს დროის მდინარებაში ჩაკარგულ და ორაზროვან იერს ანიჭებს. სექტემბრის ნათელი და ცხელი შუადღეა, მეცხოვრებელთა ნაწილი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა შვებულებიდან, ნაწილს კი ისევ მოჰყვება განელილი ზაფხულის სიმსუბუქე და უდარდელობა.




ზემო სართულზე ვიღაც ბახის საფორტეპიანო კონცერტისათვის დაწერილი ვარიაციების შესრულებას ცდილობს. მუსიკალური სკოლის მოსწავლეებისთვის ფორტეპიანოს გაკვეთილებს მეზობელი, რომელიც მარიკას თვალით არასდროს უნახავს, სადღაც შუადღის პირველი საათისთვის იწყებს და ეს ის დროა, როდესაც მარიკას დღე იწყება. გაუწაფავი ხელით ფორტეპიანოზე დატყაპუნებული და შეცდომებით სავსე კლასიკური მუსიკის ნაწარმოებები მარიკას მაღვიძარაა და ისიც თვალებს ახელს. ჯდება, შიშველ ფეხებს დივანზე აწყობს და სხვა სამყაროდან მოსულის თვალებით აშტერდება ოთახის კედლებს. კედლები თეთრია და ცარიელი. თუ არ ჩავთვლით ერთადერთ ფოტოს, სადაც ისევ მარიკაა გამოსახული. ამ ფოტოზე ის ღია ვერანდაზე დგას, იდაყვებით ხის მოაჯირს ეყრდნობა, მოკლე, ყვავილებიანი კაბა აცვია, თმაგაშლილია და იცინის. მის უკან მაღალმთიანი მთების პეიზაჟია. ფოტოგრაფს კადრი ისე დაუყენებია, რომ ნატურა მთების ფონზე მთელი ტანით გამოჩნდეს და არც ფონი დაიჩრდილოს, არც მთებს წაეკვეთოს მწვერვალები. მოკლედ, წარმატებული ფოტოა. მით უფრო, რომ პროფესიონალი ფოტოგრაფის კი არა, ირაკლის მიერაა გადაღებული. ირაკლი კადრს მიღმაა, უხილავი და, ამავე დროს, მოქმედი. ის რომ არა, ეს ფოტო არ იარსებებდა, არც ამ კედელზე იქნებოდა ჩამოკიდებული და ალბათ არც მარიკა იარსებებდა, როგორც ასეთი. მარიკას წარსულის ეს კადრი და თავად ბედნიერი და მოღიმარი მარიკაც იმ დროსა და სივრცეში ირაკლის მიერ არის შექმნილი.

ფოტო ზედმიწევნით ასახავს მარიკას ახლანდელი ყოფის არსსაც. მარიკას წარსულის შემოქმედი და ამჯერადაც უხილავი ირაკლი მის ყოველდღიურობას ძველებურად მართავს. რადგან ფოტო ისეთ ადგილას ჰკიდია, რომ მარიკას თვალთახედვის არეში მუდმივად ხვდება, გულის არეშიც ყოველწამიერი და მტკივნეული დარტყმები გარანტირებულია. ეს ჰგავს ერთგვარ რეფლექსიას, როდესაც რაღაც მძიმე და გარდაუვალის მუდმივი გაცნობიერება ხდება და როდესაც „მემენტო მორის" მსგავსად მარიკასაც განუწყვეტლივ ჩაესმის სიტყვები: „გახსოვდეს, მიგატოვა!", ან „იცოდე, უბედური ხარ!"

„რა უბედური ვარ", – ფიქრობს მარიკა და სამზარეულოში გადის და გაზქურაზე ჩაიდანს დგამს. ჭიქაში ყავას ყრის, მაცივრიდან ყველს იღებს და ღუმელში შემთბარ კრუასანს უგემურად ღეჭავს. საიდანღაც გამომძვრალი კატა მაგიდაზე ხტება და მაცივარში იჭყიტება.

მარიკამ American Keuda-ს ჯიშის ფისო ირაკლისთან დაშორების მერე მოიყვანა და რადგან უმალ კემელების ქალღმერთს – bastets[2] მიამსგავსა, ეს სახელი დაარქვა.

ირაკლის სახლის ცხოველები სძულდა, რადგან ფიქრობდა,

[2] ოსირისის და ისიდას ასული, ძველ ეგვიპტელთა ღმერთი, რომელსაც გამოსახავდნენ კატისთავიანი ქალის სახით, ფეხებთან მოკალათებული ოთხი კნუტით, რომელსაც სისტრი ეკავა ხელში და ნაყოფიერების ქალღმერთად ითვლებოდა.

რომ ოჯახის ახალი ნევრი იმ უშვილო და ბედსშეგუებულ წყვილს დაამსგავსებდათ, ბავშვებს რომ ცხოველებით ანაცვლებენ და არარეალიზებულ მშობლიურ სითბოს მათ ყურებდაცქვეტილ და პრიმიტიულ თავებს დაატეხენ. საბრალო ბასტეტს კი არარეალიზებულ სითბოსთან ერთად მარიკას მთელი დრამა დაატყდა თავს. ისიც თანამგრძნობი თვალებით უყურებდა საათობით მოქვითინე ახალ პატრონს და დამამშვიდებელი კრუტუნით იწმენდდა მარიკას ცხელი ცრემლისგან დასველებულ ბეწვს...

ზემო სართულზე მუსიკალური თემა იცვლება. შოპენის მელანქოლიური მელოდია ბლანტი ნაღველის იმ მდინარეს წააგავს, ცეცხლოვან ენებებს რომ გადაუვლის, გადარეცხავს და მღელვარე გულსაც უცნაურ ნებოში ამოავლებს. განცდას, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი გაივლის და ყველაფერი სულერთი გახდება, შხაპქვეშმდგარი მარიკასთვის შვების ნაცვლად სევდა მოაქვს. რა ცუდია, რომ სიყვარულის ბოლო გაბრძოლება – სიძულვილიც მოკვდება და სახეჩამოგრძელებულს და გაშეშებულს განურჩევლობის რბილ ნისლში ყვინთვის გარდა აღარაფერი დარჩება. აქედან იწყება დავიწყება. მარიკას კი არ უნდა დავიწყება. არ უნდა, ირაკლი წარსულს გაატანოს და ახალს დაელოდოს. ვიღაც სხვა, ახალი და უცხო მიიღოს, მაშინ, როდესაც რაც თავი ახსოვს, ირაკლი ჰყავდა. მაშინ, როდესაც ამ სიყვარულს შესწირა ამდენი წელი. მაშინ, როდესაც უკვე არსებობს მათი შვილის ჩანასახი – სინჯარაში განაყოფიერებული და გაურკვეველი ვადით გაყინული პრეემბრიონი. გენეტიკური კოდის მატარებელი პრეზიგოტა, რომელშიც უკვე განსაზღვრულია სქესი, თვალის, კანისა და თმის ფერი, სახისა და ტანის ფორმები, ავადმყოფობებისადმი მიდრეკილება და ტემპერამენტიც კი. პატარა მიკროჩიპი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას. სიცოცხლე, რომელიც სწორედ ირაკლის მონაწილეობით არის მოვალე, გაჩნდეს და მარიკაც და მისი სიყვარულიც დავიწყებისა და გაქრობისგან იხსნას.

მარიკა ტანს იმშრალებს და აბაზანის კედელში ჩადგმულ ფერად ორნამენტებს უყურებს, რომელსაც საფუძვლად კლიმტის ფერწერული ესთეტიკა უდევს. დეკორი მარიკამ და ირაკლიმ ერთად შეარჩიეს სანტექნიკის მაღაზიაში, სადაც ყველაფერი ხელოვნების ყოველდღიურ ყოფაში თანაარსებობის პრინციპითა და პრეტენზიით იყიდებოდა. მაღაზიის მეპატრონეს გალერეის მფლობელის გარეგნობა ჰქონდა, კონსულტანტი გოგო კი აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის ლექტორის ენით საუბრობდა. ცხადია, პროდუქციის შემქმნელებს ნუვორიშების მისაზიდად მხოლოდ ძალიან ცნობილი ფერწერული ნამუშევრები აერჩიათ. სტილის კულმინაციად კი ალბათ უნიტაზები უნდა მივეჩნია ვან გოგის „მზესუმზირების" პრინტით. მარიკამ მხოლოდ მაშინ გააცნობიერა, რომ ლოზუნგი „ხელოვნება ხალხისათვის" საბოლოო ჯამში ჩეჩმების მოხატვის თავისუფლებასა და განავლის გაკეთილშობილებას გულისხმობს. და მართლაც, ხელოვნების რომელი იდეა უნდა იყოს დეფეკაციის პროზაული პროცესის გალამაზებაზე უფრო ჰუმანური?

ირაკლის უნიტაზები არ მოეწონა, არც შაგალის სიყვარულით მფრინავი წყვილით მოხატულ აბაზანაზე დარჩენია თვალი, არც პიკასოს კუბისტური სარკეებისა და ვიტრაჟებისთვის მოუქცევია ყურადღება. მისი არჩევანი მხოლოდ კლიმტი იყო. ფერადი, მაგრამ იმ გარემოში ყველაზე მოკრძალებული და საყოფაცხოვრებო დიზაინზე ყველაზე მისადაგებული კლიმტი. უთუოდ დასაფასებელი არჩევანი იყო.

ფორტეპიანოზე ახლა უკვე სწრაფ აჩქარებულ მელოდიას უკრავენ. მარიკა [illegible] ვერ ცნობს. შესაძლოა, სულაც სავარჯიშო ეტიუდებია. შემსრულებელს ტაქტი ერევა, მელოდია სადღაც შუა გზაზე უწყდება და კვლავ უბრუნდება. კვლავ არასწორი ბგერა. მცირედი პაუზა და ჰარმონიის შექმნის მცდელობა ისევ თავიდან იწყება.

ბასტეტს თეფში მოუსუფთავებია და ფანჯრის რაფაზე ზის. მისაღებ ოთახში საათი წიკწიკებს, რომელიც მარიკას ახსენებს, რომ ერთ საათში ადვოკატს უნდა შეხვდეს. კარადიდან ჯინსის შარვალი და თეთრი მაისური გამოაქვს, პრაქტიკულად ის, რაც ხელთ ხვდება. თეთრ კედებზე ზონარს იკრავს. აწეწილ თმას ივარცხნის და სარკეში საკუთარ სახეს, ნაღვლიან თვალებსა და გამხდარ ლოყებს უცხოსავით აკვირდება. ამ ტანსაცმელში საერთოდ პატარა გოგოს ჰგავს. გარეგნობა მატყუარაა. მის სხეულში კარგა ხანია დაწყებულია რეგრესისა და კვდომის პროცესი. გარდა იმისა, რომ მის საშვილოსნოს არ აქვს ნაყოფის მიმაგრებისა და ტარების უნარი, უჯრედებიც თანდათან სულ უფრო და უფრო ნაკლებ ესტროგენს გამოიმუშავებს. უკვე ოცდაჩვიდმეტი წლისაა. მენოპაუზამდე შედარებით შორია, მაგრამ რეპროდუქციული ასაკი სულ რამდენიმე, საუკეთესო შემთხვევაში, ოთხი-ხუთი წელი თუ გასტანს. ახალი სიყვარულის (თუკი მსგავსი რამ საერთოდ არსებობს) პოვნას კი გაცილებით მეტი დრო სჭირდება.

**ირაკლი**

ირაკლი რეპროდუქტიული ცენტრის მისაღებში ზის და განცხადებას წერს:

„მოქალაქე ირაკლი მესხის განცხადება..."

წინ საპლიკაციო ფორმები უდევს, სადაც მოქალაქეები შთამომავლობის გაგრძელებაში ცენტრის დახმარებას ითხოვენ, რომელიც ერთხელ უკვე შეავსო, ახლა კი პირიქით, ამ დახმარების უგულვებელყოფა და უკან წაღება სურს.

წინ ფურცელი და მუყაოს ჭიქით ყავა უდგას. ზურგსუკან კი უზარმაზარი მაცივრები სინჯარებში გაყინული პრეზიგოტებითაა სავსე. ემბრიონებით, ადამიანური სიცოცხლეებით, რომელთაგანაც ზოგს უწერია დაბადება, ზოგს კი – არა. ირაკლის აქაურობა რაღაცით აგონებს, გარდაცვლილი სხეულებით სავსე მორგს, რომელთაგან ზოგიერთის სულს უწერია სასუფეველში მოხვედრა, ზოგიერთს – არა.

მოკლედ, ყველაფერი მეტისმეტად ბანალურია და თან მეტისმეტად აბსურდულიც. ადამიანები ანთროპოლოგიურ ლაბირინთში გზააბნეული პრიმატები არიან, რომელთაც საკუთარი სურვილების მართვის ნაცვლად გაუვალი გენეტიკური ჯუნგლი მიიღეს. ამის დასტურად სამყაროს ამ უზარმაზარ საშვილოსნოში გატარებული რამდენიმე საათიც საკმარისია. საკმარისია გაიცნოთ თუნდაც ახლახან შემოსული ის ლესბოსელი წყვილი, რომელთაც სუროგატი დედა აიყვანეს. ამგვარად, თუ in vivo განაყოფიერება წარმატებით განხორციელდა, უახლოეს 9 თვეში დაიბადება ბავშვი, რომლის გაჩენაშიც მონაწილეობა მიიღო სამმა ქალმა, ერთმა მამაკაცმა და ერთმაც სინჯარამ. ან ის ქვრივი ქალი, ლაბორატორიას მწუხარე სახით რომ მიაბარა გარდაცვლილი მეუღლის სპერმითა და საკუთარი კვერცხუჯრედით შექმნილი, ნიტროგენის ხსნარში მოთავსებული და მინუს 196 გრადუსზე გაყინული პრეემბრიონი და ექიმებთან საიქიოდან განაყოფიერებული სიცოცხლის გაჩენის სასურველი თარიღიც შეათანხმა...

ირაკლის გული უწუხს. სურს, სწრაფად დატოვოს აქაურობა და აღარასდროს გაიხსენოს. ან თავის დროზე რამ მოიყვანა აქ. როგორ მოხდა, რომ მარიკას დაჟინებულ თხოვნას დაჰყვა და საკუთარი გენეტიკა, სისხლი, სპერმა ამ სიგიჟისთვის გაიმეტა? უკვე იმაშიც დარწმუნებულია, რომ ასე გაჩენილი ბავშვი ნორმალური არ იქნება. სხვა ღვთისგან მოვლენილებივით, უკვდავი სული არ შთაებერება. პლასტმასის გული და მუშისთვალა თოჯინასავით გაყინული მზერა ექნება.

„მოვითხოვ, არ დაუშვათ ჩემი, ირაკლი მესხისა და ჩემი ყოფილი მეუღლის, მარიკა მესხის გასული წლის 30.06-ში, სინჯარაში განაყოფიერებული ემბრიონის სუროგაცია..." – წერს.

განცხადებას ხელს აწერს. ახლა ექიმს უნდა დაელოდოს. რამდენიმე შეკითხვა აქვს. მაგალითად, ხომ არ აუყვანიათ უკვე სუროგატი დედა? თუ პროცესს მოიგებს, რამდენ ხანში მოხდება განჩინების აღსრულება? უკლებლივ ყველა ემბრიონს გაანადგურებენ თუ არსებობს შანსი, მოპასუხე მხარემ რამე მაქინაციები ჩაატაროს და მისი სპერმის მონაწილეობით შექმნილი ბავშვი სადღაც როგორღაც და მაინც გაჩნდეს?

ირაკლის ნამდვილი ბავშვი უკვე არსებობს. ის თათიას მუცელშია და გახშირებული ბიძგების დროს ირაკლი გრძნობს მის ნამდვილ წიხლს, რომელსაც დედის საშვილოსნოს კედელს უბრაგუნებს და მამას ესალმება. ეს საოცრებაა, რომელსაც ამდენი წელი ელოდა. ეს მისი გაგრძელებაა და იმის დასტური, რომ მარადიულად გაგრძელდება.

„დროთა მდინარებაში თავის შენარჩუნების სურვილი უმთავრესია", – ფიქრობს ირაკლი. ადამიანებს სწორედ ამ ვნებით უყვარდებათ, – შექმნან და გააგრძელონ შთამომავლობა და თუკი ეს არ არის... – ირაკლის აქ ახსენდება შოპენჰაუერი და ის, რომ სქესური სიყვარულის მეტაფიზიკა სხვა არაფერია, თუ არა ერთი დიდი ადამიანური ეგოიზმი, გვარის გენიის მიერ იმ ბავშვის გააზრება, ვინც შეიძლება გაჩნდეს ამ წყვილისგან.

ან რა ამაღლებულად წერდა!

„არის რაღაც სრულიად თავისებური საიდუმლო იმ ღრმა ქვეშეცნეულ სერიოზულობაში, რითაც ქალ-ვაჟი ათვალიერებს ერთმანეთს პირველი ნახვისთანავე, იმ გულმოდგინებაში, რითაც ისინი აკვირდებიან ერთმანეთის გარეგნობის ყოველ წვრილმანს. შეყვარებულთა მზერის ამ გადაკვეთაში იელვებს ხოლმე პირველი ჩანასახი – მომავალი ადამიანი, რომელიც მხოლოდ ამ წყვილმა შეიძლება შობოს. ინდივიდი, რომელსაც ესწრაფვის მსოფლიო."

ეს გადაკვეთა ბოლოს და ბოლოს მასთანაც მოხდა. იმ მშვენიერ საღამოს, როდესაც თათიას შეხვდა. ირაკლის იმ დღის ყველა წვრილმანი ახსოვს: აგვისტოა. გეგას დაბადების დღე. თვითონ მარიკას გარეშეა. თათია კი მეგობარ გოგონებთან ერთად. სუფრაზე მის წინ ზის. თმას ისწორებს. უღიმის. მონაცემები იდეალური აქვს: თორმეტი წლით უმცროსი. სავსე მკერდი, გლუვი კანი, თეთრი, ჯანსაღი კბილები და საერთოდაც ჯანსაღი.

„როგორც ხეჭეჭური ქვაზე დასახეთქი", – ფიქრობს ირაკლი, როდესაც საცეკვაოდ გაჰყავს და წელზე მკვრივ ხორცს უსინჯავს. თათიას წელს ქვემოთ მრგვალი თეძოები ერკალება, მხრებზე ოქროსფერი (თუნდაც შეღებილი) თმა აყრია – ნამდვილი ნაყოფიერების ქალღმერთია და მათ მზერაში იკვეთება კიდეც პირველი ჩანასახი – ის მომავლის ადამიანი, რომელიც მხოლოდ მათ შეუძლიათ შობონ.

ურთიერთობაც იოლად ეწყობა. მარიკას ეჭვიანობა თავში არასდროს მოსვლია. ირაკლიც თავისუფლად წერს თათიას მესიჯებს, ურეკავს, კინოში ეპატიჟება, საღამოებს ერთად ატარებენ. თათიას დანახვისთანავე სხეული ეჭიმება, მთელი ეს ალქიმია, ენდორფინების და კორტიზოლის დიდი დოზა ტვინში ურტყამს, აზრებს და გზებს ურევს. ეს ბუნებრივია, რადგან მათ შორის არსებობს ის მიზიდულობა და მაგნეტიზმი, რასაც სწორედ მათ მიერ შესაქმნელი მომავლის ადამიანი განაპირობებს.

ნეტა მარიკასთანაც ასე იყო? ირაკლის აღარ ახსოვს. მას შემდეგ, რაც შეუღლდნენ, ყველაფერი რიტუალების დაცვით მოხდა. გაცნობა, მშობლები, ნათესავები, ნიშნობა, ქორწინება, სახლის მოწყობა, მანქანის ყიდვა, წვეულებებზე სიარული, დღეები და ღამეები, ღამეები და დღეები, ერთმანეთის მსგავსი და მსგავსი ერთმანეთის. ბავშვი არ გაჩნდა. არ აახმაურა და არ შექმნა მათი ახალი ცხოვრება. სხვაც ბევრი არაფერი ცვლიდა მდორე რუტინას, მარიკა კომფორტული იყო, მაგრამ მოსაწყენი, ერთ ქვასაც კი არ ჩააგდებდა ყოველდღიურობის მშვიდ მდინარეში, რომ რაღაცით მაინც აეღელვებინა, აეჩქარებინა ან კალაპოტიდან დროდადრო მაინც გადაეყვანა ყოფის ჩვეული სვლა. თათია კიდევ მოთამაშეა. მოუსვენარი, მჩქეფარე, ემოციური, ხან მხიარული, ხან გაბუტული, მისი ხასიათის ამპლიტუდაც მისი

მღელვარე მკერდივით ადი-ჩამოდის, მარტის ამინდივით იცვლება, მოღრუბლულობა და ქარიანობა დაკარგვის შიშს უქმნის, რაც კიდევ უფრო აგიჟებს და ახელებს, მზიანი დღეები ახალი გზნებით აბრუნებს, აბრუებს და ათრობს. თათიასთან არაფერია პროგნოზირებული. გარკვეული, ცხადი.

საწოლში ვნებიანია, ცხელი, სველი. ავხორცი.

საწოლში? საწოლში მალე აღმოჩნდნენ, თუმცა ირაკლის ეჩვენება, რომ პირიქით, დიდი დრო გავიდა, სანამ თათიას აგვისტოში მზემოკიდებულ შიშველ სხეულს სექტემბრის ღამეს მოუსინჯავდა, მკერდს მუშტებს შორის მოიქცევდა და სხვადასხვა რეგისტრში ააკვნესებდა. სექტემბრის იმ ღამეს ირაკლიმ მარიკას უთხრა, რომ ბიჭებთან ერთად დასალევად მიდიოდა. ასეც იყო, მაგრამ კლუბში ბიჭებთან ერთად თათია და მისი მეგობარი გოგოებიც იყვნენ. დალიეს და იცეკვეს, იცეკვეს და დალიეს. ირაკლის მთელი სხეული უფეთქავდა, ისე უნდოდა ის გოგო, თათია ცეკვავდა და ირაკლის ეჩვენებოდა, რომ ყველა ბიჭს მასავით უნდოდა ის გოგო. ამიტომ მალე წავიდნენ, სახლში გააცილა, ზედ სახლის კარამდე მიაცილა და იქ აღმოჩნდა, რომ თათია სახლში მარტო იყო.

სახლში შევიდნენ. თათიამ ღვინო დაუსხა. ირაკლიმ აკოცა. ლიფი შეუხსნა და მშვენიერი სხეული გაუშიშვლა. ირაკლიმ მარიკასთან ამდენი წელი ისე იცხოვრა, რომ ისიც კი ვერ გაიგო, როდის ჰქონდა მარიკას ორგაზმი, ან ჰქონდა თუ არა საერთოდ, თათიასთან კი ორგაზმი ისეთი რეზონანსულია, როგორც ატომური ბომბის აფეთქება. ისეთი ხანგრძლივი, როგორც წვიმების სეზონი მაკონდოში და ისეთი მრავალჯერადი, როგორც სამფერა კატის სიცოცხლე.

მარიკა ქალიშვილი იყო, თათია – არა. ირაკლი ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ არაქალიშვილს შეიყვარებდა, მაგრამ თათიამ უთხრა, რომ ეს პატარა ქირურგიული ოპერაციის შედეგია, რომელიც თინეიჯერობაში გაუკეთეს. ამის მოწმე დედა, რომელმაც მაშინ ექიმს ცნობა დააწერინა. ირაკლი მტერი არ არის, რომ მსგავსი რამეები იოლად დაიჯეროს, მაგრამ ის, რაც გინდა დაიჯერო, უფრო ადვილი დასაჯერებელია, ვიდრე საკუთარი პრინციპების ღალატი თუ არსებული წარმოდგენების შეცვლა.

ვიდრე ცოლად მოიყვანდა, ირაკლიმ ცნობაც ნახა. ცნობა იმ პროვინციული ქალაქის კლინიკიდან იყო გაცემული, სადაც თათია დაიბადა და გაიზარდა. ირაკლის შეუძლია კლინიკა, თუკი ასეთი მართლაც არსებობს, მოძებნოს და ალბათ იმ ექიმსაც, მისი გაურკვეველი ხელმოწერის მიუხედავად, მაინც მიაგნოს, მაგრამ ასეთ რამეს არასდროს იკადრებს. თანაც თუ თათია ირაკლის მოტყუებას მოინდომებდა, უფრო ნაღდს მოიფიქრებდა და საქალწულე აპკს გაიკერავდა, მაგრამ ასეთ რამეს არც თათია იკადრებს.

ასე რომ, ის თათიასთვის პირველი მამაკაცია. თათიას ქალური და სექსუალური ბუნება ირაკლის ხელში იძერწება და იქმნება, სხეული იფურჩქნება, იშლება და დედობისთვის ემზადება. სულ რამდენიმე თვეში კი ის დროც დადგა, როდესაც თათიამ ირაკლის ორი მაგიური სიტყვა „ფეხმძიმედ ვარ" – უთხრა...

თათიამ ეს სიტყვები სრულიად ჩვეულებრივად წარმოთქვა. უფრო სწორად, ტუალეტიდან გამოსძახა. მაშინ, როდესაც ტესტ-ზოლს დახედა და ზედ ორსულობის დასტური – ორი წითელი ხაზი დაინახა. მარიკა ყოველთვის წინასწარ გამოთქვამდა საკუთარ ეჭვს, რომ შეიძლება ფეხმძიმედ ყოფილიყო, ხშირ შემთხვევაში ტესტსაც ერთად ყიდულობდნენ და მერე ანალიზის პასუხსაც გულისფანცქალით ელოდნენ. ორი წითელი ხაზი – ეს ის საოცარი ფოკუსი იყო, რომელიც მათ თანაცხოვრებაში არასდროს მედგა. თათიას კი ისიც არ უთქვამს, თუ რამეს ეჭვობდა, ეს ტესტიც როდის ამოაძვრინა და ან ის რიტუალი როგორ ჩაატარა, საიდან იცოდა... მან დამდგარი შედეგი, ვითომც არაფერიაო, ისე გამოსძახა, და ირაკლიმ ვერც კი დაიჯერა, რომ ის დიადი საქმე, რომლისთვისაც ორმა ადამიანმა, კუპიდონმა და ყველა ღმერთმა ერთად იღვაწა, აღსრულდა!

ირაკლი უბედნიერესი ადამიანი იყო. ახლა მიხვდა, რას ნიშნავს მეცხრე ცაზე ყოფნა. უნდოდა მთელი ქვეყნისთვის ეხარებინა, რომ მალე მამა გახდება, რომ მალე მისი შვილიც იარსებებს, ნამდვილად მისი ჯიშის და გენის, მისი გვარის და მისნაირი.

მარიკას მალევე გაშორდა. ეს იოლი არ იყო. ცრემლები, სცენები, გულისწასვლები... მძიმედ გადასატანი დღეები იყო, მაგრამ ამას კი არა, რას არ გაუძლებდა, როდესაც გვერდით ფეხმძიმე თათია ჰყავდა.

მარიკას და ირაკლის ერთადშექმნილი ქონება ორად გაიყო. დიდი ბინა მარიკას დარჩა და რადგან ბავშვის მოძლოდინე წყვილისთვის აგარაკმა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა, აგარაკი და მეორე, შედარებით მომცრო ბინა – ირაკლის. ვერ გაიყვეს მხოლოდ ერთადშექმნილი ჩანასახი. ირაკლის აზრადაც არ მოსვლია, რომ ის რაღაც პროცედურა, რომელიც მარიკას ხათრით და მისი გაბმული ზუზუნისგან თავდასაღწევად გააკეთა, ასევე მომავალი სიცოცხლე იყო და არა სპერმისა და კვერცხუჯრედის შენაერთი, რომელსაც როცა გინდა, მაშინ მოიშორებ თავიდან.

მარიკა აქ სასტიკი და შეუვალი აღმოჩნდა და ემბრიონის გაღლობაზე უარი თქვა. არ გაჭრა არაფერმა, არც თხოვნამ და არც მუქარამ. კრახით დასრულდა თანხით მოსყიდვის მცდელობაც. მარიკა ყოველთვის რბილი და დამყოლი ბუნების იყო და ახლა კი კუდი და რქები გამოიბა და ნამდვილ ეშმაკად იქცა. ირაკლის სძულდა მარიკა და მათი ერთობლივი წარსულიც. თურმე ირაკლის საერთოდ არ უნდა აწუხებდეს, თუ მისსავე ქალაქში მის გვერდით მისი შვილი ივლის და იარსებებს. ირაკლისაც სხვა გზა აღარ დარჩენოდა და სარჩელი სასამართლოში შეიტანა.

ახლა ირაკლი კიდევ ერთ განცხადებას წერს და პრეზიგოტას სუროგატი დედის სხეულში




ემბრიონის გადაყვანაზე აცხადებს უარს. ის იმათ ბანაკშია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს ჯერ არ არის სიცოცხლე, მეტიც, ეს სრულფასოვანი ემბრიონიც კი არ არის და ვიდრე არ გალვივდება, ვიდრე ხელ-ფეხს არ გამოისხამს, ეს უბრალო მაქინაციაა, თანამედროვე ანთროპოლოგიური ჯუნგლის მორიგი ექსპერიმენტი.

ღამდება. მაგრამ ისევ ცხელა. ნიავი ოდნავადაც არ არხევს კლინიკის ეზოში დარგული ალვებისა და ნაძვების ნვეროებს. ირაკლი თავს სწევს და ფანჯრისკენ იყურება. მინებზე ეზოს ფარნების სინათლე ირეკლება, რომლებიც ციცინათელას პრინციპით ინთებიან და ქრებიან. ინთებიან და ქრებიან ისევე, როგორც მომავლის უცნობი სულები დნმ-ის ფირფიტებზე. ექიმი მალე მოვა და მის განცხადებას წაიღებს, იმედი აქვს, რომ ასევე მალე ამ განცხადებას დააკმაყოფილებენ და ირაკლიც აქაურობისგან და აქ შექმნილი კოშმარისგანაც სამუდამოდ განთავისუფლდება.

**მარიკა**

ადვოკატთან შეხვედრიდან გამოსული მარიკა ორ მეგობართან ერთად კაფეში ზის. დაქალებიდან ერთი გათხოვილია და ქმარშვილიანი, ერთიც – შეყვარებული და ბედნიერი. სახეები მხოლოდ მარიკას სვე-ბედის გამო დამწუხრებიათ. მეგობარს დახმარება და თანადგომა სჭირდება. მათ უკვე ისადილეს და პარალელურად ირაკლის ახვრობის თუ თათიას წაკლობის მრავალმხრივი ასპექტები განიხილეს, მაგრამ მარიკას ეს არ აინტერესებს. ყოფილის ქმრისა და მისი ცოლის ლანძღვა და განქიქება არ სურს და არც შვებას ჰგვრის. მას მხოლოდ მომავლის გადარჩენა უნდა და გოგოების დახმარებაც ინტელექტუალურ ჭრილში სჭირდება. მარიკა მათ ადვოკატთან შეხვედრის დეტალებს უყვება. ფიქრობს, როგორ მოიქცეს სასამართლოში, რა თქვას და რა არ უნდა თქვას. გოგოებმა კი ამდენი არ იციან. მათ უბრალოდ შეუძლიათ ილაპარაკონ, უსასრულოდ და უსასრულოდ ბევრი ილაპარაკონ, მაგრამ ვერასდროს ვერ თქვან ის საჭირო სიტყვები.

– მთავარი შეკითხვა ალბათ სუროგატ დედაზე იქნება. თანხის გადახდის გარდა, შევძლებ თუ არა მის შენახვას, სრულფასოვან კვებას, სამედიცინო მომსახურებას. ჩემი ხელფასით ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ბინას გაეყიდი და უფრო პატარა ბინას ვიყიდი, ან დედასთან გადავალ და ჩემს ბინას გავაქირავებ. დედა ბავშვის გაზრდაშიც დამეხმარება.

– ბინა არ გაყიდო, გაგიჟდი? და დედაშენთან ცხოვრება გინდა? – სიგარეტს უკიდებს ნატალია.

– არ ვიცი...

– არ იცი კი არა, იცი, რომ გაგიჭირდება. ან როგორ დაგეხმარება? შენი ძმა, რძალი, ბავშვები იქ ხშირად არიან. არა მგონია, შენი იქ გადასახლება ესიამოვნოთ.

– თან სუროგატ დედასთან ერთად. ლაშა მაგას აიტანს? თავიდანვე არ გაგიჟდა ეგ ამბავი რომ გაიგო?

– ჰო. ჩემს ძმას ჩემი არასდროს ესმოდა. მით უფრო, ახლა.

– და ამ სუროგატმა ქალმა შენთან ერთად უნდა იცხოვროს?

– შეთანხმების პირობებს გააჩნია.

– ისე, რა უცნაურია ეს სუროგაცია, სხვისი შვილი მუცლით როგორ უნდა ატარო, – ამრეზით ამბობს სოფო.

– აბა! -ეთანხმება ნატალია, – 9 თვე ატარო, მერე მოიშორო... და ეს ბიზნესად აქციო.

– ძნელია, მაგრამ კეთილშობილურიცაა, – სუროგატი დედების დაცვას ცდილობს მარიკა, – იმას ჰგავს, სხვისი შვილი საკუთარ სახლში რომ შეიფარო, მოუარო და აჭამო.

– და დედობის განცდა არ უჩნდებათ? ბავშვი მის სხეულში ცხოვრობს.

– სუროგატი მხოლოდ ჭურჭელია. მეტი არაფერი.

– კარგი რა, მარიკა, – ველარ ითმენს სოფო, – ორსულობა გამომიცდია და ყველაფერი ვიცი. რას ჰქვია ჭურჭელი? ბავშვი შენში ცხოვრობს. ერთი სხეული ხართ. ალბათ შენს შვილს ის ქალის გენეტიკაც შეერევა. კარგად გაიკითხე, ვინ იქნება და საიდან.

– გენეტიკა სხვა რამეა. იმ ქალის საშვილოსნოში მარტო ნაყოფი განვითარდება და გაიზრდება გაჩენამდე.

– იქნებ ისევ შენ გეცადა? ერთი და ორი წარუმატებლობა არაფერია. ქალები ვიცი, ხუთი და ათი ცდის მერეც რომ არ დაუყრიათ ფარ-ხმალი და მერე რომელიღაც ცდაზე მიმაგრებიათ და შერჩენიათ.

– არ არის შანსი, ექიმმა, – სევდიანად ამბობს მარიკა.

გოგონები ჩუმდებიან. და ამ სიჩუმეში ისინი ირაკლის თანაგუნდელები ხდებიან. ამ სიჩუმეში მხოლოდ მარიკასადმი სიბრალული ისმის და მეტი არაფერი. ისინი, როგორც მთელი დანარჩენი გარემომცველი სამყარო „სწორი, მართალი და ბუნებრივი" მეთოდების მომხრეები არიან და არა იმ უკუღმართობების, რაც მარიკას სურს და უნდა.

ტელეფონებზე შეტყობინებები მოდის. სოფოს ბავშვის ძიძა, ნატალიას შეყვარებული ეძახის და გოგოები მიდიან. მარიკა მარტო რჩება. ყავას უკვეთავს. მის წინ ჩამომსხდარ ასაკოვან ქალებს უყურებს. როგორც ჩანს, ტრადიციული შეკრება აქვთ. ჯერ ალბათ პარკში ისეირნეს. ახლა კაფეში შემოვიდნენ და ნაყინი და ნამცხვარი შეუკვეთეს. უხმოდ აცარიელებენ თეფშებს. ერთმანეთის მიყოლებით ნთქავენ პატარ-პატარა კრემიან ნამცხვრებს. ვერცხლისფერი კოვზებით ყლაპავენ ნაყინის ტკბილ, თეთრ ფაფას. ბავშვებივით იპარავენ ტკბილეულს და ჰედონისტური სიხარბით იხანგრძლივებენ სიამოვნების იშვიათ წუთებს. ამ ასაკში რაიმე სერიოზული თუ არ სჭირთ, უძილობა, კოლიტი, სახსრების სისუსტე და ჰიპერტონია ხომ მაინც აწუხებთ. სანაცვლოდ, აქვთ მცირედი პენსია, საყოველთაო დაზღვევა, მოჩვენებითი სოციალური თანაგრძნობა... და რა განსხვავებაა? ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობაც ისევე ნაღვლიანია, როგორც სიბერე. მხოლოდ რიგზე გათვლაა და მეტი არაფერი. ჯერ შენზე ზრუნავენ მშობლები, მერე უკვე შენ ზრუნავ მათზე და ეს ჯაჭვი, ეს ციკლი რომ არ დაირღვეს იმიტომაცაა აქ აუცილებელი შვილი. შვილი, რომელსაც გაზრდი და რომელიც ვალდებული იქნება, შენი ვალი გაისტუმროს.

მარიკას დედასთან ბოლო საუბარი ახსენდება. ამ საუბრის შემდეგ მარიკა მიხვდა, რომ დედას მის გამო რცხვენია. არა, განა საყვედურობს. უბრალოდ, სწყინს, რომ ასე აეწყო და მარიკამ ვერ შეძლო და ვერ მოიხადა ვალი. ვერ შეასრულა მისია, რისთვისაც გაჩნდა. „განა ქალი ამისთვის არ ჩნდება? რაღა შენ დაგემართა ეს?„– იკითხა რაღაცნაირად გულჩამწყდარმა. სამზარეულოში ისხდნენ. დედა სადილს ამზადებდა. მარიკა ჩაის სვამდა. ლანგარზე დედის მიერ ახლადგამომცხვარი, ჯერ ისევ თბილი ღვეზელი იდო. ღვეზელს ვაშლის და დარიჩინის სუნი ასდიოდა. დედის დარდიც, ღვეზელის მსგავსად, შვილისადმი ზრუნვის ნაწილი იყო. ღმერთისადმი თუ ბედისადმი ჩივილი, რომ მარიკა აქამდე მტკიცე საგვარეულო ჯაჭვში გაწყვეტილი რგოლია, სუსტი და ცუდად ნაჭედი რგოლი. რომ მაინცდამაინც მის გოგოს დააკლეს ცეცხლი და ფოლადი.

საგვარეულო ჯაჭვი კი მართლაც მტკიცე და სანაქებო ჰქონდათ. ეს მხოლოდ მკრთალი და მტვერწაყრილი ისტორიული მეხსიერება კი არ გახლდათ, მშობლებს რომ აქა-იქ და ბუნდოვნად ახსოვთ წინაპართა სახელები, მარიკას ამის შთამბეჭდავი ვიზუალური დასტური ენახა. დიდ პაპისეულ სახლში მეორე სართულის მისაღები ოთახის კედელზე საგვარეულო ხე ეხატა, უამრავი ტოტით, რტოთი და განშტოებით, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან რომ იღებდა სათავეს. ბავშვობაში მარიკა საათობით იჯდა ხესთან და წარსულის აჩრდილებს შორის დაეხეტებოდა. კითხულობდა, რომ ნიკოლოზს ჰყოლია ორი შვილი – მიხეილი და ნატალია, მიხეილს სამი – მარგალიტა, მარკოზი და დავითი. მარკოზი ბერად აღკვეცილა და მისი ტოტი მოკლეა, დავითის შთამომავლობა კი ხუთსულიანია – 2 ქალი, 3 ვაჟი... ვაჟების – მიხეილის, კონსტანტინესა (იგივე კოსტას) და ანდრიას საგვარეულო შტოებიდან ხე მხოლოდ კოსტასა და ანდრიას შთამომავლობას აღნუსხავს, რადგან მიხეილსა და მის ცოლს ელისაბედს ქალები შესძენიათ. მარიკა თითს ატარებს ხის ტოტებს შორის... მეოცე საუკუნის დასაწყისი. შავი ჭირი, ტიფი, შიმშილი, ბავშვთა სიკვდილიანობა. აქ ბევრ ტოტს ესხიპება ფოთოლი. მარიკა ცდილობს, არ აიხლართოს და თავისი პირდაპირი წინაპრების შტოს არ ასცდეს. ასე პოულობს დიდ ბებიდა აგრაფინას, რომელმაც შვიდი შვილი გაუჩინა პაპამისს. ეს ალბათ 1937 წლის რეპრესიების ხანაა, რადგან აქ ხე შესამჩნევად თხელდება და გადასახლებულთა და დახვრეტილთა სახელებიც მკრთალი ფანქრითაა მიწერილი. მერე მოგვიანებით რომელიღაც გადარჩენილ შთამომავალს კალმით სქლად გაუმუქებია. მეორე მსოფლიო ომი. აქაც მრავლად გაუჩეხავთ. ქვემოთ აღნუსხული სახელებიდან უკვე მარიკას მეხსიერებასაც უნდა ახსოვდეს რამდენიმე. ასე მოდის ხაზი მის პატარა სიცოცხლემდე და ამ დიდ მისტერიაში ჩაზმული მარიკა მთელ გენეტიკურ ხაზს რომ გამოივლის, გაბრუებული იწყებს თავიდან. ახლა სახელებს უკვე სახეებს უსადაგებს, ტანსაცმელს, ხმას და გამომეტყველებას. მათი სიყვარულის, სიცოცხლის და სიკვდილის ამბებს იგონებს, ათასგვარ ადამიანურ ისტორიას თხზავს. ეს ჰგავს გარდაცვლილთა სულების გამოცხადებას, დიდი ხნის წინ მიკეტილი აკლდამებიდან მათ გამოხმობას. და ისინიც მოდიან უკვე ჩონჩხადქცეულნი და დაფერფლილნი, ან სულაც გამქრალნი. მოდიან და თითოეული საკუთარი შვილების სახელებს ბუტბუტებს.

გასაკვირი არ არის, რომ ამ სხვადასხვაგვარ ხმათა ჩურჩულში, ამ მასიურ სპირიტუალურ სეანსში მარიკას მხოლოდ მამაკაცთა ხმები ჩაესმის. გვარის გამგრძელებელთა ხეზე ქალიშვილების მხოლოდ სახელები ჰკიდია. თითქოს არც უარსებიათ, მხოლოდ ნათლობისას მოიხსენიეს და ისინიც იმწამსვე, კდემითა და კრძალვით, გრძელი კაბების ძლივს გასაგონი შარიშურითა და ლეჩაქქვეშ მიმალული სახეებით მიეცნენ დავიწყებას. აქ მხოლოდ მამაკაცები აგრძელებენ შთამომავლობას. მხოლოდ მათ აქვთ უფლება, მოიყვანონ ახალი ადამიანები და ახალი დროება.

ალბათ ამიტომაა, რომ მოგვიანებით, უკვე ზრდასრული მარიკა საგვარეულო ხეს უზარმაზარ ფალოსს მიამსგავსებს. მუხასავით მაგარ და მძლავრად ერეგირებულ ფალოსს, რომელიც ორ საუკუნეს ანაყოფიერებს. მთავარ მწარმოებელ ძალას, რომლის ხის ფოთოლივით დაცვენილმა და მიწას გაბნეულმა უთვალავმა სპერმატოზოიდმა შექმნა ოჯახი, გვარი და ცხადია, კაცობრიობა.

„და რაღა შენ?“ – რაღაცნაირად გულჩამწყდარი იმეორებს დედა, თან ბარდას არჩევს. მარიკას ესმის დედის წუხილი. არასრულფასოვანი და წუნდებული შვილი დედის წუნიცაა. იქნებ სულაც მისი ქრომოსომების და გენების

პრობლემა. მარიკას სურს, დედა გაჩუმდეს, როგორ ვერ ხვდება, რომ ასე თავადაც იმ ბარდას ემსგავსება, რომელსაც არჩევს. ბარდას, რომლის რომელიღაც დომინანტმა გენმა იმძლავრა და გლუვი მარცვლის ნაცვლად დანაოჭებული მარცვალი წარმოქმნა.

მაგრამ დედა არ ჩუმდება.

– სალომე მესამეზეა ფეხმძიმედ, პატრიარქი იქნება ბავშვის ნათლია და რადგან ავადმყოფობს, იჩქარეს, – ამბობს და ბარდას ადუღებული წყლით სავსე ქვაბში ყრის.

– ვინ ავადმყოფობს? – ვერ ხვდება მარიკა.

– პატრიარქი. ყოველ მესამე ბავშვს ხომ ნათლავს და ძალიან უნდათ, მოასწრონ. მათაც ჰყავდეთ პატრიარქის ნათლული შვილი.

– მოასწრონ რა? ვიდრე პატრიარქს შეუძლია ნათლობა?

– ჰო.

– რა საოცარი ხალხია.

– რა არის აქ საოცარი? – ახლა დედა იბნევა.

– არაფერი, – ჩუმად ამბობს მარიკა და ირინდება. იმის ახსნას, რომ ეს ქრისტეს სიყვარული კი არა, ფეხისხმას აყოლილთა ეგოიზმია, არ აპირებს. დედა უმეტესად ნახევარტონებში ლაპარაკობს და ბრალსაც ვერაფერში დასდებ. ორსული ქალები და ახლადგაჩენილ ბავშვები კი მისი საყვარელი და მტანჯველი თემაა. ამ თემაზე შეიძლება ბევრი ილაპარაკოს, მაგრამ სახეზე მხოლოდ ორი სიტყვა აწერია „რაღა შენ!"

**სასამართლო**

საქალაქო სასამართლოს თეთრკოლონებიანი შენობის წინ მარიკა დგას და ფიქრობს. გარეთ ქუჩა და ყოველდღიურობა ხმაურობს, შიგნით – ადამიანების ბედი წყდება. მარიკას ყველაზე მეტად ეს უჭირს – ბრძოლის ველზე დაბრუნება, იქ, სადაც უნდა იომოს, ყოფილ სიყვარულს დაუპირისპირდეს, ის, ვინც უყვარდა, უნდა დაამარცხოს. ზემოთ იხედება. ცაზე თეთრი, უსწორმასწოროდ დაჭრილი ღრუბლები მიდიან და მარიკას სწორედ აქ ახსენდება, რომ ისევ ნახა სიზმარი.

სავარაუდოდ, სიზმარი ამ ან გასულ ღამით ესიზმრა, მაგრამ მხოლოდ ახლა გაახსენდა. პირველი სიზმრისგან განსხვავებით ის დანაწევრებულ და ბუნდოვან ფრაგმენტებად აღდგა. ცალკეულ სურათებად, საიდანაც მოესმა ქარის ხმა, იგრძნო გაშლილ ველზე მინას ალაგ-ალაგ შეყინული თოვლის სიცივე. უკვე სასამართლოს შენობაში შესულს კი თვალწინ იგივე გზა დაუდგა, რომელიც მცხეთისკენ მიმავალს, მანქანაში ჩაძინებულს დაესიზმრა. მაგრამ ამჯერად გზა ცარიელი იყო, უკაცური და მას ერთადერთი მგზავრი ადგა...

სასამართლოს ბოლო წლებში ქალაქის არქიტექტურაში მასიურად გავრცელებული მინის კონსტრუქციის შესასვლელი აქვს, რაც მარიკას აზრით, აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის მთავარ ფასადსა და ინტერიერთან. დარბაზის წითელი მუხის ხით გაწყობილ მისაღებში ЁЗ-ის კომპიუტერები დაუდგამთ. კედლებზე კანდინსკისა და მალევიჩის აბსტრაქტული კომპოზიციები კიდია.

თანაშემწე გოგო, მუქი ლურჯი შარვალი და ამავე ფერის პიჯაკი რომ აცვია, პატარა სასამართლო დარბაზისკენ მიუძღვის. მოსამართლე, 60 წელს მიღწეული, წარმოსადეგი მამაკაცი ნაკლებად ჰგავს სუპერმატიზმის თაყვანისმცემელს. თუმცა პროფესიულად ალბათ ზედმიწევნით იზიარებს აბსტრაქციონისტი მხატვრების კონცეფციას – ხილულად აქციოს ის, რაც უხილავია.[3]

მარიკას და ირაკლის საქმე მართლაც ჰგავს აბსტრაქტულ ნახატს, სადაც სიუჟეტზე უფრო მნიშვნელოვანი სულიერი მდგომარეობაა და ერთდროულად რეალობისგან განყენებული და ამ რეალობაში მოქმედი თემების უსაზღვრო კომბინაცია და ინტერპრეტაციაა.

ირაკლი უკვე დარბაზშია. ღია ფერის საზაფხულო პიჯაკი აცვია და ტელეფონს დაჰყურებს. თათია თან არ ახლავს. ბუნებრივია, მომავალ დედას ოდნავ ღელვასა და ნერვიულობასაც კი არიდებს. მარიკას ბრაზი იპყრობს, მტკივნეული და უკონტროლო მრისხანება, რომელიც გულს თავადვე უწურავს და უბუგავს.

საქმის, „მესხი მესხის წინააღმდეგ" პროცესზე მხარეების პაექრობისა და კითხვა-პასუხის ეტაპია. ირაკლის ადვოკატი, შუახნის მოვლილი და გაპრანჭული ქალი, ნვრილქუსლიანი ფეხსაცმელი და ელეგანტური კაბა რომ აცვია, სიტყვებს მკვეთრად და დამაჯერებელი ტონით წარმოთქვამს. მარიკას ადვოკატი ახალგაზრდა კაცია, მაჯაზე აიფონის საათში რაღაც ჩანაწერებს აკეთებს და სათვალის შუშებს მიღმა ჭკვიანი თვალები უელავს.

– ბატონო მოსამართლე, – იწყებს ირაკლის ადვოკატი, – როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ირღვევა ჩემი კლიენტის, ირაკლი მესხს არა მხოლოდ საკუთრების უფლება, რადგან ემბრიონის მოსაკუთრე ჩემი კლიენტიც გახლავთ, ჩემი კლიენტი ზარალდება მორალურად. ის შეიძლება არასასურველი ბავშვის მამა გახდეს და მთელი ცხოვრება ამ ტვირთის ტარება მოუწიოს.

– ირაკლი და მარიკა მესხებმა ეს გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღეს. არასასურველი მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც წყვილი განქორწინდა.

– დიახ, წყვილი განქორწინდა და მისი ინტერესები, ქონება, ცხოვრება გაიყო. შესაბამისად, ჩემი კლიენტის მოთხოვნა, აღარ გაჩნდეს ბავშვი, რომელიც მხოლოდ თანაცხოვრების პერიოდში იყო სასურველი, სავსებით სამართლიანია.

– უფლებები ორივე მხარეს ირღვევა. ვსაუბრობთ იმაზე, თუ სად უფრო მეტად ირღვევა და სადაა ნაკლები ბოროტება. მოსარჩელე მხარე არა მხოლოდ ჩემი კლიენტის კუთვნილ კვაზიქონებას ანადგურებს, ის თითქმის აღარ უტოვებს შანსს, მას ართმევს უფლებას, განახორციელოს უმთავრესი ანთროპოლოგიური საზრისი – იყოს ბიოლოგიური დედა, ჰქონდეს გაგრძელება.

---

[3] „ახალმა ფერწერამ ხილულად უნდა აქციოს ის, რაც უხილავია". ვასილ კანდინსკი

– მარიკა მესხს დედობის უფლება არ ერთმევა. მას შეუძლია აიყვანოს დონორი და იგივე პროცედურებით გახდეს დედა. თუკი საუბარი ფინანსურ ზარალზეა, ჩემი კლიენტი თანახმაა, თანხის დაფარვა თავის თავზე აიღოს.

– მაგრამ ცოცხალი ემბრიონის განადგურება იგივეა, აბორტი გააკეთებინოთ დედას და უთხრათ – ნადით, სხვისგან დაფეხმძიმდითო.

– ეს ნონსენსია, ბატონო მოსამართლე! მოპასუხე სრულიად არაადეკვატურ შედარებებს აკეთებს. დედის მუცელში მყოფი ჩანასახი სხვაა და სინჯარაში განაყოფიერებული პრეზიგოტა – სხვა. გარდა ამისა, რაც შეეხება ქალბატონი მარიკას შესაძლო დედობას. რამდენად შეუძლია მას უზრუნველყოს შვილის აღზრდა და განათლება დამოუკიდებლად? ჩვენ, პირველ რიგში, უნდა ვიფიქროთ მომავალ სიცოცხლეზე, რომლის მოვლინების უფლებასაც გავცემთ ან არ გავცემთ. ყველა არსებული ფაქტი კი ადასტურებს, რომ ბავშვის აღზრდა ქალბატონ მარიკას გაუჭირდება.

– ფაქტები დაასახელეთ.

– დავიწყოთ იქიდან, რომ – ხმა კიდევ უფრო გაუმკვეთრდა ირაკლის ადვოკატ ქალს, – სუსტი ჯანმრთელობის და ფსიქიკის დედას შვილის აღზრდა გაუჭირდება.

– რას გულისხმობთ? – აღშფოთდა მარიკას მხარე, – წყვილი უკვე გამოიკვლიეს და სწორედ ამიტომ მიეცათ ინ ვიტრო განაყოფიერების უფლება.

– მართალია, წყვილი უკვე გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ არ არსებობს სერიოზული მემკვიდრული დაავადების რისკი, ან რისკი იმისა, რომ ბავშვს შეიძლება თან დაჰყვეს ესა თუ ის არამემკვიდრული დაავადება, რაც გამოიწვევს მის ნაადრევ სიკვდილს ან მძიმე უნარშეზღუდულობას, მაგრამ თუკი შემდეგ, ანუ ინ ვივო ეტაპზე საეჭვო გახდა წარმატების პროგნოზირების შესაძლებლობა და შეიქმნა რამე სერიოზული უკუჩვენება, რაც იმოქმედებს დედის ჯანმრთელობაზე ან ბავშვის მომავალ ცხოვრებაზე, ანდა სულაც, – აქ ტონი ოდნავ შეცვალა, – სახეზეა არასათანადო შესაძლებლობები მომავალი ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, ემბრიონს სიცოცხლის გაგრძელების, ხოლო მარიკა მესხს კი შვილის გაჩენის უფლება არ აქვს!

– ჩემი კლიენტი სრულიად ჯანმრთელია, მყარი ფსიქიკის ახალგაზრდა ქალია და შვილის კეთილდღეობის უზრუნველყოფაც თავისუფლად შეუძლია!

– ბატონო მოსამართლე, მარიკა მესხი მალე 38 წლის გახდება, მოგეხსენებათ, ეს დედობისთვის ხანდაზმული ასაკია. მართალია, ის დასაქმებულია, მაგრამ რამდენად სტაბილურია მისი სამსახური და რამდენად სამყოფი ის შემოსავლის წყარო, რასაც ის იღებს? გარდა ამისა, მას არ გააჩნია შესაბამისი თანხა და პირობები სუროგატი დედის შენახვისთვის, ბავშვის სრულყოფილი განვითარებისა თუ შემდგომი აღზრდისთვის.

– მარიკა კუთვნილ, 160 000 აშშ დოლარად შეფასებულ, ბინას ყიდის, მისი სურვილია, ორი პატარა ბინა შეიძინოს, რომლიდანაც ერთს გააქირავებს. მიღებული თანხა და მის მიერ გამომუშავებული ხელფასი სავსებით საკმარისია, სუროგატი დედაც აიყვანოს და ბავშვიც კარგ პირობებში გაზარდოს.

– სად მუშაობს ქალბატონი მარიკა? – კითხულობს მოსამართლე.

– ჩემი კლიენტი არქიტექტურულ კომპანიაში ინტერიერის დიზაინერად მუშაობს უკვე ათი წელია. მისი სამსახური სტაბილურია და ამ წლების მანძილზე მხოლოდ კარიერული წინსვლა, მზარდი ანაზღაურება და წარმატებები ჰქონია. რაც შეეხება ფსიქიკას, რომელზეც ასე ხელაღებით ისაუბრა მოწინააღმდეგე მხარემ, ძალიან მდგრადი აქვს. გასაკვირი ის იქნებოდა, არ იყო ემოციური, როდესაც სიყვარულით შექმნილი ოჯახი გენგრევა, როდესაც მშობლად ქცევის შანსებს გართმევენ.

– ქალბატონო მარიკა, – ახლა მარიკას მიუბრუნდა მოსამართლე, – რამდენი წლის წინ დაქორწინდით?

– თოთხმეტი წლის წინ. ერთმანეთი ჯერ კიდევ სტუდენტობისას გავიცანით. მე აკადემიაში ვსწავლობდი, ირაკლი უნივერსიტეტში. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ შევხვდით და დავქორწინდით

– როგორი წყვილი იყავით?

მარიკამ ირაკლის გადახედა. ირაკლიმ თვალი აარიდა და კვლავ ტელეფონს ჩააშტერდა.

– ყველაფერი კარგად იყო. ზოგჯერ ძალიან კარგადაც. რომ არა შვილი...

– უშვილობის გამო ჩხუბი და უსიამოვნება, კონფლიქტები გქონიათ?

– არა... როგორ გითხრათ. კონფლიქტი არა. ღია და გახსნილი უთანხმოება არასოდეს, მაგრამ რაღაცნაირი უსიამოვნო განწყობა, დაძაბულობა სულ იყო. და რაც დრო გადიოდა, მატულობდა. მისიანებისგან. მისგანაც. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ექიმებმა საბოლოოდ დაასკვნეს, რომ უშვილობა ჩემი ბრალია.

– ინ ვიტრო განაყოფიერებაზე ერთობლი-




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად შეთანხმდით? ბატონი ირაკლი წინააღმდეგი ხომ არ იყო?

– ამ გადაწყვეტილებამდე ერთობლივად მივედით. იქამდე ბევრი რამ ვცადეთ, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა. შევთანხმდით, რომ ეს ბოლო ცდა იქნებოდა. თუკი არც ხელოვნური განაყოფიერებით გამოვიდოდა რამე, ბავშვს ავიყვანდით და აღვზრდიდით. უფრო სწორად, ბავშვის აყვანის თემა მე წამოვჭერი. ვთქვი, თუ ამჯერადაც არაფერი გამოვა, ბავშვი ავიყვანოთ-მეთქი. თვითონ არაფერი უთქვამს. ბოლო ცდა რომ იქნებოდა, ამაზე კი ნამდვილად შევთანხმდით.

– კლინიკაშიც ერთად მიხვედით?

– დიახ. იმ კლინიკაში წავედით, სადაც ხელოვნური განაყოფიერება ჯერ კიდევ ნლების წინ გვირჩიეს. ექიმები არავითარ იმედს არ იძლეოდნენ, რომ ნაყოფს შევინარჩუნებდი, მაგრამ მაინც ვცადე. მთავარი იმედები, რა თქმა უნდა, სუროგატ დედაზე მყარდებოდა, ამიტომ ჭარბი პრეემბრიონები შეინახეს. როგორც ამიხსნეს, ამას კრიოპრეზერვაცია ჰქვია. პრეემბრიონს ნიტროგენის ხსნარში ათავსებენ და მინუს 196 გრადუსზე ყინავენ.

– თქვენი ყოფილი მეუღლე არც კრიოპრეზერვაციის წინააღმდეგი ყოფილა?

– არა.

– ტყუილია, ბატონო მოსამართლე! – მოისმა ირაკლის მჭახე და აღელვებული ხმა.

– თუ შეიძლება, გვაცადეთ, თქვენც გკითხავთ. მარიკა, ამბობთ, რომ თქვენს მეუღლეს არც სუროგატი დედის საჭიროება გაუპროტესტებია?

– ვერ გეტყვით, რომ ბედნიერი იყო და ეს სურდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ჩვენ თავიდანვე შევთანხმდით, რომ ყველა გზას ვცდიდით, ოღონდ ჩვენი შვილი გაჩენილიყო. მაგრამ როდესაც ჩემს სხეულში იმპლანტირებული ნაყოფის შენარჩუნება ვერ შევძელი, ყველაფერი აირია. ალბათ ეს ბოლო წვეთი იყო. მიზეზი. და რაც მთავარია, ის გოგო... თათიაც უკვე არსებობდა მის ცხოვრებაში.

– მუცელი მოგეშალათ და დაგშორდათ?

– არა, მოგვიანებით, – მარიკა ყელში მოწოლილი ბურთის გადაყლაპვას შეეცადა, – მითხრა, რომ არაფერი გამოგვდის და უნდა დავშორდეთ. რომ მისთვის შთამომავლობის გაგრძელება მთავარია და... უნდა გაეუგო. მე ვუთხარი, რომ ჩვენი შვილი გაჩნდება, თუკი სუროგატ დედას ავიყვანთ. სწორედ მაშინ მითხრა, რომ ვიღაც დაქირავებული ქალის მიერ გაჩენილი ბავშვის მამობას არ აპირებს და საკუთარი შვილი უნდა და რომ ასე გაჩენილი ბავშვი არასრულფასოვანი იქნება, რომ ეს ყველაფერი უკვე ღვთის გმობაა. და რაც მთავარია, რომ ის უკვე ელოდება შვილს სხვა ქალისგან. მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ეს იყო.

– განქორწინების განცხადება მან შეიტანა?

– დიახ. და მეც, რა თქმა უნდა, მაშინვე ყველაფერზე დავეთანხმე. ერთი წამითაც არ შემიჩერებია. მისგან არაფერი მომითხოვია, მაგრამ ამაზე არასდროს დავთანხმდები. ყველაფერს გავაკეთებ და ჩემს შვილს არ მოვაკვლევინებ! უფლებას არ მივცემ!

– ბატონო მოსამართლე! – ჩაერთო ირაკლის ადვოკატი, – მოპასუხე არასწორ ფორმულირებას უკეთებს სიტყვებს „შვილს", „მოვაკვლევინებ", მაშინ, როდესაც საუბარი მხოლოდ პრეემბრიონზეა.

– ბატონო ირაკლი, ემბრიონების განადგურების თაობაზე კლინიკას განქორწინებისთანავე მიმართეთ, მარიკა თქვენ ბავშვის აღზრდის საკითხში ყოველგვარ მატერიალურ თუ მორალურ ვალდებულებებს გაცილებთ. მას მხოლოდ ბავშვის გაჩენა სურს იმ ემბრიონისგან, რომელიც უკვე შექმნილია და არსებობს. რატომ არ გინდათ მას ამის უფლება მისცეთ?

ირაკლი ძალიან გაოცებულია.

– როგორ? ჩემი შვილი არსებობდეს და მე ეს არ მაღელვებდეს? მყავდეს ბავშვი, რომელიც მე არ მეკუთვნის და არ მინდა? რომელიმე ნორმალური მამაკაცი დათანხმდებოდა ამ პერსპექტივას? თქვენ დათანხმდებოდით?

მოსამართლეს ეღიმება.

– ბატონო ირაკლი, – ეგ შვილი რომ უკვე გყოლოდათ, განქორწინების შემდეგ მის გაქრობას ხომ აღარ მოითხოვდით.

– შვილი რომ მყოლოდა, არც დავშორდებოდით.

მარიკა ცდილობს, ირაკლის მზერა დაიჭიროს. ირაკლის სასამართლოს მაღალი ფანჯრებიდან შემოჭრილი მზის სხივი ეცემა, რაც თითქოს კიდევ უფრო ამკვეთრებს და ამწვავებს მარიკას თავში გაჩენილ ფიქრებს და მისი უკანასკნელი ილუზიებიც დანდობისა თუ სიყვარულის შესახებ მუადლის მოკლე ჩრდილებივით ქრება.

– ბატონო ირაკლი, თქვენ ყველა ხელშეკრულებაზე გაქვთ ხელი მოწერილი. შესაბამისად, თქვენს შვილს გაჩენის უფლება ჯერ კიდევ მაშინ მიეცით.

– მაგრამ ის არ გაჩენილა!

– ემბრიონის კონსერვაციის ხელშეკრულებაზეც ხომ მოაწერეთ ხელი?

– კარგად არც მახსოვს, იმდენ ქაღალდზე მოვაწერეთ ხელი. კი, ბატონო, კონსერვაციაზეც მათ შორის და მიბარების ხელშეკრულებაზეც.

– თუ გახსოვთ, კონსერვაციის ვადები განსაზღვრეთ?

– არა. მოპასუხე მხარ... ისა... მარიკა და ექიმი ზეპირად შეთანხმებულან, რომ თუ მარიკას სხეულში იმპლანტირებული ემბრიონი დაიღუპებოდა, პრეემბრიონი სუროგატი დედის მოძებნამდე იქნებოდა გაყინული. მე იქ არ ვყოფილვარ და შესაბამისად, თანხმობა არც ზეპირად მიმიცია, რადგან სუროგაციის კატეგორიული წინააალმდეგი ვიყავი. საერთოდ, არც სინჯარის შვილიც მინდოდა, მაგრამ ჩემს ყოფილ ცოლს სურდა და მის დაჟინებულ თხოვნას დავყევი. ახლა კი ყველა ეს ხელმოწერა ანულირებულია და უარყოფილი.

– რეპროდუქტოლოგი მოწმის რანგში უკვე დაიკითხა, – სიტყვას კვლავ მარიკას ადვოკატი იღებს, – და ის ამბობს, რომ თქვენ მისი თანდასწრებით თქვით: „ჩვენ ყველა გზას ვცდით." ყველა გზაში სუროგაციაც იგულისხმებოდა. და ბოლოს, თუ ნებას დამრთავთ და დასკვნით სიტყვას მომცემთ, ცოტა შორიდან მოვუვლი, ბატონო მოსამართლე.

– გისმენთ.

– ბატონებო და ქალბატონებო, დავიწყებ იქიდან, რომ ჯერ კიდევ რომის სამართალში ჩანასახი დედის სხეულის ნაწილად მიიჩნეოდა, მაგრამ მოქმედებდა ფიქცია, რომელიც მის მემკვიდრედ ყოფნის უფლებასა და შეზღუდულ უფლებაუნარიანობას უკავშირდებოდა. დღეს ჩანასახი არა მხოლოდ სიცოცხლის უფლების სუბიექტად არის აღიარებული, საყოველთაოდ აღიარებულია მისი მემკვიდრეობის უფლებაც. თუმცა, თუკი სინჯარის ემბრიონთან დაკავშირებული პრობლემატიკა ევროპულ სამართალში კანონმდებლობით რადიკალურად არის გადაწყვეტილი, სამწუხაროდ ქართული კანონმდებლობა ხარვეზული და მეცნიერულად შეუსწავლელია. ამ მხრივ ის საერთო სამართლის ქვეყნების რეგულაციას უახლოვდება, სადაც უახლოესი ოცწლეულის განმავლობაში ემბრიონის სტატუსთან დაკავშირებით ცხარე დისკუსიები არ წყდება. მართალია, ქართული სამართალი არ მოიცავს პრეემბრიონის დამცავ ნორმებს. ის მხოლოდ რეპროდუქციის უფლების ინსტრუმენტია და მიზნის მიღწევის საშუალება, მაგრამ ის ჩვენთანაც მომავალი სიცოცხლეა და არა ნივთი. დიახ, ემბრიონი არის ადამიანი, აქვს სიცოცხლის უფლება, რაც გამორიცხავს ყოველგვარ სელექციას, კვლევასა და განადგურებას.

– ცდებით! – სიტყვას აწყვეტინებს ირაკლის ადვოკატი – ემბრიონი მორალურ სტატუსს განვითარებასთან ერთად იძენს და სანამ საშვილოსნოს კედელს არ მიემაგრება, არ არის ემბრიონი და ვერასდროს გახდება პოტენციური ადამიანი. მეტიც, იმპლანტაციამდე ემბრიონს არ გააჩნია მორალური და სამართლებრივი სტატუსი და არაფრით განსხვავდება ადამიანის ნებისმიერი ორგანოსგან, რის გამოც მფლობელებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, გადაწყვიტონ, რა მანიპულაცია ჩაუტარდეს ემბრიონს.

– გეთანხმებით, რომ სინჯარაში კონსერვირებული ემბრიონი ერთობლივი ქონებაა, კვაზიქონება, მაგრამ ის უფრო სიკეთეა, ვიდრე ქონება! საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაც სწორედ მეცნიერთა ნაწილის იმ აზრს იზიარებს, რომელიც მიიჩნევს, რომ სიცოცხლე ჩასახვის მომენტიდან იწყება, ემბრიონი უთანაბრდება ადამიანს და მასზე ყოველგვარი მანიპულაცია უნდა აიკრძალოს.

მარიკამ უცებ იგრძნო, რომ ძალიან დაიღალა. დაიქანცა. მის გონებას უფრო და უფრო უჭირს სამართლებრივი ტერმინებითა და რთული მსჯელობით დახლართულ ლაბირინთში გზის გაკვალვა. სახეს ხელებში რგავს და თვალწინ ისევ სიზმარში ნანახ გზას ხედავს. მის წინ მთვარის შუქით განათებული ველია. ველზე მიაბიჯებს, მაგრამ საკუთარ თავს, როგორც სხვას, ისე ხედავს და რატომღაც ზემოდან, ჩიტის ფრენის სიმაღლიდან აკვირდება. გზაზე მდგარი ერთადერთი შენობა, რომლისკენაც მიდის და რომელთანაც ეს უსასრულო გზა სრულდება, ისევ ის ბოსელია. ხის კარს აღებს და შედის. სასამართლოს მუქი ლურჯი ხავერდის ფარდებისა და მაღალი ჭერის ნაცვლად ის ახლა სოფლის უბრალო დურგლის მიერ ხისგან შეჭედილ, ცივ და მტვრიან კედლებს ხედავს, თივითა და საქონლის ნაკელით მოსვრილ მიწას. მარტოდმარტოა. გარეთ დეკემბრის დაუნდობელი ქარი ქრის და ფარღალალა კედლებში ატანს. აკანკალებული მარიკა დამზრალ ხელებს იორთქლავს. საქონლის ბაგებს შორის დადის. რაღაცას თუ ვიღაცას ეძებს.

**ირაკლი**

ირაკლი ელიტარული სასტუმროს ლაუნჯ-ბარში შედის. მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვს და შეხვედრამდე რამდენიმე წუთით ადრე მიდის. რბილ სავარძელში ჯდება და მიმტანს ცოტაოდენ ვისკისა და გამაგრილებელ სასმელს უკვეთავს.

სიგარეტს ეწევა და ისევ სასამართლო პროცესზე ფიქრობს. მარიკასთან შეხვედრა არ იყო იოლი. მისი თხელი სხეულის და დიდი, ნაღვლიანი თვალების დანახვაზე ბრაზი, სევდა, განვლილი დღეების ნოსტალგია და სითბო ერთდროულად მოაწვა. მარიკა წლების მანძილზე უყვარდა და ეს გრძნობა, როგორც ჩანს, არც აქამდე განელებია. მასთან ერთად ყოფნას სიმშვიდე და კომფორტი მოჰქონდა. მარიკას ხომ ყველაფერი ირაკლიზე ჰქონდა აწყობილი, არასდროს არაფერში შეწინააღმდეგებია, კამათიც კი იშვიათად მოსვლიათ. ირაკლი დომინანტი და პრივილიგირებული იყო თუნდაც იმიტომ, რომ მარიკას უშვილობას ურიგდებოდა, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, მარიკას მზრუნველი და მოსიყვარულე ბუნება მაინც იმ ოჯახურ კომპოზიციას შექმნიდა, სადაც ირაკლი ოჯახის უფროსიც იყო და ჭირვეული ბავშვიც, სადაც თავსაც ევლებოდნენ და ყველა სურვილსაც უსრულებდნენ.

მაგრამ ახლა იმ ძველი, აბრეშუმივით რბილი მარიკასგან თითქმის აღარაფერი დარჩა. სასამართლო პროცესზე ირაკლი სულ სხვა ქალს ხედავდა, შემტევსა და მტკიცეს, მებრძოლსა და აგრესიულს, ძუ ლომს, ნამდვილ მტერს, რომელთან ომის გარდა მართლა აღარაფერი დარჩენია. არადა, როგორ ეგონა, რომ ყველაფერს მშვიდად, მინიმალური დანაკარგებითა და ყოველგვარი აურზაურის გარეშე მოაგვარებდა.

„მაინც რამ შეცვალა ასე? მარტო ცხოვრებამ? ცხოვრობს კი მარტო? ალბათ ჰყავს უკვე ვინმე", – ამ აზრმა განსაკუთრებით გააღიზიანა. „ანგელოზი მეგონა და ნამდვილი კახპა კი ყოფილა. შურისმაძიებელი ძუკნა!" – ვისკის სვამს და ლაუნჯში შემოსულ ძველ მეგობარსაც ხედავს.

ძველი მეგობარი, დავითი გავლენიანი კაცია. თავის დროზე მცირე ბიზნესი ჰქონდა, მერე სახელისუფლო წრეებში გადაინაცვლა და საქმეებიც კარგად აეწყო. ეს სასტუმროც მის მფლობელობაშია და შეხვედრაც აქ დაითქვეს, რადგან თემა, რომელზეც უნდა ისაუბრონ, მეტისმეტად კონფიდენციალურია და ყველა ზედმეტი ყურისა თუ კაფე-რესტორნებში დამონტაჟებული მოსასმენი აპარატისგან მაქსიმალურად მოსარიდებელი.

ირაკლიმ დავითს დახმარება სასამართლო პროცესის დაწყებამდე თხოვა, მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე დაგვიანებული იყო, რადგან მოსამართლე დაენიშნათ და ვერაფერს შეცვლიდნენ, რადგან მისი საქმე მაინცდამაინც ივინმე ალექსანდრეს ერგო, რომელსაც სამართლებრივ წრეებში რთულად მოსალაპარაკებელ კაცად მიიჩნევდნენ. „სამწუხაროდ, უმართავია, ვერაფერს გავაწყობთ," – მოსწერა მეგობარმა მოსამართლის გვარის პასუხად ირაკლის ვოთსაპის ჩატში.

– გავიკითხე და ეგ ისეთი კაცია, განაჩენს ვერ შევაცვლევინებთ, შანსი არ არის, – იგივე გაიმეორა ახლაც მეწამული ფერის სავარძელში ჩაშვებისთანავე და ჩაიქირქილა, – ეგ მარტო თემიდას უჯერებს.

– აცილებასაც ვერ მივცემთ?

– ვერა. იეჭვებს, – ამოიხვნეშა და მიმტანს გასძახა, – ერთი ვისკი ყინულით და ერთიც წყალი მოიტანე ლიმონით. და სიგარების ბიჭი გამოუშვი კიდევ. მოწევ შენ? – ირაკლის მიუბრუნდა.

– არა, იყოს, სიგარეტს ვეწევი.

– ჰოდა იმას ვამბობდი, რომ სასამართლოს პროცესში ჩარევა ახლა არ ღირს. შენი საქმე განსხვავებულია. დახურული პროცესიკია, მაგრამ მთელი მედია ჩასაფრებულია. ერთი რომ იეჭვოს მარიკამ, მაგარ სკანდალს აგიწევს და გინდა გატელევიზორება?

– მაგის დედაც!

– ასე ცუდადაა საქმე, კაცო? დარწმუნებული ხარ, რომ აგებ?

– მოგების მცირე შანსიაო, ადვოკატმა. ამ შემთხვევაში ქალი უფრო პრივილეგირებულია და თან დედობის შანსის შემცირების კვალიფიკაციას აძლევენო. აი, გაგიგია? ბოზიშვილი ვიყო რა! კიდევ იმას იტყვიან, ქალები იჩაგრებიანო ამ ქვეყანაში.

– ისე, შენ ეგ როგორ დაგემართა, ბიჭო? საერთოდ რად გინდოდა ეგ კვერცხობა!

– ოჯახი გვქონდა და შვილი გვინდოდა. თან, სიმართლე გითხრა, არც მჯეროდა, თუ რამე გამოვიდოდა აქედან, მეთქი, აჰა, დავყვები და ავუსრულებ ამ ერთ სურვილსაც. ფული მივეცი და სპერმა ჩავაბარე. სულ ეს იყო. აქამდე თუ მივდიოდი და ასე შემომიტრიალდებოდა, რას წარმოვიდგენდი.

– რამდენი რამეა შესაცვლელ-გასასწორებელი! რა სირცხვილია ამის დედაც... მეორე მხარე რომ ზარალდება, ეგ არაფერი?

– ევროპას და ევროპულ სამართალს ხომ მივყვებით და ეგაა. ცოცხალიაო უკვე და განადგურებაზე კი არა, გადარჩენაზე უნდა ვიფიქროთო. არადა, როგორაა ცოცხალი?! რაა ცოცხალი? ჟორნოკის კომისიის დასკვნები მოიშველიეს და რაღაც ჯანდაბა აბორტებს აბორტებზე იკეთებენ და მაინცდამაინც ახლა გაახსენდა დემოგრაფია და გამრავლება იმ დედააფეთქებულ მოსამართლეს.

– კარგი. დაიკიდე. კარგად იქნება ყველაფერი. თათია როგორაა?

– კარგად, – სახე უნათდება ირაკლის, – ბიჭს ველოდებით, ხომ იცი, ნათლია ხარ!

– ვა, შენ გენაცვალე! ეგრე რა! – ბეჭზე ხელს უტყაპუნებს და გულიანად კოცნის დავითი.

– ჰოდა, მინდა მე ახლა ეს სინჯარის ნაბიჭვრობა? ქალს გავშორდი. მორჩა! და აღარ მინდა მასთან შვილი. მარტო იმ შემთხვევაში მივდიოდი ამ სიგიჟეზე, თუ ოჯახი გვექნებოდა. ახლა ვინ და როგორ გაზრდის, დაითო, რა ვიცი! კაცმა არ იცის, რა გამოვა. მაინც ჩემი შვილი უნდა ერქვას, ჩემი გენის...

– იცი, რა. დაველოდოთ განაჩენს. და თუნდაც წააგო, დაიკიდე, ნუ ინაღვლებ. გასაჩივრება ხო შეგიძლია?

– კი. სააპელაციოში.

– მარიკა რამდენი წლისაა?

– ისა... ჩემზე ხუთი წლით უმცროსია. მალე 38-ის გახდება. ეგ რა შუაშია?

– ეგ მე ვიცი. ერთი მაგარი რაღაც მაქვს ჩაფიქრებული. შენ დრო გაწელე ოღონდ. გაასაჩივრე ყველგან, სადაც შეიძლება და ზოგიერთ პროცესზე არც მიხვიდე, რომ დრო გაიქაჩოს, გესმის?

– ჰო.

– დანარჩენს მივხედავ მე.

– როგორ?

– პარლამენტიდან.

– ეგ როგორ? ვერ გავიგე.

– მაგას ჯერ ვერ გეტყვი. მენდე, ძმაო და ცოტაც მოითმინე.

– შენ გაიხარე! პატივისცემა ჩემზე იყოს!

– არ გრცხვენია? შენი ბიჭის ძეობაზე მაგრად ვიგუგუნოთ და ეგაა...

**მარიკა**

გოგოს ყვითლად დაჩითული კაბა აცვია. ცეცხლისფერი თმა, ჭორფლიანი კანი და ღია მწვანე ფერის თვალები აქვს. ფერადია. როგორც სოფლის მინდორი და სევდიანი, როგორც ამ მინდორს იქით ჩამავალი მზე. ქმარი და ორი შვილი ჰყავს, კიდევ ორი ბავშვი სხვებისთვის გაუჩენია. მარიკას ბავშვი მეხუთე იქნება, მეხუთე ორსულობა. სამი სხვისი, ორი – თავისი, ესეც ხუთი.

მარიკას სახლში, გრილ და ფართო მისაღებ ოთახში სხედან. მარიკას ყავა, ხილი და ნამცხვრები გამოაქვს. გოგო ზის და ბასტეტს უყურებს.

– აი, შაქარი. ჩაიყარეთ, რამდენიც გინდათ, – ეუბნება მარიკა.

– მადლობა. ყავას იშვიათად ვსვამ. ეს გემრიელია.

– აი, აქ იცხოვრებთ. თქვენს ოთახსაც განახებთ. მოგწონთ?

– კი, ძალიან ლამაზი სახლია. ძალიან მომწონს. ვიდრე მუცელი დამეტყობა, იქამდე გადმოვალ. საერთოდ ასე ვაკეთებ. ბავშვებისთვის ძნელი ასახსნელია. რა ვუთხრა, სად წავიდა ბავშვი, რომელიც მუცელში მეჯდა? ამიტომ იქამდე გადმოვალ, ვიდრე დამეტყობა.

– რა თქმა უნდა. როგორც გენებოთ. ბავშვები რამდენი წლისები არიან?

– შვიდის და ხუთის. უკვე დიდები არიან საიმისოდ, ეგ კითხვები რომ დასვან და თანაც... ისედაც ვმალავთ მე და ჩემი მეუღლე ამ ამბავს. სოფლის ამბავი ხომ იცით? ვერავინ გამიგებს, სხვა სახელს დამარქმევენ, ბავშვებს დამიჩაგრავენ.

– აქაც არავის ვეტყვი. სტუმრები ჩემთან იშვიათად მოდიან. მხოლოდ ძალიან ახლობლები, ოჯახის წევრები, მაგრამ იმათაც შევგიძლია ვუთხრათ, რომ ლილი კი არა, ვთქვათ, ია გქვიათ.

– ჰო. ეგ კარგია. მადლობა.

მარიკა გოგოს უყურებს. საბუთების მიხედვით 24 წლისაა, არადა, მარიკას ტოლი მაინც გეგონება. ცელოფნის პარკში გასაფერადებელი ალბომები და სახატავი ფანქრები უწყვია. ალბათ მარიკასთან მოსვლამდე შვილებს რაღაც საჩუქრები უყიდა. ფულიც, რა თქმა უნდა, მათთვის უნდა. სხვისი შვილების გაჩენით ალებული ფული საკუთარი შვილებისთვის. ქმარი ალბათ უმუშევარია. სოფლის სახლი – ღარიბული. ფულს ქალაქის სახლის საყიდლად აგროვებენ. უკვე შეტანილი აქვთ მშენებარეზე. სახლს იყიდიან, თბილისში გადმოვლენ. კაცი სოფელში მიწას მაინც ამუშავებს და ვენახს უვლის, ქალაქში კიდევ უსაქმოდ დარჩება. სამსახურის ძებნას დაიწყებს, მაგრამ ვერ იპოვის. მოთხოვნილება კი გაიზრდება. ქალაქში ცხოვრება უფრო ძვირია, ბავშვებს შესაბამისი მოვლა, კარგი განათლება დასჭირდებათ, შავი დღისთვისაც ხომ უნდა გადადონ. სუროგაცია – ლილის პროფესიად იქცევა. 38 წლამდე კიდევ შვიდ ბავშვს გააჩენს, ან იქნებ მეტსაც. და ეს ბავშვები, 9 თვის მანძილზე მუცლით ნატარები სხვისი შვილები, წლების მერე ქუჩაში რომ შეხვდებიან, ვერც კი იცნობენ. ან საიდან.

სევდიანი ამბავია და ეს ჭორფლიანი ლილი ახლა მარიკას, მის სახლს, მის ცხოვრებასა და თავისუფლებას ასე ხარბად და ინტერესით რომ ათვალიერებს თავისი მწვანე, მაგრამ ჩამქრალი თვალებით, მარიკას ბედის შურს, მის ადგილას ყოფნა უნდა. ალბათ სიამოვნებით გაცვლიდა საკუთარ ცხოვრებას მისაში, რომ შეეძლოს. ის იცხოვრებდა აქ ბასტეტთან ერთად, დალევდა ყავას, უყურებდა ფილმებს, იჭორიკნებდა გოგოებთან, ეყოლებოდა შეყვარებული ბიჭი... მარიკა კი შვილის გაჩენას შეძლებდა. იმას, რაზეც ყველაზე მეტად ოცნებობს. და მარიკასაც ეყოლებოდა ბევრი შვილი, მოუვლიდა მათაც და ქმარსაც, დაალაგებდა სახლს, გააკეთებდა სადილებს, მოწველიდა ძროხებს, დააბუდებდა ქათმებს, იმუშავებდა მინდორში, აიღებდა მოსავალს... მაგრამ ეს არ იქნებოდა საკმარისი და ამიტომ გაუჩენდა შვილებს სხვებს. 9 თვე ატარებდა სხვის ნაყოფს და იმშობიარებდა, და ყოველი შემდგომი შვილოსნობა იქნებოდა უფრო და უფრო ძნელი. და ერთ დღესაც, ჯანმრთელობაშერყეული და ნაადრევად დაბერებული, 40 წლამდე ძლივს მიღწეული და უსაშველოდ დაღლილი, დაიწყევლიდა თავსაც და იმ სამშვილოსნოსაც, რომელიც ინკუბატორად აქცია და საკუთარი თუ სხვისი შვილების სიცოცხლე ასე უხვად და კომერციულად აწარმოა.

„ნეტა გვეძლევა კი არჩევანი ცხოვრებაში? და თუ გვეძლევა, რისი არჩევანის არჩევანი გვაქვს? აი, იმ მცირედიდან მაინც?“ – ფიქრობს მარიკა, – „მე არ მომწონს ჩემი მარტოხელა, ჩემი საშვილოსნოსავით უნაყოფო და ცარიელი ცხოვრება, ლილის არ მოსწონს თავისი. და ამ ჩვენ-ჩვენი ბედისწერის გარდაუვალი და გაქვავებული კუნძულებიდან რისი შეცვლა შეგვიძლია? მე ვცდილობ, შევცვალო და მეყოლოს შვილი, ლილიც ცდილობს, შეცვალოს და დაძლიოს სიღარიბე. და როგორ? რის ფასად?“

– ძალიან კეთილშობილურ საქმეს აკეთებთ, ლილი, – უსიამო ფიქრების გაფანტვას ცდილობს მარიკა, – ადამიანებს სიხარულს ანიჭებთ. შვილებს უჩენთ.

– ჰო... პირველად ძალიან ძნელი იყო. როდესაც გავაჩინე და შევხედე, ჩემს ნაბოლარას ჰგავდა. თან რძე მომდიოდა, მინდოდა მეჭმია. ბავშვი ტიროდა და ტუჩებით მკერდისკენ იწევდა და ექიმმა კიდე, არ აჭამოო. სულ გადავირიე.

– მერე?

– მერე რომ გამიყვანეს საოპერაციოდან, მაშინ დავინახე დამქირავებლები – ბავშვის გენეტიკური მშობლები. ეს ჩემი ახალგაჩენილი და თავისი მტირალა ბავშვი ხელში ეჭირათ და თვითონაც ტიროდნენ. სიხარულით ტიროდნენ და ამას რომ შევხედე, ყველაფერი დამავიწყდა. მეც ვტიროდი. ისინი ვერ მხედავდნენ და ვერ მიხვდებოდნენ, რატომ. კარგად მეც ვერ ვხვდები, რატომ, მაგრამ ბევრი კი ვიტირე.

– მეორე ბავშვზეც იტირეთ?

– არა, მერე უკვე მივეჩვიე. ცენტრის ფსიქოლოგებიც დამეხმარნენ და შემდეგი აღარ მტკენია. მეორეზე უკვე სულ მახსოვდა, რომ ჩემი არ იყო.

ცოტა ხანი ჩუმად ისხდნენ. ზემო სართულზე შოპენის ეტიუდის დაკვრა დაიწყეს.

– კარგი ფეხმძიმობები გქონდათ? – დაარღვია სიჩუმე მარიკამ.

– კი, ტოქსიკოზიც კი არ ვიცი, რა არის.

– სოფელში ფიზიკური შრომა ხომ გიწევთ?

– სუროგატი დედა რომ გავმხდარიყავი, ჯანმრთელობა და ნაკლები ფიზიკური შრომა მთავარი პირობა იყო. როცა ფეხმძიმედ ვარ, ყველაფერს ჩემი ქმარი აკეთებს. მე მარტო სახლის საქმეებს.

– აქ არაფერს გაგაკეთებინებ. კარგად უნდა იკვებოთ და დაისვენოთ.

– სულ უსაქმოდ რა გამაჩერებს. სადილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



მე თვითონ გავიკეთებ, პროდუქტზედაც ჩავალ.

– არა, ყველაფერს მოგიტანთ. გარეთ მარტო სასეირნოდ გადით.

– მადლობა.

– მოკლედ, ლილი. ეს პროცესი მოვიგე და მალე ემბრიონის შეყვანის უფლებასაც მოგვცემენ. ჩემმა ქმარყოფილმა თუნდაც გაასაჩივროს, სააპელაციო სასამართლო მაინც იგივე განაჩენს გამოიტანს და მაინც მალე დასრულდება. ასე რომ, მზად იყავით. უახლოეს თვეებში შეგეხმიანებით.

– კარგი.

– თვალებზე რა გჭირთ? ასე რატომ დაგიწითლდათ და დაგისივდათ?

– ისა... ველარ გითხარით, მომერიდა. ალერგია მაქვს კატის ბეწვზე.

– რას ამბობთ? მართლა? – შეწუხდა მარიკა.

ლილიმ თავი ჩაქინდრა.

– ამის გამო უარს ხომ აღარ იტყვით ჩემზე? თუ ასე იქნება, ახლავე მითხარით.

– არა, რას ამბობთ! რა თქმა უნდა, არა, – კიდევ უფრო შეწუხდა მარიკა.

მაგრამ ლილი მაინც ეჭვის თვალით უყურებს.

– ნუ ღელავთ. ზასტეტს მოეუფიქრებ რამეს.

ახლა უკვე ზასტეტი უყურებს ეჭვის თვალით.

ლილი დგება და დასამშვიდობებლად ხელს უწვდის.

– ლამაზი ხართ. და კეთილი. ლამაზი ბავშვი გეყოლებათ.

დგება და ცელოფნის გამჭვირვალე პარკიდან ფლომასტერების და პლასტელინის ფერადი კოლოფები უცვივდება. კრეფს. მარიკა ძირს დაგდებულ გასაფერადებელ წიგნს იღებს და აწვდის: „იპოვეთ შვიდი განსხვავება", „გააფერადეთ ნუცას თოჯინები", „გამოჭერით ლურჯი კურდღლები," – აწერია წიგნს.

– გაიხარეთ, – უხერხულად ეღიმება ლილის. მიდის და უკან თითქოს მის მიერვე პლასტელინისგან გამოძერწილი უცნობი ბავშვების ხელჩაკიდებული აჩრდილები მიჰყვებიან. ძალიან პატარა და ფერად-ფერადი, ლურჯი კურდღლებივით თუ ნუცას თოჯინებივით მრავალჯერადი შვილები.

**ირაკლი**

„ქალები, ვისაც ჰყავთ ქმრები, მაგრამ არ უსხიათ შვილები – ყველაზე მწუხარე ქალები არიან ამქვეყნად. ქალები, რომელთაც ყველაფერი აქვთ ამქვეყნად – ჯანმრთელობაც, სიმდიდრეც, ადამიანთა პატივისცემაც, შვილები კი არა ჰყავთ. და ტირიან ამგვარი ქალები, უიმედო მწუხარებით ილევიან, ხალხისაც რცხვენიათ, ხშირად სასოწარკვეთილებამდეც ბევრი არაფერი უკლიათ. რით ვანუგეშოთ ისინი? აი, რით: შევეკითხებით: „ევედრეთ უფალს, რომ შვილები ეჩუქნა თქვენთვის?" – კითხულობს ირაკლი მამაოს ნაჩუქარ პატარა საეკლესიო წიგნში. წიგნში ორსული ქალის ლოცვაბია და ღვთისმშობლის დაუჯდომელი. ბოლოსკენ კი საქართველოში არსებული ის უამრავი ადგილი და ტაძარია ჩამოთვლილი, სადაც უშვილო წყვილები საუკუნეების მანძილზე ლოცულობდნენ. ირაკლის მისი წინაპრების სოფლის მახლობლად ღვთისმშობლის სალოცავში დასვენებული „ქვა წულად მქცეველი"[4] ახსენდება. ბავშვობაში მართლა ეგონა, რომ თუ ამ ხატს შესთხოვდი, ქვებს ბავშვებად გადააქცევდა. ცივილიზებულმა სამყაროს ადამიანებმა ღმერთის სასწაულებიც ახდენაც შეძლეს და ამ სასწაულების და ცხოვრების ერთმანეთთან დაპირისპირებაც.

ირაკლი მანქანისკენ მომავალ თათიას ხედავს. გულამოღებული, ტრაპეციის ფორმის, მუხლთან შეხსნილი კაბა აცვია და დაბალქუსლიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი. თმა კეფაზე აქვს ახვეული და ყურის ნაზ ბიბილოებზე ირაკლისგან ნასახსოვარი ძვირფასი საყურე უბრწყინავს. მანქანაში ჯდება. ლვედს იკრავს. უღიმის.

– აფთიაქში გავიაროთ და წავედით.

– რატომ? ხომ ყველაფერი რიგზეა? წამლები გამოგიწერა? – შეშფოთებული სახით კითხულობს ირაკლი.

– რა თქმა უნდა, რიგზეა, საყვარელო. უბრალოდ, იოდომარინს და ვიტამინებს ვიყიდი, ის, რაც აუცილებელია და ყველა ორსული ქალი იღებს ნაყოფის ნორმალური განვითარებისთვის, – ეკრიჭება თათია.

ირაკლის გულზე ეშვება. მანქანას ძრავს. აფთიაქთან აჩერებს და თათიას რეცეპტსართმევს. აფთიაქში სიგრილეა. ვიდრე მედიკამენტებს მიაწვდიან, ირაკლი ბავშვთა განყოფილებას უყ-

[4] მლეთიდან შვიდ კილომეტრში ლუდის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სალოცავში დასვენებული ეს ხატი შვილიერების (ანუ მთიულურად – წულიანობის) მომტანია. ხალხური თქმულებით, ლუდის ხატობაზე ერთ მლოცველ დედაკაცს კალთაში ბავშვივით გრძელი ქვა გამოუხვევია. ქვა, განგებით, მართლაც წულად (ანუ ბავშვად) ქცეულა. ლომისობას, ხატის დღეობას, ღვთისმსახურნი ლუდის ეკლესიის კედლებიდან მიწას ჩამოფხეკდნენ, უშვილო ქალს თავზე გადააყრიდნენ, ნაწილს კი წყალში გახსნიდნენ და ქალს ასმევდნენ.

ურებს. სანოვარები, პამპერსები, ფაფები... როდის იქნება, რომ ამათ საყიდლად შემოვა აქ.

მანქანაში ბრუნდება და მედიკამენტებს თათიას უწვდის. ტუჩებში კოცნის. ბედნიერია.

– ექოსკოპია როდის გიწევს? მეც წამოვალ. ვნახოთ, როგორ გაიზარდა.

– ზუსტად ერთ თვეში. 3D გავიკეთოთ. იცი, რა მაგრად ჩანს? ფოტოებსაც იღებენ. ფეისბუქში დავდოთ. ჩვენი ბიჭის პირველი ფოტო!

ირაკლის ფეისბუქში ბავშვის ექოსკოპიის ფოტოების გამოდების იდეა არ მოსწონს, მაგრამ არაფერს ამბობს.

– შენთან რა ხდება? შეხვდი მამაოს?

– კი. იქიდან მოვდივარ. ნახავს და დაელაპარაკება, მაგრამ არა მგონია, მარიკასთან ლაპარაკს რამე აზრი ჰქონდეს. მამაოც ვერ გადაათქმევინებს, ვიცი.

– და აბა რა? გააჩენს შენს შვილს და ჩვენ შორიდან ვუყუროთ?

– გავასაჩივრე სააპელაციოში და დაველოდოთ.

– რას დაველოდოთ? რამე ახალი გარემოებებია თუ რა შეიცვალა? სააპელაციოც იგივეს იტყვის, – კაპასდება თათია, – ვინმე არ გყავს იმ სასამართლოში? კლინიკაში? ან სადმე? ეს რა უბედურებაა!

– კარგი. დამშვიდდი. შენი ნერვიულობა არ შეიძლება.

– მთელი ცხოვრება თუ მომიწევს ნერვიულობა, რა მნიშვნელობა აქვს. მე ცოლშვილიან კაცს არ გავყოლივარ. ვიცოდი, რომ შვილები არ გყავდა. ახლა კიდე...

– შვილი მარტო შენთან მეყოლება.

– ისიც შენი შვილი იქნება. იქნებ ორიც გაჩნდეს. ან სამი. მთელი ინკუბატორი და არჩიე მერე.

– მარიკას ეგ არ აინტერესებს. ეგ კი არა, შეიძლება, არც მანახოს.

– დარწმუნებული ხარ? ჯერ ეს გაინაღდოს და ნახე მერე... გვარსაც მოგთხოვს, ალიმენტსაც, ქონებასაც და ბარემ ცოლადაც დაიბრუნე ისევ.

– რა ცოლად, გოგო, – იცინის ირაკლი, – ეჭვიანობ?

თათიას ცრემლები მოსდის.

– მომისმინე, თათი, – ირაკლი მანქანას აჩერებს. თათიას ჩახუტებას და დამშვიდებას ცდილობს. ჩემი ხომ გჯერა. ყველაფერი კარგად იქნება. სინჯარის ბავშვი არ გაჩნდება!

– როგორ? – სლუკუნებს თათია.

– რაღაც კანონპროექტს მიიღებენ ახლა პარლამენტში. ჯანდაცვის კომიტეტის ინიციატივაა, დათოა ჩართული და მოკლედ, ისე დავბლოკავთ რომ... სამუდამოდ.

– მართლა? რატომ არ მითხარი?

– აი, გეუბნები. არაფერზე ინერვიულო არასდროს. წამოდი, ვისადილოთ და მერე ბავშვის საწოლი ვიყიდოთ.

– აუ, იაპონურში წავიდეთ რა, – იცინის და ნაწვიმარ ცაზე გამონათებული მზესავითაა თათია, – სულ სუში და ბრინჯი მინდა, ჭეშინია, ჩინელივით წვრილთვალება არ გამოგვივიდეს.

ღამით ირაკლისაც ესიზმრება სიზმარი. სამშობიარო კლინიკაშია. თათია მშობიარობს. ექთანი ახარებს, ბიჭიაო და საფენებში შეხვეულ ბავშვს აწვდის. ბავშვი ძალიან მძიმეა და ირაკლი ხედავს, რომ ეს ბავშვი კი არა, ქვაა. ირაკლი ლოცულობს და თათიას მუცლიდან გამომძვრალი ქვის ბავშვად გადაქცევას ნატრობს.

ეღვიძება. გული მაგრად უცემს. თვალწინ მარიკას ნაღვლიანი თვალები უდგას და გულთან წიწკნის. კარგად ხვდება – ეს სიზმარი მისი სინდისის ქენჯნის ვიზუალიზაცია და ღამის ხილვად ქცეული კოშმარია. იცის, უსამართლოდ იქცევა, მაგრამ მასაც უსამართლოდ ექცევიან. ამიტომ სხვა გზა არ აქვს და სიზმარიც, ხალხური თქმულებაც, რელიგიური სასწაულიც პირიქით უნდა შეატრიალოს: ბავშვი, რომელიც არ სურს, თავად უნდა აქციოს ქვად.

**მარიკა**

დღის ბოლოა. მარიკა პროექტს ასრულებს. ვიდრე დამკვეთთან გადააგზავნის, ბოლო დეტალებს ამოწმებს. დამკვეთი ქართულ-ჰოლანდიური ჰოლდინგია და მარიკას მიერ შესრულებული სამუშაო განსაკუთრებით უცხოელ პარტნიორებს მოსწონთ. ენერგოეფექტური მასალები, მწვანე კონცეფცია, ურბანული სტილი – ამ დიზაინზე მუშაობა სასამართლო პროცესისა და უამრავი სტრესის პარალელურად ადვილი არ იყო, მაგრამ თავი ნამდვილად გაართვა.

დგება და ყავის დასალევად სამზარეულოში გადის. სამზარეულოს კედელზე დაკიდებულ ტელევიზორში საინფორმაციო გამოშვება გადის. გარეთ სექტემბრის ცა იღრუბლება და იბურება. მარიკა ყავას სვამს, ფანჯრის მინას შუბლს აყრდნობს და ციდან წამოსულ წვეთებს აკვირდება. წვეთები ფანჯრის მინაზე მოგორავენ და წვეთის პროექციიდან, როგორც ღმერთის ცრემლიდან დანახული ადამიანების მინა დაბრეცილია და ამღვრეული.

„პარლამენტმა დღეს პირველი მოსმენით მიიღო „კანონი სუროგაციის შესახებ," – ესმის წამყვანის ხმა მარიკას და სიტყვა სუროგაციის გაგონებისთანავე ფხიზლდება, ფანჯარას შორდება და ტელევიზორს უყურებს, პულტს დაეძებს, ხმის აწევას ცდილობს.

„ახალი კანონის მიხედვით, ხელოვნური განაყოფიერებისა და სუროგაციის მსურველი ქალებისთვის ასაკობრივი ზღვარი 38, მამაკაცებისთვის კი 43 წლით განისაზღვრა, ცვლილებები შედის ემბრიონის შენახვა-მიბარების ნაწილშიც..." – ესმის და ყურს არ უჯერებს. ვიღაცის ბოროტი ხუმრობა ჰგონია. ასაკობრივი ზღვარი რას ნიშნავს? ზღვარია და ამის იქით მორჩა? და რა 38? 38 წლის ოქტომბრის დასაწყისში ხდება. და ამ ასაკის გამო ბავშვის გაჩენა აეკრძალება?

თავბრუდახვეული და გულაჩქარებული ტელეფონზე რეკავს. ჯერ ადვოკატთან, მერე რეპროდუქტოლოგიის ცენტრში. ადვოკატმა არაფერი იცის. რეპროდუქტოლოგი ადასტურებს. „დიახ, ასეა. სამწუხაროდ. ჩვენც ტელევიზიით გავიგეთ. 38 წელი? და კაცებისთვის 43? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! აღმაშფოთებელია! ნამდვილი ბოროტება! უცხოეთში ქალებისთვის ზღვარი 49 წლამდეა. მაგრამ აქ... კანონი ისე მიიღეს, არავის არაფერი ჰკითხეს, კომიტეტში განხილვასაც არ დაგვასწრეს..." – მარიკას სიტყვები სადღაც შორიდან ჩაესმის. გული ყელსა და თავში უცემს. ტკივილისა და უძლურებისგან ძალა ეცლება. დივანზე წვება და თვალებს ხუჭავს. ტირის.

ისევ გრძელ, მთვარის შუქით განათებულ, ხრიოკ და უცნობ გზას ხედავს, რომელსაც კვლავ შავ მოსასხამებში გახვეული კეთროვნები და ხეიბრები მიუყვებიან. თავადაც მათ შორისაა – მათსავით გლახაკი და მომაკვდავი. საპყართა არმია ნელა და თავდახრილი მიაბიჯებს. მარიკაც მხოლოდ წინმიმავალთა ფეხის ტერფებს ხედავს. გზის ბოლოს ბოსელი დგას. სნეულებთან ერთად შედის და იმ ბაგას ეძებს, სადაც ახალშობილი ქრისტე მისთვის და მისნაირებისთვის გაჩნდა. მაგრამ ბაგაში არავინაა. ბაგა ცარიელია.

**ირაკლი**

ირაკლი დივანზე ზის, გვერდით ლეპტოპი უდევს და ახალი კანონის შესახებ სოციალურ ქსელში დადებულ პოსტებს კითხულობს: „ასაკის ჩამოწევა კი არა, საერთოდ უნდა აიკრძალოს სუროგაცია!" – წერს ერთი. 200 მოწონება. 87 კომენტარი. მათ შორის: „ეკლესია კრძალავს სუროგაციას. თუ შვილი გინდა და არ გიჩნდება, უპატრონო ბავშვი აიყვანე და გაზარდე." „ეგ ადვილი არ არის, ბავშვის აყვანის მსურველთა უსასრულო რიგებია. გაშვილების კანონიც შესაცვლელია." „ბავშვები ბუნებრივად უნდა ჩნდებოდნენ. აბა, ასე გაჩენილ ადამიანს სული და გული ექნება? სიყვარული შეეძლება?" „სინჯარის ბავშვები სიზმრებს არ ნახულობენო. მართალია?" „ეს გეი წყვილების მოგონილი ფოკუსია. შექმნიან სინჯარაში და მოავლენენ თავისნაირ ურჩხულებს..."

მოკლედ, ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი გასწორდა და დალაგდა! მთელი სიცოცხლე დაეითის ვალში იქნება. მეგობარიც ასეთი უნდა. გარდა იმისა, რომ კანონპროექტის ინიცირება შეძლო, ქალების ასაკობრივ ზღვარში 41 წლის ნაცვლად 38 ჩააწერინა, ზღვარმა შესაბამისად ჩამოიწია კაცებისთვისაც. სამი წელი და მთელი რევოლუცია! ხუმრობა საქმეა?! და ყველაფერი ეს ირაკლის გამო მოხდა. მოკლედ, ისეთ დონეზეა, რომ კანონპროექტებს მისი სურვილის მიხედვით იღებენ! ნამდვილად მადლიერი უნდა იყოს ამ ქვეყნის, სადაც მეგობრობას იცნობ- და, ადრე თუ გვიან, სიმართლეც იმარჯვებს.

ოთახში თათია შემოდის. ხელში წითელი ღვინით სავსე ბოთლი და ჭიქები უჭირავს.

– გახსენი რა.

– ვა, დავლიოთ?

– ჰო აბა! არ აღვნიშნოთ?

– შენც დალევ? შეიძლება მერე?

– ცოტა კი. ცოტა წითელი ღვინო კარგიც კია.

ბოთლს ხსნის. ჭიქებშიასხამს. სვამენ. თათია კალთაში უჯდება. ირაკლი გამობერილ მუცელზე ეფერება.

– რა მაგარი ხარ, იცი?! აი, ყველაზე მაგარი, – კისკისებს თათია.

ერთმანეთს კოცნიან. თათია საკინძეს იხსნის. მკერდს იშიშვლებს. ირაკლი კიდევ უფრო გადიდებულ და გორაკებივით დაბურცულ თეთრ ძუძუებზე ამობერილ ცისფერ ძარღვებს ეფერება, გამკვრივებულ კერტებზე კოცნის.

თათია კაბას იხდის და ზემოდან აჯდება. მომრგვალებულ თეძოებს ვნებიანად არხევს. ირაკლი აღგზნებულია, ძალიან აღგზნებული, მაგრამ თავის შეკავებას ცდილობს.

– დაიცა. დაიცა. ფრთხილად! შეიძლება ახლა? ბავშვს ხომ არაფერს ვავნებთ?

– რა თქმა უნდა, შეიძლება! რამდენჯერ უნდა გითხრა. ნუ მომკალი ბავშვზე ამდენი ზრუნვით.

– ჰო, რა ვიცი.

– გინდა, ექიმს ცნობა დავაწერინო: „წყვილებს შორის სექსუალური კავშირი ნებადართულია ორსულობის სამივე ტრიმესტრში", – იცინის. მასზე ამხედრებული ნაზად და რიტმულად ირწევა. ხმამაღლა კვნესის. ირაკლი გულაღმა წევს და ახლა მხოლოდ თათიას გამობერილ მუცელს ხედავს. ოდნავ ზემოთ კი მკერდის ვარდისფერ კერტებს, საიდანაც რძე უნდა წამოვიდეს და ამ ქაფში შეიქმნას ისიც და მისი შთამომავლობაც. გონება სიამოვნებისგან ებინდება და თავიც ამ ტკბილ, თეთრსა და მარადახალ მდინარეში განბანილი ჩვილი ჰგონია. სულ პირველი ჩვილი და კაცობრიობის საწყისი. სამყაროს პირმშო – ადამი.

**მარიკა**

რეპროდუქციული კლინიკის ლაბორატორიაში დღეს ემბრიონს გაანადგურებენ. „ნეტა ეს როგორ ხდება?" – ფიქრობს მარიკა, – „უბრალოდ, გაათბობენ და მორჩა? 196 გრადუსიდან 0-ზე."

მარიკა თავისი ვერგაჩენილი შვილის „დაკრძალვას" ვერ ესწრება. მხოლოდ გლოვა შეუძლია და იმის წარმოდგენა, თუ როგორ გაქრება კლინიკის სტერილურ სინჯარაში მისი ერთადერთი და უკანასკნელი, მეცნიერულად მატერიალიზებული იმედი.

ისიც იცის, რომ ამქვეყნად სრულიად მარტოა. მისი თანამგრძნობი და გამგები თითქმის არ არსებობს, ან თუ არსებობს,

მხოლოდ მის მდგომარეობაში ჩავარდნილები არიან. ასეთებს კი არ იცნობს. ან რას მისცემს თანაგრძნობა? რას მისცემს მეგობრების ყალბი თანადგომა. დედის მწუხარე თავის გადაქნევ-გადმოქნევა, ძმის „ეს სინჯარის ბავშვი მაინც რად გინდოდა" გამხნევება. და მთელი დანარჩენი სოციუმის გულგრილობა. იმ სამყაროსი, რომელმაც თავიდანვე ამოაგდო თავისი საშვილოსნოდან, დადგენილ წესთა რიგიდან, კაცობრიობის ჯაჭვიდან.

უნდა გააცნობიეროს და შეეგუოს, რომ დედა ვეღარასდროს გახდება. მთელი ცხოვრება არასრულფასოვანისა და წუნდებულის იარლიყი ექნება მიკრული. ალბათ ასეთივე იარლიყს მიაკრავდნენ მის შვილსაც, მაგრამ მაშინ ერთად იქნებოდნენ და მარიკაც მას ამ არასწორი აღქმებისგან, ამ დაუნდობელი ბრბოსა და უგულო ადამიანებისგან დაიცავდა.

ჰო, ყველგან და ყოველთვის დაიცავდა, ნამდვილად დაიფარავდა, იქამდეც, ვიდრე პატარა ხელ-ფეხი და სუსტი სხეული ექნებოდა და მერეც, ფეხზე კარგად რომ დადგებოდა და დიდი, დაკვირვებული თვალებით შეხედავდა ცხოვრებას. იქამდე კი გვერდიდან არ მოშორდებოდა, გაზაფხულის მზიან ბაღებში გაასეირნებდა, შემოდგომის წვიმიან საღამოებში ჩაეხუტებოდა, ზამთრის გრძელ ღამეებში კეთილ ზღაპრებს მოუყვებოდა... რამდენ რამეს ასწავლიდა, რამდენ სიხარულს აჩუქებდა და ვინ იცის, ისიც რამდენ რამეს მოუტანდა და შეუქმნიდა სამყაროს. მაგრამ ის აღარ იქნება. ის, ვისაც უნიკალური სისხლი, თბილი გული და უკვდავი სული ექნება, აღარასდროს გაჩნდება.

თავადაც სამუდამო მარტოობისთვისაა განწირული. ან კი მართლა რა იყო მისი ამქვეყნად მოსვლის მისია? რატომ და რისთვისაა აქ. ვის რაში სჭირდება და ვის აინტერესებს? მასავით უნაყოფო ბასტეტთან უნდა გაატაროს დარჩენილი დღეები და ღამეები და წლიდან წლამდე კიდევ უფრო მეტ ტკივილს, უსამართლობას და უარყოფას ელოდოს.

თავს ბალიშზე დებს. ითენთება და ამ ორი დღის მანძილზე პირველად მიჰყავს ძილს. ისევ იმ სიზმარს ხედავს. ხედავს გზას. ხედავს ბოსელს. ხედავს ხალხს – ხეიბრებსა და ჯანმრთელებს. მწყემსებსა და მოგვებს, მტვერსა და ოქროს, გუნდრუკსა და ვარსკვლავებს... ყველა ჩუმადაა. ყველა უბრად ელოდება რაღაცას. და ამ გამაყრუებელ სიჩუმეში მარიკას უცებ საკუთარი ხმა ესმის, საკუთარი ტკივილითა და ცრემლით სავსე ხმა, ბაგასთან ჩამომჯდარ ღვთისმშობელს რომ ეკითხება: „მარიამ, მითხარი, როგორ გაუძელი ამდენს? როგორ შეძელი ასე განსხვავებულად და ასეთი განსხვავებული გაგეჩინა, გაგეზარდა, მისი სიკვდილისა და ჯვარცმისთვის გეყურებინა? როგორ შეძელი ისინი, ვინც შვილი გიწამა და მოგიკლა, მაინც გყვარებოდა. როგორ შეძელი?!"

ღვთისმშობელი ჩუმადაა. არაფერს ამბობს. მარტო ულიმის.

**ირაკლი**

ირაკლის თვითმფრინავის აფრენისთანავე ეძინება. ხუთდღიანი სამსახურებრივი მივლინება დამღლელი გამოდგა, არც თანამშრომლის დაჯავშნილი სასტუმრო მოეწონა, ქალაქშიც ძალიან ცხელოდა, ამ ყველაფერს თათიას მონატრებაც დაერთო და მოკლედ, ერთი სული აქვს, როდის დაბრუნდება. აეროპორტის მაღაზიებში თათიასთვის საჩუქრებს და მომავალი ბავშვისთვის ტანსაცმელს ყიდულობს და ვიდრე თვითმფრინავში ჩაჯდება, სახლში რეკავს.

– აუ, რამე უყიდე პაწუკას? მართლა? რა ფერია? ცისფერები? კაი, რა ბანალურობაა. ვა, მუსიკალური სათამაშოც? და რას მღერის? „არ ვარგა წინასწარ არაფრის ყიდვაო", – დედაშენი ამბობს, – სიტყვებს ერთმანეთზე აცრის თათია. ბოლო წინადადება ცოტა ირონიულად ჟღერს, დედამთილის აკრძალვები და გამონათქვამები თათიას აღიზიანებს და ახლაც მსუბუქად კრავს კბილს.

– კარგი. გამოცხადდა ჩასხდომა და ნავედი. რამდენიმე საათში მანდ ვარ. დაიძინე, არ დამელოდო. გკოცნი, – საუბრის დასრულებას ცდილობს ირაკლი.

– რა დროს ძილია. რვა საათიც არ არის. დაგხვდები.

– რომელი შორეული რეისიდან მე მოვდივარ, რა დამხვდები. დაიძინე-მეთქი!

„რა გიჟია! სამი შვილი მაინც უნდა გავაჩენინო და ცოტა დაილლება, თორე მომკლავს მე ეს," – ფიქრობს მხიარულად.

თვითმფრინავის აფრენისთანავე ეძინება. ღრმად და ხანგრძლივად. და სიზმარს ნახულობს. ესიზმრება, თითქოს სადღაც აღმართზე მიდის თათიასთან ერთად. სოფლის აღმართია. გრძელი და რთულად სავალი. გზა არილევა, ცხელა და მზე აჭერს. ისინი კი მიდიან. ირაკლი ხედავს, რომ ხელში პატარა აკვანი უჭირავს. აკვანში ბავშვი წევს. ირაკლი ვერ ხვდება, სად მიდიან. მისი ფიქრის პასუხად თათია ამბობს:

– ეს მოსკე ნაჩხურია,[5] უშვილოების სალოცავი. ზემოთ, ტაძარში მოვნათლავთ ბავშვს და მერე ცარიელ აკვანს მლოცველებისთვის დავტოვებთ. „ვინც ბავშვის ნანოლ აკვანს სახლში წაიღებს და ილოცებს, შვილი ეყოლებათო," – დედაშენი ამბობს, – ირონიული ტონით ამატებს.

ირაკლი ვერ ხვდება, რაღა ამ გადახრუკულ და რთულად მისასვლელ მოსკე ნაჩხურუში გადაწყვიტეს ბავშვის მონათვლა. რაღაცის კითხვა უნდა, მაგრამ ამ დროს ტაძარს ხედავს, ტაძართან დავითს და სხვა ნათლიებს და ნათლობის რიტუალიც იწყება. თათიას აკვნიდან ბავშვი ამოჰყავს. აკვანს ტაძრის ეზოში ტოვებს,

[5] **ნაჩხურუს მთავარანგელოზის ეკლესია მარტვილის რაიონში, სადაც ყოველ წელს, აღდგომის მომდევნო ხუთშაბათს, უშვილო წყვილები აკვნებითა და თოჯინებით ხელში სამკილომეტრიან აღმართს ფეხშიშველნი აუყვებიან, აკვანში ჩაწვენილ თოჯინას ეკლესიის ეზოში ტოვებენ და მღვდლის კურთხევას ელოდებიან. მათ სწამთ, რომ თუ ამ რიტუალს სამჯერ შეასრულებენ, შვილიც შეეძინებათ.**

ირაკლი ხედავს, რომ ტაძარი სავსეა ასეთივე აკვნებით, სადაც გაყინულთვალება თოჯინებია ჩაწვენილი. შუშისთვალება და ხმელ თივასავით გაფშეკილთმიანი თოჯინები დროდადრო მონოტონური და მექანიკური ხმით ღნავიან და ირაკლის უყურებენ, როგორც სინჯარის დაუბადებელი ბავშვები, სულები, რომლებიც მის გამო აღარასდროს გაჩნდებიან და ირაკლის შიში იპყრობს. უნდა, იქაურობას მოშორდეს და უხარია, რომ უკან წასვლის დროც დგება.

– წავიდეთ, ვიქეიფოთ. ერთი კარგი რესტორანი ვიცი, – ამბობს ირაკლი.

– ღმერთმა გაგიზარდოს, ძმაო! – დავითი ირაკლის ახლადმონათლულ ბავშვს აწოდებს. ირაკლი ბავშვსართმევს და ხედავს, რომ საფენებში ბავშვის ნაცვლად თოჯინაა გახვეული და ირაკლის გაყინულ მზერას შიგ სულში ურტყამს.

– სად არის ჩემი შვილი?! თოჯინაში ვის აერია? სად არის? – კივის თათია. ირაკლის ეღვიძება. ცივ ოფლშია გაღვრილი. ილუმინატორში თბილისის თავზე ღრუბლებად შეკრულ ჰაერს ხედავს და ეშვება. ეს რა კოშმარული სიზმრები დასჩემდა. სულ მარიკას ბრალია, სულ!

თვითმფრინავი საფრენ ბილიკზე ჯდება. ირაკლი სწრაფად აწოდებს პასპორტს მებაჟეს, ბარგის მოლოდინში თათიასთან რეკავს.

– ჩამოხვედი, საყვარელო? მეც მალე ვიქნები!

– სად იქნები მალე? – ვერ ხვდება ირაკლი.

– ხომ გითხარი, დაგხვდები-მეთქი, მოვდივარ!

– რა?! საჭესთან დაჯექი? ეს ფეხმძიმე? ამ ღამეში?

– კაი, რა, იკუნა, რა მოხდა. აი, ათი წუთიც არ მინდა და მანდ ვარ. გარეთ ხარ უკვე?

ირაკლის რაღაცის თქმა უნდა, სურს უთხრას, რომ ტელეფონი მაინც გამორთოს, ნუ ლაპარაკობს ეს დედამოხნული ამ საჭესთან. თან ახალი ნასწავლი აქვს ტარება, ან ასე მარტო წამოსვლა როგორ გაბედა, ან... მაგრამ ტელეფონში თათიას კივილი ესმის და გული უსკდება, სისხლი ეყინება. თათიას კივილი და შეჯახების ხმა. ის მოხდა, რისიც ეშინოდა. ის მოხდა!

* * *

შემთხვევის ადგილი აეროპორტთან ახლოსაა. საპატრულო ეკიპაჟი. სასწრაფო. გვერდშეგლეჯილი მანქანა. ექიმები თათიას საკაცეზე აწვენენ.

– ტროტუარზე ავარდა და ხეს შეეჯახა. მაღალი სიჩქარით არ მოძრაობდა, მაგრამ საჭე გაექცა ალბათ. აქტს შევადგენთ, – ეუბნება პატრულის თანამშრომელი.

– არ ინერვიულოთ, კარგადაა. გადარჩა! სწრაფად უნდა გადავიყვანოთ სტაციონარში. რეანიმობილში დაჯდებით, ჰო?

– ჰო, რა თქმა უნდა. და ბავშვი როგორაა?

– მე ვერაფერს გეტყვით. სასწრაფოს ექიმი ვარ. მაგრამ კარგად იქნება. დამშვიდდით!

კლინიკაში მისვლამდე თათიას ხელი უჭირავს. თათია ზოგჯერ გონს კარგავს, მაგრამ როგორც სასწრაფოს ექიმმა უთხრა, ეს შოკის ბრალია. დროდადრო სუსტად კვნესის. ირაკლი თათიას მანქანის ჩამსხვრეული მინისგან დაკაწრულ შუბლს თუ შეჯახებისას დასისხლიანებულ მხარს თვალს არიდებს. მუცელზე უყურებს. თათია უსაფრთხოების ბალიშმა დაიცვა და ღვედმა გადაარჩინა, მაგრამ ბავშვი? კლინიკაში შედიან თუ არა, თათია პირდაპირ საოპერაციოში შეჰყავთ. ირაკლი მოსაცდელში ზის. თითებს იმტვრევს. თითებს კი არა, ლამის თავი ურტყას კედელს. მეგობრები და ნათესავები მოდიან. ყველა რაღაცას ეუბნება, ყველა ამხნევებს, ამშვიდებს. მას კი რატომღაც შოპენჰაუერის მეტაფიზიკიდან რაღაც ამონაგლეჯი აკვიატებია: „უკანასკნელის შექმნა..." ჰო, „უკანასკნელის შექმნა. შექმნა უკანასკნელი სულებისა, საქმე, რომლისთვისაც განუწყვეტლივ იბრძვის კუპიდონი და მისი საზრუნავი გაცილებით ღრმაა, ვიდრე ინდივიდთა ბედნიერება და უბედურება."

ნეტა რამდენი საათი გადის? ნეტა ამდენ ხანს რა ხდება? საავადმყოფოს ფანჯარაში ჰორიზონტი ბაცდება. ცოტაც და ინათებს. ექთანი გამოდის და ირაკლის ეძახის. ბოლოს და ბოლოს ეძახიან. კაბინეტში ქირურგი და გინეკოლოგი სხედან.

– ოპერაცია დასრულდა. თქვენი მეუღლე კარგად იქნება. ნარკოზიდან გამოვა, პალატაში გადმოვიყვანთ და შეგიძლიათ ინახულოთ.

– ბავშვი?

– ბავშვს რაც შეეხება... ბავშვის გადარჩენა, სამწუხაროდ ვერ მოვახერხეთ. 7 თვემდე რომ ყოფილიყო, შანსი იარსებებდა, მაგრამ ორსულობის ამ ეტაპზე შეუძლებელი იყო... და იმდენად მძიმე ტრამვა მიიღო. – თავს ხრის ექიმი, – ეს პირველი ორსულობაა?

ირაკლის თავბრუ ესხმის. ყველაფერი ტრიალებს. ალბათ თავის დაქნევას ახერხებს, რადგან ექიმი ამბობს:

– ძალიან სამწუხაროა! გითანაგრძნობთ, ყველაფერი ვეცადეთ, რაც შეგვეძლო და რაც არ შეგვეძლო, მაგრამ... საშვილოსნო დაზიანდა ავტოკატასტროფისას და შიდა სისხლდენა დაეწყო. რომ არ ამოგვეჭრა, ლეტალურ შედეგამდე მივიდოდით.

– რა?

– საშვილოსნოს ამოჭრა მოგვიწია.

– მერე? – ღრიალს ძლივს იკავებს.

– ფეხმძიმობას ველარ შეძლებს, მაგრამ, – ექიმი ცდილობს, გამამხნევებლად გაუღიმოს, – სხვა უამრავი გზაც ხომ არსებობს. ახალგაზრდა ქალია. საკვერცხეები საღია და ხელოვნური განაყოფიერებით შვილებიც თავისუფლად გეყოლებათ. ყველაფერი კარგად იქნება. თქვენ რამდენი წლის ხართ?

## იტალიური ლიტერატურული პრესა თეონა დოლენჯაშვილის „მემფისის“ შესახებ

გაოცებას იწვევს ის სიახლოვე, რომელსაც ევროპელი მკითხველი ქართველ მწერალთან იგრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ რომანის პირველსა და მესამე ნაწილებში მოქმედება საქართველოში ხდება და მხოლოდ მეორე ნაწილში გადმოვინაცვლებთ დასავლეთში (ვენა, ციურიხი, ნიუ იორკი...).

ალტაცებაში მოვყავართ სტილის ხარისხს, რომელსაც აღიქვამთ მანანა ტოფაძე-გრიმანის ნატიფ თარგმანში: ერთგვარი სახეცვლილი რეალიზმი, მოვლენებისა და ადამიანების დიდი სიზუსტით აღწერის უნარი და ამავდროულად უნარი, აგრძნობინოს მკითხველს ის შარავანდედი, აურა, რომლითაც მოცული არიან ადამიანები და რომელიც მხოლოდ მედიტაციაში, პოეზიაში და მოგონებებში ამოტივტივდება, იქ, სადაც, თუ მონტალეს დავესესხებით, „ყველა სურათს აწერია: „კიდევ უფრო შორს“. [...]

სიყვარული და სიკვდილი, სურვილი და ღალატი, დედობა და აბორტი, დასავლეთი და განვითარებადი ქვეყნები. ეს ყველაფერი აღქმულია შინაგანად, ძლიერი შორსმჭვრეტელობითა და დახვეწილი ქალური მგრძნობიარობით. სახეცვლილ რეალიზმში, რომელიც მთელ წიგნს თან სდევს, რამდენჯერმე გვხვდება მთავარი მოტივი (ლაიტმოტივი), შავად ჩაცმული მოხუცი, უსინათლო და იდუმალი ქალბატონები: როგორც აღმოვაჩენთ, ისინი დედის სიმბოლური სახეები არიან.

და ბოლოს, წიგნი დედებისადმი მიძღვნილი დიდი ჰიმნია და ალბათ ფარული კარნახიც, რომ დედები გადაარჩენენ მსოფლიოს (ლოგიკურად, ავტორი წიგნს დედას უძღვნის).

ერთი შენიშვნა: რამოდენჯერმე ჩნდება ორგანოებით ვაჭრობის თემაც, რაც რიგ შემთხვევებში უკიდურესი სიღარიბით, ზოგჯერ კი მკვლელობითაა გამოწვეული განვითარებად ქვეყნებში (და კონკრეტულად საქართველოში). ერთ-ერთმა ჩემმა ნაცნობმა, წიგნის წაკითხვის შემდეგ შეუძლებლად მიიჩნია ასეთი რამ, აქას წინ ხომ მრავალი და მკაცრი კონტროლი უძღვისო. ვშიშობ, რომ ეს არის მხოლოდ ერთი იმ ბევრ პერსპექტიულ (აღქმის) შეცდომათაგან, რომელსაც ჩვენ, დასავლელები ვუშვებთ ჩვენთვის ნაკლებად ნაცნობ ქვეყნებთან მიმართებაში.

და ბოლოს, ლათინელები ამბობდნენ, habent sua fata libelli, წიგნებს თავისი ბედი აქვთო. მაგრამ რა ბედიც არ უნდა ეწიოს ამ კონკრეტულ წიგნს, ის ყველა შემთხვევაში დარჩება მნიშვნელოვან ნაწარმოებად, უთუოდ გაუძლებს დროს, ხოლო ახალგაზრდა ავტორი პატარა ქვეყნიდან, ბევრი დაბრკოლებისა და ენობრივი ბარიერების მიუხედავად, იქცევა ევროპული ლიტერატურისა და კულტურის ნაწილად.



*ვალტერ მინელა*

*ლიტერატურის და ფილოსოფიის პროფესორი*

თეონა დოლენჯაშვილს თავის რომანში „მემფისი“ თხრობის გამორჩეული უნარის წყალობით ჩვენთვის სრულიად უცხო სამყაროში შევყავართ და შთამბეჭდავი ეპოქის აღმოჩენაში გვეხმარება; აქ მკითხველს არ სჭირდება სპეცეფექტები და გამოსახულებები მდორე მდინარების და მეხსიერების, სწრაფმავლობისა თუ მოვინყების დამაკავშირებელი რგოლის ელასტიურობა რომ აღიქვას. ამგვარივე ოსტატობით აზავებს იგი თხრობის მუსიკალურ სინატიფესა და სიმსუბუქეს თავისი ეპოქის მტკივნეული ისტორიის პირქუშ ფერებთან. ესაა ესთეტიკა, რომელიც ცხოვრებისეულ მოვლენათა მიერ სულში ჩატოვებულ, მენტალურ და ფიზიკურ გალიებში გამომწყვდეულ ნოტებს ათავისუფლებს. მკითხველი განიცდის სატანჯველს, წუხილს, მინის კედელთან არაკომუნიკაბელურობის შეხლას; გრძნობს, ჯოჯოხეთში ჩასვლისდარად როგორ იზრდება მრისხანება, რომელიც ლამის დანტესეული ანაფორასავითაა ასახული: ის ფარდასავით შავია, ცნობიერებას რომ ახშობს და მხედველობას პირბადეაფარებულივით აბუნდოვანებს.

*ლუჩანა კაპო*

*ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი*

ამბავს, რომელიც პირველ პირშია მოთხრობილი, გრძნობათა და ტკივილთა ცოცხალი მეხსიერებით გაჯერებული რეალური ისტორიის გემო დაჰკრავს, გავლილი დროის ნადებით. მოვლენათა განსჯანი რომ არ ახლდეს ფაბულას, რომანის ატმოსფერო უფრო ირონიული იქნებოდა და ზღაპრის ისეთი ელემენტები გამოიკვეთებოდა, როგორიცაა მთავარი გმირის „მოგზაურობა“ მიტოვების შემდეგ, გაუჩინარება, მოწინააღმდეგეებთან, მონსტრებთან შეხვედრა, შიში, ღალატი, ხელმოცარულობა, წარუმატებლობა, მძაფრი ცვლილებები (თავდაყირა ამობრუნება), დახმარება, იმედი, ჯადოსნური ქმედებები, გადაადგილება, იღბალი, დაკარგვა, სიცარიელე, ძიება, დაბრუნება, საბოლოო გამოაშკარავება.

ამ ლაბირინთული სტრუქტურის შიგნით, რომელსაც უამრავი შესაძლებლობა და მიმართულება აქვს, მაგალითად, როგორიცაა რომანში ნახსენები ტოკაიდოს 53 სადგური, სუფევს იდუმალება, ანგელოზებისა და დემონების, კეთილ და ბოროტ არსებათა ხილვა, ადამიანის სულსა და ქვეცნობიერ აღქმაში რომ თანაცხოვრობენ. ამ ყოველივეშ ერინიები, ჰომეროსის ფურიები, გარდაუვალი ბედისწერა, სიკვდილისა და სიცოცხლის სიმბოლოები მომაგონა.

თეონა დოლენჯაშვილი ასოციაციურად არაერთ ავტორზე მიგვანიშნებს, რომელთა შორის დავასახელებდი, იზაბელ ალიენდეს, გარსია მარკესს, ქართველ პოეტებს (რომელთა ლექსების რედაქტორადაც ვიმუშავე), ულამაზეს ფრანგულ ფილმებს, უნაზეს და უმგრძნობიარეს რეჟისორებს, როგორიცაა აგნეს ვარდა. ავტორის წერის სტილი საოცრად კინემატოგრაფიულია, მოძრავი კადრებითა და წარსულისა და მომავლის პარალელური მონტაჟის ძალზე შთამბეჭდავი ეფექტებით.

*მარიენცა კორაჩი*

*ლიტერატორი, კრიტიკოსი, ჟურნალი „ილ საჯიო“*

# რიჩარდ ბერენგარტენი

# RICHARD BERENGARTEN



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელი პოეტი რიჩარდ ბერენგარტენი (ბერნსი) დაიბადა ლონდონში, 1943 წელს. სწავლობდა ინგლისურ ლიტერატურას და ლინგვისტიკას კემბრიჯსა (1961-64) და ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯში (1977). 1975 წელს დააარსა კემბრიჯის საერთაშორისო პოეზიის ფესტივალი, რომელიც 10 წლის განმავლობაში ტარდებოდა. ცხოვრობდა იტალიაში, საბერძნეთში, სერბეთში, ხორვატიასა და აშშ-ში. აქტიურად მუშაობდა აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში. გამოცემული აქვს რვა პოეტური კრებული, მათ შორის: მენეჯერი (2001); ლურჯი პეპელა (2006); ბალკანეთის შუქის ქვეშ (2008); მაჩვენებელი (2014); Notness (2015) და „ცვლილება. პოეტური მონიწებაი იინგის მიმართ“ (2016). ბერენგარტენს მიღებული აქვს მრავალი პრემია: ერიკ გრეგორის ჯილდო (1972), კიტსის მემორიალური პრემია (1974), დუნკან ლორის პრემია (1982), იეიტსის კლუბის პრემია (1989), ებრაული კვარტლის – უინგეიტის ჯილდო (1992), მორავა ჩარტერის პრიზი (სერბეთი, 2005) და მანადას პრემია (მაკედონია, 2011). კრებულში „ლურჯი პეპელა“ შესული ტექსტები სერბეთის ქალაქ კრაგუევაჩში ნაცისტების მიერ მოწყობილ მასობრივ მკვლელობებს ეხმაურება. ისინი 2007 წელს სერბეთში ტრაგედიის მემორიალური დღის აღსანიშნავ საღამოზე წაიკითხეს. რიჩარდ ბერენგარტენი იყო ბრიტანეთის საბჭოს ხელოვნების კონსული კენტში (1979-1981), მიწვეული პროფესორი ნოტრდამის უნივერსიტეტში (1982), ბრიტანეთის საბჭოს ლექტორი ბელგრადში (1987-1990), სამეფო ლიტერატურული ფონდის სტიპენდიანტი ნიუჰემის კოლეჯში (2003-2005). დღეს ბერენგარტენი კემბრიჯის დაუნინგის კოლეჯის ასოცირებული პროფესორი და ინგლისური ასოციაციის სტიპენდიანტი მკვლევარია. იყო თბილისის მესამე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილე.

# რიჩარდ ბერენგარტენი:
## პატარა პეპელამ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა

*(ესაუბრა თემურ კობახიძე)*

**თ.კ.: ერთ-ერთ ცნობილ ანთოლოგიაში, სადაც თქვენი ლექსებიც შედის, თქვენ მოგიხსენიებენ, როგორც „პემბროკის პოეტთა სკოლის" წარმომადგენელს. მე მესმის, რომ ეს ძალიან პირობითი მტკიცებაა, მაგრამ როგორ იხსენებთ პემბროკს, სადაც, როგორც თქვენი ბიოგრაფია ამბობს, თქვენ ინგლისურ ლიტერატურას სწავლობდით? პემბროკის კოლეჯში დაიწყეთ პოეზიის შექმნა?**

**რ.ბ.:** პემბროკ კოლეჯში ლიტერატურის სასწავლებლად, როგორც კემბრიჯში ვამბობთ, სკოლის დამთავრებისთანავე „ავედი", 1961 წელს. იმ დროს ერთი თვრამეტი წლის გულუბრყვილო და თავმომწონე ბიჭი ვიყავი, დიდწილად ჩემი დროის შვილი. ბიტნიკების პოეზიაზე შეყვარებულს, მთელი ევროპა ავტოსტოპით ახალი შემოვლილი მქონდა და თან ერთადერთ წიგნს დავატარებდი – „სითი ლაითსის" რბილყდიან გამოცემას, ალენ გინსბერგის „კმუილს".

პირველსავე ოფიციალურ შეხვედრაზე კოლეჯის მთავარ დარბაზში ჯგელა პირველკურსელი სამი გრძელი, ერთმანეთის პარალელურად მდგარი მაგიდის ორივე მხრიდან ვიდექით, შუასაუკუნეობრივ ყაიდაზე, ბაკალავრების აკადემიურ სამოსში გამოწყობილნი და მორჩილად ველოდით, როდის შემოვიდოდა „ღუბუცესთა მისაღებიდან" (საპროფესოროდან) მაგისტრი და როდის დაგვრთავდნენ ნებას, დავმსხდარიყავით „მაღალი კათედრიდან" მისი მისასალმებელი სიტყვის მოსასმენად. სანამ მაგისტრი საუბრობდა, აღმოვაჩინე, რომ „ფერიათა დედოფლის" ავტორია, სერ ედმუნდ სპენსერის (1553–1599) პორტრეტის პირისპირ ვდექი, რომელიც ოთხასი წლით ჩემზე ადრე სწავლობდა პემბროკში (1569-1576). როდესაც თავი ავწიე ელიზაბეთისდროინდელ პორტრეტზე მისი გვარის ამოსაკითხად, ვიგრძენი, რომ ნერწყვს ვყლაპავ. ეს იყო მკაფიო მოთხოვნა და იდუმალი ბრძანება, პირადად ჩემს სახელზე გამოშვებული, რომ კემბრიჯში სწავლა გამომეყენებინა ლიტერატურული შეგირდობის ხანად, რომ უნდა ნამეკითხა და შემეთვისებინა ყოველივე ის, რაც კი შემეძლო ინგლისურ ენაზე მოღვაწე პოეტთა შემოქმედებიდან. მაშინ შევეჭიდე ამ ამოცანას. მის გადაწყვეტას დღესაც, უკვე ორმოცდაათზე მეტი წლის შემდეგ, ვერც კი მივუახლოვედი და ალბათ ვერასოდეს მივუახლოვდები. და მაინც, სულ მახსენდება იეიტსის დარიგება ირლანდიელ პოეტებს: „ირლანდიის პოეტებო, შეისწავლეთ ხელობა, ისწავლეთ ყველაფერი, რაც კარგად გაკეთებულა."

ლექსებს და მოთხრობებს ცამეტი წლის ასაკიდან ვწერ, ბავშვობისას ბევრ მათგანს სკოლის ჟურნალში ვაქვეყნებდი. ერთხელ, თექვსმეტი წლისამ, „თრანსეთლეითიქ რევიუშიც" გამოვაქვეყნე მოთხრობა. უნივერსიტეტში სწავლისას ვაქვეყნებდი ლექსებს კემბრიჯის ჟურნალში „გრანტა" და მეგობრებთან ერთად დავაარსე ახალი ოქსბრიჯული ლიტერატურული ჟურნალი „კარკანეტი", რომელიც დროთა განმავლობაში გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთ წამყვან გამომცემლობად ჩამოყალიბდა და პოეზიაზე სპეციალიზდება.



რიჩარდ ბერენგარტენი და თემურ კობახიძე თბილისში

**თ.კ.: ტომას ელიოტს ერთხელ უთქვამს, რომ „ლექსი, სანამ ის სიტყვიერ გამოხატულებას ჰპოვებს, ჯერ კონკრეტული რიტმული რეალიზაციისაკენ ისწრაფვის და შემდეგ უკვე თვით ეს რიტმი წარმოქმნის იდეასა და ხატოვანებას." რა არის თქვენი პირველადი იმპულსი პოეზიის შექმნისას? არის ის ინტუიციური და ემოციური, თუ უფრო რაციონალურია და ინტელექტუალური?**

**რ.ბ.:** ონტოლოგიურად, უკვე ადამიანის ჩანასახის განვითარებაში ჩანს, რომ სმენა პირველადია, მხედველობა კი მეორადი. ჩანასახს სმენა ორსულობის მესამე ტრიმესტრში უვითარდება, ხოლო მხედველობა, ცხადია, უჩნდება მხოლოდ დაბადების შემდეგ – ჩანასახი მშობლიური ენის რიტმზე აწყობას და მის „სწავლას" ბევრად უფრო ადრე იწყებს. ანალოგიურად, „პოეტური უნარის" ონტოგენეზში რიტმს აბსოლუტური პირველობა უჭირავს. აზრიც გამომითქვამს ამის თაობაზე ჩემს სერიაში „იმაჯენები".

რაც შეეხება პოეტურ პრაქტიკას, ლექსი შეიძლება ბევრი რამისგან წარმოიქმნას – რიტმი, ტაქტი, რითმა, სახე, აზრი – ყველაფერმა



შეიძლება ლექსი წარმოშვას, მაგრამ ამასთან ერთად, აუცილებელია რაიმე სახის ასოციაცია, ანალოგია, სინქრონული კავშირი. ზოგჯერ სიტყვები, ფრაზები, სახეები პირდაპირ სიზმრებიდან იქმნებიან. ხშირად მიმუშავია სიზმარზე დაყრდნობით — სასთუმალთან სულ მიდევს რვეული, სადაც სიზმრებს ვიწერ, ინტელექტუალური და რაციონალური პროცესები კი მერე მოდიან.

**თ.კ.: თქვენი პოეზიის თემატიკა ინტერკულტურულია, განსხვავებულ კულტურათა წარმომადგენლებისათვის ის თითქმის ერთნაირად გასაგებია. მეორე მხრივ, თქვენი საკუთარი ბრიტანული, ებრაული და ზოგადევროპული ნაზავი — რამდენად ახდენს ის გავლენას თქვენს შემოქმედებაზე? რამდენად საგრძნობია ის თქვენს პოეზიაში და რომელს მიანიჭებდით პრიორიტეტს?**

**რ.ბ.:** მიხარული ვარ, თუ ჩემი წიგნები საერთაშორისო მკითხველისათვის გასაგებია. ნამდვილად ვფიქრობ, რომ ყველა ფაქტორმა, რაც თქვენ ახსენეთ, ჩემზე ერთნაირად მოახდინა გავლენა და ჩემთვის არცერთი არ არის პრიორიტეტული. ის, რასაც მე „პიროვნებას" ვუწოდებ, ყოველთვის კომპოზიტია. ინგლისი, როგორც გაერთიანებული სამეფოს ნაწილი, ჩემი სამშობლოა. ჩემი მშობლიური ენა ინგლისურია, ინგლისურად ვაზროვნებ, ინგლისურად ვოცნებობ და ყოველთვის ინგლისურად ვწერ.

ის, რომ ებრაელი ვარ, დამატებით შესაძლებლობებს მანიჭებს. მე ომის დროს დავიბადე, 1943 წელს, დაბომბილ ლონდონში. დედაჩემი ლიტველი და ლატვიელი იმიგრანტების შთამომავალი იყო, მამა კი ვარშავაში დაიბადა და სულ პატარა იყო, როდესაც მშობლებმა ინგლისში ჩამოიყვანეს, მეოცე საუკუნის დამდეგს. მე დავიბადე ვარშავის გეტოს განადგურებიდან სულ რაღაც სამიოდე კვირაში. აი ეს ერთგვარი ორად გახლეჩა და, ამავე დროს, ერთიანობა ჩემს განსხვავებულსა და თანხვედრ, ინგლისურ და ებრაულ იდენტურობას შორის, სამყაროს სპეციფიკური ხედვით აღქმის საშუალებას მაძლევს. მე მიცხოვრია და მიმუშავია იტალიაში, საბერძნეთში, ყოფილ იუგოსლავიაში, შეერთებულ შტატებში. თავისუფლად ვსაუბრობ ფრანგულად და იტალიურად, საშუალო დონეზე ვფლობ ბერძნულს და სერბულს. საკმაოდ ბევრი მიმოგზაურია მთელ მსოფლიოში, ბოლოდროინდელი და განსაკუთრებით ამაღელვებელი ვიზიტების ჩათვლით — ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში და ახლა უკვე საქართველოშიც. და რაჩან ჩემი მხატვრული ხედვა ყოველთვის ევროპული, ან, კიდევ უფრო ფართო გაგებით, ზოგადდასავლური იყო, მსიამოვნებს იმის გაფიქრება, რომ თანდათან ის უნივერსალური ხდება.

**თ.კ.: ბოლო დროს გამოქვეყნებული თქვენი „ცვლილება" უაღრესად ექსპერიმენტული სტილით შექმნილი პოეტური ნაწარმოებია, რომელიც „ი-ძინს" ეფუძნება. ძალიან მოკლედ, როგორ ახსნიდით ამ უძველესი ჩინური წიგნის როლს „ცვლილების" შექმნაში?**

**რ.ბ.:** „ცვლილება" ერთდროულად ჩემი საპასუხო რეაქციაც იყო „ი-ძინზე" და მისი სიდიადის აღიარებაც. როგორც ერთიანი პოემა, რომელიც 450 ნაწილისგან შედგება, „ცვლილება" მთელი თავისი სტრუქტურით — შეიძლება ითქვას, მათემატიკურად — ამ დიდ ჩინურ წიგნს ეფუძნება. „ცვლილების" მთელი შინაარსი წარმოადგენს ფიქრს "ი-ძინზე", ან "ი-ძინიდან" წარმოქმნილ დაკვირვებას, ან, უფრო სწორად, წარმოდგენებს, რომლებშიც „ი-ძინი" აისახება.

როგორც პოეტიკური მოდელი, „ი-ძინი" იმ ფორმულად გამოვიყენე, რომლის საშუალებითაც აღარ დამჭირდა დიდი ფორმის ნაწარმოების დროსა და სივრცეში სტრუქტურირება. „ცვლილება" მე დავაფუძნე სამყაროს აღქმის მთლიანობას, რომელიც ერთდროულად ძალზე ძველიც არის და უახლესიც. ამგვარი წარმოდგენა გულისხმობს მარტივ და, ამავე დროს, ძალზე აბსტრაქტულ ბინარულ მოდელირებას, რომელიც პირდაპირ ჰკვეთს დროს და აკავშირებს ყოფიერებას არარასთან, მყოფობას არმყოფობასთან, წარმოქმნის „ახლას" მეტყველ, არქეტიპულ ნაპრალს. მე ვფიქრობ, ის კარგად მიესადაგება იმ ეპოქას, რომელშიც ფარდობითობის და კვანტურმა თეორიებმა დაიკავა ის ადგილი, რომელიც ადრე ნიუტონისეულ დეტერმინიზმზე დაფუძნებულ მატერიალისტურ მოდელს ეკავა. „ი-ძინი" იძლევა ყველაზე ცხად და თანმიმდევრულ სურათს იმისა, რასაც კარლ გუსტავ იუნგი სინქრონიას უწოდებს.

**თ.კ.: მე ვხედავ, რომ ჩვენი მოკლე ინტერვიუ საკმარისი არ არის და ეს თემა ბევრად უფრო ვრცელ დისკუსიას ითხოვს. მოდით, ახლა თქვენს ადრეულ პოემაზე ვისაუბროთ. „მენეჯერის" ცალკეული ეპიზოდები ბუნდოვნად მაგონებს ტომას ელიოტის „უნაყოფო მიწას". რა არის ეს, უბრალო დამთხვევა თუ „მენეჯერში" თქვენ სრულიად შეგნებულად მიაგებთ პატივს ელიოტს?**

**რ.ბ.:** წერის პროცესში ასეც მქონდა ჩაფიქრებული — „მენეჯერი" მეოცე საუკუნის მიწურულს მოღვაწე პოეტის პოზიციიდან უნდა გამოხმაურებოდა „უნაყოფო მიწას". მეც ვაპირებდი ამეთვისებინა ზოგიერთი პრობლემა, რომელიც ელიოტმა წამოჭრა თავის შედევრში. მსურდა გამომეხატა უაზრობის, დამსხვრევის, დაკნინების, გაუცხოებისა და სასოწარკვეთილების მორევი, როგორც ეს ელიოტმა გააკეთა. ჩემი „მენეჯერის" გმირი, ეს არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტიპული „მუამავალი“, ვილი ლოუმენის (ე.ი. „დაბალი“ ადამიანის) ასოციაციასაც შეიცავს არტურ მილერის „კომივოიაჟერის სიკვდილიდან.“ მაგრამ ორივე ამ წყაროსაგან განსხვავებით, „მენეჯერი“ არ არის ტრაგედია, მისი პროტაგონისტი ჟორჟან შარლზ ბრუნო ბოლოს თავს აღწევს, გამარჯვებული გამოდის.

**თ.კ.: გადავიდეთ თქვენს სხვა, არანაკლებ რთულ ნაწარმოებზე. რა იყო „ცისფერი პეპელას“ შთაგონების წყარო? იყო ეს მართლა პეპელა, თუ პეპელა თქვენი ფანტაზიის ნაყოფი უფროა?**

**რ.ბ.:** დიახ, პატარა ცისფერი პეპელა მართლაც დამაჯდა ერთი წამით მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე (ცაცია ვარ და ამ ხელით ვწერ), 1985 წლის 25 მაისს, როდესაც ჩემს ქალიშვილ ლარასთან ერთად მუზეუმის რიგში ვიდექი, ცენტრალური სერბიის ქალაქ კრაგუევაცში. მუზეუმი ნაცისტი ოკუპანტების მსხვერპლთ ეძღვნებოდა – 1941 წლის ოქტომბერში აქ დახოცეს სამი ათასამდე სერბი, ბოშა და ებრაელი. ყოველი მოკლული გერმანელი ჯარისკაცისთვის ასი ადგილობრივი გამოასალმეს სიცოცხლეს.

მეც და ლარამაც მოვასწარით ცალ-ცალკე სურათების გადაღება პეპელასათვის, რომელიც აღმოჩნდა ე. წ. „მცირე ცისფერი“ სახეობის – Cupido minimus. ჩემთვის ეს იყო სინქრონისტული შთაბეჭდილება ამ სიტყვის სრული და ალბათ ყველაზე ღრმა გაგებით. მე ვიგრძენი რაღაც უცნაური, აუხსნელი – თითქოს ამ დახოცილი ქალების, ბავშვების და მამაკაცების სულები შეძახდნენ, რომ მე ისინი უნდა მოვიხსენიო, უნდა დავადასტურო მათი ამბავი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ჩემთვის ის იყო, რომ ჩვენს დასავლურ, ბერძნებისგან წამოსულ ტრადიციაში პეპელა (ψυχή, psyche) სულის სიმბოლოა. ამ შთაბეჭდილების შედეგად, რომელიც სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა, მე დავრჩი იუგოსლავიაში, კვლევითი მუშაობისათვის და დავიწყე წიგნი, რომელსაც მთელი ოცი წელი ვწერდი. ასე რომ, ის პატარა პეპელა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მან მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა.

**თ.კ.: თქვენს თეორიულ ნაწერებსა და საჯარო გამოსვლებში ხშირად იხსენებთ ისეთ განსხვავებულ ავტორებს, როგორიცაა გიორგოს სეფერისი და ოქტავიო პასი. ამავე დროს, პატივისცემით იხსენებთ ხოლმე ეზრა პაუნდს, რომელიც მკაფიოდ გამოხატული ანტისემიტი იყო. თქვენი სუბიექტური დამოკიდებულება რომ გვერდზე გადავდოთ, ობიექტურად რა როლი შეასრულეს ამ პოეტებმა თქვენს შემოქმედებაში?**

**რ.ბ.:** გიორგოს სეფერისის და ოქტავიო პასის გავლენას ჩემთვის ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ არ დამზარდებით, გადახედეთ მოკლე ესეებს, სადაც ორივეა ვეხები, ამავე ჟურნალში.

რაც შეეხება ეზრა პაუნდს, ვერცერთი პოეტი, ვინც ინგლისურ ენაზე წერს, ვერ უარყოფს მის გენიას და ისტორიულ მნიშვნელობას. ამისთვის ალბათ ძალზე პროვინციული და გონებაშეზღუდული უნდა იყო. და მაინც, ძალიან წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება მაქვს მასთან – იგივე გზას ვადგავარ, ალბათ, რასაც ბევრი ნამყვანი ამერიკელი ებრაელი პოეტი, რომლებმაც ჩვენსავით განიცადეს პაუნდის უშუალო გავლენა. მსგავსად იმისა, როგორც „მენეჯერი“ ეკამათება ელიოტს, ისე „ცვლილებაც“ ეწინააღმდეგება პაუნდს. ბევრი თვალსაზრისით, ეს წიგნი მისი ფაშისტური იდეოლოგიის უკუგდებას და გაბათილებას წარმოადგენს. ამავე დროს, „ცვლილებაში“ აშკარად ისმის „კანტოების“ პოეტიკის გამოძახილი, იმ წინააღმდეგობივი წარმოდგენისა არ



იყოს, რომ პაუნდის მსოფლაღქმა, ბოლოს და ბოლოს, გამოიხატა მისი პოეზიის კონფუციანურ წესრიგსა და პოეტური ხედვის სიმწყობრეში.

**თ.კ.: უწოდებდით თქვენს თავს პოსტმოდერნისტ პოეტს?**

**რ.ბ.:** ძალიან მიყვარს მეოცე საუკუნის პოეტები, უამრავი რამ ვისწავლე მათგან, მაგრამ საკუთარ თავს „პოსტმოდერნისტად“ არ ვთვლი. ეს ტერმინი საერთოდ არ შეესაბამება იმას, რასაც ვაკეთებ, ან რასაც მიზნად ვისახავ. თან სერიოზული საფუძველი მაქვს, არ მომწონდეა ყველა სახის „იზმატური“ ჯგუფები და მათი კოლექტიური, ჯგუფური იარლიყები.

უფრო მეტიც, ვფიქრობ, რომ თვით ტერმინ „პოსტმოდერნიზმში“ შინაარსობრივად არის ჩადებული სხვათაგან განსხვავებულობაზე დაფუძნებული თვითგანსაზღვრება, რომელიც ერთნიშნად რეტროგრადულია. ძალიან მიკვირს, რომ ამდენი პოეტი, ხელოვანი, კრიტიკოსი – საკუთარი დროის შვილები, ვინც თავს მოდურად და თანამედროვედ თვლის, – ცდილობს თავის კოლექტიურ იდენტურობას ეს წარსულზე ორიენტირებული, რეაქციული და ინტელექტუალურად ბუნდოვანი ტერმინ-საზღვრელი დააფაროს. ბევრად უფრო საინტერესოა იმაზე ფიქრი, თუ რანი ვართ და რას ვაკეთებთ, თან არა მხოლოდ წარსულის, არამედ უპირველესად აწმყოს და მომავლის პერსპექტივაში.

მე მწამს, რომ პოეზიასა და ხელოვნებაში – ისევე, როგორც მეცნიერებაში, ყველა დამანგრეველი ტენდენციის საწინააღმდეგოდ, ჩვენ სხვადასხვა სიჩქარით ვუახლოვდებით ეპოქას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება ორმაგი სტრესი. როგორც საყოველთაო, ისე კონკრეტულ, როგორც ინდივიდუალურ, ისე გლობალურ დონეზე. ვფიქრობ, ჩვენ დინამიური ურთიერთქმედებისკენ და, შესაძლოა, საბოლოო ურთიერთშერწყმისკენ მივილწვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*რიჩარდ ბერენგარტენი*

### ბავშვების ხოცვა

ბავშვების ხოცვა სირცხვილია ყველაზე მეტი
ბუნებისაც და სამართლისაც. ნუ მკითხავთ, რატომ
და სამართალიც რას გულისხმობს, ვერავინ გვეტყვის.

მისთვის სასჯელი რა იქნება, ვინ საზღვრავს ნეტავ?
ან როგორ გინდა, იზოდიზო, რამე განმარტო.
ბავშვების ხოცვა სირცხვილია ყველაზე მეტი.

მხოლოდ თვალთმაქცი შეეცდება, რომ არგუმენტად
მოიშველიოს ბედისწერა. და ალბათ, ატყობთ,
რომ სამართალი რას გულისხმობს, ვერავინ გეტყვით.

ვინც გაამართლებს, რომ შემთხვევის ან ბედის ეტლის
ბრალია მთელი ტრაგედია, ის ცრუობს მარტო,
ბავშვების ხოცვა სირცხვილია ყველაზე მეტი.

შემზარავია, რომ სიკვდილის ხელი მიხვეტავს
დღემოკლე სულებს, ხოლო მშობლებს ცრემლი დაალტობთ
და სამართალიც რას გულისხმობს, ვერავინ გვეტყვის.

ჰე, ბატონებო, თანაუგრძნეთ და გულისწყვეტა
აცნეთ მსოფლიოს, დახოცილი ბავშვების პატრონს,
ეს სამართალიც რას გულისხმობს, ვერავინ გვეტყვის.
ბავშვების ხოცვა სირცხვილია ყველაზე მეტი.

***29 თებერვალი, 1976 წელი***



### ჯოვანას

როცა ბრუნდები, გახვეული შენს ბოშურ შალში,
ეგზოტიკური კაბითა და ბადე-კოლგოტით,
იანიანი თმით, ბუნებრივი ფერის ტუჩებით
ექაქანები სხაპასხუპით ყველა მეზობელს,
რომელსაც მთელი შვიდი წელი არც ვესალმები,
ბაცი ჰომადის სერპანტინი ფაქიზად გასდევს
ცერა თითების რკალებს, ხოლო მზისფერი დისკო,
ასე მკაფიოდ რომ გვიმარცვლავს „აღმოსავლეთი",
შინდისფრად ღებავს დიდებულ ხიდს მაგ შენს ბიბლიურ
ცხვირთან, იქ, სადაც შენი შიდა მესამე თვალი
ფახულებს, ხოლო წელს გიმშვენებს სამი პერანგი,
შემოფლეთილი ბოლოებით. არ ხმარობ ქამარს,
რომელიც მაგრად ჩაიჭერდა, გზას არ მისცემდა
შეიდ თავბრუდამხვევ, მოუსვენარ, ელვარე ჩაკრას,
შენი ტანისას. არ მოუშვებდა რამე მდარეს იმ მუსიკასთან,
რომელიც მთელი ოცდაორი თუ მეტი წელი სულ თან
დაგყვება და დიდი გზა გამოიარა აქ მოსახვედრად შორეული
ამსტერდამიდან, სადაც ყველა გეძახდა ევას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და არამხოლოდ იმის გამო, რასაც ინახავ თბილად და მჭიდროდ
შენს უნაზეს მოსაზრებებში,
რაც საბაყოზე ამჯერადაც დაუბრკოლებლად შემოაპარე,
როგორც ყოველთვის, არამედ რადგან შენი ყოფნა საჩუქარია,
შენი გუგების გიშრის ტბები დალივლივებენ
თვალის ირისთა გადაჭიმულ გამზირებს შუა
და შენი სახის კონტურები დაუსრულებლად
მკვეთრდებიან და ბაცდებიან, როცა ვიხსენებ,
რა გერქვა ანდა ვინ იყავი, ბოლოს რომ გნახე,
ჯერ ისევ აქ ხარ თუ ჩაბარგდი და გაეშურე
სამოგზაუროდ, ხეტიალობ, რათა გაექცე
თუ მიეახლო, ყველაფერი ისე უჩუმრად
და ისე ნაზად განიხვნება შენს სიახლოვეს,
როგორც მინა ხსნის თავის წიაღს, რომ ამოუშვას
სიმინდის ყლორტი ან ზაფრანის. შენ უცაბედო
და სანატრელო, მოწყენსხველო, მშვენიერო იტალიელო.

## ოთახში უცებ

ოთახში უცებ ყველაფერი დუმილმა შთანთქა
და ამოაქო. გასაქანი არ დაუტოვა
არცერთ ყალბ სიტყვას, ცალყბად ანდა ყასიდად ნათქვამს,
ყველას სახეზე აღტაცება ჩანდა მართლა;
ყველა მეორემ გაოცებაც, შევნიშნე, გათქვა.
ის შემოვიდა უსხეულო, უხმო ფანტომად
და სიწრფელის და სილამაზის შიშველმა ხატმა
ოთახის ყველა ბინადარი სახტად დატოვა.

ვერც სილამაზემ, რაც არ უნდა ძალას ჩემობდეს,
მოხიბლოს თავის მნახველები ასე, იქნება,
ის არ ნიშნავდა, ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა
იმის, რაც სიტყვად ანდა ცნებად გარდაიქმნება.
ვსუნთქავდით მშვიდად. ჩვენს მზერაში არ ირჩეოდა
განკითხვის წარღვნის მოლოდინი და ჩაფიქრება
და ანგელოზნიც, გადმომდგარი ზეცის ჩეროდან
ყურისნამღები საგალობლით ღმერთს არ გვიქებდნენ.

თუ სილამაზე მარადიულ ცნებად იცნობა,
რომლის შინაგან გარდასახვებს ბოლო არ უჩანს
და ჰგავს სიმღერას, მოსმენილი რომ განივრცობა
მღერად დუმილად, გარს გეკვრის და ტკივილს აყუჩებს,
ვიდრე მოჰყვება თვალთმაქცობა, ამაო ბრძნობა,
ძველ ყბადაღებულ აკრძალვებზე ქილიკი ფუჭად,
მაშინ ეს იყო სილამაზე, მეშვიდე გრძნობა,
სალ აზრს რომ ბინდავს, განსაზღვრებებს იგდებს აბუჩად.
ვიცოდით. თავს არ ვიტყუებდით. ამაოდ შვრება
ენა – ვერ შეძლებს ის აღწეროს, რაც დროს აყოვნებს.
მეტად ძნელია. ჰოდა, აღქმის სასწორის თეფშებს
დახრა დუმილის ბნელი მხრისკენ სჩვევიათ ხოლმე,
თავს უყრის ყოველს – ვადაგასულს, გაცრეცილს, ხეშეშს
და აქცევს ბგერად, ხმად, რომელიც ჩივილს გვაგონებს,



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოთხის მიმართ, სადაც ფრთხილად ინახავს პეშვში,
გაცრეცილ ნივთებს, ამთლიანებს, ერთად აგროვებს.

ამაოდ დავშვრი, ის გახუნდა, განქარდა, გადნა,
იმ ულამაზეს ჯაჭვის რგოლებს ვინ შეკრავს აბა,
რომლებიც წარსულს და მომავალს ერთურთში წნავდნენ
და ქმნიდნენ ჩვენი ტკივილების უმსხვრევ ყელსაბამს?
მას შეუძლია განგვაახლოს, იგი აღგვადგენს,
ტკბილი წუთები, დალექილი სახსოვარ ამბად
და გავიგონებთ ჩუმ ბრძანებას: „აღსდექი, გწამდეს,
ხელახლა სცადე. დანებების ნუ ეძებ საბაბს.“

*ინგლისურიდან თარგმნა ანი კოპალიანმა*

## გამოგავე სახლი

გამოგავე სახლი საგაზაფხულოდ. მოაპრიალე
მოთმინების და პატიოსნების იატაკი.
გაუშვი ქარში, კარებს რომ აწყდება.

ვინ იცის, ერთხელაც ჩვენც მივაწყდეთ კარებს სიავისგან,
კორუფციისგან, ლაჩრობისგან,
გამოგავე სახლი საგაზაფხულოდ, მოაპრიალე იატაკი.

შექმენი ფორმა და არა კარიკატურა
ბუნებრივი სამართლიანობის, ცრურწმენების გარეშე,
და გაუშვი ქარში, კარებს რომ აწყდება.

მაგრამ ადამიანური ტანჯვა? ნუ იქნები ასე დარწმუნებული.
პრაქტიკაში ყველა თეორია უქმდება.
გამოგავე სახლი საგაზაფხულოდ, მოაპრიალე იატაკი.

ჩვენ წავალთ ისე, როგორც ბუზები.
მტვერი, ნეხვი და ფერფლი – სულ ესაა, რაც ჩვენგან დარჩება.
გამოგავე სახლი საგაზაფხულოდ, მოაპრიალე იატაკი.
გაუშვი ქარში, კარებს რომ აწყდება.

ჩვენ ვერაფერს ვირწმუნებთ და მშვიდად ვერსად დავივანებთ,
გარდა სიყვარულის, რადგან სიყვარული
საზღვრებს არა ცნობს.
გამოგავე სახლი საგაზაფხულოდ, მოაპრიალე იატაკი.
გაუშვი ქარში, კარებს რომ აწყდება.

## „აუშვიცის შემდეგ ლექსის წერა ბარბაროსობაა“

ადორნო

მოვძებნი სიტყვებს,
ჩემს საკუთარს,
ამის შემდეგ, ამის მიუხედავად

და სწორედ ამიტომაც.
და ვილაპარაკებ.

შენი გადაძახილი, სიტყვებში, სიჩუმესთან,
არასწორად გადმოსცემს იმას,
რასაც ლექსები ჰქვია
და რისთვისაც ისინი შეიქმნენ.

გამოიძახო სიყვარული და სამართლიანობა,
დაბადო გულისხმიერი უძველესი და უმარტივესი
იმპერატივი – იმედი,

თანაგრძნობა, გამხნევება, სიმართლე,
და სიკვდილის მთესავებთან შეურიგებლობა.
შენი განზრახვის მიუხედავად, შენი სიტყვები

აღვივებენ ბარბაროსობას
არაფრისთქმის ნიადაგში.

ენა წარცხს არ განიზრახავს,
მხოლოდ მცირე რწმენასა და ეჭვს.
ჩვენი მიზნები ცხოვრობს სიტყვებში
და არა სადღაც სიტყვებს გადაღმა.



## ალო. ალო.

ალო. ალო. შენ ხარ? მართლა შენ ხარ? რა აზრი აქვს მოძრაობას

აუცილებელ შეხვედრაზე გადარბენას. იპოთეკას და საბანკო კრედიტებს. კვლევებსა და ინვესტიციებს. ხეებს გაფურჩქნულებს და მსხმოიარეებს. შემოსავალს და გასავალს

პროცენტებს და ფასებს. მატარებლით მგზავრობას სახლში და უკან. მანქანით სიარულს სახლში და უკან. ქორებს სიყვარულებს სიყვარულებს საიდუმლოებს. ბალახის შეჭრას.

ჩანაწერებს ხელმოწერებს მესიჯებს. ტალღების სიგრძეს და ვიბრაციებს. დაწარცხებებს სურვილებს სინანულებს. უქმეებს ფრენებს ოცნებებს. დაჯავშნას ბილეთების ადგილების.

ეკრანებს ბარებს ფარდებს მინებს. Le Quattro Stagioni სესხებას გასესხებას ლოცვებს. ნამდვილ და ნარმოსახულ დანყვილებებს. ახალ და ძველ მანქანებს.

როცა სიკვდილი შეგვითრევს ყველას. და ყველა ქვესკნელში დავინთქმებით. და ჩვენი ფიქრები დალპება ან დაიწვება ჩვენთან ერთად. და ტანჯვა არასოდეს დამთავრდება.

რა აზრი აქვს ამ დროს წუხილს. ვწუხვარ. მართლა. შენ მეგონე. სულ სხვა ვინმე. ძალიან ვწუხვარ, რომ შეგაწუხე. სხვაგან მოვხვდი. უკაცრავად.

*ინგლისურიდან თარგმნა პაატა შამუგიამ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საღამოს გასეირნება

*...მწუხრი ემვება...*

მეუფე მზეო, წითელლოყება დღის მბრძანებელო,
შენი შეხებით ჩემი კანი თვალს გამოიბამს,
ხერხემალიც კი ხედვის ნერვად გადაიქცევა
და ეს სხეული თრთის ნახევრად დაბრმავებული
იმ ოქროსფერით, რომ იღვრება თაელისმომჭრელად.
ვუმზერ ამ ქალაქს შენმა შუქმა როგორ გარდაქმნა
და ცხადად ვხედავ იმ ძველ ქალაქს, აქ რომ სუფევდა,
როგორ ცოცხლდება და ილვიძებს ისტორიიდან.

წყლის პირს მივყვებით. მებადურები თევზჭერისთვის
ემზადებიან: ძრავები უკვე გუგუნებენ
და ლამფები კიაფობენ ნავის კიჩოზე.
მთელი ქალაქი სასეირნოდ გამოფენილა,
ახალგაზრდები, ოჯახები, შეყვარებულნი,
ღია კაფეში ჩამომსხდარან ხანდაზმულებიც
და გასცქერიან შებინდებულ გორაკთა წყებას
ქალაქს ერთგული მცველებივით გარს რომ ეკვრიან.

უცხო ციაგი ეფინება ყურეს, გორაკებს
მეც ვგრძნობ ანაზდად მის შეხებას, როგორც ქალისას,
ქალისას გვერდზე რომ მომყვება მზით გარუჯული,
სიცილით მნიფე ზეთისხილის, კუპრივით თმებით.
ამ უცხო ნათელს ვეწაფები, როგორც მუსიკას,
და როგორც ღვინოს ისე შევსვამ სულმოუთქმელად,
როგორც ამ ქალის წინაპრები ეწაფებოდნენ
მას არაერთი საუკუნის განმავლობაში.

ქალაქო, ქალის სახელია ელეფთერია,
ეს მის თვალებში არეკლილა ყველა ჭრილობა
და ახლა, ამ ნამს, როს სინათლე, როგორც სიმღერა
ან, როგორც სიტყვა დასთამაშებს სახეზე ფრთხილად.
ყველაზე მეტად მას ეკუთვნის აქ სეირნობა,
როგორც იარაღს, როგორც გუშაგს შენი ნათელის,
უძირო ჭაში საკუთარი მონაფეების
რომ ინახავდა აცეკვებულ თავისუფლებას.

საღამო უცხო და ნათელი ათასი წლისა
ვით მგალობელი ტლკბილხმიანი, ქალივით ტურფა,
როგორც წყალობა დაჰფენია უძველეს ქალაქს.
ვით არ ვადიდო ამ ნათელის ძალმოსილება,
ის, რაც სამყაროს ფორმას აძლევს და ასულდგმულებს.
შენს ყმად მიგულე, ანდა შენი ქალაქის მკვიდრად,
მსურს სრულად შეგსვა, რომ სხეულის ყველა უჯრედი
აივსოს შენი სინათლით და თავისუფლებით.



***ინგლისურიდან თარგმნა მანანა გელაშვილმა***

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 12 დებულება

## უნივერსალური და ცალკეული ანუ კიდევ ერთხელ შეხედეთ ყვავილებს

*რიჩარდ ბერენგარტენი*

1. პოეტებისთვის, ისევე, როგორც ყველა ადამიანისთვის, ჩვენს ეპოქაში უამრავი გამოწვევა, საფრთხე, შესაძლებლობა და იმედი არსებობს. ჩვენი დრო არცერთ სხვა დროს არ ჰგავს. ჩვენ ვიცხოვრეთ მოდერნიზმში: მის შესახებ ყველაფერი ვიცით. გამოვიარეთ, უკეთ, ჩავუარეთ პოსტმოდერნიზმსაც, თუმცა შეიძლება ბევრმა ჩვენგანმა კარგად ვერც კი გაიგო, რა იყო ის ან, საერთოდაც, თუ იყო რამე. მოდერნიზმი მოკვდა. პოსტმოდერნიზმი მკვდრადშობილია. ეს ვიცით. ჩვენ ამას მთელი ჩვენი შიგანით ვგრძნობთ. რაც არ უნდა იყოს, ორივე საკმაოდ სულელური საფირმო ნიშანი იყო.

2. რაც შეეხება ჩვენს ეპოქას, მას ჯერ კიდევ არ აქვს სახელი, არ აქვს არც შესაფერისი საფირმო ნიშანი. ალბათ, სწორი იქნება, თუ ეჭვის ქვეშ დავაყენებთ ყველა იარლიყსა და საფირმო ნიშანს, რადგან ბევრი ჩვენგანი გაიზარდა იარლიყების მიმართ საკუთარი ირონიიდან წამოსული საფრთხის ქვეშ, ისევე როგორც ყოველთვის ფრთხილად ვიყავით თვით იარლიყების მიმართ. ამგვარად, ალბათ ამიტომაა, რომ საფირმო ნიშანი უკანასკნელია მათ შორის, რაც ჩვენ გვჭირდება. მიუხედავად ამისა, როცა ვიხედებით საკუთარი ირონიის დამცავი ფარის ქვემოდან, ისიც ვიცით, რომ ჩვენი დრო სავსეა მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული პირობებით: განსაკუთრებული საფრთხეებით, განსაკუთრებული რისკებით, განსაკუთრებული შესაძლებლობებით, განსაკუთრებული იმედებითა და ვალდებულებებით.

3. ამგვარად, საით უნდა გავიხედოთ, როცა აი, კონკრეტულად, აქ და ახლა ვიმყოფებით? რას უნდა მივაპყროთ მზერა ახალი ეთიკის, ახალი და ღირსეული ღირებულებების, იმ ახალი გამომსახველობითი ფორმების საპოვნელად, რაც მოერგება ჩვენს დროებას და ჩვენს რთულ მდგომარეობას. მოკლედ რომ ვთქვათ, სად უნდა ვნახოთ ახალი პოეტიკა? მჯერა, რომ ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენი, როგორც პოეტების, პრაქტიკაში ახალი კარი გაიჭრება უნივერსალურის პატივისცემითა და სიყვარულით მის ცალკეულ გამოვლინებაში და ცალკეულისა – უნივერსალურში.

4. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული პოეტურ წრეებში შეინიშნება ძლიერი, უწყვეტი, უნივერსალური ტენდენცია, რაც თანდათან ვითარდება და თვალშისაცემია ყველგან, მთელ მსოფლიოში, იმდენად, რომ მეტ-ნაკლებად მას ყველა დამსახურებულად მიიჩნევს, როგორც ჩვენი თანამედროვე კულტურის აღიარებულ, აშკარა მახასიათებელს, სადაც არ უნდა ვცხოვრობდეთ, იქნება ეს ბურმა თუ ბრიტანეთი, ჩინეთი თუ ჩილე, საქართველო თუ გვატემალა, მაკედონია თუ მონღოლეთი.

5. 1959 წელს მექსიკელი პოეტი და ნობელის ლაურეატი ოქტავიო პასი (1914-1988), რომელიც ჩემი მეგობარი და პირადი მენტორია, – წერდა: „ისტორიაში პირველად ჩვენ მთელი კაცობრიობის თანამედროვენი ვართ“. ეს შენიშვნა წარმოადგენს იმედის, თანაგრძნობის, ტოლერანტულობის, სულგრძელობისა და წინსვლის სურვილის ერთგვარ მოდელს სადღეისოდ და სამომავლოდ, რაც ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში, რომლის რატიფიცირება მოხდა პარიზში გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს.

6. უნივერსალური ტენდენცია დღეს პოეზიაში ეფუძნება ორ რწმენა-შეხედულებას, რაც ხან თვალშისაცემია, ხან კი ფარული: პირველი ისაა, რომ ყველა ადამიანი და, შესაბამისად, ყველა ხალხისა და ერის კულტურა წარსულში, აწმყოსა და მომავალში წარმოადგენს ერთი უდიდესი მდინარის შესართავებს. ეს, რასაკვირველია, ძველებური შეხედულებაც არის და ახლებურიც. მხედველობაში ჰქონდა რა საკუთარი მოკვდავობა, მე-17 საუკუნის ინგლისელ პოეტსა და ანგლიკანელ მღვდელს, ჯონ დონს (1572-1631) ზემოთქმულის იდენტური აზრი აქვს გამოთქმული ოდნავ განსხვავებული გეოგრაფიული მეტაფორის საშუალებით: *„არცერთი კაცი არ არის კუნძული, განცალკევებული მთლიანობა; თითოეული ადამიანი კონტინენტის ნაწილია, მთავარის ნაწილი. თუ მის მოზრდილ ნაწილს წყალი გადარეცხავს, ევროპას მოაკლდება, ისევე როგორც, ეს იქნებოდა კონცხის შემთხვევაში, ან თუნდაც შენი ან შენი მეგობრის მამულის დაკარგვის შემთხვევაში: ნებისმიერი*

*ადამიანის სიკვდილი მე მამცრობს, მე მაკლდება, რადგან მე კაცობრიობის ნაწილი ვარ. ამიტომ არასდროს იკითხოთ, ვისთვის რეკს ზარი. ის შენთვის რეკს!"*

დონის ეს განაცხადი მხოლოდ იმით არის ლიმიტირებული, რომ ევროპოცენტრიზმითაა ნასაზრდოები. თუმცა, რაღა თქმა უნდა, მისი ღირებულება, სიღრმე და სიფაქიზე ამ შეზღუდვის საზღვარს გაცილებით სცილდება. ის, რაც პასის ხედვას სიახლეს ანიჭებს – ის არა მარტო დონის მოსაზრებაზე ახალია, არამედ ჩვენს აწმყოზე უფრო მეტად მორგებული, უფრო დამთრგუნველი თავისი აუცილებლობით და უფრო სახალისო თავისი მნიშვნელობით, – არის ის ფაქტი, რომ ის აშკარაა ყველასთვის, არა მხოლოდ ერთი რელიგიის, ერის, ეთნოსის, ეპოქის, ადგილის მასშტაბით, არამედ სათითაოდ ყველა ადამიანისთვის, ყველგან და ყოველთვის, თვალთახედვის, ბექგრაუნდის, კონტექსტისა და სხვა ათასგვარი ფაქტორისგან დამოუკიდებლად. დონის ციტატა თავისთავად ყოვლისმომცველია, პასის განაცხადი კი მთავარ იდეას არა მარტო ურყევ მტკიცებულებად წარმოაჩენს, არამედ მისი სახით შემდგომი მოქმედებისთვის საფუძველსაც გვთავაზობს.

7. მეორე რწმენა-შეხედულება, რომელიც პირველიდან მოდის, ისაა, რომ კულტურებს, ერებს, ენებს და ა. შ. შორის არსებული განსხვავებანი სხვადასხვა დროსა და ადგილას ისეთივე ბუნებრივი, აუცილებელი და გარდაუვალია, როგორც ბიოლოგიური ჯიშების მრავალფეროვნება. და მეტიც, ამ გაგებით აშკარაა იმის აღიარება, რომ მრავალფეროვნება შეუფასებელი, უდიდესი საჩუქარი და საუნჯეა. ამას მოსდევს იმის აღნიშვნა, რომ ყველა კულტურის, ერის, ენის (და ა. შ) იდიოსინკრეტულ გამოხატულებასა და გამოვლინებას ყველამ პატივი უნდა სცეს და შეიყვაროს სწორედ მათი უნიკალურობის გამო.

8. და აქ კიდევ ორი ვიზიონერი ინგლისელი პოეტის აზრები და პრაქტიკა გვთავაზობს მიზეზს იმისა, თუ რატომ არის აუცილებელი მრავალფეროვნებისა და უნიკალურობის სიყვარული და პატივისცემა, იმის პატივისცემა, რისთვისაც ჩვენ ვართ მოვლენილი და რისთვისაც სხვები არიან მოვლენილი. ამ ორი პოეტიდან პირველია უილიამ ბლეიკი (1757-1827), რომელიც განუწყვეტლივ წერდა „უმცირესი ნაწილაკების" შესახებ. როგორც ს. ფოსტერ დეიმონი განმარტავს, „უმცირესი ნაწილაკები" (minute particulars) ესაა „ყველა საგნის მარადიული ინდივიდუალობის გარეგანი გამოხატულება ამ სამყაროში". ბლეიკისთვის ნებისმიერი უნივერსალური იდეოლოგია, რომელიც არ გულისხმობს ამ „უმცირესი ნაწილაკების" სიყვარულს, არის გონების შეურაცხმყოფელი, საზიზღარ საპატიმროთა შორის უსაძაგლესი, ადამიანური თავისუფლებისა და წარმოსახვის მექანიკური უარყოფა – მოკლედ, რაციონალისტური ჯოჯოხეთი.

9. მეორე პოეტია იეზუიტი მღვდელი ჯერარ მანლი ჰოპკინსი (1844-1889), რომლის მიერ შუასაუკუნეების ფილოსოფოსისა და თეოლოგის, დანზ სკოუტუსის ცნების (*haecceitas* – ობიექტის საიდენტიფიკაციო უნიკალური თვისება) შესწავლამ მიიყვანა ის საგნების „თვითარსისა" და „შინაგანობის" (ტერმინები ეკუთვნის თავად ჰოპკინსს) აღიარებამდე, როგორც მათი ინდივიდუალური, უნიკალური თვისებისა და მათი სიდიადისა. ეს ცნებები ახლოს დგას იმასთან, რასაც ებრაული კაბალისტური ტრადიციით ეწოდება *shekhinah* („ღვთის სამყოფელი"). აი, რას ამბობს ჰოპკინსი, როცა ყვავილებიან ქიქას უყურებს: *„ჩადეთ რამდენიმე ფურისულა ქიქაში.. მშვენიერია მისი თვითარსი – ბრწყინვალება, ვარსკვლავისებრი – რასაც ყვავილი ასე უბრალოდ ყველასთვის გასცემს."*

10. უნიკალურობის ეს გაგება, თვითარსი, როგორც ყვავილების სილამაზე, ნებისმიერი პოეტური ვიზიონის ცენტრალური ფიგურაა: შეადარეთ ჰოპკინსის სიტყვები ბლეიკის ამ ცნობილ სტრიქონებს:

*ქვიშის მარცვალში რომ განჭვრიტო მთელი სამყარო,*
*ხოლო სამოთხე ზეციური – ველურ ყვავილში,*
*ერთ სრულ საათში მოაქციე დრო უსასრულო,*
*და უსაზღვრობა შემოსაზღვრე ხელისგულებში."*

11. როცა ვმსჯელობთ მრავალფეროვნებაზე აუცილებელი ტოლერანტობისა და უნივერსალიზმის კონტექსტში, ვფიქრობ, ამ დროს ყველაზე მეტად საჭიროა „პოეტის მგრძნობიარე თვალი", რომელიც გულისხმობს იმ ცოდნას, რასაც ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფოსები უწოდებდნენ *'to en'*-სა და *'to pan'*-ს (ერთი და მრავალი), რაც გულისხმობს განუყოფელი, ყოვლისმომცველი მთლიანობის, ერთობის სიდიადესა და მრავალფეროვნების დიდებულებას.

12. ამგვარად, მე როგორც პოეტი, ვაცხადებ: თუ გსურთ დააფასოთ მრავალფეროვნება, პატივი მიაგოთ თითოეული არსების უნიკალურ ღირებულებასა და მის „არსს", ასევე თითოეული ტრადიციისა თუ ცალკეული ენის მიღწევებსა და სიდიადეს, დაიწყეთ იმით, რომ კიდევ ერთხელ შეხედეთ ყვავილებს და შეხედეთ პოეტის თვალით.

*კემბრიჯი, 2016*

***ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქტავიო პასი კემბრიჯში, 1970:
# ანარეკლები და იტერაციები[1]

## ამონარიდი მოგონებებიდან

*რიჩარდ ბერენგარტენი*

*იმ პოეტთაგან, ვისი პირადად გაცნობაც მომიწია, ოქტავიო პასმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება იქონია. ამიტომაც დიდი სიამოვნებით შევეცდები ორიოდე პირადი მოგონების ჩაწერას, სადაც ცოტაოდენს ვიტყვი ჩვენი ორმოცდახუთი წლის წინანდელი მეგობრობისა და იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა მან ჩემს მწერლურ შემოქმედებაზე. მსოფლიოში მრავალი პოეტია, მის უშუალო მემკვიდრედ რომ ითვლება. ვამაყობ იმით, რომ შემიძლია თავი მათ მივათვალო.*

*

ოქტავიო და მარი-ხოსე პასები 1970 წელს კემბრიჯში გამაცნო ჩემმა მეგობარმა და კოლეგა-პოეტმა ენტონი რუდოლფმა. რუდოლფთან ერთად 1961 წლიდან 1964 წლამდე კემბრიჯის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ამ გაცნობისათვის მას უზომოდ ვემადლიერები.

1970 წელს ოქტავიო ორმოცდათხუთმეტი წლის იყო, მე კი ოცდაექვსის. თავიდანვე მოვიხიბლე მისი პიროვნებით. მანამდე არც ერთ ესპანურად მოლაპარაკე მწერალს არ შევხვედრივარ, მით უმეტეს – მექსიკელს. კემბრიჯში ინგლისურ ფილოლოგიას ვსწავლობდი და 1960-იანი წლების შუა ხანებსა და დასასრულს ჩემი ლიტერატურული ინეტერესები მეტწილად იტალიასა და საბერძნეთს უკავშირდებოდა. 1964 წლიდან 1966 წლამდე პადუასა და ვენეციაში ვცხოვრობდი, 1967-78 წლებში კი თებესა და ათენში. 1965 წელს ჩეზარე პავეზეს და ალდო ვიანელოს ლირიკას ვთარგმნიდი, ვენეციაში კი ერთხელ ცოტა მაკლდა საიმისოდ, რომ ეზრა პაუნდს შევხვედროდი. საბერძნეთში აღმოვაჩინე გიორგოს სეფერისის, ისევე, როგორც სხვა თანამედროვე ბერძენი პოეტების შემოქმედება, რომელთა შორისაც დავასახელებ კონსტანტინოს კავაფისს, იანის რიცოსს, ოდისეას ელიტისსა და ნიკოს გატსოსს; ხოლო 1967 წლის *coup d'état*[2]-ის შემდგომ აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი საბერძნეთის დემოკრატიის აღდგენისათვის ბრძოლაში. ეს ინტერესები და საქმიანობა თითქმის არ მიტოვებდა სივრცეს იმ კონტექსტისთვის, რომელშიც შეიძლებოდა ოქტავიო მომეთავსებინა.

არც მის შემოქმედებას ვიცნობდი. თუკი ჩემს გაუთვითცნობიერებლობას რაიმე უპირატესობა ჰქონდა, ეს იყო ის, რომ მას, პირველ ყოვლისა, ისე შევხვდი, როგორც ადამიანს, და არა როგორც მწერალს.

ძალზე ხალისიანი თანამოსაუბრე გამოდგა. მკვირცხლი, მოცინარი და კეთილი თვალებით, მხნე, ყველაფრის მიმართ ცნობისმოყვარე და სხვათა იდეებისათვის გახსნილი, თავაზიანი, ნამდვილი *bon vivant*[3] და, ამასთან, დინჯი, ყურადღებიანი მსმენელი. მისდამი ინტერესი პირველივე შეხვედრის შემდეგ აღმეძრა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ სრულიად გამინაურებულია იმ სფეროში, რაც ჩემეულად მიმაჩნდა, და ამ თვალსაზრისით ჩემზე ბევრად უფრო ფართო, ღრმა და დეტალურ ცოდნას ფლობს.

დავიწყეთ ეზრა პაუნდზე საუბრით. მე ენთუზიაზმით დავიწყე ლაპარაკი, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ჩემი არგუმენტები გულუბრყვილოდ, ბავშვურადაც კი მეჩვენება. პაუნდს გამოვესარჩლე, როგორც რევოლუციონერსა და ნოვატორს, რომელმაც პოეზიაში ცოცხალი მეტყველება შემოიტანა და ვიქტორიანელთა ყავლგასული ენა გააუქმა. ნიმუშად იმაჟისტთა პოეზიის ყოველდღიური მეტყველება მოვიყვანე. ვთქვი, რომ „პირველი გაბრძოლების" სახით მან „ჰეგზამეტრი დაამსხვრია"[4] და მივუთითე „საგალობლებში" *(Cantos)* ფართოდ გახსნილ მონაკვეთებზე, სადაც ყველაფერი ერთურთს, ასე თუ ისე, პარატაქსისით უკავშირდება. და ასე შემდეგ. თავს გათვითცნობიერებულად ვგრძნობდი და უაღრესად თამამად ვსაუბრობდი. ოქტავიო არ დაბნეულა და ჩემი ცალსახა (და ტიპურად ბრიტანული) ხედვა საკუთარი შეფასებით გაამდიდრა. აღნიშნა იმაჟისტური პოეზიის განგებ შექმნილი სირთულე და პაუნდის მიერ ახლებურად დამუშავებული ტრუბადურთა თემების მაღალმხატვრულობა (თუმცა, ამასთან, ხელოვნურობაც); რაც მთავარია, ახსენა ისიც,

[1] იტერაცია – გამეორება. წერილი ემყარება მოხსენებას, წაკითხულს კონფერენციაზე „ოქტავიო პასი და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო", რომელიც ლონდონის ბრიტანულმა ბიბლიოთეკამ მექსიკის საელჩოსთან თანამშრომლობით 2015 წლის 13 აპრილს ჩაატარა. გამოქვეყნებულია: **The Fortnightly Review, July 8, 2015.** ინტერნეტში: **http://fortnightlyreview.co.uk/2015/07/octavio-paz/.**

[2] (ფრანგ.) გადატრიალება.

[3] (ფრანგ.) დროსტარების მოყვარული ხალისიანი ადამიანი.

[4] **Ezra Pound, The Cantos, LXXXI, London, Faber & Faber, 1964: 553.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოქტავიო პასთან ერთად

რომ სწორედ პაუნდმა აზიარა ინგლისური და სხვა დასავლური ლიტერატურები ჩინური პოეზიის დიდ სამყაროს. შემეკამათა იმასთან დაკავშირებით, რომ ტრადიციასა და ინოვაციას შორის ბევრად უფრო ნატიფი დიალექტიკის კანონები მოქმედებს, ვიდრე მე მეგონა, თავისი სიტყვების დასასაბუთებლად კი ტ. ს. ელიოტის ესე „ტრადიცია და ინდივიდუალური ნიჭი" შემახსენა.

ამ მომენტიდან მოყოლებული, ოქტავიოს განსაკუთრებული გულისყურით ვუსმენდი. ერთი მხრივ, ის უაღრესად ფართო, პანორამული და ზოგადსაკაცობრიო ხედვით გამოირჩეოდა, მაშინ, როდესაც ჩემი ხედვა, მიუხედავად ჩემი კოსმოპოლიტური ებრაელობისა (უფრო სწორედ კი, *იუდეველობისა*[5]) და ევროპელობის მზარდი განცდისა, მაინც ჯერ კიდევ ვიწრო და კარჩაკეტილი იყო. მეორე მხრივ, მას არ მიაჩნდა პოეზიის ისტორია გარკვეულ მოვლენათა წყებად, რომელიც შეიძლება „პროგრესის" მარტივი და ზედაპირული ცნებით აიხსნას. როგორც მოგვიანებით წავიკითხე „ცვალებადი დენის" ინგლისურენოვან გამოცემაში: „რთული და იქნებ შეუძლებელიცაა იმის დაჯერება, რომ ხელოვნების სფეროში ისეთი რამ არსებობს, როგორიც პროგრესია". ამავე წიგნში ვკითხულობთ: „მიუხედავად იმისა, რომ პოეზია მუდმივად იცვლება, ის არაფრით შემთხვევაში არ ვითარდება". და კიდევ: „პოეზია ჩვენი ერთადერთი იარაღია დროის სწორხაზოვნების, ანუ პროგრესის წინააღმდეგ"[6].

*

ოქტავიო პასის პირველი წიგნი, რომელიც წავიკითხე, „*მარტოობის ლაბირინთი*" გახლდათ. ახლაც მაქვს მისი ეგზემპლარი, რომელზეც ავტორმა 1970 წელს კემბრიჯში სამახსოვრო წარწერა გამიკეთა. წიგნი ცხრა თავისაგან შედგება, მერვე თავის დასასრულს კი ასეთი წინადადება გვხვდება: „ისტორიის მანძილზე პირველად დადგა მომენტი, როდესაც ჩვენ მთელი კაცობრიობის თანამედროვენი ვხდებით"[7]. ამ ფრაზამ ჩემზე მოულოდნელი აღმოჩენის მთელი შესაძლო ევრისტიკული ძალ-ძლავრით იმოქმედა. სიტყვა ჩვენ მხოლოდ მექსიკელებთან კი არა, ზოგადად კაცობრიობასთან მიმართებაში გავიგე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანამედროვე მექსიკელი ზოგადად თანამედროვე ადამიანის პარადიგმად მივიჩნიე: მთელ მსოფლიოში, ყველა დროში მცხოვრები ნებისმიერი ჩვენგანის პარადიგმად. ასე რომ, ოქტავიოს „ჩვენ" მხოლოდ შთამომავლობისადმი

---

[5] იხ.: **Albert Memmi, 'Negritude and Judeity', European Judaism, Vol. 3, No, 2, 1968-9: 4-12.**

[6] **Alternating Current (trans. Helen R. Lane), New York, NY, Viking Press, 1973: 20 and 67.** ოქტავიომ ამ წიგნის ხელმოწერილი ეგზემპლარი **1973** წლის მარტში მექსიკიდან გამომიგზავნა. ორიგინალი **1967** წელს გამოიცა. ეს თარიღები თანაბარი მანძილით ესაზღვრება კემბრიჯში მისი ყოფნის პერიოდს.

[7] **The Labyrinth of Solitude (trans. Lysander Kemp), London, Allen Lane, 1967: 181.** მექსიკაში პირველად გამოიცა **1950 Cuadernos Americanos** მიერ.

კოლექტიურ მიმართვად როდი აღვიქვი – მსგავსად ფრანსუა ვიიონის სიტყვებისა: *"frères humains qui après nous vivez"*[8] – არამედ ჩავთვალე, რომ ის ეხება ყველა ადამიანს „აწმყო და წარსული დროის" უსასრულობასა და იმ „მომავალ დროშიც", რომელსაც ელიოტი მოიხსენიებს თავის „ოთხ კვარტეტში"[9]. შესაბამისად, „მთელი კაცობრიობის" ცნებაც მხოლოდ ახლანდელ და მომავალ თაობებს კი არა, მათაც მოიცავს, წარსულში რომ ცხოვრობდნენ. ამგვარად, ლექსები მხოლოდ ცოცხალი და მომავალში დასაბადებელი თაობისადმი მიმართვას როდი წარმოადგენენ, მხოლოდ მათ სათქმელს როდი ამბობენ, არამედ გარდაცვლილებსაც მიმართავენ და გარდაცვლილთა სახელითაც ლაპარაკობენ. ჩემს მეორე წიგნში და პირველ ვრცელ პოემაში „ეივბერი"[10], რომელიც ოქტავიოს კემბრიჯიდან გამგზავრების შემდეგ მალევე დაიწერა და რომელშიც მისი „მზის ქვის" *(Piedra del Sol)*[11] გავლენა შეიგრძნობა, ეს მისეული ფრაზა ძირითად და განმსაზღვრელ მოტივად იქცა. ის წიგნს ეპიგრაფადაც კი დავურთე ბიბლიური ციტატისა და ჰერაკლიტეს გამონათქვამის გვერდით. ამ ფრაზას გამუდმებით ვუბრუნდები. ორმოცდაერთი წლის შემდგომ ის კვლავ დამიბრუნდა, როდესაც გიორგოს სეფერისის ციტატასთან ერთად ეს ფრაზაც წავუმძღვარე ეპიგრაფად ჩემს პატარა წიგნს პოეტიკის შესახებ, რომელსაც „იმაჟემები 1"[12] ვუწოდე. ოქტავიოს ეს გამონათქვამი ერთგვარ ავგაროზად მექცა, რადგან ის ჩემთვის დასაბამიერი სიღრმითა და ზედროული ძლევამოსილებითაა გამსჭვალული.

*

როცაკი ოქტავიო ამა თუ იმ თემაზე დისკუსიაში ერთვებოდა, ამას მუდამ ცოცხლად და სახალისოდ სჩადიოდა, უფრო ხშირად, მწვავედ და მგზნებარედ, მაგრამ ყოველთვის გულწრფელად, ყველასათვის თანასწორი პირობების გათვალისწინებით. ხშირად შეეძლო მცირე გამოცხადებების მსგავსი მიგნებების გაზიარება, რასაც თითქოსდა შემთხვევითი წიაღსვლების სახით სჩადიოდა. მისეული ინტერკულტურული და ისტორიოსოფიული სინთეზის გამბედაობა და ყოვლისმომცველობა, რომელიც ხშირად ისეთ ქვეტექსტებსა და მინიშნებებში იჩენდა თავს, ისეთ ღრმა კავშირებს ამჟღავნებდა, ზედაპირზე რომ არ ჩანდა, ჩემზე, ახალგაზრდა პოეტზე, მომნუსხველად მოქმედებდა; ამ მომენტებმა ბევრ რამეზე ამიხილა თვალი. დღევანდელი გადასახედიდან ჩემთვის ნათელია: ზოგიერთმა მისმა მინიშნებამ ისეთ გზებზე გამიყვანა, რომელზედაც იმხანად წარმოდგენაც არ მქონდა, მათ გააზრებაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია; ბევრ მათგანს ბევრად მოგვიანებით დავადექი და დღესაც განვაგრძობ მათ აღმოჩენასა და შესწავლას: ამ მოგზაურობას სიახლეებთან გამუდმებული შეჭიდება, წინსვლა, უკან დაბრუნება, განვლილის გამეორება და მზარდი ინტენსივობით მოძრაობა ახასიათებს, რაც ოქტავიოსთვის ტიპურია. მის მიერ ნახსენები თემები თუ მისი ქარაგმული გამონათქვამები ისევ და ისევ წინ მხვდება შემოქმედებით გზაზე. დაბრუნებები და იტერაციები; ციკლურობა და სპირალურობა; მოძრაობა სიმშვიდეში; უძრაობა წინსვლაში; ქაოსი და წესრიგი ბინარულ ურთიერთკავშირში; „არარა" და „ყოფიერება" ერთურთს სატრფოებივით გადახვევიან; ეროსი და ფსიქე ერთურთს მსჭვალავენ და ეხლართებიან, როგორც კადუცეუსი – სამყაროსეული ცეკვა, საკუთარ თავში ყოფნა-არყოფნის ნაზავს რომ აერთიანებს[13]. და კვლავაც დაბრუნების თემა. და ყველგან, უპირველეს ყოვლისა: ხეტიალი, აღმოჩენა, სიხარული. მალევე მივხვდი, რომ ოქტავიო ის შემოქმედია, ვინც კაცობრიობისა და პოეზიის გრძნობისმიერი და, ამავდროულად, ინტელექტუალური ხედვითაა დაჯილდოებული და რომ უზომოდ გამიმართლა, რაკი საშუალება მომეცა, არამხოლოდ მისგან მესწავლა, არამედ მისი მეგობარიც მრქმეოდა. აგრეთვე აღმოვაჩინე, რომ ოქტავიოს სამყაროში საპირისპირო საწყისებს შორის ზღვარის გადამკვეთი ხაზები ხშირად ერთურთს ხვდება, ერწყმის და პარადოქსის გზაჯვარედინებს ქმნის. პარადოქსის ამ ხვეულებისა და ნახტომების გარეშე დიალექტიკა ორგანზომილებიანი და ბრტყელია და, საბოლოო ჯამში, სათითეებით თაღლითურ თამაშს წააგავს.

*

ოქტავიოსთან შეხვედრის შემდეგ მალევე დავიწყე მისი აღქმა ჩემს მასწავლებლად, თუმცა ამის მსგავსი ჩვენს შორის არაფერი თქმულა, რადგან ის არც მე და არც კემბრიჯში გაცნობილ სხვა ახალგაზრდებს მედიდურად სულაც არ გვეპყრობოდა; და ვფიქრობ, ეს რომ მისთვის გამენდო, შეძრწუნდებოდა. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას 1970 წლის დეკემბრის სუსხიან დღეს, ის საიდანღაც მანქანით მივიყვანე ჩერჩილის კოლეჯში. ვიდრე მანქანის სადგომიდან მის ბინამდე ფეხით მიედიოდით, გამბედაობა მოვიკრიბე და დავაპირე, მისდამი ჩემი უთბილესი გრძნობები და აღტაცება გამომეთქვა. ოქტავიომ თითქოს იგრძნო, რაც უნდა მომხდარიყო, მკლავზე ხელი დამადო, შეჩერდა, მერე მეორე ხელი მკერდზე მიიდო, თავის წინ ძირს დაიხედა და სრულიად

[8] (ფრანგ.) „ძმანო ადამიანნო, ვინც ჩვენს შემდგომ იცხოვრებთ". **François Villon, 'Ballade des pendus'** („ჩამომხრჩვალის ბალადა").

[9] **T. S. Eliot, Four Quartets, London, Faber & Faber, 1944.**

[10] **Avebury, London, Anvil Press with Routledge & Kegan Paul, 1972.** ხელმეორედ დაიბეჭდა წიგნში: **For the Living: Selected Longer Poems 1965-2000, Exeter, Shearsman Books, 2011: 23-50.**

11 **Sun stone: Piedra de sol (trans. Muriel Rukeyser), New York, New Directions, 1962;** ხელმეორედ დაიბეჭდა წიგნში: **Configurations, London, Jonathan Cape, 1971: 2-35.**

[12] **Imagems 1, Bristol, Shearsman Books, 2013.**

[13] **Notness: Metaphysical Sonnets** გახლავთ სათაური ლB-ს ლირიკული კრებულისა (**Shearsman Books, Bristol, 2015**). ჩემი აღმოჩენით, უჩვეულო სიტყვა **'notness'** („არარა") სიტყვა **'sonnets'**-ის ანაგრამაა.

მოულოდნელად მითხრა: „რიჩარდ, მგონი, ლაბადიდან ლილი მომწყდა“. ორივეს გაგვეცინა.

*

გულახდილად ვიტყვი, გამიჭირდება იმის გადმოცემა, თუ რაოდენ სასიამოვნო იყო ჩემთვის ოქტავიოსა და მარი-ხოს საზოგადოებაში ყოფნა. მათთან ურთიერთობამ მთელ იმ წელიწადს განსაკუთრებული სიხალისე შესძინა. ორივე მათგანის არსებაში რაღაც ნაპერწკალი, ბრწყინვალება, რაღაც ისეთი *joie de vivre*[14] იგრძნობოდა, სხვებზეც გადამდებად რომ მოქმედებდა. მარი-ხოს ამაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა. ამ არაჩვეულებრივად მომხიბვლელ კორსიკელ ქალს, ნატიფი არწივისებრი პროფილით, მხრებამდე ჩამოშლილი შავი თმითა და დახვეწილი ფიგურით, რომელსაც, უფრო ხშირად, იატაკამდე ფართო კაბები მოსავდა, ბუნებრივი მოხდენილობა და გრაცია ახასიათებდა. მის გარშემო თითქოს ყველაფერი წყალივით იტალღებოდა. ფრიად სტუმართმოყვარე იყო, მუდამ გულწრფელად აინტერესებდა ჩვენი საქმიანობა და არაჩვეულებრივი იუმორიც ჰქონდა. ყველა კემბრიჯელი მეგობარი მას და ოქტავიოს იდეალურ წყვილად თვლიდა. როდესაც პოეტი მეუღლეს ოთახის მეორე ბოლოდან ან სხვა ოთახიდან გასძახებდა ხოლმე: „მარი-ხო!“ – თავისი ყელისმიერი, ლბილი კილოთი, ამით მუდამ იგულისხმებოდა, რომ ოქტავიოს მასთან მოთათბირება ესაჭიროებოდა, თანაც, სასწრაფოდ. და, მიუხედავად იმისა, რომ ორივე აშკარად ძლიერი და დამოუკიდებელი პიროვნება იყო, ისიც ცხადი იყო, რომ მთელი სულითა და გულით ერთურთს ეკუთვნოდნენ და რომ ოქტავიო მეუღლის გარეშე ვერაფერს გახდებოდა.

მას მერე, რაც მათ კემბრიჯი მიატოვეს, იქაურობა საგრძნობლად მოსაწყენი და უღიმღამო გახდა... [...]

*

წერა: ტალღები ერთურთს მოჰყვება და ერთი მეორეში ინთქმება. ახალ-ახალი სათქმელი მოდის და ბოლო არ უჩანს. წუხელ გვიან ღამით მეგონა, ამ ჩანაწერებმა საკუთარი თავი ბოლომდე ამოწურა და დასრულდა. მაგრამ ამ დილით, 2015 წლის 18 აპრილს რომ გავიღვიძე, უნებლიეთ დავიწყე „გრამატიკოსი მაიმუნის“ გადაკითხვა და ორი გვერდის წაკითხვის შემდეგ გამეფიქრა, რომ კიდევ რაღაც მაქვს ამ ჩანაწერებისათვის დასამატებელი, რაღაც ისეთი, რაც მანამდე გამომრჩა.

ეს არის ოქტავიოს შემოქმედებაში *თანაგრძნობის, დიდსულოვნებისა და თავმდაბლობის* კომბინაცია.

ჯერ ვიტყვი *თანაგრძნობის, თანადგომის, სიმპათიის* შესახებ: ეს უაღრესად საინტერესო მომენტია. მისი წყალობით კითხვისას მიჩნდება რწმენა იმისა, რომ ავტორი ჩემთანაა, სრულადაა ჩართული კითხვაში (აქტში, პროცესში, სრულქმნაში, წარმოსახვაში); ეს იქამდეც კი მიდის, რომ მკითხველისა და ავტორის როლები იშლება, ერთურთში ირევა, ერთურთს მაჭკულავს; კითხვა წერად და ქმნადობად იქცევა, წერა კი – კითხვად. ამის შედეგად უცნაური განცდა მეუფლება, თითქოს ოქტავიოს ტექსტის ოდენ მკითხველი კი არა, მისი თანაავტორიც ვარ.

მეორე მომენტი: დიდსულოვნება, სულის სიდიადე (*megalopsychia, великодушие*). ოქტავიოს კითხვის პროცესში, – სულ ერთია, ლექსებზეა ლაპარაკი თუ პროზაზე, უკიდურესად ცხადად შევიგრძნობ ჩვეულებრივზე უფრო ვრცელი, მეტი ჟანგბადით გაჯერებული ჰაერის შებერვას, რომელიც ჩემს „მე“-ს, მთელ ამ რთულ წარმონაქმნს აიძულებს, – რაშიც არ უნდა მდგომარეობდეს ნაკითხულისაგან მისი განსხვავებულობა (ქვეცნობიერი, დამალული, პოტენციური, მიძინებული, მიჩქმალული, გზააბნეული...), რაც ჩემი არსების მრავალშრიან სტრუქტურას ქმნის – გაიხსნას, კონცენტრირდეს, ფილტვები და ჰორიზონტები გაიფართოვოს და უფრო სრულად და მკაფიოდ შეიგრძნოს ჰარმონიები და დისონანსები; აღიქვას პანორამებში ჩამალულ-ჩაპრესილი უწვრილესი განუმეორებელი დეტალები და წვრილმან დეტალებში ნაგულისხმევი ვრცელი პანორამები. და კიდევ: ეს გახსნა, რომელიც განახლებათა და ხელახალ გახსნათა მთელ წყებას წარმოადგენს, ასევე გახლავთ განხორციელება იმ *გამოწვლილვითი დეტალების* (*minute particulars*)[15] და *inscapes* და *instresses*-ისა[16], რასაც შეკინას (*Shekhinah*)[17] ბრწყინვალება ასხივებს. თუკი ჩემი მეტყველება გადატვირთულად გეჩვენებათ, ამის მიზეზი ისაა, რომ ის სათქმელის გადმოსაცემად აღარ მყოფნის.

მესამე მომენტი დანარჩენ ორს აღემატება კიდეც: ესაა თავმდაბლობა; მომენტის ყოვლისმომცველობისა და არარაობის განცდა და ცოდნა იმისა, რომ მოვლენათა მთლიანი ჯამისა და განგრძობითობის წინაშე ჩვენ წამიერნი და უმნიშვნელონი ვართ. ამასთან, ამ ცოდნას თან ახლავს უდიდესი აღფრთოვანება და გაოცება, მადლიერება და შთაგონება.

როდესაც ყოველივე გამოთქმული და სრულქმნილია, განა სწორედ ეს არ არის პოეზიის არსი და მიზანი?

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ*

---

[14] (ფრანგ.) სიცოცხლის ხალისი.

[15] ეს ცნება ინგლისელ ვიზიონერ პოეტსა და მხატვარს, უილიამ ბლეიკს ეკუთვნის (1757-1827) და ამგვარად განიმარტება: „ამქვეყნიური ხილული გამოხატულება ყოველი საგნის მარადიული ინდივიდუალობისა“. იხ. შ. **Foster Damon, A Blake Dictionary, London, Thames and Hudson, 1979: 280.**

[16] ეს ორი ახლად წარმოქმნილი სიტყვა ეკუთვნის ინგლისელ იეზუიტ პოეტს ჯერარდ მენლი ჰოპკინსს (1844-1889); ინსქეიპი გულისხმობს თითოეული ფენომენისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური აგებულების, ფორმის, სტრუქტურის დეტალებს; ხოლო ინსტრესს არის inscape-ის ენერგეტიკული გამოსხივება, გარსშემოდენილობა და მის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება.

[17] კაბალას წიგნში შეკინა ღვთაების მანიფესტაციის ქალური ასპექტია. ეს სიტყვა ძველებრაულად „საცხოვრებელ ადგილსაც“ ნიშნავს და „დიდების“ და „ბრწყინვალების“ დროებით სამყოფელსაც.

# რამდენიმე შენიშვნა
## გიორგოს სეფერისის კითხვის კვალდაკვალ[1]

*რიჩარდ ბერენგარტენი*

პოეზიის გააზრებისას წლების მანძილზე მტკიცედ მივიწევდი „უნივერსალისტის" პოზიციისაკენ. ეს გეზი პირველად 1960-იანი წლების დასაწყისში ავიღე, როდესაც კემბრიჯში ინგლისური ფილოლოგიის შესწავლა დავიწყე. მას მივყვებოდი პადუასა და ვენეციაში, პაუნდის მიმდევარი ინგლისელი პოეტის, პიტერ რასელის გავლენით. ჩემი ეს მისწრაფება შემდეგ 1970-იანთა დასაწყისში განვითარდა, როდესაც ერთროულად გიორგოს სეფერისისა და ოქტავიო პასის უდიდესი გავლენა განვიცადე. სამწუხაროდ, სეფერისთან პირადი შეხვედრა ბედმა არ მარგუნა.

მიუხედავად ამისა, თუკი სეფერისს მხოლოდ ბერძნულ კი არა, „უნივერსალისტურ" კონტექსტში განვიხილავთ, ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ ის მეოცე საუკუნის იმ დიდ პოეტთა რიგში უნდა ჩავაყენოთ, როგორებიც არიან, ვთქვათ: კავაფისი, ლორკა, ვალიეხო, რილკე, ცელანი, პასი, მანდელშტამი, ახმატოვა, ცვეტაევა, ვალერი, ბრეტონი, იეიტსი, პაუნდი, ელიოტი, უოლეს სტივენსი და სხვები (თანამედროვე პოეზიის ნებისმიერ მკითხველს ამისგან ოდნავ განსხვავებული ნუსხა ექნება, მაგრამ, ვფიქრობ, ზოგიერთი სახელი ვერსიათა უმრავლესობაში გამეორდება). უეჭველია, რომ სეფერისი მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში უნდა იქნას განხილული. რაც შეეხება მისი შემოქმედებისადმი ჩემს პირად მიმართებას, ის დიდწილად მისი დონის სხვა ავტორების კითხვითაცაა განპირობებული. ასე თუ ისე, ჩამოსაყალიბებლად რთული და ძალზე ფაქიზია ის კრიტერიუმები, რომლის წყალობითაც სეფერისი რჩეულთა ამ ნუსხაში მოხვდა, მისი პიროვნების ის წახნაგები, რომელიც მას დიდ მწერალთა ამ კლუბის წევრად აქცევს. ვეცდები, ეს რამდენადმე მაინც განვმარტო.

დასაწყისისათვის ვიტყვი, რომ სეფერისს ფაქტორთა ორი ჯგუფი ახასიათებს – ერთი დროითია (დიაქრონული), მეორე კი მეტწილად, თუმცა არა მთლიანად, ლოკალურია (და სინქრონულიც). პირველის განსამარტავად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ელიოტის ესე „ტრადიცია და ინდივიდუალური ნიჭი". სეფერისი ადრევე აღწევს ტრადიციის ინოვაციასთან იმგვარ კომბინაციას, შემდგომში მუდამ მისი ინდივიდუალური, უნიკალური ხმის სახით რომ ჟღერს. ეს ხმა არასოდესაა არც აზრსმოკლებული, არც გადაპრანჭული. მისი ორიგინალობის მიზეზი არც მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი გამორჩეული ტემბრი მანამდე არასოდეს ახმიანებულა არც ბერძნულ და არც მსოფლიო პოეზიაში, არამედ უფრო მეტად ის, რომ აშკარაა: ეს ხმა სრულიად ლაღი და თავდაჯერებულია. ის ნაძალადევად არ იბადება; რაც იმას ნიშნავს, რომ მას თვალშისაცემი ავტორიტეტულობა და გულწრფელობა ახასიათებს. ორიგინალობა თავს იჩენს ენის ყველა ასპექტში: ფორმაში, დიქციასა და კილოში.

თუკი ვისაუბრებთ იმ გავლენებზე, რაც სეფერისმა განიცადა, ვფიქრობ, „ილიადითა" და „ოდისეათი" დაწყებული, მთელი ბერძნული ლიტერატურისა და ელიოტის თაოსნობით ანგლოფონი პოეტების გვერდით, აგრეთვე ფრანგი პოეტების მიერ შექმნილი მოდელებიცაა საყურადღებო. თუკი ელიოტზე შევჩერდებით, ვფიქრობ, არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ, თუ სეფერისმა ამ გაინგლისელებული ამერიკელისაგან ბევრი რამ შეიძინა, აქ მხოლოდ ეგრეთ წოდებული „ანგლო-საქსი" ელიოტი კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ ელიოტი-კოსმოპოლიტიც, ელიოტი – ფრანგული სიმბოლიზმისა და დანტეს მოყვარულიც და ის ელიოტიც, რომელმაც – პაუნდის მსგავსად – მთელი ევროპული ლიტერატურა გაიხადა ასპარეზად. გარდა ამისა, ჩემი აზრით, სეფერისი, როგორც წარმოშობით იონიელი, მცირე აზიელი, თავისი ტემპერამენტით ისეთივე სრულუფლებიანი ინტერნაციონალისტია, როგორც ბერძენი. ის თავისი პიროვნული წყობით დიპლომატად დაიბადა, რაც მოგზაურ ცხოვრებას გულისხმობდა და განხორციელდა კიდეც ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში მოგზაურობების, მოგვიანებით კი დიდ ბრიტანეთში ელჩად მსახურების სახით. მისი ინტერნაციონალიზმი არა მხოლოდ თავს იჩენს მის პოეზიაში: ის მისი აუცილებელი, აღმოუფხვრელი კომპონენტიცაა.

რაც შეეხება მეორე მომენტს, ვფიქრობ, ის პირდაპირ კავშირშია სეფერისის უნივერსალისტურ თანაგანცდასა და იმის წვდომასთან, თუ რას ნიშნავს, იყო ცოცხალი, იყო ადამიანი, იყო შენი დროის შვილი, რასაც თან ერთვის მისი *'Romiosýni'*-ს (მისი „ბერძნულობის") გამონვ-

[1] ადაპტირებული და ოდნავ გადამუშავებული ვარიანტი პუბლიკაციისაა: **Richard Berengarten and Paschalis Nikolaou, "Following Black Light", International Literary Quarterly 21, 2015.** ინტერნეტში: **http://www.interlitq.org/issue21/paschalis-nikolaou/job2.php.**

ლილეითი დეტალები *(minute particulars)*[2]. ჩემთვის სეფერისის ბერძნულობა ცხადად, მე ვიტყოდი, თვალისმომჭრელადაც კი გამოსჭვივის თითოეული სიტყვიდან, რასაც მისი კალამი შეეხო. მისი ბერძნულობა მისი ადამიანობის ბირთვია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი ბერძნულობა მნიშვნელოვანწილად შეადგენს მის ადამიანობას. თუმცა ეს მისი თვისება ყველგან ამოიცნობა და ყველაფერს მსჭვალავს, ის მყარი და გახევებული კი არა, პირიქით, მოქნილი და დენადია. წყლის მსგავსად, ის ყველაზე დაბალ ადგილებს ავსებს. სინათლის მსგავსად, ყოვლისმომცველია. მეტიც: ის მკვეთრად განსხვავდება იმ პროვინციულ-მარგინალური გავლენისაგან, რომელიც, თუნდაც ლარკინის „ინგლისელობაში" შეიმჩნევა: სეფერისის *'Romiosýni'* მისი უნივერსალიზმის გასაღებია. მას ფესვი უდგას ამ ავტორის ბერძნულ წარმოშობასა და საბერძნეთის მონატრებაში „ყველგან, საითაც არ უნდა იმოგზაუროს"[3]. ზუსტად ასევე, დაუშვებელია უმნიშვნელოდ მივიჩნიოთ ოქტავიო პასის მექსიკელობა მის „მარტოობის ლაბირინთსა" და „მზის ქვაში". ეს მდგომარეობა სწორედ ის საშენი მასალაა, რომლითაც პასი თავის უნივერსალიზმს აგებს. ორივე შემთხვევაში პოეტის უნივერსალიზმი და მშობლიურ ისტორიაში, ენაში, კულტურაში – და ლანდშაფტშიც – მისი ფესვგადგმულობა ერთიმეორესთან უმჭიდროეს კავშირშია, ერთიმეორეზეა დამოკიდებული და თანაბრად მნიშვნელოვანია.

ჩამოვთვლი მთავარ განმაპირობებელ მოტივებს და მოვიყვან ნიმუშებსაც იმისა, თუ გამუდმებით რატომ ვუბრუნდები სეფერისს, როგორც მკითხველი, რათა სიამოვნება განვიცადო და ჩემს თავს ჩავუღრმავდე, და რატომ მივიჩნევ მას, როგორც პოეტს, ოქტავიო პასის გვერდით, თანამედროვეებს შორის ჩემს მთავარ მასწავლებლად.

ჯერ ერთი, შეუძლებელია, სეფერისი ოდენ ზედაპირულ, გონებრივ დონეზე აღიქვა, როგორც ეს ზოგიერთი ინგლისელი, ამერიკელი თუ ფრანგი პოეტის შემთხვევაშია შესაძლებელი. სეფერისის პოეზიის გათავისებას ისეთი შრეები აქვს, რომლებიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ემოციური, გრძნობადი და უკიდურესად შინაგანი. სეფერისის კითხვა მოითხოვს, მისივე სიტყვებით, „სულისა და ხორცის" ჩართულობას, – ეს სიტყვები მისი 1946 წლის დღიურის მნიშვნელოვანი პასაჟიდანაა, სადაც ის აღწერს, თუ როგორი ზეგავლენა აქვს პირადად მასზე საბერძნეთის მზის სინათლეს[4]. რაც შეეხება მისი ხმის [illegible] ჟღერას, ის გამუდმებით შეიგრძნობა მის ტექსტებში, მაგრამ ამით არ ვგულისხმობ იმ ყელისმიერ, ლამის მუცლისმიერ ხმას, რომლის შთაბეჭდილებაც გვრჩება, თუნდაც, ტედ ჰიუზის კითხვისას, არც ჯერარდ მენლი ჰოპკინსის, დილან ტომასის თუ უ. ს. გრეჰემის მანერულ და, ამავდროულად, რაღაცაირად შებოჭილ კილოს, არამედ ერთგვარ გამჭოლობას, რომელიც თავისთავად, უმჭიდროესად უკავშირდება სინკრეტულ და სინესთეტიკურ უშუალობას. სეფერისი დახვეწილ ილეთს მიმართავს: მისი პწკარების კილო და დიქცია მუდამ რბილ („თავდაჯერებულ", „მშვიდ", „ნეიტრალურ", „ნორმალურ") საუბარს შეესაბამება და მუდამ უშუალოდ და არაფორმალურად მიმდინარე აწმყოს რეჟიმში მოგვევლინება, თუმცა ამ კონტექსტებიდან ხშირად შეიძლება არაამქვეყნიური, ნუმენოზური გამოგვეცხადოს. მაგალითისათვის, დავუფიქრდეთ ლექსის „ი. ს.-ს მანერით" ერთ-ერთ ბოლო პწკარს:

> Σφυρίζουν τα καράβια τώρα που βραδιάζει στον Πειραιά.
> [Sfirízoun ta karávia tóra pou vrathiázei ston Peiraiá.]
> (ხომალდები გუგუნით გვამცნობენ პირეუსზე
> ბნელის ჩამოწოლას).

ეს პწკარი მუდამ მიმაჩნდა სეფერისის ერთ-ერთ უმშვენიერეს მცირე „მიღწევად", მისი მოკრძალებული და სადა მუსიკისა და მისი გამჭვირვალე უბრალოების გამო, რომლის ცენტრშიც სმენითი და ვიზუალური აღქმისადმი სიყვარული ძევს. ნამის ეფემერულობა აქ თანადროულადაა გადმოცემული სმენითი და ხილული ეფექტით: გემის საყვირების გუგუნი და ჩამოწოლილი სიბნელე – ორივე წარმავალია. ეს კომპაქტური მხატვრული სახე, ამასთანავე, სახასიათო პარადოქსულ ამოტრიალებას შეიცავს. აქ ორი ძაფია ერთურთთან გადახლართული: ერთი გულისხმობს სილამაზის ფიზიკურ, ხელშესახებ განცდას მთელი მისი სისრულით; ხოლო მეორე პირველზეა შემოხლართული და გამოხატავს სულის დაუოკებელ სწრაფვილს, იმაზე მეტი განიცადოს, რასაც მას ეს ნამი აწვდის. ის, რაც მე ამ რთული გამოცდილების ფარგლებში ორი ურთიერთგადახლართული ძაფის სახით წარმოვიდგინე, ცხოვრებაში ერთიმეორისაგან ისედაც განუყოფელია; სეფერისი სინამდვილეს აუთენტურად და ერთგულად აგვიწერს.

თუკი ამ მეტაფორას განვავრცობთ: პოეტი გვიჩვენებს სინამდვილის ძაფების გაუხსნელ კვანძს. ასრულება და განხორციელება გარდუვალადაა გადახლართული სწრაფვასთან შეუძლებლისაკენ, რაღაც ისეთისკენ, რაც გარდუვალად იკარგება,

---

[2] იხ. **S. Foster Damon, A Blake Dictionary, London, Thames and Hudson, 1979: 280.**

[3] იხ. საწყისი პწკარი სეფერისის ლექსისა „ი. ს.-ს მანერით" **Collected Poems (bilingual Greek-English edition, trans. Edmund Keeley and Philip Sherrard), London, Jonathan Cape, 1969: 107.**

[4] სეფერისის **1964** წლის **17** ივლისის დღიურის ჩანაწერი, სადაც „შავი ნათელის" შესახებაა ლაპარაკი, იხ. წიგნში: **A Poet's Journal: Days of 1945_1951** (trans. **Athan Anagnostopoulos), Cambridge, MA: The Belknap Press of Harvard University Press, 1974: 31.** ეს პასაჟი რიჩარდ ბერენგარტენმა მეორე ეპიგრაფად წაუმძღვარა თავის ციკლს „შავი ნათელი" კრებულში: **For the Living: Selected Longer Poems 1965_2000, Exeter, Shearsman Books: 149.**



გიორგოს სეფერისი

მიუღწეველი რჩება, ვიდრე დროსა და სივრცეში ვარსებობთ: ესაა არსებობის, მოცემულობის არსი – *thisness (haecceitas)*. სეფერისის კითხვისას ხშირად მეუფლება იმის განცდა, რომ გოეთეს შთამბეჭდავი ფრაზა – "Verweile doch, du bist so schön" („შეჩერდი, წამო! მშვენიერი ხარ") – სადაც ის ერთდროულად ხოტბასაც ასხამს და დასტირის კიდეც წამის წარმავალობას, აქაც გამუდმებით ჟღერს, იკარგება და კვლავაც ჟღერს სუნთქვის თუ გულისცემის რიტმულობით, როგორც სისტოლა და დიასტოლა, მაგრამ, ამასთან, არც ხოტბა და არც ტირილი პირდაპირ არ გამოითქმის.

ჩემი ღრმა რწმენით, ამქვეყნიური არსებობის სისავსისა და ნანატრის მიუწვდომლობის ეს ურთიერთდაგავშაჭვულობა სწორედ ისაა, რაც სეფერისის პოეზიის სპეციფიკას განსაზღვრავს. სხვა, კიდევ უფრო ცნობილ პწკარში, რომლითაც იწყება ლექსი „ი. ს.-ს მანერით" – „სადაც არ უნდა გავემგზავრო, საბერძნეთი ჭრილობად მაჩნია", – სიტყვა „ჭრილობის" ფიზიკურობა გადაჩლართულია ღრმად პირადულ გრძნობასთან, რომელიც მგზავრის მიუსაფრობასა და სამშობლოს მონატრებას გულისხმობს, რასაც უმძაფრესად გადმოგვცემს თანამედროვე ბერძენი მეზღვაურის, სტრატის ტალასინოსის ოდისევსისებრი ფიგურა – სეფერისის ყველაზე უფრო სახასიათო და მრავლისმთქმელი პერსონაჟი. ეს ფორმულა უზუსტესად შეესაბამება Romiosýni-ის ცნებას და ამავდროულად, ნაცნობია ყველასათვის, თუნდაც უცხოელი სტუმრისთვის, ვისაც კი საბერძნეთის სახმელეთო და ზღვის პეიზაჟები უნახავს მიეზიის ტერიტორიაზე ყველა გამოწვლილვითი დეტალი, ყველა ადგილი, საცხოვრისი და ყველა სახელი[5], ყველა კურთხეული სწრაფვა წესრიგისაკენ[6] უნივერსალურობის სიმაღლეზეა აყვანილი და ისევე, როგორც ამ შემთხვევაში, ნებისმიერი მოგზაურის ნოსტალგიას გამოხატავს, განურჩევლად იმისა, თუ სადაა მისი სამშობლო.

ფიზიკურობისა და მონატრების ან გაწყვეტელი ურთიერთშეხამების გვერდით, არის კიდევ ერთი რამ, სეფერისის პოეზიაში უცვლელად რომ მონაწილეობს – ესაა ეროსი. ქვემოთ მოყვანილი მონაკვეთი საუკეთესო მაგალითად მიმაჩნია. ეს პასაჟი წარმოადგენს ცენტრალურ ნაწილს პოემისა „მოგონება II", სადაც ლირიკული „მე" ეფესუსში (დღევანდელი ეფესი თურქეთში) ანტიკური თეატრის ნანგრევებს ესტუმრება, რომელიც სეფერისის მშობლიური ქალაქის, სმირნას (დღეს იზმირი) მახლობლად მდებარეობს. ის ხვდება უცნობ მამაკაცს, რომელიც ეუბნება:

„ლექსი ყველგანაა. შენი ხმა
ზოგჯერ მიჰყვება მას გვერდიგვერდ,
როგორც დელფინი მოკლე დროით დაემგზავრება
იალქნიან ხომალდს, მზით მოოქროვილს,
შემდეგ ჩაყვინთავს. ლექსი ყველგანაა,
ქარის ფრთებივით, ქარით მოდენილს,
თოლიას ფრთას წამიერად რომ შეეხება.
ჩვენი ცხოვრების მსგავსად და თან მაინც სხვაგვარად,
ვით ქალის სახე იცვლება და იგივე რჩება,
ტანთ რომ გაიხდის. ვისაც ჰყვარებია,
მან იცის: სხვა ადამიანთა ხედვა
სამყაროს ბილწავს. მაგრამ ხომ გახსოვს:
ჰადესი და დიონისე მაინც ერთია.[7]

ეს პასაჟი ბრჭყალებშია ჩასმული, რადგან ამ სიტყვების მთქმელი უცნობი მამაკაცი ლირიკულ „მე"-ს დახვდება „მჯდომი ქვის ნამსხვრევზე, ძველისძველი კარიბჭის თაღს რომ წააგავს", თითქოს რაღაც იდუმალი გასასვლელის თუ ზღურბლის გუშაგი იყოს. ამ მოსაუბრის ფიგურა და მის მიერ შექმნილი განწყობა, მის იდუმალ წინასწარმეტყველურ სიტყვებთან ერთად, გასაოცრად წააგავს დანტესებრ „ნაცნობ მაკავშირებელ აჩრდილს", რომელიც ელიოტის ლექსში „მსუბუქი თავბრუსხვევა" პოეტის ლირიკულ „მე"-ს ესაუბრება. თუმცა, ელიოტის პერსონაჟისაგან განსხვავებით, მისი ნათქვამი არც შავბნელია, არც ავბედითი, არც ინფერნალური. განმეორებადი ფრაზის – „ლექსი ყველგანაა" – შეულამაზებელი უბრალოება, მისი შინაარსის სიბრძნესა და მშვენებასთან ერთად, რომელიც ხმადაბლა გადმოგვცემს ფენომენთა სამყაროს აღქმით მოგვრილ

[5] William Shakespeare, A Midsummer Night's Dream: Act V, Sc. 1, l. 18.

[6] Wallace Stevens, "The Idea of Order at Key West", in Collected Poetry and Prose, New York, NY: Library of America: 106.

[7] Seferis 1969, op. cit.: 373.

მთელ სიხარულს, სეფერისის გენიის მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ამ მონაკვეთის თითქმის ხელშესახები შემზარაობა რამდენადმე უკავშირდება მოქმედების ადგილის ჟრუანტელისმომგვრელ უდაბურობას, ექოსმიერ ჟღერადობას, ეს ხომ ძველბერძნული თეატრონის ნანგრევებია, – აქ, შესაძლოა, ერთგვარი ეპიფანიაც იყოს ნაგულისხმევი: თითქოს ამ სიტყვებს რომელიმე უცხო ანტიკური ღვთაება წარმოთქვამდეს, რასაც მისი „უეცარი გაუჩინარებაც" გვაფიქრებინებს და რასაც კვლავ მოჰყვება საკვანძო ფრაზის – „ლექსი ყველგანაა" – გამეორება. მაშინ, როდესაც მდგრადი სახეები თავისი სიცხადით გრაფიკულია (უშუალოა, ხელშესახებია), თითქოს ამოტვიფრული ან გამოქანდაკებული იყოს, ისინი, ამავე დროს, წამიერი, წარმავალი და აქროლადია: მაგალითად, „იალქნიანი ხომალდი, მზით მოოქროვილი", ანდა ის ქარი, „თოლიას ფრთას წამიერად რომ შეეხება". ამ სახეთა სიმყარის და ეფემერულობის პარადოქსული ურთიერთშერწყმით მათი თავისებურებები არ ამოიწურება. ეს სახეები ერთურთს ფარულად, სინესთეზურად ერწყმის: „შენი" ხმა (იმ პოეტის ხმა, ვინც ლექსს წერს და, იმავდროულად, იმ მკითხველისაც, ვინც მას კითხულობს) შედარებულია (თუ გაიგივებული?) „დელფინთან, [რომელიც] მოკლე დროით დაემგზავრება იალქნიან ხომალდს". ან იქნებ ხომალდით პოეტი (თუ მკითხველი?) მოგზაურობს, ხოლო ლექსი დელფინთანაა გაიგივებული? ან იქნებ ორივე ინტერპრეტაციას აქვს თანადროული არსებობის უფლება, ოღონდაც ისინი მხოლოდ მონაცვლეობით, ერთურთის ალტერნატივის სახით იკითხება? რაც შეეხება თოლიას, ის ჩვენს ცნობიერებაზე მინიმალურად მომაბეზრებლად მოქმედებს, რადგან თვით ზღვის ლანდშაფტი მის იქ ყოფნას ითვალისწინებს. დელფინის გვერდით, ეს ფრინველიც დასახელებულია, როგორც კიდევ ერთი „დროებითი თანამგზავრი" და უეჭველად მოჩანს გემის ბორტიდან თუ კიჩოდან. სეფერისის გენიასათვის ასევე დამახასიათებელია ის ორი პწკარი, რომელიც ადარებს (იქნებ კვლავაც აიგივებს?) ლექსს „ქარის ფრთებს, ქარით მოდენილს, წამიერად თოლიას ფრთას რომ შეეხება". ამ სტრიქონების სიღრმე და სილამაზე განუმეორებელია, ქარისა და ფრთების შეხამება მოლივლივე ფრენასაც გულისხმობს და სუნთქვასაც, სულის შებერვასაც (ინსპირაციას). ეს კომპლექსური მხატვრული სახე თვითონვე შეიცავს იმ პაუზას, რაც მისი საზრისის წვდომისათვის გვესაჭიროება. მისი მომენტი, მისი იმპულსი სრულყოფილადაა მოხელთებული, გადმოცემული, განვითარებული – თითქმის ფოტოგრაფიულად – თუმცა არა ხანგრძლივად. მის წამიერ არსებასთან შეგუებული პოეტი მის შეჩერებას არ ცდილობს, უფლებას აძლევს, უკვალოდ გაიფანტოს და ადგილი დაუთმოს სხვა სახეს.

აქ კი უსათუთესი ეროტიკული სურათი წარმოგვიდგება, როგორც ემანუელ ლევინასი შეგვახსენებს არაერთ თავის წიგნში, სწორედ სახე – რომელშიც საცნაური ნაკვთები იკითხება – არის და მუდამ დარჩება იმად, რაც ადამიანებად გვხდის. აქ მამაკაცი (პოეტი და მეტრფე) – და, იმპლიციტურად, მკითხველიც – უცქერს ქალს, რომელიც ტანთ იხდის, არა მხოლოდ ეროტიკული სურვილით, არამედ გამოუთქმელი თანაგანცდითაც. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ის შიშველ ტანს კი არა, სახესა და ამ სახეზე ოდნავშესამჩნევ ცვლილებებს აკვირდება. და კვლავაც: ეს სურათი ცოცხალია და მის ყველა კონოტაციაშია განცდილი, მაგრამ ის, ამავდროულად, წუთიერიცაა, პოეტი მას წამით მიიჩვევს, მიუხლოვდება და ისევ ხელიდან უშვებს. ცენტრალური აქ არა მხოლოდ თვით ქალის სახეა, მისი თავისთავადობაში, არამედ მისი ცვალებადობაც და, ამავდროულად, მისი ცნობადი უცვლელობაც: „ვით ქალის სახე იცვლება და იგივე რჩება". ეს სიტყვები ერთბაშად ელვისებურ მიგნებად იქცევა, „ჩვენი ცხოვრების" რაღაც საიდუმლოს გვიმხელს და ბოლო პწკარს ეხმიანება, რომელიც ჰერაკლიტეს გამონათქვამს წარმოადგენს. ამგვარად, გრძნობადი, ეროსი, სიღრმე, ტკივილი, ლხინი, მონატრება და ღვთაებრივი გამოცხადება – ყოველივე ეს სეფერისმა აწმყოს მომენტის ასახვაში მოაქცია.

ეროსი სრულიად ჰუმანიზირებულია. სეფერისის ხედვას ერთი მისხალი უხამსობა, გულგრილობა თუ ავადმყოფურობაც კი არ ახლავს თან: ის დიდსულოვანი, თბილი, თანამგრძნობი და გახსნილია. არც დუალისტურია; და ამ თვალსაზრისით, სეფერისის მსოფლაღქმა დიამეტრულად განსხვავდება ელიოტის მსოფლაღქმისაგან. პირადად მე სეფერისის გზა უფრო დიადი მეჩვენება. ელიოტთან სექსუალობა მუდამ დისკომფორტის (ნერვიულობის, ფორიაქის, უხერხულობის, სირცხვილის, ზიზღის) კონტექსტშია მოქცეული, რასაც თვალსაჩინოდ ვხედავთ „პრუფროკის" გარშემო დაჯგუფებულ ადრეულ ლექსებშიც და „ბერნ მინაშიც". ელიოტთან სექსუალობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს ჯანსაღ ხასიათს, როცა ის სიმბოლურადაა წარმოდგენილი, ანდა რელიგიური განცდითაა სუბლიმირებული, ან კიდევ, ასე ვთქვათ, „ვარდების ბაღშია" მოქცეული. ამის საპირისპიროდ, სეფერისთან ეროსი სულშიც ისევეა ფესვგადგმული, როგორც სხეულში; ეს ორი ერთურთს არ ემიჯნება და მათი გამიჯნვის აუცილებლობა არც იგრძნობა; სული და ხორცი ერთურთს არ გამორიცხავენ. ეს აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ მკითხველის გულშიც მოზეიმე ეროსმა დაისადგუროს. ვფიქრობ, გული აქ ყველაზე შესაფერისი სიტყვაა. ის საჭირო დიდსულოვნებას შეიცავს. სეფერისის კითხვისას ერთბაშად შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ღვთაებრივი, გამოუთქმელი გარს მოგვდგომიათ, მაშინ, როდესაც ფეხი ჯერ კიდევ მყარად გიდგათ მიწაზე.

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ*

# ლექსი-გამოსახულებები

ამ გამოცემაში შესული ლექსი-გამოსახულებები, რომლებიც პოეტ რიჩარდ ბერენგარტენს ეკუთვნის, ტიპოგრაფიკის სპეციალისტთან და ვიზუალურ არტისტთან, უილ ჰილთან, ერთად შესრულებული ნამუშევრებია. ისინი 32-სურათიანი სერიის ერთ ნაწილს შეადგენს, რომელიც 2018 წელს დაიბეჭდება წიგნის ფორმატით გამომცემლობა Dos Madre Press-ის მიერ (ცინცინატის შტატი, აშშ). ამ სერიის ყველა ნაწარმოები 4 ასოიანი სიტყვებით აგებული ანაგრამაა, რომელთაგან თითოეულში დაგროვილი 16 ასო (4x4, ანუ $4^2$ მიანიშნებს წრისა და კვადრატის სრულყოფილ სიმეტრიაზე. ამ კონფიგურაციებში იგულისხმება არამარტო ძველი საბერძნეთის პლატონური და პითაგორიანული ტრადიციები, არამედ მინიშნებაა იმაზეც, რომ ძველ ჩინურ კოსმოლოგიაში კვადრატი აღნიშნავდა მიწას, ხოლო წრე – ზეცას. აქ ასოები მათთვის საჭირო ვიზუალური ვარირებით გვიჩვენებს შეუმჩნეველ გადაცდომებს სიმეტრიიდან, რიცხვებისა და ასოების კომბინაციები კი ეხმიანება ებრაულ კაბალისტურ მოტივებს და შეგვახსენებს არქეტიპებს. ტრადიცია და მოდერნი ერთიანდება გამოსახულების დიზაინში, რომელიც ციფრულ მეთოდებს მიმართავს ტიპოგრაფიკული ფორმების სტრუქტურის ასაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა









### ავეჰური (1972)

წინასწარმეტყველი არ ვარ, მაგრამ მჯერა, რომ დიდებული ლექსი დაწერე.

*ოქტავიო პასი /მექსიკა/*

### ხე (1982)

უნიკალური და ორიგინალური „ხის ენციკლოპედია" არა ბოტანიკის მეცნიერების კუთხით, არამედ სიმბოლისტურ-მითოლოგიური და არქეტიპული აზრით, როგორც არაჩვეულებრივი ცოცხალი არსების არსებობის მტკიცებულება და ზეიმი.

*სტეფანო მარია კასელა /იტალია/*

### ანგელოზები (1982)

ყველაზე განსაცვიფრებელი ნაწარმოებია „ანგელოზები" შედარებით ახალგაზრდა ინგლისელი პოეტის, რიჩარდ ბერენგარტენისა. მას, ბლეიკსა და მანდელშტამს შორის მდგარს, ვფიქრობ, ამ ანთოლოგიის ავტორთა შორის ყველაზე მეტი შანსი აქვს დიდებას გამოჰკრას ხელი.

*ჰაიმ ჩერტოკი /ისრაელი/*

### შავი სინათლე (1983)

სტრუქტურისა და ვარიაციულობის სასწაული, აყვანილი ისეთ ხარისხში, როცა შეუძლებელი ხდება ლექსებს შორის საუკეთესოს დასახელება. ესაა ცეცხლოვანი შავის მთლიანობა.

*კიმონ ფრაიარი /აშშ-საბერძნეთი/*

### კემბრიჯის პოეზიის ფესტივალი (1975–1985)

საზოგადოების, ერთობის თავისებური ხედვა, რაც ბერენგარტენის მოტივაციას წარმოადგენდა, 1975 წლის კემბრიჯის პოეზიის ფესტივალის მომზადებისა და ხელმძღვანელობის დროს, არსებითია მისი პოეზიისა და პოეტიკის გასაგებად.

*მიკ გოვარი /დიდი ბრიტანეთი/*

### სრულყოფილების წინააღმდეგ (1999)

ჩვეულებრივ, ასე ხდება ხოლმე დიდ პოეზიასთან შეხებისას: შეგიძლია ბევრჯერ მიუბრუნდე, ხელახლა წაიკითხო და იპოვო სინათლის ახალი წყარო – ხედავ, როგორ იწელება ენა მისი მნიშვნელობების უკიდურეს ზღვრამდე და მის მიღმაც; პრიმიტიული მისტიციზმის განცდა, მოულოდნელი გამჭვირვალე სიმარტივე ენისა პირდაპირ გულის ალიდან იღებს სათავეს.

*პიტერ თომფსონი /დიდი ბრიტანეთი/*

### „საღამოს ტყეები" (1999)

ამ კრებულს ბერენგარტენი აჰყავს თავისი ტრანსცენდენტური ძალების სიმაღლემდე.

*სიმონ ჯენერი /დიდი ბრიტანეთი/*

### მენეჯერი (2001)

ვგონებ, სრულიად მართებულია, ვიფიქრო, რომ „მენეჯერი" შედევრია და მომავალი თაობაც ასეთად მიიჩნევს მას.

*ჯაილზ გორდონი /დიდი ბრიტანეთი/*

ბერენგარტენი პოლემიკურ დიალოგშია თავის წინამორბედებთან – ელიოტთან და პაუნდთან – სწორედ იმ პარადიგმების ტერმინებით (და მათი საშუალებით), რომლებიც მათ დაუდგინეს „მოდერნისტულ" ლექსს.

*მანანა გელაშვილი, თემურ კობახიძე /საქართველო/*

რიჩარდ ბერნსი მხატვრული სახეების უდიდესი ოსტატია. მისი სახეები ლაპარაკობს და ლაპარაკობს იმ სიმარ-თლეზე, რომლის მოხელთება შეუძლებელია სხვა გზით.

*ზიგმუნტ ბაუმანი /პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი/*

ზღაპრული ნამუშევარია. რიჩარდ ბერენგერტენს ხელი უდევს ყრუ მაჯისცემაზე.

*ბარი მაქსუინი /დიდი ბრიტანეთი/*

### წიგნი უკანა ყდის გარეშე (2003)

ამ წიგნის ინოვაციური ხასიათი და ის გამოწვევები, რასაც ის უწყობს „წიგნის" კონვენციურ აზრებს, მას ანიჭებს უაღრესად ორიგინალურ და, შეიძლება ითქვას, უნიკალურ ადგილს თანამედროვე ბრიტანულ პოეზიაში.

*მარკ ფაირაი /ახალი ზელანდია/*

ბრწყინვალედ გადმოცემული ჩინური გავლენები ბერენგარტენის ლექსებში თავის მხრივ განაპირობებს და გავლენას ახდენს ამ ლექსების ჩინურ თარგმანებზე, რომლენადაც ისინი განვლილ გზას გადიან „უკან", ჩინური პირველწყაროსკენ.

*ტან ჩი-ლეი /სინგაპური/*

### ბალკანური ტრილოგია (2005–2008)

„ორპირის დროში" და „ლურჯი პეპელა" არამარტო ცხადყოფს ბერენგარტენის, როგორც მნიშვნელოვანი ევროპელი მწერლის რეპუტაციას, არამედ მათში გამოხატული დამოკიდებულებით უნივერსალური თემების მიმართ ცხადდებით, რომ დიდ პოეტთან გვაქვს საქმე.

*ალექსანდარ პეტროვი /სერბეთი, 2006/*

ეპიკური პოემები იშვიათობას წარმოადგენს. ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, რიჩარდ ბერენგარტენი ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი ნახევრად-ჩრდილში მყოფი პოეტია.

*ჯორჯ სზირტესი /დიდი ბრიტანეთი/*

„ლურჯი პეპელა" არის წიგნი დავიწყების, მივიწყების წინააღმდეგ.

*სლობოდან რაკიტიჩი /სერბეთი/*

### IMAGEMS I (2011)

ეს ღრმა ესეები იმიტომ დაიწერა, რომ შეგვახსენოს – დიდ ლიტერატურას მხოლოდ დიდი პოეტები ქმნიან.

*აგ აპოლონი /კოსოვო/*

ამ გაბედულ წიგნში რიჩარდ ბერენგარტენი მოგვიწოდებს, რომ ვცნოთ და ხელახლა ვაღიაროთ პოეტის, როგორც

ორფევსის მემკვიდრის, კოსმოსის მომღერლის, შამანების ქურუმისა და სულის მკურნალის არქაული მოვალეობანი.

*ნორმან ფინკელშტაინი /აშშ/*

## კრიტიკული თანამგზავრი (2011)

პოეტების ყოველ თაობაში არსებობს დაფარული განძი. ერთი ასეთია რიჩარდ ბერენგარტენი – პოეტი, რომელიც თავის ეპოქას უსწრებს და თან თითქოს მანამდეც არსებობდა. რიჩარდ ბერენგარტენის ლექსების მატრიცა ჩანს არა მთელის ნაწილში (სტივენი), არამედ იმ მითოსში, რითაც პოეტი ცხოვრობს, როცა გზას უნათებენ ისეთი ნიშანსვეტები, როგორებიც არიან აი ჩინგი, ბლეიკი, შელი, იეიტსი, სტივენსი, სეფერისი, პასი და ლალიჩი.

*ანტონი რუდოლფი /დიდი ბრიტანეთი/*

რიჩარდ ბერენგარტენის ტრანსფორმაციის ხელოვნება აერთიანებს სხვადასხვა ხედვას გაელენების ფართო სპექტრიდან, მაგრამ მისი ხედვა მხოლოდ ამ სამყაროსეული არ არის. ბერენგარტენი ის პოეტია, რომელიც მიწისქვეშა მოგზაურობას გადის, მას ჰადესიდან ესმის ხმები, როგორც ყველა პოეტს, ვინც სიყვარულისა და სიკვდილის ფუნდამენტური საკითხებით არის დაკავებული და ასე იქნება ყოველთვის.

*ჯერემი ჰუკერი /დიდი ბრიტანეთი/*

ბერენგარტენი ყველას გვეკუთვნის: ის არის ბერძენიც, იტალიელიც, იუგოსლავიც: მოკლედ, ის ხმელთაშუაზღვისპირელია. ლურჯი პეპელა, რომელიც წუთით შეისვენებს ინგლისელი პოეტის ხელზე ის დალია, რომელიც ეპოქის სულმა დაასვა მას – თუმცა ეს უმსუბუქესი, ოდნავი შეხებაა მხოლოდ, რომელიც პოეტს ფხიზლად ამყოფებს იმისათვის, რომ ადამიანური ისტორიის საშინელებები დაინახოს.

*მარიო ნიკოლაო /იტალია/*

ბერენგარტენის პოეტური ნაწარმოებები ხის სტრუქტურას მოგვაგონებს. ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე ევროპელი პოეტია, რომლის ნამუშევრები აერთიანებს ძველი კონტინენტის პრაქტიკულად ყველა კულტურულ ღირებულებას. ეს სინთეზი განათებულია ჭეშმარიტი ჰუმანიზმით, კაცობრიობის რწმენითა და იმედით.

*რაჟვან ვონჩუ /რუმინეთი/*

## ინსტრუქცია (2013)

ბერენგარტენი სამყაროს მთლიანობაში აღებულს ხედავს: მას ესმის, რომ ყველაფერი კავშირშია და მისი პოეზია გვიწვევს საიმისოდ, რომ შევიცნოთ ან დავიმახსოვროთ ეს საყოველთაო დაკავშირებულობა. ამგვარი ჰოლისტიკური ხედვა შეიძლება ჩვენი გადარჩენის საშუალებად იქცეს ამ სულიერად გალარიბებულ ეპოქაში.

*პაულ სკოტ დერიკი /ესპანეთი/*

## NOTNESS (2015)

უზარმაზარი შრომა, იშვიათი მიღწევა. ბერენგარტენი ებრაელი პოეტების იმ დიდ ტრადიციაში ზის, რომელიც აერთიანებს მანდელშტამსა და ცელანს. ეს შესანიშნავი სონეტები ნამდვილად გაუძლებს დროს.

*ანე სტევენსონი /აშშ, დიდი ბრიტანეთი/*

ეს ლექსები ჩვენი ეპოქის ანტიმეტაფიზიკური ცრურწმენის წინააღმდეგ გამოდის. თითოეული სონეტი ბროლის ჭურჭელს ჰგავს, რომელშიც იშვიათი და ძვირფასი სითხე გამოიხდება.

*როდერიკ მაინი /დიდი ბრიტანეთი/*

ინტელექტუალური სერიოზულობა მახვილგონიერებით იკვებება და გასაოცარი ტექნიკური მარაგით საზრდოობს. შესანიშნავი ნამუშევარია, ახალი ჰორიზონტის მაჩვენებელი, ინტელექტუალურად და ემოციურად შთამბეჭდავი.

*კარლ შმიდტი /დიდი ბრიტანეთი/*

## ცვლა (2016)

ეს არის ბერენგარტენის magnum opus!

*ჯონ მათიასი /აშშ/*

ჩვენს ხელთაა უდიდესი ნამუშევარი: შინაარსისა და ფორმის სრულყოფილი სინქრონულობა და თანაც ისეთი მასშტაბით, რომ წიგნი მაგნიტური მინდორივით მოქმედებს. ბერენგარტენის „ცვლა" გადაკეთება და ხელახალი გამოგონებაა სამყაროს ანტიკური, არასწორხაზოვანი აღქმისა, რომელსაც მოეთხოვება იყოს ბრძნული იმისათვის, რომ გადარჩეს.

*პასკალის ნიკოლაუ /საბერძნეთი/*

ხედვა შემაძრწუნებელი, ეპოსი – მცირე სასიმღერო ლექსებით შეთხზული, პოეზიის კათედრალი, რომელშიც ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია ბგერები, რომლებიც ვიბრირებს გუმბათის ქვეშ.

*პოლ ფაინესი /აშშ/*

როგორც „ცვლის წიგნი", ბერენგარტენის მთელი პოეზია გვაწვდის ცოდნას ამ სამყაროში ჩვენი არსებობის უკეთ შესაცნობად და უკეთესი პერსპექტივისთვის.

*ედვარდ ლუპერი (დიდი ბრიტანეთი)*

2000 წელზე მეტია, აი ჩინგი (Yijing) სტიმულს აძლევს დიდებულ, ნაყოფიერ სულებს და ერთნაირად აწვდის შთაგონებას პოეტებსა და ფილოსოფოსებს. ბერენგარტენის დიდებული წიგნი-ლექსი მყარად ზის ამ ტრადიციაში და გვთავაზობს ადამიანური პრობლემების შესახებ ფიქრის ახალი, შემოქმედებითი გზების მთელ საუნჯეს.

*რიჩარდ ჯ. სმითი (აშშ)*

## „პორტრეტი ინტერ-ხედვებში" (2017)

ბერენგარტენის პოეზია იწვევს მკითხველებს, რათა მათ თვალი შეავლონ მრავალხმოვანი, მრავალენოვანი პოეზიის მექანიკას, რომლის მიმზიდველობა იმაშია, რომ მკითხველი ახლოს მიჰყავს არა იმასთან, რაც უცნობია, არამედ იმასთანაც, რაც ნაცნობია.

*მარია ფილიპაკოპოულუ (საბერძნეთი)*

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# 2 პოეზია

## ანდრო ბუაჩიძე

### პარტიზანას

ჩემს მეზობელ პარტიზანას
აჩუქეს ძაღლი – ნახევრადმგელი.
როცა მოდიხარ შენ სახლში
მთვრალი
და ძაღლი გელის,
და ასე უმზერთ ნახევარმთვარეს
ნახევრადმგლები.

ნახევრადმგლები, ჩვენ ყველა ერთად
ნახევრადმგლები,
ბინებში ვცხოვრობთ ნაღვლით,
ნუხილით და მუცლის გვრემით.
ამ ზამთრისპირზე, ამ ღამის შუქზე
ანთია ბალი
და ბაღშია ნახევრადძაღლი.
ნახევარმთვარეს აცქერდება ნახევრადმგელი,
კორპუსის ძირას ბაღია და
იმ ბაღში გელის.

გადაქცეულნი ამ ცხოვრების
უნდო ხიზანად,
ერთად დადიან ნახევრადმგელი
და პარტიზანა.

და პარტიზანაც არის თვითონ
ცხოვრების გერი,
ნახევრადმგელთან ერთად დადის
ნახევრადმგელი.

ძაღლს ერთი თვალი ძაღლისა აქვს,
მეორე – მგლისა,
და ამიტომაც ყველასთან არის
ის დანასისხლად.

ნახევრადმგლები, ჩვენ ყველა ერთად
ნახევრადმგლები,
ბინებში ვცხოვრობთ, ვწვალობთ, ვირჯებით
და მერე ვქრებით...

### შემოდგომაზე სოფელ დილომში

როცა გადავალ დილმის ბექობზე,
თითქოს ლაჟვარდის ხსენით ვივსები
და გავიხსენებ ჩემს ძველ მეგობრებს,
სადაც ტოკავენ კიპარისები.
სადაც ყოველი კუთხე-კუნჭული
არის წყნარი და ნამყუდროვები,
სადაც მე ვიყლი თვალდახუჭული,
სადაც წარსულის რხევას მოვები.
ეს სივრცე არის სოფელ დილმისა
და მე აქ ვდგავარ აცრემლებული,
სადაც დაფრინავს ქორი ილბლისად,
ლაჟვარდში ოდნავ დაცერებული.
აქ, ამ ადგილას თითქოს საჩემოდ
ყრუ წარსულიდან გმინვა მოისმის,
არ ვიცი, ვლოცო თუ შევაჩვენო
ეს ალბეჭდილი ხსოვნით პოლისი.
არ ვიცი, როგორ არ გავიხსენო
ჩემი ნაძმევნი თუ ძმადყოფილნი,
ცხოვრება როგორ გადავისერო,
რომელშიც დამდევს მათი პროფილი.
აქაც ცხოვრობდნენ ალბათ ცოდონი,
რომ გადაფერდა და თან გარიყა
ცხოვრებამ, აქაც იყო სოდომი,
არ იქნებოდა ვიცი სხვარიგად.
და მაინც უნდო და უპოვარი
აქ ვდგავარ ჩემი ძმების ნიშასთან,
აქ ვდგავარ ჯერაც, მათი მხსოვარი
და მათთან უკვე არა მიშავს რა.

ამ შემოდგომას მეც აქ ამოველ, –
სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინზე
და უკან წავალ ამ საღამოსვე,
უკან გამრიყავს ჩემი ბედივე.
ხელს დამიქნევენ კიპარისები,
მინაზე თალხი ჩრდილის მოთრევით,
ლაჟვარდის ხსენით კვლავ ავივსები
და მოფრიალე წითელ ფოთლებით...

### ვიღაც რომ დადის ნაშუაღამევს

ვინ არის ის, ვინც ფოთლების შვავში
მიდის და თავის სინანულს მისდევს,
უმანკო, როგორც მტრედი და ბავშვი,
ნაშუაღამევს ის არის ქრისტე.

და ჩვენ, მძინარე ადამიანებს,
ჩაგვესმის ძილში ფოთლის შრიალი,
თითქოს ან ყოფნის ნადავლი არის
და მაინც ახლავს რაღაც ბავშვური.

ცაზე ცახცახებს მთვარე ბეწვივით
და თავზე ადგას ვარსკვლავი ცისკრის,
ბაზრის დახლები გადავერცხლილი
მთვარის დარდიან ანარეკლს ისვრის.

გამოვიღვიძე. გამოდი გარეთ,
რადგან ჟამია ახლა ღვიძილის,
გამოდი, ნახე დაღვრილი მთვარე,
და ქვაფენილზე მისი ციმციმი.

გამოდი, შენი სიზმრის ბზარებში,
ღამის შრიალი არის ჩამდგარი,
გამოდი, გარჯა ნუ გეზარება
და მოისმინე ღამის ნათქვამი –

რომ მიაბიჯებს ფოთლების შვავში,
მიდის და თავის სინანულს მისდევს
უმანკო, როგორც მტრედი და ბავშვი,
ხომ შეიძლება ის იყოს ქრისტე...

### სახსოვარი

აქედან ვუმზერ გარდასულებს, ვით ამბრაზურას
და მიჭირს ახლა გავიხსენო რამე გარკვევით,
იყო ცხოვრება სპექტაკლივით და ის დასრულდა,
რადგან ისინი აღარ ჩანან უკვე სარკეში
და არც უსარკოდ. ასეთია ხვედრი ნასულთა.
კინოჩვენება იყო თითქოს, ანდა თეატრი;
აბსურდის? დასრულებით მართლა დასრულდა,
დანარჩენი კი მართლა იყო? ან რას შეადრი
მათ ყოფნას? თითქოს აჩრდილები დარჩნენ კედლებზე...
იქნებ ეს იყო თოჯინების უხმო სპექტაკლი?
არავინ უხმობს, არც იხსენებს და არც ედრება,
ყოფიერება მათი უკვე სუფთა დაფაა.
არაფერია არყოფნაზე უფრო სპეტაკი.

### მიკიოტი ქალაქში

მთელი სიცოცხლე რასაც ვკიოდი,
იმას, ყოვნებით და უამურად
ქალაქს გასძახის ყრუ მიკიოტი
და შიგადაშიგ წივის ლამურა.
ძაღლის ყეფაა, ღამეს ფეთებით
აწყდება და ძრავს მარადისობას,
ღამის ქარაფზე გადაფერდებით
ეს სიღავღავე სულ გაისმოდა.
მთელი სიცოცხლე რასაც ვკიოდი,
ამ უმძრახ ქალაქს რითიც ვძაფრავდი,
ღამეს უკივის ეს მიკიოტი
და ღამეც უსმენს, როგორც ნაპრალი.
რა მსურდა, რა მსურს, რა მესურვება,
რა მანაღვლებს ან რა მინაღვლია,
უაზრო დარდი ან ცრუ ხურვება
ამ ყრუ ღამეებს ზედ გადაღვრია.
როგორ ჩამესმის ეს ხმა იოტი,
ღამე წვეთინწვეთ როგორ ივსება,
გათენებისას დუმს მიკიოტი
და ეს ყრუ გმინვა მესაკლისება.

* * *

შენ ალბათ გიკვირს, რა დაამავე,
შენს მყუდრო კუთხეს რომ ვერ მიაგენ
და წყნეთის ქვემოთ ქარი ნარმავებს
სულ დაუდევრად აფორიაქებს.
რა ვრცელია და უკიდეგანო
სივრცე, რომლითაც მზერა ივსება,
ხსნა არ იქნება თვითონ შენგანაც,
ამას ხომ ხვდები უკვე ისედაც.
გადახვალ ხიდზე, სადაც მდინარე
ვერე კვლავ ისევ ისე მიღელავს
და ამჩნევ მწუხრის მსუბუქ მინარევს,
შენ საითაც კი არ გაიხედავ.
ცხოვრებას მოაქვს თავის ზვირთები,
მოაქვს ფოთოლი, ხავსი, ნაფოტი
და გავიწყდება. დაგვიწყებია უკვე მწარედაც,
როცა ჩრდილები წყნარად წვებიან,
ცხოვრებაც წყნარი მოჩანს გარედან.
რატომ დადიხარ, როგორც სალოსი –
ზოგჯერ ფხიზელი, ზოგჯერ ნასვამი
და ვარსკვლავების ტანისამოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რატომ გაცვია შენც იმათსავით?
შენ ალბათ გიკვირს, რა დააშავე,
რასაც ეძებდი, რომ ვერ მიაგენ.
ირგვლივ ლაყბობენ და ხორცს ხარშავენ
და კითხულობენ: პასუხს ვინ აგებს?

**ფითრის ფარაჯა**

გამღვიძებია ღამე ლოგინში,
შემომყინვია მთვარე სახეში,
მობეზრდა ალბათ მთვარეს ბოგინი,
შემშინებია გულის გაგლეჯის.

აქვე ცხოვრობენ, აქვე არიან,
ამ ჩემი დარდის მოწილადენი,
ვინ ცოცხალია და ვინ მკვდარია,
უკვე ბევრია, ღმერთო... რამდენი!

გამღვიძებია კვლავაც ლოგინში,
კვლავაც ლოგინში გამღვიძებია,
მომბეზრებია სიზმრად ბოგინი,
მერე მიმხვდარვარ: არ მძინებია.

ეს რა მიქნია, რა მიცხოვრია,
ცხოვრება ხელში გამცურებია,
და მერე აღარც დამხსომებია,
რა მყვარებია, რა მძულებია.

გამღვიძებია ღამე ლოგინში,
შემომყინვია მთვარე სახეში,
მუდამ უძილო და ძილმოგვრილი
მოლოდინში ვარ გულის გაგლეჯის.

ღმერთო, ეს მთვარე ჩემს ფანჯარასთან
თვალიერით ელავს და იწკურება,
როდის გაიხდის ფითრის ფარაჯას
და როგორ შევძლებ ამის ყურებას.

**ნაშუაღამევს**

მე იმ უეცარ ნამებს შევესწარ,
ნაშუაღამევს რომ ბრუნდებოდი,
ჩვენ კი გელოდით და კიბეებზე
ისმოდა შენი ლანჩის ფრატუნი.
გზადაგზა ალბათ ხელის ფათურით
ამოდიოდი – გზას მოიკვლევდი –
ჯოჯოხეთური ბნელი კიბეთი;
მე იმ უეცარ ნამებს შევესწარ
და მეც ჯვარს ვეცვი მაგ კიბეებზე...
ჩქამიც არ იყო ზოგჯერ იოტი,
სხივიც არ ჩანდა ზოგჯერ იოტი,
მოგვიანებით მე და შენ ერთად
იმავ კიბეზე ამოვდიოდით...
გავხედავ ახლა ნაშუაღამევს,
შენი საწოლი ცარიელია,
მაგრამ მე ვიცი, უკვე ეს ყოფნა
და მოლოდინი წამიერია;
და თუ გაჩერდა გარეთ მანქანა,
თუ გამოვფხიზლდი და გამეღვიძა,
და თუ გაისმა შენი ფეხისხმა –
ვიტყვი, რომ კიდევ ერთხელ შევესწარ
ამ მოლოდინს და ესეც მეღირსა.

* * *

რა იცის ნეტავ იმ შორ ვარსკვლავმა,
ადამიანთა რა არის ვნება,
და სოფლის თავზე ჯერ არ დამდგარა,
ცისკიდურზე რომ თანდათან დნება.
რა იცის ნეტავ იმ შორ ვარსკვლავმა,
ადამიანთა რა არის ყოფნა,
და ყოველივეს გამომნასკვავმა
ვინ მოამუქა თვითონ ის სოფლად.
ის არ ეხება ადამიანურს,
მხოლოდ ხანდახან ციმციმებს ოდნავ,
და არ ირჯება, რათა მიაგნოს
ფანჯრებში უხმოდ ანთებულ ცოდვას.
კაცი ბრუნდება შუაღამისას,
შეაღებს ჭიშკარს, ისმის ჭრიალი,
გაბეზრებული ძაღლის ღნავილით
ნამთვრალევია და ეჭვიანი.
იქვე კი ქვემოთ გძინავს ქალაქი,
ისიც გაბეზრდა ჩუმი ზრიალით,
არც ფუსფუსია, არც ლაპარაკი,
და არც ვინმეა თანაზიარი...

**ქშატრია**

*შენ ხარ ქშატრია –*
*უნდა ემსახურო რწმენას და მახვილს.*

ბჰაგავატგიტ

მე აღარ დამრჩა აღარც რწმენა, აღარც მახვილი,
რადგან რაც მოხდა, ის ვერასგზით ვერ გავიაზრე,
და კვლავ ქანაობს ეს სიცოცხლე, როგორც ძახველი,
ქანაობს ყოველ დაბერვაზე, ყოველ ნიავზე.
ამაზე კარგი ხვედრი მაინც არ მინატრია,
თუმც არ მეგონა, ტკენა ასე თუ განმმსჭვალავდა,
და ახლა ვზივარ მოცელილი, როგორც ქშატრია,
რომლის ცხოვრებაც უბრძოლველად არ ღირს ჩალად

## მე უილბლო ვიყავი ყოველთვის

მექცეოდა ყავა ახალჩაცმულ პერანგზე
და ხშირად აგებდა ჩემი საყვარელი ფეხბურთის გუნდი.
ტალახის გუბეში მივარდებოდა ფეხი
და ჩიტებს ბევრჯერ დაუსკლინტავთ თავზე.
მე უილბლო ვიყავი ყოველთვის.
რამდენიმე წამით მასწრებდა ჩემი სახლისკენ მიმავალი ავტობუსი
და ბოლო ღერი სიგარეტი მიტყდებოდა შუაზე.
მე უილბლო ვიყავი ყოველთვის.
ჩემი შეყვარებული იყო ნამდვილი მეტაფორა.
და ჩვენი ურთიერთობაც ჰგავდა მეტაფორულ სიტყვებს.
ანუ რეალურ გარემოში არასდროს გამოგვიცდია ეს,
რადგან მე უილბლო ვიყავი ყოველთვის.
საშინლად მარტოსული ვიყავი ამიტომ.
საღამოობით ვსვამდი შავ ღვინოს
და ვფიქრობდი ღმერთის არსებობაზე.
რატომ არ გამოასწორებდა ჩემს უილბლობას?
რატომ არ ჩამოვიდოდა თავისი მთებიდან,
ან არ ამოვიდოდა ჩემი სახლის სარდაფიდან,
და არ მეტყოდა:
„შენ უილბლო იყავი ყოველთვის,
მაგრამ დასრულდა ეს დრო,
დასრულდა ეს საშინელი პერიოდი,
ახლა შენ იღბლიანებს შორის ყველაზე იღბლიანი ხარ!"
მაგრამ მე ხომ უილბლო ვიყავი ყოველთვის
და ესეც უბრალოდ ოცნება იყო.

* * *

კიდევ ერთხელ გადავრჩი.
მე ხანდახან არც კი მახსოვს, როგორ ვწერ ლექსებს.
ეს ნამდვილი ტრაგედიაა.
თითქოს ვიღაცამ პირიდან ხერხემალი ამოგაძრო,
და შენ დაიკეცე სათამაშო თოჯინასავით.
მოულოდნელად უმოქმედო ნაბიჭვრად გადაიქეცი
და შეჰყურებ ირგვლივ მოცეკვავე ტკივილს,
რომელიც მუცელს არაბი ქალივით აქნევს.
თავისუფლად და ტემპში
ძუძუებს სახესთან გითამაშებს,
და ცდილობს, დაგაბას თავისი ჯადოსნური ისტორიით.
მაგრამ მე კიდევ ერთხელ გადავრჩი.
ლექსის დაწერის შემდეგ,
ჩემი დაკეცილი სხეული პარაშუტივით გავშალე
და კიდევ ერთხელ გავფრინდი,
საკუთარ თავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მწვანე თეფშზე დაწყობილი გარგარი,
მომართვა დედამ.
განლეჩილი, კურკის გარეშე.
შემეშინდა,
პატარა ყუმბარებს ჰგავდნენ,
რომლებიც გახსნიდან ხუთ წამში ფეთქდებიან.
ათვლა დავიწყე.
ერთი,
ორი,
სამი,
ოთხი,
და გამახსენდა,
როგორ უყვარდა მამას გარგარი.
ასე აფეთქდა ჩემი ყუმბარა
და ჩემი სული გააცამტვერა.

* * *

ჩემს შეყვარებულს ერთხელ ვუთხარი,
რომ ნაყინივით გოგოა.
ცივი და ტკბილი.
მას დააინტერესა თუ რისი ნაყინი იყო.
მე კი ვუპასუხე,
რომ კარამელის,
კარამელის.
„მწარეა ეგ ისეთი, ყელს წვავს.“
მიპასუხა მან.
მეც დავეთანხმე და გავუმეორე:
ამიტომაც ხარ
ნაყინივით გოგო,
ცივი და ტკბილი,
ამავდროულად მწარე,
კარამელის, კარამელის.

* * *

მოულოდნელად კარი გაიღო და შემოვიდა
ვერცხლისფერი ვენტილატორი.
სიმაღლე ერთი მეტრი და ოცდაათი სანტიმეტრი.
საკმაოდ ვიწრო,
თავზე დამდგარი დიდი შარავანდედით,
რომლიდანაც სახლის თითოეულ კუთხეში
უნდა განაწილდეს გრილი ჰაერის მასები.
ხელი დავავლე და
როგორც საშობაო ნაძვის ხე, მისაღები ოთახის ცენტრში დავდგი.
სადენს მივუერთე და თვალი გავუსწორე.
შეხედე, შეხედე, თავს როგორ ატრიალებს.
რა ამაყია.
ყველას უნდა, რომ დაენახოს,
გადავუჩურჩულე ჩემს ძმას.
„ახლა როგორც უნდა, ისე დაადნოს ჩვენი სახლის ფანჯრები
ამ ახვარმა მზემ.“
წამოიძახა და უკვე თავის გრილი ღიმილი შემომაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომეო იცინოდა

*(ფრაგმენტი რომანიდან)*

*რატი რატიანი*

1.

*„ჩემთვის წითელი ვარდების წვიმა უნდა მოდიოდეს“*
*ჰილდეგარდ კნეფი*

იცინოდა „მოდა-მოდას“ ხუჭუჭთმიანი ბარმენი, რომელსაც გამზრდელმა ბებიამ – საქალაქო ბიბლიოთეკის გამგემ, რომეო დაარქვა, ნახევრად რუსი დედა და სხვები კი რომას ეძახდნენ. დასავლეთში იშვიათად არქმევენ შვილებს ტრადიციულ სახელ-ებს, სამაგიეროდ, აქ ბლომად ნახავთ მსოფლიო ლიტერატურის თითქმის ყველა ცნობილი პერსონაჟის სეხნიას არჩიბალდიდან ჰილდამდე, ცხოვრებისეულ „მოგელისა“ და „გელოდის“, ჯეელ-ებს, გენიოსებს და განგსაც კი.

– დაიწყო ისევ. – მორყეული საწოლიდან თავი ამოტივ-ტივდა. თავი წვრილ კისერზე იდგა, ქალარაშერეული, მეჩხ-ერი თმა დაელექტროებულივით აფშეკვოდა. თავის პატრონმა უკმაყოფილოდ გახედა სიცილისგან აღმუვლებულ რომეოს, გაგლეჯილი ლეიბის ღრმულში უფრო ღრმად ჩაეშვა და ყურ-სასმენები გაიკეთა.

სტუმრები გაკრეფილიყვნენ. ოთახში სპირტიანის ოხში-ვარი სიგარეტის სქელ კვამლსა და სიბინძურის სიმყრალეს ერეოდა. იატაკზე, ჭურჭლის ნამსხვრევებს შორის, მწნილი და პურის ნაჭრები ტალახში აზელილიყო. ლოგინებზე თეთრეუ-ლის ნაცვლად ჭუჭყიანი პლედები და აბურდული ძონძები დაეხვავებინათ. ოთახში უამრავი ნახატი იყო – ზოგი ტილოზე, ზოგი ხის ფიცარზე, ზოგიც – შუაღამისას ვიღაცის ეზოდან მოპარულ კარადის კარზე დახატული. ეს ნახატები, და კიდევ, გაქუცული პოსტერები ფარავდა ლაქებიან შპალერს კედლე-ბზე. სქელი ფარდები საიმედოდ იცავდა ამ გამოქვაბულს სუფთა ჰაერისგან და უცხო თვალისგან.

რომას ხარხარი დაგმანულ ფანჯრებს გასცდა, სექტემბრის მსუყე, გრილი სურნელით სავსე მდუმარე ღამე შეარყია და დიასახლისის კატები დააფრთხო. „მოდა-მოდას“ ტანმორჩილი ბარმენი სამიში ჭიების მოფუთფუთე გორგლად ქცეულიყო – აქ იყვნენ ბრაზის ჭიები, შურის ჭიები, სიბრალულის ჭიები, სასონარკვეთილებ-ის ჭიები, სიმწრის სიცილის ჭიები, მოგონ-ებების ჭიები. ეს ჭიები იკლაკნებოდნენ სახის ნილაბს მიღმა, სწორი, ლამაზი ცხვირი, ვიწრო, საფეთქლებისკენ წაგრძელებული თვალები და გრძელი წამწამები რომ ამშვენებდა; დაძარღვუ-ლი ხელების კანქვეშ, ვიწრო თეძოებს შორის ჩამჯდარ კოხტა ლიპში ფუთფუთებდნენ, ფეხ-ებს შორის მიიწევდნენ და დაუკმაყოფილებელ ერექციას იწვევდნენ. ჭიები უმოწყალოდ ეწე-ოდნენ ცხვირს შუბლისკენ, თვალებს მუხლებ-ისკენ და "მოდა-მოდას" სიმპათიურ ბარმენს კუბისტურ ტილოს ამსგავსებდნენ.

ოთახში სკამზე მობუზული, გამხდარი და გაბზეკილმუცლიანი კატა ძირს ჩამოხტა და სამზარეულოს შეაფარა თავი. რომამ ცხოველს გამყინავი სიცილი მიაყოლა; რომელ იდიოტს მოუვიდა აზრად, რომ ეს უბედური პირუტყ-ვი უძირო უფსკრულს ამოავსებდა და ბრძო-ლის ველზე ოჯახურ სიმყუდროვეს შექმნიდა? გაუმაძღარმა, უშნო კნუტმა, მუცელში ჭიები რომ უფუთფუთებდა, პირველი კვირა ტკბილ სიზმარში გაატარა – პატრონები ერთმანეთს ასწრებდნენ საუკეთესო საჭმლის ყიდვას, სან-ამ არ მობეზრდათ. მალე პატარა, უსახური კატა უსარგებლო ტვირთად იქცა – რაც უფრო ილეოდა, მით უფრო მძიმდებოდა. ლოგინზე ფსამდა და შუაღამისას, სამსახურიდან დაბ-რუნებულებს, ქვეშაგები კატის შარდით გა-ჟღენთილი ხვდებოდათ, სანამ სიმთვრალეში გულაჩვილებული სტუმრებიდან რომელიღაცამ ტუალეტი და ქვიშა არ მოუტანა.

მალე კატამ ფანჯრიდან გასაძრომს მიაგნო და ნაგვის ბუნკერთან სარჩოს მაძიებელი კატების საზოგადოებას შეუერთდა. ეს ბუნკერები ქუჩის კატებისთვის იგივე იყო, რაც ღატაკებისთვის – უფასო სასადილო. ხანდახან ქუჩის გადაღმა, სასტუმროს ფანჯარაზე იჯდა ხოლმე და საათობით ელოდა მდგმურების ნასუფრალს. სახლში მხოლოდ ჩვევის წყალობით ბრუნდებოდა. სიუშნოვეს ხელი არ შეუშლია, ერთი წლისას სამი კნუტი გაეჩინა. კნუტები ერთ თვეში დაიხოცნენ – დედის რძესთან ერთად თაგვის წამალი დალიეს. კატა გადარჩა და ახლა ისევ გაბზეკილი მუცლით დადიოდა.

„მოდა-მოდას" ტანმორჩილ ბარმენს გულზე სიბრალულის ჭიამ გადაუარა; გამხდარი, მოძულებული კატის ბედმა თავისი – ზღვისპირა ქალაქიდან ომიანობისას გამოძევებული ბავშვის ბედი მოაგონა. ისიც ორი მაწანწალას წუთიერი აღგზნების ნაყოფი იყო. სულ პატარა გამცილებელ დედასთან ერთად მატარებლით სერავდა დაუსრულებელ ტრამალებს. გრძელი, ღამეული ღრეობების მერე, ხანდახან ისევ იმ მოგრუხუნე მატარებელში წარმოიდგენდა ხოლმე თავს. მატარებელი განთიადის ცივ სიბნელეში ფატრავდა უცხო ქალაქებს, ბეტონის, ჯართის მინდვრებსა და სასოწარკვეთილების სტეპებს და დავიწყების უფსკრულისკენ მიქროდა. სამზარეულოში გაქცეულ კატას გაეკიდა და სანამ მაგიდის ქვეშ შეძრომას მოასწრებდა, კუდში წაავლო ხელი – ცხოველსაც ხომ უნდა რგებოდა თავისი წილი სითბო და სიყვარული, მაგრამ კატა სხვა აზრის იყო. პატრონს მაჯაში ბასრი კლანჭები ჩაასო და ფანჯრისკენ მოცოცხა:

– დამპალი ბოზი! – იღმუვლა რომამ და სისხლიანი მაჯები ჭერში ალაპყრო – მათხოვარი!

ბრაზის ჭიები აფუთფუთდნენ. კატის გაქცევამ რატომღაც გულის სიღრმემდე შეურაცხყო. მარტო დარჩა. კედლის მილმა, ლეიბის ღრმულში მოკალათებული ადამიანის თანაგრძნობას არ ელოდა; ასეთ სცენებს, დიდი ხანია, შეჩვეოდა და რომას შეტევები უპატრონო ძაღლის ყმუილზე მეტად აღარ აღარდებდა. საკბენად თუ გაიწევდა, გულგრილობის წიხლით მოიშორებდა. ნუთუ შეიძლება, ადამიანი გიყვარდეს და ასე გულგრილად უყურო, როგორ ჭამენ საშინელი ჭიები?

(„განა ნაკლები ტრაგედიაა, რომეო, ჯულიეტა რომ არ გყოლია?" – მიაძახა პოეტმა, „მოდა-მოდას" მუდმივმა კლიენტმა, მგრძნობიარე სულის პატრონად რომ მიაჩნდა, იმან კი უსაგნო გულახდილობისას გამხელილი საიდუმლოები ღრიალით მოსდო მთელ „მოდა-მოდას" – დამპალი ქვეშაჯვია!);

სასოწარკვეთილების ჭიებმა რომას ისევ ოთახისკენ უბიძგა. ასეთ საღამოს ცა უნდა ჩამოქცეულიყო, [illegible] – სულ ცოტა, ჭექა-ქუხილი დაწყებულიყო და [illegible] ტილი სულები გარეთ გამოეფერთხა. ტკივილის შიშით [illegible] ჩავებული ადამიანები უხმოდ არ უნდა მსხდარიყვნენ ლეიბის ღრმულებში, არც სისუფთავის სუნად აქოთებულ, კომფორტულ ბინებში და ბედს არ უნდა შეგუებოდნენ; ხელოვნური, მხამიანი კბილები არ უნდა გამოესხათ და სიმყუდროვის დამღვევები არ უნდა დაეგესლათ, არ დაებლაგვებინათ მათთვის ტკივილის შეგრძნება – სიცოცხლის უტყუარი ნიშანი.

(ქვეშაჯვია პოეტმა თეთრი პერანგის საყელოში ჩაჰყოდა ხელი, თავისკენ მიიზიდა და ჩამპალი კბილების ოხშივარი შეაორთქლა – „სამაგიეროდ, ჯაბა გყავს" – ნაუსისინა ნიშნის მოგებით, მერე თვალი თვალში გაუყარა და უსიტყვოდ გაახსენა ღამე, როცა უსაგნო სტუმართმოყვარეობით შეპყრობილი „მოდა-მოდას" მთვრალმა ბარმენმა სახლში წაათრია და იქ დაუკმაყოფილებელი ვნებების ჭიებშეჩენილებმა, სექსის მერე ერთმანეთს რიგრიგობით ჩააფსეს პირში. ის დღე იყო და პოეტი „მოდა-მოდაში" აღარ გამოჩენილა. კარგა ხნის მერე ქუჩაში გადაეყარა – კბილები ჩაესვა, წვერი მოეშვა და გვერდით ლამაზი ცოლი მოჰყვებოდა, მაგრამ მანამდე, ერთ ღამეს, ამ ჭუჭყიან სოროში იატაკზე იწვა და სექსის შემდეგ შესამჩნევად დამცხრალი და გულგრილი თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, რომ ადამიანები ბილიარდის ბურთებივით დიდხანს, უმისამართოდ გორავენ მაგიდაზე და ერთმანეთს ეხლებიან, მაგრამ ლუზაში ჩავარდებიან თუ არა, დანარჩენი სამყარო ბნელში იძირება (ქვეშაჯვია პოეტი ბილიარდის თავგადაკლული მოთამაშე იყო). თავიანთ ნიჟარებში გამაგრებულები ახალჩასმული კბილებით უღიმიან ახალ ნაცნობებს და დაჟინებით ივიწყებენ ძველს.

– ლუზაში ჩავარდნილ ბურთს ყველაზე მეტად მის თავზე მობრახუნე სხვა ბურთების ხმაური აფრთხობს – გააბოლა პოეტმა და საზიზღრად გაიღიმა – ღმერთმა დაიფაროს და თამაში დამთავრდეს, ან გულმოდგინედ დავიწყებული წარსული გამოეცხადოთ და ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა ვერ მოასწრონ; ისევ ხორცსაკეპში უკრან თავი, უპატრონო ძაღლივით ჯოხი უჩხიკინონ და სხვა ბურთებს მიახალონ. კეთილდღეობა სასუფეველია ტანჯულთათვის – ახალ კბილებს ნათელ მომავალს ანათებენ და ნაცნობი ფეხის ხმაზე კრთებიან. – პოეტიც ომმა გამოაძევა მშობლიური სოფლიდან, ოღონდ სამხრეთიდან. – ადამიანებს ტკივილი სძულთ და ეშინიათ. ადრე თუ გვიან, ყველა ნებდება და სასუფევლის საშვს იღებს. მდიდრები მკვდრები არიან, მაგრამ მათ სამოთხეში ლეშის სუნი არ დგას, იმიტომ, რომ კარგ სუნამოებს ისხამენ და სიდამპლის სუნს ჰიგიენის ძვირიანი საშუალებებით იშორებენ. – პირდაპირ იატაკზე გადააპურჭყა ქვეშაჯვია პოეტმა, მერე კი ადგა, გამხდარ ტრაკზე შარვალი ამოიწია და კარი გაიხურა).

„მოდა-მოდას" ბარმენმა სამზარეულოს კუთხეში, კატის ტუალეტსა და მაგიდას შორის დამტვერილ ქოთანს მოჰკრა თვალი. ეს თავსახურიანი თიხის ქოთანი შუაღამისას ხეტიალი-

სას, ვიღაცის აივნიდან მოიპარა და ალბათ რამე ძველი ნყევლაც ნამოაყოლა. ქოთანი დაგრეხილი თოკის ნაკუწებითა და ჩალისფერი თმის ბღუჯით იყო სავსე. შეიძლება ვინმეს ასეთები სიცილად არ ეყოს, მაგრამ ნახევრად ბოშა დედის შვილს მტკიცედ სჯეროდა, რომ ამ სამყაროში ხშირად ადამიანის ბედს უხილავი მაჯლაჯუნები წყვეტენ.

რაღაც ჯადოა. სხვანაირად როგორ ახსნის თავის გამუდმებულ სილატაკეს და უბედობას. მაგრამ რომამ იცის, როგორ უშველოს ამ ამბავს. რაღაცის მიღწევა თუ გინდა, მსხვერპლიც უნდა გაიღო. მოქმედებს ასეთი რაღაცები, ზუსტად იცის. მაგალითად, ერთხელ აღთქმა დადო, რომ ცხოვრება თუ მისკენ იზამდა პირს, ერთი თვე არც სექსი ჰქონოდა და არც დაენძრია. წესით, აღთქმის შესრულება არ უნდა გასჭირვებოდა – ბოლო დროს ჯაბა სულ უფრო ხშირად იმიზეზებდა დაღლილობას, ან, საერთოდაც, არ ათევდა სახლში ღამეს. შემთხვევითი ტიპები კიდევ ყელში ჰყავდა ამოსული. საქმეები მართლაც დაიძრა – იმავე საღამოს ერთი კარგი ნაცნობი ნახა, რომელმაც საიდუმლოდ გაუმხილა, იმერეთში ბაბუაჩემისეული სარდაფი შავი ვერცხლით არის სავსე, გზის ფული რომ მაშოვნინა და წამომაღებინა, კარგ ფულად გავყიდიდი და სხვებააც გავუყოფდიო. ვერცხლი კი იაფია, მაგრამ შავი ვერცხლი არასოდეს გამიგია, ალბათ იშვიათობა უნდა იყოსო, დაფიქრდა რომა. ნაცნობმაც კიო, ვერცხლის სულფიდია, 10 გრამი 1000 ლარამდე მაინც ღირს და სარდაფში კიდევ მთელი კილო იქნებაო.

იმ საღამოს ვერცხლის სულფიდის ბედნიერი პატრონი შინ დაპატიჟეს და, რადგან მალე დიდი ფული უნდა ეშოვნათ, ბინის პატრონისთვის გადადებული ქირა სინდისის ქენჯნის გარეშე დახარჯეს. აღნიშვნა მეორე საღამოს გაგრძელდა – შედარებით მოკრძალებული – იმ დღის ხელფასით.

შავი ვერცხლის პატრონმა კიდევ ერთ თვეს იარა მათთან. ყოველ საღამოს აწყობდნენ წასვლის გეგმებს და რაც უფრო მეტს სვამდნენ, გეგმები მით უფრო გრანდიოზული გამოსდიოდათ. გარდა იმისა, რომ ვერცხლს წამოიღებენ, ცოტას დაისვენებენ კიდეც. იქნებ იქ, სოფლის წიაღში რამე პატარა ფერმაც შეათვალიერონ. სოფელში სახლები იაფი ღირს. ჰოდა, რატომ არ შეიძლება, ერთი პატარა სახლი იყიდონ და შინაური ცხოველებიც იყოლიონ. ბოსტანს მოაწყობდნენ, ჭაჭას თვითონ გამოხდიდნენ. საკუთარი სახლი ხომ ორივეს ოცნებად აქვს ქცეული. რაც ომიანობისას ზღვისპირა ქალაქიდან გამოიქცნენ, რომას საკუთარი სახლი არ ღირსებია. დედაქალაქში ჩამოსვლისას დევნილები დროებით სადაც შეასახლეს, იქვე დატოვეს. რომაა ოჯახს საავადმყოფოს პალატა ერგო. სიმსივნიანი ავადმყოფების გვერდით თითქმის 15 წელი იცხოვრეს. მერე ახალმოსული მთავრობა მიხვდა, რომ საავადმყოფო მომგებიანი ბიზნესი იყო და დევნილები პალატებიდან გამოასახლა. უსახლკარო ხალხი, საავადმყოფოსგან განსხვავებით, სარფიანი საქმე არ ყოფილა, ამიტომ მცირე კომპენსაცია გადაუხადეს, ზუსტად იმდენი, რომ სადმე სოფელში მოკრძალებულ სახლსა და ნაკვეთს ჰყოფნოდა და ბედს მიანდეს. რომა ოჯახთან ერთად სოფელში არ წასულა – კომპენსაციის თავისი წილით კბილები გაიკეთა და ბინა იქირავა. კიდევ ათიოდე წელი და ოჯახის სხვა წევრებს ერთმანეთის მიყოლებით მოულო ბოლო გაჭირვებამ, სოფლის სახლი კი გაიყიდა და ფული ნელ-ნელა გაქრა, თითქოს არც ყოფილა.

მაგრამ ეს სახლი, შავი ვერცხლის ფულით რომ იყიდიან, სულ სხვა იქნება – ახალი ცხოვრების დასაწყისი, ძველი ცხოვრების ნანგრევებზე აშენებული ის ხუხულა კი არა, სადაც მისი ოჯახი ამოწყდა.

ყოველ საღამოს შეკრება და შავ ვერცხლზე ლაპარაკი რიტუალად ექცათ. ვერცხლი იქ იყო, სარდაფში. არსად გარბოდა და შეეძლოთ, არც ეჩქარათ.

უსიამოვნებები მაშინ დაიწყო, ერთ საღამოს სტუმარი რომ გააცილა. სიგარეტი იყიდა და იქვე, სკვერში ჩამოჯდა. მოუკიდა თუ არა, უკნიდან ვიღაცის ხმა მოესმა:

– ტელეფონი ამოიღე და მომეცი! – რომას გული ყელში მოებჯინა და უკან მიიხედა. თავს წვერგაუპარსავი, ჩია ტიპი წამოსდგომოდა და პისტოლეტისმაგვარ საგანს უმიზნებდა. მართალია, გვარიანად იყო შეშინებული, მაგრამ თავდამსხმელის აკანკალებულმა ხმამ მაინც დააეჭვა და „პისტოლეტს" დააკვირდა. პლასტმასის იყო, სათამაშო.

– ფეხები არ მომჭამო. – გაეცინა რომას.

– დისშვილისაა. არ ჰგავს ხო ნამდვილს? – ამოიოხრა ჩია ტიპმა და სათამაშო ურნაში გადაუძახა – არა, სერიოზულად, 20 ლარი თუ არ ვიშოვნე, დამენძრევა, თავანი უნდა ჩავაბარო. – მერე დაკვირვებით შეათვალიერა „მოდა-მოდას" ბარმენი და გარისკა. – გამიჩითე 20 ლარი და მოგტყნავ.

– აქეთ რომ მოგტყნა? – გაეცინა რომეოს.

– შეიძლება – დაეთანხმა ჩია ტიპი – ოღონდ ჯერ ოცი ლარი გაჩითე.

რომამ ჯიბეები მოიქექა. ოც ლარს ხურდები აკლდა. იქვე, სკვერში, საზოგადოებრივ ტუალეტში შევიდნენ. ბნელოდა და ყარდა. ფეხები მძღნერში ეფლობოდათ.

სახლში ფეხშიმველი რომ ბრუნდებოდა, აღთქმა მაშინღა გაახსენდა, მაგრამ გვიანი იყო – ერთი თვის შესრულებას ერთი დღეღა უკლდა. რა გასაკვირი იყო, შავი ვერცხლის პატრონი რომ აღარ გამოჩენილა, სამაგიეროდ, ბინის პატრონი დაადგა თავზე და გასახლებით დაემუქრა. მეტიც, ვერცხლის სულფიდის ფასი რომ დაგუგლეს, 10 გრამი 1000 კი არა, 100 ლარი ღირებულა – ალბათ აქაც უბედობის დემონების ხელი ერია.

„მოდა-მოდას" ბარმენმა ქოთანი გულში ჩაიკრა და ოთახში დაბრუნდა.

* * *

ყველაზე ჭკვიანური, რასაც ახლა ჯაბა იზამს, გაუნძრევლად ჯდომაა. როგორც გველის, ან ცოფიანი ძაღლის დანახვისას. იმიტომ, რომ ამ მდგომარეობაში „მოდა-მოდას" ბარმენი არაფრით არ არის გველზე ან ცოფიან ძაღლზე უკეთესი. დუმილი საქმეს ვერ უშველის, სამაგიეროდ, შეტევას ცოტა ხნით გადაავადებს. შეტევა კი აუცილებლად იქნება – უსასრულო, უშედეგო მასტურბაციისმაგვარი პროცესი.

ამ სცენას კიდევ ერთი პერსონაჟი ეყოლება: სედოი, რომელიც დაახლოებით 70 წლის წინ ზღვისპირა ქალაქში დაიბადა, ცხოვრების ბოლო წლები მშობლიური ქალაქისგან შორს, აღმოსავლეთის ერთ სოფელში გაატარა და იქვე მიაბარეს თიხნარ მიწას. მისი საფლავი ახლა ძნელი საპოვნელია. ჯაბამ სედოიზე ცოტა რამ იცის. იცის, რომ ზღვისპირა ქალაქში სამხატვრო აკადემიაში ისწავლა და მისგან საშუალო მხატვარი, სამაგიეროდ, კარგი ბიჭი და ქალაქის ქურდულ წრეებში ავტორიტეტი გამოვიდა. ნარკოტიკებს და ალკოჰოლს ეძალებოდა, ორი ცოლი და ბევრი საყვარელი ჰყავდა, 90-იანებში კოოპერატივის წევრი იყო და იმ დროისთვის ზღაპრულ ფულს შოულობდა. სწორედ იმ დროს მოიყვანა მეორე ცოლი და სახლის ორი ოთახი ფარდაგით გადატიხრა – ტიხარს მიღმა ცოლთან და გერთან ერთად ცხოვრობდა, გამოღმა კი დედამისი და და – სედოის ორ შვილთან ერთად. საღამოობით ფანჯარასთან აკრული შვილები უთვალთვალებდნენ, როგორ გადმოჰქონდა საყიდლებიდან დაბრუნებულ მამას სანოვაგით სავსე პარკები მანქანიდან და გადატიხრულ ორ ოთახში უჩინარდებოდა. პარკებიდან დიდ, ძვირიან, წვნიან ატმებს უჩანდათ გვერდები, ვარდისფერ პამიდორებს და იმ დროს იშვიათ შოკოლადის ფილებს. კიდევ ბოთლებს. ფანჯარასთან აკრულმა ბავშვებმა იციან, რომ გვიან ღამით ფარდაგი გაიწევა და უგონობამდე მთვრალი, აღმუვლებული სედოი ბინის წიგნაკითა და დანით ხელში დაედევნება დედამისს, რომ წიგნაკში თავისი ახალი ცოლის სახელი ჩაანერინოს, მაგრამ არაფერი გამოუვა, მხოლოდ შემინული ლოჯიის ფანჯრებიდან აღარცერთი მთელი აღარ დარჩება. მაგრამ არცერთმა არ იცის, რომ ბინის წიგნაკი მალე გამოუსადეგარ მაკულატურად იქცევა და იმ სახლში, რომელსაც კბილებით ეწევიან აქეთ-იქით მამა და ბებია, სხვები იცხოვრებენ. ბიჭებს ჰგონიათ, ეს კოშმარი სამუდამოდ გაგრძელდება და არც ცდებიან – გაგრძელდება, ოღონდ სადავო სახლში არა. მალე 90-იანების საიდუმლო საბადოებთან ერთად, ფულიც გამოილევა და ომი დაიწყება. ცოლი და გერი გაიქცევიან, სედოი ჯერ ომში წავა, მერე კი ოჯახთან ერთად ზღვისპირა ქალაქიდან გამოძევებული ნანგრევებად ქცეული დედაქალაქის ერთ-ერთი საავადმყოფოს პალატაში დასახლდება. მძვინვარე ტემპერამენტი მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში დაუცხრება, როცა დაშლილი ღვიძლი სპირტიანზე ათქმევინებს უარს.

სედოი ჰამლეტის მამის აჩრდილივით უჩინარია და ძველი დროის რომელიღაც ტირანივით ეტლ-მოჩვენებას დააგელვებს, რომელშიც ცხენის ნაცვლად შვილები შეუბამს. ხვეწნა-მუდარა, ტანჯვა შეუმსუბუქოს გამწევ ძალას, არ ჭრის, მკვდარი ცოცხალზე უფრო ულმობელია – ცოცხალი შეიძლება განკითხო, მკვდარს კი ვერაფერს მოედავები.

მაგრამ ურჩი ცხენები სხვადასხვა მხარეს იქაჩებიან – არ დავიწყებიათ სხვისთვის მიტანილი წვნიანი ატმები და მათთვის მოღერებული მაგარი მუშტი, მეზობლის ბავშვების დამცინავი შეძახილები ქუჩაში და სკოლის ტუალეტში ჩაყრილი, რამდენჯერმე შემოკერილი სანდლები. მაშინ სედოი თავის ნაცვლად ხმელ პურს დაუყრის თავის ცხენებს და წყლის ნაცვლად არაყს დაუსხამს. ერთ-ერთი მაინც ვერ გაუძლებს ცდუნებას და არყით მოიკლავს წყურვილს, მაგრამ იმის ნაცვლად რომ აიწყვიტოს და ეტლი გააქანოს, დორბლის ყრას და თავის ბედზე მოთქმას დაიწყებს. ნუთუ ამისთვის ირჯებოდა სედოი? და მამის აჩრდილი მათრახს მოიმარჯვებს ქალივით მოზლუქუნე ნაშიერის ჭკუაზე მოსაყვანად.

შეტევა ცხონებული ჰიუსტონის „ყოველთვის მეყვარებ“-თ დაიწყება. რომა ოთახის შუაგულში დადგება, ხუჭუჭა თავს უკან გადააგდებს, ადგილზე დაირწევა და ატირდება. სასოწარკვეთის და შურის ჭიები გუდას პირს მოხსნიან და დიდხნის დაგროვილ ბოღმასა და ღვარძლს ამოაფრქვევენ. ვაი მას, ვინც ამ დროს გაახსენდება. პირველს თავის უფროსს დასდებს პატივს; „მოდა-მოდას“ დიასახლისი მესამედ გათხოვდა და ახალი მანქანა იყიდა. ამ მანქანას დღეში იმდენი ბენზინი სჭირდება, „მოდა-მოდას“-ს ბარმენის ორი, 16-საათიანი სამუშაო დღის ხელფასიც ვერ გასწვდება. ეს კიდევ არაფერი, პერსონალის საკვებზე 5 ლარია გამოყოფილი – ექვსივეზე ერთად („რას მიირთმევთ?“ – თხელი, მანიკიურიანი, ან კოტიტა ბანჯგვლიანი თითი სალათებსა და ღვინოებს შორის დასეირნობს, ყველის სუპი – ბარმენის ერთი დღის ხელფასი, მწვანე ეთნორქანდიელის თითო ჭიქა – ნახევარი დღის ხელფასი; მთლიანი შეკვეთა – სულ ცოტა, სამი დღის ხელფასი).

„მოდა-მოდას“ კლიენტურა არჩევნების მერე ნაწილობრივ ახლდება ხოლმე, მაგრამ ამ ცვლილებას მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევს – მეფესთან დაახლოებული პირები ერთ თარგზე არიან მოჭრილები. მუდმივი კლიენტებიც ჰყავს – დიასახლისის მეგობრები (ისინი რომ არა, დიასახლისს მესამედ გათხოვება აღარ მოუწევდა) ან ქვეშაჯვია პოეტის მაგვარი ცნობილი, მაგრამ ჯიბეგაღლეტილი ტკიპები, სხვის ხარჯზე რომ ტყვრებიან – ასეთები ბოლომდე გაგწურავენ, ჩაის კი არ უნდა ელოდო. ამ მხრივ ტურისტები და შემთხვევით შემოხეტებული ხელმოკლე წყვილები უფრო გულუხვები არიან. „მოდა-მოდა“ უბრალო კი არა, არტ-კაფეა, როგორც დიასახ-

ლისი კარგად დაფარული სიამაყით ეძახის ხოლმე აქაურობას. მაგიდებთან თაროებზე წიგნებია ჩამწკრივებული, რომლებსაც ათასში ერთხელ ვინმე სტუდენტი თუ ჩამოიღებს ხოლმე, დასათვალიერებლად. ტუალეტშიც წიგნებია და უამრავი ძველი ჟურნალი, ამიტომ თვალყურის დევნებაა საჭირო, ტუალეტის ქაღალდი არ გათავდეს. კიდევ დიასახლისის მეგობარი მხატვრების გამოფენები ეწყობა ხოლმე. ასეთი მეგობარი კი უამრავი ჰყავს ქალაქის მაღალ წრეებში. თავიდან აქ მოსულმა რომამ ტაქტიანად სცადა დიასახლისისთვის თავისი ნახატებიც ეჩვენებინა. პასუხად ასევე ტაქტიანი, ბუნდოვანი კომპლიმენტები და „ვნახოთ, საინტერესოა" მიიღო (დამპალი ბოზი) – მოგეხსენებათ, ნაღების ქილაში თითი რომ ამოავლო, ტაქტი კი არა, სითამამე, მოქნილობა და მუჯლუგუნებია საჭირო. რომასთვის ბოლომდე უჩინარი დარჩება ამ საზოგადოების კარი და სადაც არ უნდა მიაკაკუნოს, მხოლოდ ყრუ ექოს გაიგონებს.

მარტო ამ საზოგადოების არა; ოცდამეჩვიდმეტე წელია რომა იმ ცხოვრების კედელზე მიხატულ კარს უკაკუნებს, რომლის მიღმაც დიდი კოლონია თავისი კანონზომიერებით ცხოვრობს. იბადებიან და იზრდებიან. მზრუნველი მშობლები ტანსაცმელს, საჭმელს და პროფესიას ურჩევენ. სკოლას ამთავრებენ და უმაღლესში აბარებენ. მუშაობას იწყებენ, ოჯახს ქმნიან, სუპერმარკეტებში დადიან და კალათებს პროდუქტით ავსებენ. ბინებს ყიდულობენ, არემონტებენ, ავეჯის ფერს არჩევენ, ქალების ფულს აგროვებენ. ნივთების ფასი იციან, ტექნიკის ყიდვისას უახლეს მოდელებს არჩევენ.

ამ კოლონიაში ადამიანები, მართალია ქოთნებში, მაგრამ ასე თუ ისე ნოყიერ ნიადაგზე ხარობენ და ფესვები აქვთ გადგმული. უფესვო მცენარეებს აქ არაფერი ესაქმებათ. აქ ნიადაგი დედებისა და მამების რამდენიმე თაობის განოყიერებულია; ულელში შებმულები მძიმე, ნელი, თანაბარი ნაბიჯებით დადიან წრეზე მჭიდროდ შეკრულ ფერხულში, სიკვდილამდე მიწას ფუნით ასაზრდოებენ, სიკვდილის შემდეგ – თავიანთი ხორცითა და ძვლებით.

სედოი დიდხანს, გავეშებული ფიტავდა მიწას თავისი ოჯახის ქოთანში, სანამ უნაყოფო ქვიშად არ აქცია. მისი საფლავი ახლა ძნელი საპოვნელია.

რომი დიდხანს, გამალებით ფანტავდა ქვიშას, სანამ ფსკერამდე არ დაიყვანა.

ბოლო მარცვლები ოჯახის გამხმარ ფესვებთან ერთად სახელმწიფოს კოტიტა თითებმა თიხნარ ნიადაგზე გადმოფერთხა და მზის გულზე გასახმობად გაწირა.

მაგრამ რომა ძლიერია – ამ მომენტამდე რომ მივა, „მოდა-მოდას" ბარმენი ამაყად ასწევს თავს და თვალებში თავგანწირვის სხივი გაუკრთება. დაძარღვულ, ლამაზ ხელებზე დაიხედავს – რომა სედოი არ არის, საყვარელ ადამიანებს სიცოცხლე გაუმწაროს. პირიქით, გაჭირვებაში გაუჩენელს გააჩენს. ძლიერი ხელები და მოსიყვარულე გული აქვს. ჯერ კიდევ სულ პატარა, ოჯახში ქალებს შავი სამუშაოს კეთებაში – ბაზრიდან ნიმე ჩანთების თრევაში და წვრილმან საქმეებში ეხმარებოდა. სად არ უმუშავია, მშენებლობაზე თუ გაზეთების გამყიდველად. მართალია, ყოველთვის ბუმბულივით ფარფატებდა, მაგრამ, ჩათვალეთ, რომ გაუმართლა „მოდა-მოდას" ხუჭუჭთმიან ბარმენს – გაუმართლა ამ დამპალ კოლონიაში ჭანჭიკის როლი რომ არ ერგო. დღე დადგება და ადამიანის სხეულში გამომწყვდეული ქალის წარმართული ღმერთივით თავის ნამდვილ ზომა-წონას დაიბრუნებს და სისტემის კონვეიერს ერთი ნაბიჯით გადაალაჯებს, თუ მოუნდა, ფეხსაც დაადგამს და გასრესს. იღბალი დამსახურებულად, უცებ მოვა და ზღაპრული საგანძურივით დაატყდება თავზე, უბედობის დემონები კი ვეღარაფერს გააწყობენ – მაშინ გაიღიმოს, ვისაც ახლა ეღიმება. მაგრამ მანამდე თავისი ძლიერი ხელების იმედი აქვს და საყვარელ ადამიანებს არაფერს გაუჭირვებს. – „მოდა-მოდას" ხუჭუჭთმიანი ბარმენი თვალის კუთხით გადახედავს ჯაბას, მაგრამ გაყინული მზერა არაფერს ეუბნება.

„საყვარელ ადამიანებს" – ცხვირს იბზუებს სედოი და მათრახს ატკაცუნებს – „ამ ბიჭს გაქანება არ ჰყოფნის".

რა იქნებოდა, უკან მოეხედა რომეოს. რა იქნებოდა მათრახმომარჯვებული მამამისი დაენახა, ორ ფეხზე დამდგარიყო, მათრახი გამოეგლიჯა და ჯოჯოხეთში გაებრუნებინა. მაგრამ სედოი მკვდარია და ცოცხალზე უფრო ულმობელი – ცოცხალს განიკითხავ, მკვდარს კი ვერაფერს მოედავები.

ჯაბა ვერც სედოის ხედავს და ვერც მის მათრახს ამჩნევს, თვალწინ მხოლოდ სიმწრისგან დაკლაკნილი რომეო უდგას, თავში კი განგაშის სირენა ღრიალებს. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოდგება, მერე კი რომეო თითებზე ჩამოთვლის ყველა მსხვილმან და წვრილმან სიკეთეს, რაც საყვარელი ადამიანებისთვის გაუკეთებია. თითქოს სადმე ჰქონდეს ჩამოწერილი, გაიხსენებს რამდენი გადაიხადა ჯაბას დაბადების დღეზე ნაყიდ წვნიან ატმებსა და ვაშლებში, ხილის დიდ ტორტში. ნეტავ რა ღირდა ის უბადრუკი ნამცხვარი, სამსახურიდან დაბრუნებულმა ჯაბამ სხვათაშორის რომ მიუგდო ერთი თვის შემდეგ, მისი დაბადების დღე რომ დადგა. რომამ კარგად იცის, რომელ სუპერმარკეტში და რამდენად ჰყიდიან ამ მშრალ და უგემურ ტკბილეულს. ფასი კი არ არის მთავარი, მოვალეობის მოსახდელად რომ მიუტანეს და თავი არ შეიწუხეს, ის ჩარჩა გულში. ისიც კარგად ახსოვს, როგორ ახვედრებდა სანთლების შუქზე გაწყობილ ვახშამს, ჯაბა მარტო რომ მუშაობდა და შუაღამისას დაღლილი ბრუნდებოდა სახლში. გამოიცანით რა მოხდა, როლები რომ შეიცვალა? შინ დაბრუნებულს გასარეცხი ჭურჭელი და გულგრილი, დუნე მზერა ხვდებოდა, იმასაც თუ აღირსებდნენ. ვინ დარბის

თავქუდმოგლეჯილი, ბინის ქირის გადახდის დრო რომ დგება? ვინ იჭყლეტს ტვინს, რომელ ნაცნობს ესესხოს ფული კომუნალურების გადასახდელად? რომა სედოი არ არის, საყვარელ ადამიანებს ცხოვრება გაუმწაროს; გაჭირვებაში გაუჩენელს გააჩენს, ძლიერი ხელები და მოსიყვარულე გული აქვს. გარშემომყოფები კი ამას ისე ბუნებრივად იღებენ, თითქოს რომას არსებობის ერთადერთი გამართლება გაჭირვებასთან გამკლავების ნიჭი იყოს.

მაგრამ მთავარი სხვაა:

რომეოს ყოველთვის უ ფ რ ო  მ ე ტ ა დ უყვარდა და არასოდეს დაუხევია უკან. რომეო საწამლავს დალევდა საყვარლის აკლდამაში, მაგრამ ჯერ არ შეხვედრია ვინმე, ვინც ხანჯალს ჩაიცემდა გულში მისი გულისთვის და უკან გაჰყვებოდა.

მაშ, სად არის ყვავილები? სად არის ის უამრავი პატარა და უბრალო სიხარული, ცხოვრება სხვებისთვის რომ იმეტებს ხოლმე?

„ვის დაკარგვიხარ?" – ხარხარებს მამის აჩრდილი.

„განა ნაკლები ტრაგედიაა, რომეო, ჯულიეტა რომ არ გყოლია?" – ხელოვნურ კბილებს ანათებს ქვეშაჯვია პოეტი.

თითქოს ეს არ ეყოფოდა, ისიც უნდა აიტანოს, იშვიათი ეგზოტიკური ცხოველივით რომ უყურებენ („ბარმენად ხარ დაბადებული" – თვალს უკრავს „მოდა-მოდას" სქელი დიასახლისი – დამპალი ძუკნა). ეს ჩარჩო მარწუხებივით უჭერს და საზარლად ჭრიალებს ნახევრად რეალური და ნახევრად ილუზორული სამყაროს სიმძიმის ქვეშ. ამ სამყაროში „მოდა-მოდას" ხუჭუჭთმიანი ბარმენი კი არა, მხატვარია, კარგი მხატვარი. სიგიჟემდე მიჰყავს სადღაც გულის სიღრმეში დაბუდებულ ეჭვს, რომ შეიძლება ასე არც იყოს. შეიძლება სამუდამოდ ჩარჩეს ამ უიმედო, სასონარკვეთილ და მახინჯ სამყაროში, რომლის გამოჩენაც ნებისმიერ თავმოყვარე წიგნსა და თუ ფილმშიც კი მკრეხელობა იქნებოდა. არადა, ეს ფილმები და წიგნებიც ხომ ცხოვრების ნაყოფია, მაგრამ რომელი ცხოვრების?

რა გასაკვირია, სიბნელეში ხელების ცეცებით დაღლილ ადამიანს მხოლოდ სასწაულის იმედი დარჩეს, ერთ დღეს თავს დამტყდარი უეცარი ბედნიერების, ფართოდ რომ გაუღებს სხვა ცხოვრების კარს; მეორედ მოსვლის და ვინ იცის, კიდევ რისი.

რა გასაკვირია, ცდუნებას ვერ გაუძლოს და ცრემ... მაინც შეალამაზოს მახინჯი სინამდვილე (მამამისმა აკადემია დაამთავრა და „უნაკლო ტექნიკა" ჰქონდა. [illegible] მართლია, არსად უსწავლია, მაგრამ „ბევრს [illegible] საკუთარ თავზე"), უხილავ მოწინააღმდეგეს უმტკიცოს, რომ ტყუილია, თითქოს საღებავის და ტილოს ფულს სასმელში ფლანგავდეს და მერე ბედს მისტიროდეს. კოლონიის რომელიმე რიგით წევრივით კაპიკების თვლას ვერ დაიწყებს, როცა მთელი დღე ქვეშაჯვია პოეტებისმაგვარი ტკიპების და კოტიტათითებიანი მეფის მხედრიონის მომსახურება უწევს. რა უნდა ქნა, როცა მძიმე ლანგრების თრევისგან დღის ბოლოს ხელები გტკივა და მზად ხარ იღმუვლო, ოღონდ კლიენტებს არ გაუღიმო. როგორ გინდა, დღის ბოლოს არყის ბოთლისკენ არ წაგიცდეს ხელი და მთელ დღეს შეკავებული ღმუილი არ გადმოანთხიო.

რომეოს ღმუილი მეორედ დააფრთხობს დიასახლისის კატებს და იატაკზე დაფშვნილი ჭიქის ნამსხვრევები გაიფანტება. ფანჯრის შემორჩენილი მთელი მინა დაიზრიალებს და ოთახში დაგუბებულ ოხშივარს შემოდგომის განთიადის სიგრილე გაფატრავს.

მაგრამ შეტევა რატომღაც იგვიანებს. „მოდა-მოდას" ხუჭუჭთმიან ბარმენს გულში ქოთანი ჩაუხუტებია და ოთახში თვალით ეძებს რაღაცას. აი, ქოთანი ოთახის შუაგულში დადგა, კედლიდან შპალერის ნაფლეთი ჩამოხია და ქოთანში ჩაუძახა. იმავე გზას გაუყენა იატაკიდან დანით აფხეკილი საღებავი, ტუალეტში გაკრული ჟურნალებიდან ამოჭრილი ფოტოებიდან ერთ-ერთი, სამსახურის პერანგის მოზრდილი ნაკუწი და თავიდან კვნესით ამოგლეჯილი თმის ბლუჯა. მერე სამზარეულოში გავიდა და იქიდან პურის საჭრელი დანით დაბრუნდა.

თვალის მორიდება აღარ გამოდიოდა:

– რას აკეთებ? – უკმაყოფილოდ ამოიღრინა ჯაბამ.

რომა სედოი არ არის, საყვარელ ადამიანებს გამოუდგა... დანით – დაკბილული დანა საჩვენებელ თითზე დაისვა. წითელი ლაქები დაეტყო, მაგრამ სისხლი არ გამოსულა. თითის ჟიჟგნა განაგრძო.

– არაფერს... ნუ გეშინია... თუ... გეშინია... აი... ნახავ... ყველაფერი... კარგად... იქნება... – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხვნეშოდა რომა.

როგორც იქნა, თითი გაიჭრა – ძლიერია... რაღაცა ძალიან ძლიერია გაკეთებული... ადრე სისხლს ვერ ვიჩერებდი ხოლმე... ახლა არაფრით არ მოდის!... – მთელი ძალით მოუჭირა თითს, სისხლის რამდენიმე წვეთი გამოიდინა და ქოთანში ჩაყრილ ხარახურას დააწვეთა. ზედ ასანთის ანთებული ღერი დააგდო – ცეცხლიც არ ეკიდება – კოლოფიდან ღერების მთელი ბლუჯა ამოიღო და გაკრა. ქოთანმა ხრჩოლვა დაიწყო და ოთახის არემარე ... მატები მწარე კვამლის სუნმა გადაფარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წარსულის აღდგენის მცდელობა პატრიკ მოდიანოს ყველაზე უცნაურ წიგნში

*ლელა კოდალაშვილი*

„არაფერს წარმოვადგენ, არაფერს. ერთი მქრქალი სილუეტის გარდა". – ასე იწყება ნობელიანტი მწერლის, პატრიკ მოდიანოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წიგნი. რომანი ამნეზიის შესახებ, წარსულისადმი შიშის შესახებ, რეალობის არარსებობის შესახებ – „ბნელი ჯიხურების ქუჩა". ბარემ აქვე დავძენ, რომ ამ ნაწარმოებმა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯილდო, გონკურის პრემია მოუტანა ავტორს.

ამ უცნაურ, დახვეწილ წიგნში, რომელიც გამომცემლობა „აგორამ" გამოსცა, პატრიკ მოდიანო წარმოგვიდგენს ადამიანს, რომელმაც პარიზის ოკუპაციის დღეებში მეხსიერება დაკარგა, და ის მაინც ჯიუტად ეძებს საკუთარ მეს, თავის წარსულს. მას არ შეუძლია, გაიხსენოს მოვლენები, თარიღები, ამ ყველაფერთან კავშირში მყოფი ადამიანები. და იმისათვის, რომ გაიგოს წარსულის შესახებ, კარგად უნდა აღიქვას დღევანდელობა. ალბათ ამ ძიების გამოა, რომ გმირს – გი როლანს – ავტორი თანამედროვე ყოფას არ სწყვეტს. ის გულმოდგინედ აგროვებს მოგონებებს თავისი და თავისი ახლობელი ადამიანების შესახებ. როლანს უნდა, აღადგინოს ის, რაც ბოლო ნლებში ხდებოდა.




შეიძლება ჩაითვალოს, რომ ესაა დეტექტიური რომანი, სადაც გამომძიებელი იძიებს თავის წარსულს და არკვევს, რომ ის არ არის, ვინც ეგონა, რომ იყო. ის უღრმავდება თავის მეხსიერებას და ბრუნდება პარიზში, როცა ქალაქი ოკუპირებული იყო, თუმცა მთავარი მოქმედებანი რომში ხდება. ეს მოდიანოსათვის უჩვეულოა, რადგან მის წიგნებში უმეტესად პარიზი ფიგურირებს ხოლმე.

საერთოდ, იმ ავტორის კითხვა კი არ არის რთული, რომელიც განგებ რთული სინტაქსით წერს, არამედ იმის, ვინც მარტივად წერს რთულ საკითხებზე. „ბნელი ჯიხურების ქუჩის" ავტორიც ასეთთა კატეგორიას ეკუთვნის. ნატა ბალავაძის მიერ მსუბუქი, ბუნებრივად მორგებული, ძალიან ლაღი ლექსიკით ნათარგმნი მისი ეს რომანიც თავიდან იოლად აღსაქმელი ამბავი გვგონია. მაგრამ ეს ზედაპირული შეფასებაა. პირველი წაკითხვისას ხომ სიუჟეტს უფრო ადევნებ თვალს, ვიდრე დეტალებს და სიმბოლო-მეტაფორებს. მოდი-



ანო კი სწორედ დეტალების ოსტატია. სწორედ წვრილმან ნიუანსებზე აგებს თავის პანორამას.

გავყვეთ სიუჟეტს... ამ ამნეზიის ისტორიის დასაწყისში, გმირმა კერძო სააგენტოს თხოვნით მიმართა – აღედგინათ მისი წარსულის მოვლენები. აქ მას შესთავაზებენ სამსახურს, შეუდგენენ დოკუმენტებს პირობით სახელზე – გი როლანი. და ურჩევენ, შეწყვიტოს უკან ყურება და დაიწყოს ყველაფერი ახლიდან. თუმცა, როცა მას ეკითხებიან, თუ რას მოიმოქმედებს სამომავლოდ, როლანი პასუხობს, რომ ის მაინც წარსულის კვალდაკვალ ივლის.

პირველ პირში დაწერილი ეს რომანი ბევრ ადამიანს უჩენს განცდას, თითქოს შავ-თეთრი კინოს ნიმუშია, რომლის კადრებსაც ფორტეპიანოს აკომპანემენტი გასდევს ფონად. კითხულობთ წიგნს და არის მომენტები, როცა თითქოს მართლაც ჩაგესმით მუსიკა.

მოდიანო ტიპური წარმომადგენელია ლიტერატურული ექსპრესიონიზმის. და ამ რომანში ის ხელოვნების დონეზე ახერხებს, შექმნას ძალიან ემოციური ლიტერატურული „ფოტოები". რომანში თითქოს ყველაფერი ჩანს, რათა შავ-თეთრი კინოს ასოციაცია არ გაგვინელდეს. გრადაციული ტონების ფართო სპექტრი, სახეები, შუქ-ჩრდილები, რეალისტური მომენტების ხაზგასმა, ემოცია, ხმა... თითქოს თითოეული კადრი მოითხოვს, შეჩერდეს სამყარო, გაირინდოს და დაიმახსოვროს ესა თუ ის მომენტი. და, რაც მთავარია, ჩვენ როცა ვეხებით მას, ვგრძნობთ, რომ თითქოს კადრს გა-
რეთ არ ვრჩებით, რადგან ავტორმა ჩვენც მასში დაგვტ...

დავუბრუნდეთ წარსულის ძიებას, რომელიც ძალიან რთუ-
ლი ამოცანა აღმოჩნდება. იმისათვის, რომ გმირმა ფოტოგრა-
ძაფის ბოლო იპოვოს და ნათელი მოჰფინოს თავის ისტორიას...
როლანი იძულებული ხდება, საარქივო ჩანაწერებს მიაკითხ-
ის ადამიანები მოძებნოს, ვინც სავარაუდოდ მას იცნობდა. მ
გზით ის ბევრს ვერ აღწევს. ირკვევა, რომ მისი ნამდვილ
სახელია ჯიმი პედრო სტერნი, ის ბერძნული წარმოშობ
ებრაელია. სალონიკიდან. პარიზში გამოგონილი სახელი – მე-
დრო ერქვა, და, სავარაუდოდ, დომინიკანური რესპუბლიკ
დიპლომატიურ კორპუსში მუშაობდა. მისი შეყვარებულ
ფრანგი მოდელი დენიზია, მეგობრები – ფრედი, მოცეკვა
გეი ორლოვა. ინგლისელი ჟოკეი ანდრე ვილდმერი...

ერთმანეთთან დაპირისპირებული: წარსული აწმყოსთან
ახალგაზრდობა სიბერესთან, სინათლე სიბნელესთან, და ავტო-
რის უნარი, ითამაშოს შუქ-ჩრდილებით და ნახევარტონებით
ვფიქრობ, ამითაც აღწევს ის მრავალშრიანი რეალობის აღწერა
ეს შთაბეჭდილება ძლიერდება გახსენებების ფრაგმენტებით
წარსულის ნაგლეჯებით, „დღევანდელით", რომელსაც თავის
პრიზმაში ემოციური მე ატარებს, ფენებად ედება ბურუსით მო-
ცულ „გუშინს". შედეგად რჩება მკაცრი რეალობა. და თანდათან
უფრო რთული ხდება, დაადგინო საზღვრები წარსულსა და აწ-
მყოს შორის. ყველაფერი თითქოს დრომ გადარეცხა.

დაპატიმრების შიშით პედრო, გადაკეთებული პასპორტით
შეყვარებულთან და მეგობრებთან ერთად პარიზიდან სა-
ფრანგეთის მთიან პატარა დაბაში გარბის. იქ ერთ-ერთი რეს
ნაცნობი შვეიცარიის საზღვრის არალეგალური გადაკვეთის
გზებს სთავაზობს. დროულად ნათქვამი ეს ინფორმაცია და
საპყრობილეს შიში შემდგომ გეგმას კარნახობს პედროს. და ის
იღებს ამ წინადადებას. იმის გაზრება, რომ ეს მახეა, გვიან
უმნიფდება თავში. ხიფათი მოდის ნაცნობის მხრიდან და არა
იქიდან, საიდანაც ელოდა. და უკვე ძალიან გვიანია.

და მერე, უცნაურად გვეჩვენება, რომ როლანი არ ეძებს
დენიზს, თავის შეყვარებულს. ალბათ ის უმალ საკუთარი თავის
აღდგენას ესწრაფვის მანამ, სანამ იმ ადამიანებს მოძებნის,
ვინც მას ოდესღაც გარს ერტყა. დენიზის ძებნა, ლამისაა, მისი
სიკვდილის აღიარების ტოლფასია. ამიტომ ის ცდილობს, იპოვოს
ფრედი, რომელიც ომის მერე პოლინეზიაში წავიდა. როლანი
მიდის კუნძულზე და ერთადერთი, რასაც ნახულობს, ესაა ცარი-
ელი ოთახი ჩამტვრეული მინებით, რომელშიც ქარი ქრის. ჩვენ
ვერ ვხვდებით, როლანის მეგობარი დაიღუპა თუ მიმალული,
და აქ ავტორი თავისებურ მეტაფორას იყენებს – ოთახში შემო-
ფრინდებიან პატარა ფრინველები, ისინი მჭიდრო რიგებად სხდე-
ბიან საწოლებზე, სკამებზე, თაროებზე. ეს ციცქნა ფრინველები
ყველაფერს ჭამენ – ხეს, ქაღალდს, კედლებსაც კი. და ეს ჩიტები
აქრობენ ფრედის სიცოცხლის ბოლო ნიშნებსაც კი.

სწორედ ასეა ამოკენკილი როლანის მეხსიერებიდან წარ-
სულის ამბებიც.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ ის, რაც პედროს შემორჩ
ნამცხვრის პაწაწინა კოლოფია, სადაც კალის ჯარისკაცებ

ითრი კონვერტი, ფოტოები დევს. აი, მთელი მტკიცებულება წარსულის არსებობის შესახებ. ყველა ის ადამიანი, ვისაც უნარი ჰქონდა, შუქი მოეფინა ძველი ამბებისთვის, ამქვეყნიდან წავიდა. გაქრა დენიზი, გეი ორლოვამ თავი მოიკლა, ბებერი სკუფი მოკვდა, ფრედიც გაქრა, ცეცხლმა დაწვა არქივები, ძველი რესტორანიც, სადაც როლანი დენიზის მოლოდინში საღამოობით იჯდა ხოლმე, ქალაქიდან გადაირეცხა. ერთადერთ იმედად მოჩვენებებით მოცული „ბნელი ჯიხურების ქუჩა" რჩება. ესაა მისი ბოლო მცდელობა, წავიდეს რომში, ბნელი ჯიხურების ორ ნომერში, სადაც ერთ დროს ცხოვრობდა.

და როცა ასე ცოტა შეკითხვაზეა პასუხი გაცემული, განა ღირს, გააგრძელოს მცდელობა? პატრიკ მოდიანო თავის სხვა რომანში, „უცნობი ქალები" თითქოს ამ რომანს ეხმაურება და წერს: „მე მივხვდი, რომ უუნარო ვარ, აღვადგინო წარსული. მისგან მხოლოდ ფრაგმენტები რჩება და მიმოფანტული ეპიზოდები".

მაგრამ ამ საკითხს მწერალი ასე იოლად ვერ ელევა. პატრიკ მოდიანო ამ წიგნში გვაიძულებს, დავფიქრდეთ რთულ ადამიანურ საკითხებზე – თუ რა არის ცხოვრება და მისი აწმყო. რითი არიან ისინი ერთმანეთზე დამოკიდებულნი, არსებობს თუ არა აწმყო ჩვენი ცნობიერების მიღმა და ასე შემდეგ... როლანის შეყვარებული, დენიზი, ერთადერთი სუფთა სისხლის ფრანგი პერსონაჟია მთელ წიგნში. ერთადერთი, ვისაც ჰქონდა შანსი, ეცხოვრა ოკუპირებულ პარიზში, და სწორედ ის იღუპება. და მწერალიც სწორედ ასე განგვიმარტავს ომის პარადოქსს, და არამარტო ომის, ზოგადაც, ცხოვრების პარადოქსს.

რა არის წარსული? ის მხოლოდ ფოტოების გროვა ხომ არაა... ან – ქარი და დათოვლილი მეხსიერება, სადაც ალაგ-ალაგ ბჟუტავს სინათლე და ჩნდება რაღაც კადრები? არის კი აწმყო წარსულის გარეშე? მოდიანოს რბილად მივყავართ პასუხისკენ. რა მყისიერიც არ უნდა იყოს აწმყო, ის არსებობს. და წარსულის და აწმყოს გარეშე არც მომავალია.

ომი რომანში – ეს მეტაფორაა. ეს არის საშუალება, წაშალო მეხსიერება. წაშალო წარსული. ომი – ესაა ამნეზია. ალცჰეიმერის დაავადება, რომელიც წარსულის წაშლით შლის აწმყოსაც და მომავალსაც. მოდიანოს გმირს, როლანს არა აქვს აწმყო და მომავალი, რადგან მან წარსული დაკარგა. რა უნდა ქნას ადამიანმა, რომ არ გაიზიაროს მისი ხვედრი? ალბათ ამაზე თითოეული ცალ-ცალკე ფიქრობს და ცდილობს, უკანასკნელი ძალა მოიკრიბოს და ცხოვრებიდან მისთვის სასურველი აწმყო როგორმე გამოადნოს.

ალბათ ამიტომ, ეს რომანი პარიზის ერთ ყლუპად იქცა 1978 წელს. მან ადამიანებს შეახსენა ერთდროულად ბავშვობაც და საერთოდ, ყველაფერი ის, რაც წარსულში ძვირფასი იყო და ახლა უსასრულო ნოსტალგიის განცდას გიჩენთ.

„ბნელი ჯიხურების ქუჩა" პატრიკ მოდიანომ 33 წლისამ დაწერა. თავად 1945 წელს დაიბადა, ანუ ომის დამთავრების შემდეგ, მაგრამ მისი წიგნები ხშირად ეძღვნება ომს, ოკუპირებულ საფრანგეთს.

არ ვიცი, დაინტერესდებოდა თუ არა ოკუპაციის თემით, ებრაელებით და ზოგადად, 40-იანი წლების საფრანგეთით პატრიკ მოდიანო, რომ არა მისი ებრაული სისხლი... საერთოდ ხომ ასე ხდება ხოლმე, რაღაც მძაფრად უნდა შეგვეხოს, გვეტკინოს, რომ იძულებული შევიქნათ, ყურადღება მივაქციოთ. თვითონ ამბობს, ჩემს რომანებში ოკუპაციის თემა არც ისე ახლოს დგას 40-იანი წლების რეალურ მოვლენებთან, მე მხოლოდ ვქმნი მსგავს ატმოსფეროსო, მაგრამ მკითხველმა იცის, რომ მის ტექსტებში აღწერილი ამბები ძირითადად დოკუმენტურია, პერსონაჟები – ძალიან ხშირად – რეალურნი... არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრონიკა, რომელიც თან სდევს ტექსტს, ფონია. ომი, რომელიც ხდება, ასევე ფონია, ძირითადი კი მაინც ის ადამიანია, რომლის ამოტივტივება მწერალმა განიზრახა და თითქოს არც კი გაამახვილა მასზე ყურადღება, ისე, უნებურად გადმოგვცა მისი ყველაზე ნიუანსობრივი შტრიხები, ასახა ხასიათი, გაგვაყოლა მის ნაკვალევს და საბოლოოდ ერთი დიდი პანორამა დაგვიხატა, რომლითაც ბევრად უფრო მეტი გვითხრა, ვიდრე უბრალოდ ისტორიის თხრობაა. „ჩემი მეხსიერება ჩემზე ბევრად უფროსია" – წერს ის ერთ თავის ინტერვიუში. და თითქოს თავადაც ჩამოჰგავს როლანს, თავის გმირს, რომელიც ზის ოთახში და ძველ ფოტოსურათებს არჩევს... შემდეგ რომელიმეზე შეჩერდება და იწყებს რომანის წერას, და ასე ეძებს თავის თავს, თავის დაკარგულ წარსულს.

ნაწარმოების მთავარი გმირი როლანი კი არა, მეხსიერებაა, ინდივიდუალური, კოლექტიური თუ ისტორიული. და ამ ყველაფერთან „მეს" დამოკიდებულება, იდენტობის ძიება.

როლანი ეძებს ამ დაკარგულ „მეს". სიმბოლურია, რომ საკვანძო ამბები თოვლის ფონზე ხდება. ალბათ მოდიანოსთვის ეს სითეთრე სუფთა ფურცლის, განმენდილი გონების მეტაფორაა. და რა რჩება, როცა ადამიანის ინდივიდუალური მეხსიერება არ მუშაობს? მატერია და კოლექტიური მეხსიერება. რჩება ვიღაც, ვინც გიხსენებს შენ და იხსენებს შენს ამბებს. და რჩება რიტორიკული შეკითხვა, რომელსაც მოდიანო რომანის ბოლოში სვამს. „პატარა გოგონა დედასთან ერთად სანაპიროდან ბრუნდება. უმნიშვნელო მიზეზით ტირის. თამაშის გაგრძელება სურდა და არ აცალეს. სულ უფრო და უფრო შორს მიდის. უკვე ქუჩის კუთხეში შეუხვია... ჩვენი ცხოვრებაც ხომ ასე სწრაფად იფანტება, ბავშვის ნაღველივით..."

# აირის მერდოკი – ლიტერატურაში ნაპოვნი ფილოსოფია

*ნათია ზოიძე*

ალბათ თითზე ჩამოსათვლელია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებმაც შეძლეს, ორ „მონათესავე", თუმცა არსობრივად განსხვავებულ სფეროში მიეღწიათ პოპულარობისა და აღიარებისათვის. აირის მერდოკი სწორედ ასეთი მწერალი/ფილოსოფოსი ქალია. ალბათ ფემინისტების ანტიპათიას დავიმსახურებ იმით, რომ მესამე პრედიკატს, „ქალს" ვუმატებ მოცემულობას (მწერალი/ფილოსოფოსი), თუმცა ემპირიულ სამყაროში, რომელშიც მხოლოდ განხორციელებული პოტენციალებით ითვლიან წარმატებულობას, ათეულების სისტემაც კი ეყოფა აღიარებული ფილოსოფოსი/მწერალი ქალის გადათვლას.

აირის მერდოკმა მოღვაწეობა დაიწყო როგორც ფილოსოფოსმა და მისი პირველი მონოგრაფიაც – „სარტრი, რომანტიკოსი რაციონალისტი" – სწორედ ფილოსოფოსის შესახებ გამოიცა 1953 წელს. ამ დროს ის უკვე წერდა რომანს და ზუსტად ერთი წლის შემდეგ 1954 წელს გამოსცა პირველი რომანი „ბადის ქვეშ".

წარმოუდგენელია, მუშაობდე ორ სფეროში და მიღებული გამოცდილება, რასაც ინგლისელები მართებულად უწოდებენ „ბექგრაუნდს", არ გამოავლინო შრომაში/ნაწარმოებში. მიუხედავად იმისა, რომ მერდოკს უნდოდა რომანებში მინიმუმამდე დაეყვანა საკუთარი ფილოსოფიური ცოდნის როლი, იქ მაინც დიდი ადგილი უკავია ფილოსოფიურ აზროვნებასა და სამყაროს ფილოსოფიურ აღქმას. თავად მწერლის თქმით ფილოსოფია მოვლენის განმარტებას ცდილობს, ლიტერატურა კი მისტიფიცირებას. სწორედ ამიტომ ფილოსოფია ლიტერატურაში მხოლოდ დამატების როლს შეიძლება ასრულებდეს. უფრო მეტიც, მერდოკი აღიარებს, რომ მას ეშინია ფილოსოფიის რომანებში გამიზნულად „ჩადების", რადგან ჰგონია, რომ ამ შემთხვევაში გმირები წინასწარ განსაზღვრული ბედის მქონე თოჯინებად გადაიქცევიან.

მიუხედავად მწერლის მკაცრი პოზიციისა, სავსებით არ უნდა იცნობდე მერდოკის ფილოსოფიურ მისწრაფებებს, რომ ვერ შენიშნო, თუ რამდენადაა მისი ნაწარმოებები გაჯერებული და გარკვეულწილად მართულიც, ფილოსოფიური იდეებითა და პოზიციებით.

ბრაიან მაგისთან ჩაწერილ ძალიან საინტერესო ინტერვიუში, მერდოკმა აღიარა, რომ მისი აზრით არც ფილოსოფია და არც ლიტერატურა არ არის ღირებულებისადმი ნეიტრალური, ესაა ამ ორი დისციპლინის საერთო თვისება.

აირის მერდოკს, როგორც მეოცე საუკუნეში მოღვაწე ფილოსოფოსს, კარგად აქვს გააზრებული რეალობა, რომელშიც უწევს არსებობა. კარგად იცის, რომ თანამედროვე ადამიანი, რომელსაც დაუკარგეს/დაკარგა მარადისობის პერსპექტივა, დგას ფუნდამენტური პრობლემის წინაშე. თანამედროვე ადამიანმა არ იცის: სად არის და რა სურს. ეს ორი მნიშვნელოვანი შეკითხვაა, რომელზეც პასუხს რელიგია ლანგრით მიართმევდა ხოლმე ადამიანებს, პასუხი კი იქცეოდა a priori, ანუ განხილვის მიღმად, ამ აპრიორებზე დაშენებით კი იქმნებოდა სხვა ყველაფერი. ჰარმონიულობა კაცობრიობას აძლევდა იმის საშუალებას, რომ ეკვება სიცოცხლეში – ხელოვნებით, სიცოცხლის შემდეგ – სულით, როგორც რენესანსულ გაცისკროვნებულ ფრესკა-სურათებშია, მაგრამ ყველაფერი ეს ადამიანმა დაკარგა/დააკარგვინეს შესაძლოა ნიცშეანური ძალაუფლების ნებისათვის. ერთი რამ ცხადია, ადამიანი გახდა მუნკის „კივილის"-ებრი არსება. შეიძლება სწორედ ამიტომ, აირისის ფილოსოფიური კვლევები ეთიკასა და ეთიკურობას ეძღვნება. მოცემულ ყოფაში ჩავარდნილთათვის მარადიული ღირებულებების ძიებას და მათი არსებობის დასაბუთებას.

მერდოკის რომანები კონტროვერსიულ რეალობას გვთავაზობენ. რომანის გმირები ცხოვრობენ სწორედ ისეთ გარემოში, რომლის უარყოფასაც მერდოკი საკუთარ ფილოსოფიურ კვლევებში ცდილობს. ესაა მრავალღერძული სისტემა, სადაც გმირები გადაადგილდებიან და იშვიათად თუ ცდილობენ დიალოგის მიღწევას, რეალობის შეცნობას.

აირის მერდოკის 26 რომანიდან ყველაზე პოპულარული და მკითხველისთვის ყველაზე მეტად საყვარელი, მაინც მისი პირველი რომანია, „ბადის ქვეშ". უკვე ვახსენე, რომ ის სარტრის შესახებ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ დაიწერა. ამით აიხსნება ალბათ ისიც, რომ რომანის გმირები ეგზისტენციალურ გარემოში ცხოვრობენ, დაეხეტებიან და დაეძებენ მარადიულობას. მთავარი გმირი ჯეიკი სწორედ ამის განსახიერებაა. როგორც დორსის სიმღერაშია:

„into this house we are born,
Into this world we are thrown"

ალიაქოთში მოხვედრილი ჯეიკი და ზოგადად ნაწარმოების ყველა გმირი, რეალობას მოდერნისტული პესიმიზმით, ნიჰილიზმით კი არ პასუხობს, არამედ სიმსუბუქით, ყოფაზე ჩაბღაუჭებულობით. მერდოკის გმირები თითქოს ირჩევენ თავის დაღწევის ახალ მეთოდს, „mis-action"-ს[1], რაც გამოიხატება რეალობის გაყალბებით, ყალბი მეგობრობით, გრძნობებითა და მისწრაფებებით. „სხვა სამყაროში" გადაბიჯებაზე არცერთი არ ფიქრობს, პირიქით, ისინი იკვებებიან ეგზისტენციალიზმის ჯიუტი არსებობის პათოსით, და პოსტმოდერნული სიმსუბუქით.

„დიდი ხანია უკვე ცნობილი იყო ის, რომ ღმერთი მოკვდა და ადამიანი თავად – იქცა" წერს მერდოკი თავის ნაშრომში [სარტრი – რომანტიკოსი რაციონალისტი]. ზუსტად იგივე განწყობა იკითხება რომანში „ბადის ქვეშ".

[1] **არასწორი ქმედება; არასწორად რეაგირება;**

ჯეიკი თავისუფალია ყველაფრისაგან: გზამკვლევისაგან, მკარნახებლისაგან, საყვარლისგან, დედისგან, მამისგან. თუმცა ამ თავისუფლებაში ჩავარდნილი დაბნეული ამბობს:

„ვერ ვიტან მარტოობას, თუმცა მეშინია სიახლოვის. ჩემი ცხოვრების არსი არის განმარტოებით საუბარი საკუთარ თავთან, რომელიც დიალოგად რომ გადაიქცეს, თვითგანადგურების ტოლფასი იქნება, ისეთ მეგობრობას, როგორიც მე მჭირდება, კაფეში ან ბარში ვიპოვი".

საინტერესოა ისიც, რომ ჯეიკს აქვს მიკუთვნებულობის, დაფუძნების შიში, სწორედ ამიტომ, ის ერთ ადგილას დიდი ხანი ვერ ჩერდება, არ აქვს სახლი, არ ჰყავს ცოლი და მეგობრები. რომანი იწყება იმ მომენტით, როდესაც ის საფრანგეთიდან ბრუნდება, თუმცა წიგნის კითხვისას ვხვდებით, რომ მისთვის საფრანგეთი და ნებისმიერ სხვა ქვეყანაში გამგზავრება არის საკუთარი თავისგან, ერთ ადგილზე დაფუძნებისაგან გაქცევა.

ჯეიკს ერთი უცნაური თვისება აქვს, ის ვერ იტანს ქირის გადახდას. ურჩევნია იცხოვროს „მეგობრებთან". წესით, თავისუფლებაზე შეყვარებულ ადამიანს უნდა მოსწონდეს easy come easy go ურთიერთობა, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ხან ერთგან იცხოვრო, ხან მეორეგან, არ მიეჯაჭვო არც სახლს, არც პატრონს. ფულის დაზოგვასთან ერთად ჯეიკი ადამიანებთან დროებით თანაცხოვრებას ირჩევს. ეს გარკვეულწილად ნიშნავს იმას, რომ ჯეიკს ფარულად, თუმცა მაინც სურს ოჯახის ან მისი სიმულაციის მიღება. აშინებს მეჩვევა, თუმცა ამავდროულად კომფორტულად გრძნობს თავს მაგდალენის სახლში. სახლი, რომელიც არის არა მხოლოდ შენობა, არამედ სითბოც. ინგლისური ენა ანსხვავებს მოცემულ ორს, ესაა „house"-ი, „home"-ის წინააღმდეგ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მერდოკის გმირი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, ასეთ მომენტებში კი ჩანს მერდოკის, როგორც მწერლის გაორება მეტაფიზიკურის ძიებისა და არსებული რეალობის ასახვას შორის.

ჯეიკი საფრანგეთიდან დაბრუნებისას აღმოაჩენს, რომ მაგდალენი (რომელიც ჯეიკის პარტნიორი იყო საფრაგეთში წასვლამდე) თხოვდება და მისი სახლის კარიც ჯეიკისათვის ლოგიკურად იხურება. ის იმედგაცრუებულია. არა მარტო იმით, რომ საცხოვრებელი დაკარგა, არამედ იმითაც, რომ სახლს მაგდალენიც მიჰყვა. ჯეიკი სინანულით ამბობს: „უჩვეულო ტკივილმა ტყვიასავით ჩამიარა და მაიძულა შევტრიალებულიყავი. ამ გოგოსთვის უკეთ უნდა მომევლო" („ბადის ქვეშ", გვ. 12) .

შეიძლება ითქვას, რომ ჯეიკი არის ჩარჩენილი აქაც და იქაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბატონი „ილარიონივით" არ სვამს კითხვას „მე აქა ვარ თუ იქ?" („ცისფერი მთები ანუ ტიან-შანი"), და ეს არის კიდეც ეგზისტენციალური ადამიანის უმთავრესი პრობლემა. ადამიანებმა მიატოვეს ფილოსოფიისადმი სწრაფვა, მათ უკვე აღარ სურთ ან, უბრალოდ, აღარ სვამენ ტრანსცენდენტალური მნიშვნელობის კითხვებს. და თუკი მაინც განუხებს ასეთი უცნაური კითხვები, მაშინ სჯობს უნივერსიტეტს ან კოლეჯს მიმართო. სწორედ ასე იქცევა ჯეიკის მეგობარი დეივი. დეივი „ფილოსოფოსია". მას ჯეიკი ასე ახასიათებს:

„...[დეივი] თავის გარშემო უამრავ ახალგაზრდას აგროვებს, რომელთაც ნახევარგანაკვეთიანი ინტერესი აქვთ ჭეშმარიტების მიმართ. დეივის მოსწავლეების აზრით სამყარო არის საიდუმლო; მისტერია, რომლის გასაღების მოძებნაც რაციონალურად შესაძლებელია. გასაღები დამალულია რომელიღაც რვაას გვერდიან წიგნში. პოვნა არ იქნება იოლი, მაგრამ დეივის მოსწავლეები დარწმუნებულნი არიან, რომ კვირაში ოთხიდან ათ საათამდე ფილოსოფიისადმი თავის მიძღვნა, უნივერსიტეტის არდადეგების პერიოდის გამოკლებით, საკმარისია დასახული მიზნის მისაღწევად" („ბადის ქვეშ", გვ 27);

რომანის კიდევ ერთი ეგზისტენციალური მორალით აღსავსე გმირია ჰიუგო, რომელსაც ჯეიკი ერთ-ერთი აბსურდული ექსპერიმენტი-პროექტის დროს გაეცნო. ჰიუგო შეპყრობილია ფოიერვერკებით. მას ფოიერვერკებში იზიდავს წამიერი ნეტარების იდეა. სილამაზის ეფემერული მწვერვალი, რომელიც მიღწევისთანავე ქრება. მარადისობა მხოლოდ მითია, მასზე პრეტენზია მოკვდავს არ უნდა ჰქონდეს, ამიტომ საჭიროა დაკმაყოფილდეს და თავი გაიხაროს იმ მოვლენებით, რომლებიც იმ წამს ხდება, არის მშვენიერი და აუცილებლად ქრება: „იხდი ფულს... და სანაცვლოდ იღებ წუთიერ სიამოვნებას, სისულელეების გარეშე"...

სისულელეა მარადიულის და შეუცვლელის ძიება – მწერლის თითქმის ყველა რომანს გასდევს ეგზისტენციალიზმისთვის დამახასიათებელი მარადიულობის უკუგდება – თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მერდოკის გმირები, როგორც წესი, უჩვეულო სიმსუბუქით უდგებიან თავიანთ მდგომარეობას, ეს კი რომანებს პოსტმოდერნისტულ იერს სძენს. მარადიულ ღირებულებებზე თავდასხმა, მათი უნდობლობა და მათი გაშარჟება – აი, ესაა მერდოკის გმირების საერთო პათოსი, რაც ასე კარგად ჩანს მერდოკის რომანის, „ზღვა, ზღვას" ციტატაში: „არაფერია ადამიანში მუდმივი. ჩვენთვის მარადისობა არის ილუზია, ისე, როგორც ზღაპარში, როდესაც საათი თორმეტს ჩამოკრავს, ყველაფერი ნაწილებად დაიშლება და გაქრება. რჩება მხოლოდ ყოველდღიური ვალდებულებები, ინტერესები და გრძნობ თავისუფლებას..." („ზღვა, ზღვა", გვ. 263);

ძლიერ დასანანია, რომ დღემდე მწერლის არცერთი რომანი არ არის ქართულ ენაზე ნათარგმნი. აირის მერდოკს უკვე დიდი ხანია დამკვიდრებული აქვს ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში, მის აღიარებაზე და პოპულარობაზე ისიც მეტყველებს რომ 2001 წელს გადაიღეს ბიოგრაფიული ფილმი „აირისი" ქეით ვინსლეტისა და ჯუდი დენჩის მონაწილეობით.

იმედს ვიტოვებ, რომ სტატია იქნება ბიძგი მთარგმნელებისათვის, ან უბრალოდ კარგი მკითხველებისათვის, რომ გაეცნონ და დაინტერესდნენ ამ მრავალფეროვანი მწერლის შემოქმედებით.

# სტივენ ჰოკინგი, ღმერთი და მეცნიერების როლი

*ალისტერ მაკგრეთი*

*პროფესორ მაკგრეთს სამი სადოქტორო ხარისხი აქვს ოქსფორდის უნივერსიტეტიდან: მოლეკულურ ბიოფიზიკაში, ინტელექტუალურ ისტორიასა და თეოლოგიაში. ალისტერ მაკგრეთი მრავალი ნაშრომის ავტორი და თეიზმის ერთ-ერთი გავლენიანი აპოლოგეტია.*

***თავის ბოლო წიგნში, „The Grand Design", რომელიც ავსტრალიაში სულ ახლახანს გამოიცა, ჰოკინგი აცხადებს: „ვინაიდან არსებობს ისეთი კანონი, როგორიც გრავიტაციაა, სამყაროს შეეძლო, საკუთარი თავი შეექმნა არაფრისგან. სპონტანური ქმნადობაა მიზეზი იმისა, რომ არსებობს რალაც არაფრის ნაცვლად, არსებობს ეს სამყარო, ვარსებობთ ჩვენ".***

„დიდი აფეთქება" სპონტანურად მოხდა, რაც ფიზიკური კანონების და არა შემოქმედი ღმერთის ნების მოქმედების შედეგი იყო. ამგვარი მოსაზრება საუკეთესო გზაა წიგნის რეკლამირებისთვის და ღმერთის შესახებ უძველესი პოლემიკის განახლებისთვის, რადგან ის საინტერესო კითხვებს წარმოშობს. ნება მომეცით, ზოგიერთ მათგანს შევეხო.

მე თავად ვსწავლობდი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც ბაკალავრის ხარისხი ქიმიაში მივიღე. ჩემი პირველი სადოქტორო დისერტაცია კი ამავე უნივერსიტეტში, მოლეკულურ ბიოფიზიკაში დავიცავი. არსებობს ფართო კონსენსუსი, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები არც ათეისტურია და არც თეისტური. ისინი უბრალოდ არ ოპერირებენ ამ დონეზე. თუმცა შესაძლებელია მათი მონაცემების რელიგიური ან ანტირელიგიური ინტერპრეტაცია. მაგალითად, მებრძოლი ათეისტი, რიჩარდ დოკინზი მეცნიერებას იყენებს, როგორც იარაღს რელიგიის წინააღმდეგ. მაგრამ, სხვათა აზრით, მეცნიერებას და რელიგიურ რწმენას შეუძლია ერთმანეთის გამდიდრება. მაგალითად, ფრენსის კოლინზის[1] წიგნი, „ღმერთი ენა" ამტკიცებს, რომ მეცნიერული მონაცემები უფრო გასაგები ხდება ღვთისადმი რწმენის და არა ათეიზმის ფონზე.

ამრიგად, რას მოგვითხრობს ჰოკინგის ბოლო წიგნი? უწყობს თუ არა ის ხელს მეცნიერული ცოდნის გაღრმავებას ან გარკვეულ აზრამდე მისვლას? არა მგონია. ღმერთის არსებობასთან დაკავშირებით ჰოკინგის თამამმა განცხადებებმა საგონებელში ჩააგდო ჩემი კოლეგები ოქსფორდსა და ლონდონში, ძირითადად, იმ სპეკულაციური ინტერპრეტაციის გამო, რომელიც მის ისედაც სპეკულაციურ თეორიას უკავშირდება.

მთავარ პუნქტებში ჰოკინგის ანალიზი საოცრად სუსტია. მისი აზრით, დიდი აფეთქება გარდაუვალი შედეგი იყო ფიზიკის კანონებისა. „ისეთი კანონის მეშვეობით, როგორიც გრავიტაციაა, სამყაროს შეეძლო, საკუთარი თავი წარმოეშვა არაფრისგან". როგორც ჩანს,

---

[1] ფრენსის კოლინზი (Francis Collins) – ამერიკელი გენეტიკოსი, აშშ-ს *National Institutes of Health*-ის დირექტორი. 1970-იანი წლებიდან დღემდე მას 400-ზე მეტი peer-reviewed სტატია აქვს გამოქვეყნებული. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ათეისტები კოლინზს საპირისპირო ბანაკში მუდამ მოიაზრებენ, მის მიმართ, მაგალითად, აწ გარდაცვლილი ქრისტოფერ ჰიჩენსი პატივისცემით იყო განმსჭვალული. სამეცნიერო წონის თვალსაზრისით, კოლინზი ბევრად აღემატება ახალი ათეიზმის ოთხივე მხედარს. ამ კუთხით, ერთ-ერთი ბლოგერი საინტერესო გრაფიკულ გამოსახულებას იძლევა, რომელშიც ახალი ათეისტებისა და ფ. კოლინზის სამეცნიერო სტატიების რაოდენობაა შედარებული, რაც მკაფიოდ ჩანს მათ შორის არსებული უზარმაზარი კონტრასტი კოლინზის სასარგებლოდ. [მთარგ. შენიშ.].

ჰოკინგი ერთმანეთში ურევს კანონსა (law) და აქტორს (agency). კანონები თავად არაფერს წარმოშობენ. კანონები უბრალოდ აღწერენ იმას, რაც გარკვეულ პირობებში ხდება.

წარმოიდგინეთ, რომ კრიკეტის თამაშს უყურებთ. ნიუტონის კანონი გვეხმარება გავიგოთ, როგორ მოძრაობს ბურთი. მაგრამ ეს კანონი არ იწვევს ამ ბურთის ამოძრავებას. ამ საქმეში აქტორია (agency) ჩართული. კანონები მხოლოდ გვეხმარება გავიგოთ, რა ხდება ამ დროს, მაგრამ ისინი არ იწვევენ ქმედებას.

ჰოკინგი გვეუბნება, რომ არ გვჭირდება შემოქმედის იდეა, რადგან უკვე გვაქვს ფიზიკის კანონები. ეს მოსაზრება არ წარმოადგენს სიახლეს. აქ პასუხგაუცემელი რჩება შეკითხვა: საიდან გაჩნდა ფიზიკის ეს კანონები? ვინ შექმნა ისინი? როგორ წარმოიშვა თავად გრავიტაცია ყველაზე უწინ? რომელი აქტორი (აგენცყ) იყო ჩართული საქმეში?

ჰოკინგი ფიქრობს, რომ აქ არჩევანი უნდა გავაკეთოთ ან ბუნების კანონებზე ან ღმერთზე, როგორც ერთმანეთთან შეუთავსებელ მოცემულობებზე. მაგრამ ეს ერთგვარი მარცხია აქტორის ვინაობის შესახებ საკითხის გამორკვევისას. ავიღოთ, მაგალითად, ლეონარდო და ვინჩის მიერ მონა ლიზას ნახატის შექმნა. ფიზიკის კანონები გვეხმარება, გავიგოთ ეს პროცესი. მაგრამ საქმეა, რომ ამ კანონებს თავად შეექმნა აღნიშნული ნახატი, ლეონარდოს გარეშე. თითქოს ლეონარდო არაა უცილებელი, აქტორი იყოს ამ პროცესში.

თუმცა ვიტყოდი, რომ ჰოკინგის მიდგომასთან დაკავშირებულ პრობლემებს უფრო ღრმა ხასიათი აქვს. სტივენ ჰოკინგზე მრავალი მეცნიერი ბრაზობს იმის გამო, რომ მეცნიერების დისკრედიტაციის რისკზე წავიდა თავისი გადამეტებული განცხადებებით. მეცნიერება ადამიანის დამოუკიდებელი ინტელექტის წარმატების ისტორიაა. ის ადამიანური ცოდნის ყველაზე უსაფრთხო და სანდო ფორმად მიიჩნევა. მეცნიერებამ ამგვარი შესაშური რეპუტაცია კი სწორედ თავისი ზომიერი ამბიციით მოიპოვა.

სწავლულებმა იციან, რომ ყველაფერზე მსჯელობა არ ძალუძთ[2] – მათ მხოლოდ იმ შედეგებზე საუბარი შეუძლიათ, რომლებიც მკაცრი და ტესტირებადი კვლევის შედეგად მიიღეს. მეცნიერება ამ ხილული სამყაროს მხოლოდ ფორმებისა და პროცესების აღწერას ცდილობს. საზრისისა და ღირებულების საკითხების ძიება კი მისი საქმე არაა. მეცნიერება ეთიკურ, პოლიტიკურ და რელიგიურ დებატებზე მაღლა დგას და ასეც უნდა იყოს.

მეცნიერების კულტურული და ინტელექტუალური ავტორიტეტი ამგვარ დებატებში მის ნეიტრალობას ეფუძნება. თუ მას იდეოლოგიური მიზნებით იყენებენ, მაშინ მეცნიერების საჯარო რეპუტაცია ამით მხოლოდ ზიანდება. ამას ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ აცნობიერებდნენ.

ცნობილია დარვინის დიდი მხარდამჭერის, თომას ჰაქსლის (1825-1895) სიტყვები, რომ მეცნიერება „სუიციდს მიმართავს, როცა ის გარკვეული მრწამსის მხარდამჭერი ხდება". ჰაქსლი მართალი იყო. თუ მეცნიერებას სეკულარული ან რელიგიური ფუნდამენტალიზმი იყენებს, მაშინ მის ინტელექტუალურ კეთილსინდისიერებას დიდი ზიანი ადგება, კულტურული ავტორიტეტი კი ეცემა.

ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომაა მრავალი სწავლული თავზარდაცემული ახალი ათეისტების იდეოლოგიით. მათ მიაჩნიათ, რომ მსგავსი მიდგომა მეცნიერების რეპუტაციას ლახავს, როცა მას ანტირელიგიური პროპაგანდისთვის იყენებენ.

ბარონესა სუსან გრინფილდს, ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მეცნიერს, ღმერთის შესახებ სტივენ ჰოკინგისეული სპეკულაციების შეფასება სთხოვეს. მას ჰკითხეს, აწუხებდა თუ არა მეცნიერთა მიერ იმ სფეროებში გამოთქმული მოსაზრებები, რომელთანაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ[3]. "დიახ, მაწუხებს", – უპასუხა მან, – "რასაკვირველია, ამგვარ სწავლულთ ნებისმიერი კომენტარის გაკეთება შეუძლიათ, მაგრამ როდესაც ერთგვარი თალიბანური ყაიდის სულისკვეთებით ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ყველაფერზე აქვთ პასუხი, ამ დროს ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს. ეს ნამდვილად არ წაადგება მეცნიერებას".

მართალია და ნებისმიერი, ვინც მეცნიერებას ანტირელიგიურ იარაღად იყენებს, მისი ეს სიტყვები ყურად უნდა იღოს. გრინფილდმა ასევე განაცხადა, რომ "მეცნიერებას პროვიზიონალური (დროებითი, პირობითი) ხასიათი აქვს. ამიტომ, როცა აცხადებ, რომ განსაზღვრული პასუხი გაქვს რაიმეზე, ეს ხისტი აზრია. დიდად სამარცხვინო იქნებოდა, თუკი ახალგაზრდობა იფიქრებდა, რომ მეცნიერი მხოლოდ ათეისტი შეიძლება იყოს. მრავალი მეცნიერია ისეთი, რო-

[2] თუნდაც მეცნიერებამ შეძლოს რელიგიის ფენომენის ახსნა, ეს არანაირად არ დააზიანებს რელიგიას. მაგ., ისეთი ცნობილი ათეისტი, როგორიც მაიკლ რუზია, აღნიშნავს, რომ რელიგიის მეცნიერული ახსნა არ ნიშნავს მისი (რელიგიის) სიყალბის დამტკიცებას. [მთარგ. შენიშ.].

[3] მართლაც, სტივენ ჰოკინგის გამაოგნებელი უვიცობა რელიგიის სფეროში გამოვლინდა მის თუნდაც იმ სიტყვებში, რომლის მიხედვითაც ღმერთი თითქოს დროით კატეგორიას უნდა ემორჩილებოდეს. დოკუმენტური ფილმის **Stephen Hawking's Grand Design: Did God Create the Universe?** დასასრულს ის ამბობს: „როცა ხალხი მეკითხება, სამყარო ღმერთმა შექმნა თუ არა, ვპასუხობ, რომ ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. დიდ აფეთქებამდე დრო არ არსებობდა. სწორედ ამიტომ უფალს მის [სამყაროს] შესაქმნელად დრო არ ჰქონდა" (არსებობს თუ არა ღმერთი – სტივენ ჰოკინგის სამყარო (მოცემული სიტყვები იხ. 41:28 წთ-დან), 2 ოქტომბერი 2016, „შემეცნებითი არხი", **https://www.youtube.com/watch?v=yvHy8fBDKfs&t=337s** [მთარგ. შენიშ.].

გორიცაა გენეტიკოსი ფრენსის კოლინზი, რომელიც იმავდროულად მორწმუნეა".

ბუნებრივია, გრინფილდი სიმართლეს ღალადებს. გარკვეული აზრით, მეცნიერება ვერაფერ ლეგიტიმურს ვერ იტყვის ღმერთის შესახებ. როგორც ერთმა დიდმა ევოლუციონისტმა ბიოლოგმა ჰარვარდიდან, სტივენ ჯეი გოულდმა (1941-2002) სწორად შენიშნა, „მეცნიერებას (თავისი ლეგიტიმური მეთოდებით) უბრალოდ არ შეუძლია დაადგინოს და გამოარკვიოს ღმერთის შესაძლო მოქმედება ბუნებაში. ამას არც უარვყოფთ და არც ვადასტურებთ. ჩვენ, როგორც მეცნიერებს, უბრალოდ, არ შეგვიძლია ამ საკითხზე საუბარი".

„ახალი ათეიზმი" მეცნიერებასა და რელიგიას მუდმივად დაპირისპირებულ მხარეებად წარმოგვიჩენს. მათ დროის საკითხად მიაჩნიათ მეცნიერების საბოლოო გამარჯვება რელიგიაზე. რელიგიის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში ახალი ათეისტებისთვის მეცნიერება ერთ-ერთი იარაღია. მართლაც, ახალი ათეიზმი თავის თავში არამხოლოდ ასახავს კულტურულ სტერეოტიპს მეცნიერებასა და რელიგიას შორის არსებული „წინააღმდეგობის" შესახებ, არამედ მისი არსებობა რეალურად ამ სტერეოტიპზეა დაფუძნებული. მაგრამ ამგვარი პერმანენტული დაპირისპირება არ წარმოადგენს ობიექტურ ისტორიულ სურათს.

1970-იან წლებში მეცნიერების ისტორიკოსები, ძირითადად, შეთანხმდნენ, რომ მეცნიერებასა და რელიგიას შორის „ბრძოლის" მოდელი ისტორიულად დაუსაბუთებელია. ისტორიული მითები, რომელსაც ეს მოდელი ეფუძნება, — განსაკუთრებით პოპულარულ ათეისტურ პროპაგანდაში, — მთლიანად დამსხვრეულია (comprehensively dismantled).

ბოლო ათწლეულების მანძილზე პოპულარულმა კულტურამ უარყო აზროვნების ამგვარი ცალსახა დიქოტომიური სტილი, მიანიჭა რა უპირატესობა ისტორიისა და კულტურის უფრო რთულ, კომპლექსურ მოდელს, ნაცვლად მისი ზერელე სლოგანებამდე და სტერეოტიპებამდე დაყვანისა.

როგორც ცნობილია, „მეცნიერება" და „რელიგია" ერთგვარი სტენოგრაფიული სიტყვებია უსაზღვროდ კომპლექსური და მრავალფეროვანი იდეების, პრაქტიკებისა და სისტემებისთვის.

საბედნიეროდ, არსებობს იმის ნიშნები, რომ საქმე წინ მიდის. როგორც ჩანს, პუბლიკა თანდათან აცნობიერებს, რომ მეცნიერებასა და რწმენას შორის ურთიერთობას უფრო რთული ხასიათი აქვს, ვიდრე მედია ცდილობს წარმოგვიდგინოს მისთვის ჩვეული სლოგანებით. ნება მომეცით, ერთ მნიშვნელოვან შემთხვევაზე მიგითითოთ, რომელიც გარკვეულ მინიშნებას შეიძლება იყოს იმაზე, თუ როგორ შეიძლება მომავალში განვითარდეს მოვლენები ამ მიმართულებით.

2008 წელს რიჩარდ დოკინზი ოქსფორდის უნივერსიტეტში მეცნიერების პოპულარიზაციის პროფესორის თანამდებობიდან გადადგა. დოკინზისთვის დამახასიათებელმა მებრძოლმა ათეიზმმა სადავო გახადა მის მიერ ამ თანამდებობაზე ყოფნა და მუშაობა, რადგან ის მეცნიერების განმტკიცებას რელიგიის დაცინვას უკავშირებდა.

დოკინზის თანამდებობაზე ცნობილი მათემატიკოსი მარკუს დუ სოუთაი იქნა არჩეული. ჟურნალისტებს ინტერვიუს ჩაწერისას, ძირითადად, ერთი საკითხი აინტერესებდათ გაჰყვებოდა თუ არა იგი დოკინზის კვალს და ისიც ათეიზმის პროპაგანდისთვის გამოიყენებდა თუ არა ოქსფორდის უნივერსიტეტის მაღალ ტრიბუნას?

დუ სოუთაიმ დამაჯერებელი და ყველასთვის ყურადსაღები პასუხი გასცა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ათეისტია, მან განაცხადა, რომ ანტირელიგიურ პროპაგანდას „არანაირად" არ შეუწყობს ხელს, რომ მისი ამოცანა იყო მეცნიერების პოპულარიზაცია, რასაც ამას დიდი ენთუზიაზმით გააკეთებდა.

მისმა ამგვარმა სიტყვებმა დიდი გაღიზიანება გამოიწვია ზოგიერთებში რიჩარდ დოკინზის ვებ-გვერდზე (https://richarddawkins.net). ეს რანაირი მეცნიერია? თუ დუ სოუთაი ნამდვილად შესტკივა გული მეცნიერებაზე, მაშინ ის უნდა გმობდეს რელიგიას! „რა სასაცილო არჩევანი გააკეთა" - წერდა ერთი კომენტარებში. „თუ იგი ხალხში მეცნიერების პოპულარიზაციას აპირებს, მაშინ უნდა დაუპირისპირდეს კიდეც იმ ყოველდღიურ გამოწვევებს, რასაც რელიგია უქმნის რაციონალობას", წერდა სხვა.

მაგრამ დუ სოუთაიმ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ვითარების გამოსწორებისთვის [დოკინზის შემდგომ, დ.თ.] გაჩნდა იმედი, რომ რელიგიასთან ცივილიზებული დიალოგი მასთან კონფრონტაციასა და დაცინვას ჩაანაცვლებს. მეცნიერებასა და რელიგიას მრავალი საკითხი აქვთ ერთმანეთთან გასარკვევი, რწმენისა და რაციონალობის ურთიერთმიმართების საკითხის ჩათვლით.

ვიმედოვნოთ, რომ ამგვარი თავისუფალი დიალოგის საშუალება ყოველთვის გვექნება, რომელიც არ დაბრკოლდება მეცნიერული „თალიბანის" მხრიდან, როგორც სუსან გრინფილდი იტყოდა. ამგვარი დიალოგი კი ძალზედ მნიშვნელოვანი და უაღესად საინტერესოა. ამიტომ ის არც უგულებელყოფას და არც იგნორირებას არ იმსახურებს.

*14 სექტემბერი 2010*

***ინგლისურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო დავით თინიკაშვილმა***

# ტიტების მწარე სუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ზბიგნევ ჰერბერტი*

1.

ეს ერთი ადამიანური სისულელის, სიშლეგის ისტორიაა. ამ მოთხრობაში არ იქნება მდინარის პირას მდებარე დიდი ქალაქის მომნამვლელი ხანძრის, არც უიარაღო ადამიანების ხოცვაჟლეტვის ამბავი, არც სისხამ დილით მზის სხივით განათებული უკიდეგანო მინდვრის აღწერა, სადაც იარაღასხმული მეომრები მტერს მეხვდებიან, რათა დღის ბოლოს, ბრძოლის ველზე გამოჩნდეს, თუ ორი ბელადიდან ისტორიაში თავის მოკრძალებულ ადგილს, ან ბრინჯაოს ძეგლს, რომელი უფრო იმსახურებს და დაიკავებს, ან თუ ბედი ასერიგად არ გაუღიმებს, ღარიბ გარეუბანში ერთ ქუჩას მაინც მისი სახელი დაარქვან.

ჩვენი დრამა უფრო მოკრძალებულია, შორსაა ისტორიაში ცნობილი სისხლისღვრისაგან, რამეთუ ყველაფერი დაიწყო ერთი უდანაშაულო მცენარისაგან, ყვავილისაგან, ტიტასაგან, რომელმაც – როგორი ძნელი და რთულიც არ უნდა იყოს ამის წარმოდგენა – სანყისი მისცა საყოველთაო და აღეირახსნილ ვნებებს. უფრო მეტიც: მათთვის, ვინც ამ საქმეში იყო ჩართული, ყველაზე დამაფიქრებელი და გასაკვირი იყო ფაქტი, რომ ეს სისულელე დამზოგველ, ფხიზელი გონების, მშრომელ ხალხს შეეხო.

თავისთავად იბადება კითხვა: როგორ მოხდა, რომ სახელდობრ განათლებულ, გონიერ ჰოლანდიაში და არა სხვაგან, tulpenwoede-მ, ანუ ტიტების მანიამ ისეთ წარმოუდგენელ ზომებს, მასშტაბებს მიაღწია, რომ საფუძველი შეურყია ასეთ სოლიდურ ეროვნულ მეურნეობას და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი გიგანტურ აზარტში შეიტყუა. ზოგიერთი ამას ყვავილებისადმი ნიდერლანდების თანდაყოლილი სიყვარულით ხსნის. არსებობს ასეთი ძველი ანეკდოტი: ერთმა ქალბატონმა ცნობილ მხატვარს თხოვნით მიმართა, იშვიათი ყვავილების თაიგული დაეხატა, რადგან მას მისი შეძენა არ შეეძლო. აი, ასე გაჩნდა აქამდე არარსებული დარგი ხატვისა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ: იმ ქალბატონისათვის, ხელოვნებაში ახალი დარგის საფუძვლის შთამაგონებლისა და ჩამყრელისათვის, ესთეტიკური მოტივები არც თუ ისე არსებით როლს თამაშობდა. ის, რაც მას სურდა, რეალური საგანი იყო – ფოთლების გვირგვინი მწვანე ღეროზე. მხატვრის საქმეს ოდენ რეალურად არსებული საგნების ჩრდილის, შემცვლელის დახატვა შეადგენდა. ვგონებ, შეყვარებულები, რომლებიც განწირულნი არიან ხანგრძლივი განშორებისათვის, უნდა დაკმაყოფილდნენ საყვარელი ადამიანის მსგავსი სახის პორტრეტით. დასაწყისში სურათი გამოხატავს მონყურებასა და სინანულს შორეული, მიუწვდომელი, დაკარგული სინამდვილის მიმართ. არსებობს ასევე სხვა მიზეზებიც, უფრო პროზაული, რომლებიც, როგორც მე მგონია, საკმაოდ კარგად გვიხსნის ჰოლანდიელების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ყვავილებისადმი.

უხე ფლორასა და ფაუნას მოკლებული, რაციონალური ეკონომიკის ვიწრო არტახებით შებორკილი ქვეყანა მრავალ მოგზაურს აკვირვებდა თავისი უჩვეულო ფორმითა და სახით, რადგან იქ ვერ ნახულობდნენ მობიბინე ყანებსა და მოშრიალე სიმინდის ნათესებს. მარცვლეულს ჰოლანდიელები უცხოეთიდან ეზიდებოდნენ. მიწა ცოტა ჰქონდათ, თანაც მწირი, უნაყოფო, თუმცა მისი ფასი ყოველთვის მაღალი იყო. სავარგულების უმეტესობა საძოვრად, ასევე ბაღ-ბოსტნებად გამოიყენებოდა. თავად ბუნება უბიძგებდა ჰოლანდიელს, მიწა რაც შეიძლება ინტენსიურად, ეფექტურად გამოეყენებინა. ბუნება ასაჩუქრებს ასევე ადამიანს ესთეტიკური გრძნობითაც. ამიტომ ძნელი გასაგები როდია, რომ ჰოლანდიური ბუნების ერთფეროვნება, მონოტონურობა და სინანული მის მკვიდრთა ბუნებაში მრავალფერი, უჩვეულო ფლორის შექმნის ოცნებას აღვიძებს. შესაძლოა, მათში თვლემდა დაკარგული ედემის მონატრება, მისდამი ნაღველი, რომელსაც შუასაუკუნეების მხატვრები გადმოსცემდნენ ვარდის ბაღისა თუ ყვავილების ფორმით. მუდმივი სიმწვანე უფრო მეტს ეუბნება წარმოსახვას, ვიდრე მუდმივი სინათლე.

ფრანგულ თუ ინგლისურ არისტოკრატიულ ბაღებთან შედარებით, ჰოლანდიური ბაღები ძალზე მოკრძალებულია. ისინი უფრო ხშირად სულ რამდენიმე ფუტის ფართობზეა გაშენებული, მაგრამ მცენარეთა როგორი სიმდიდრეა, ფერების როგორი გონივრულ-გემოვნებიანი კომპოზიცია: გაზონები ხავსის კუნძულებით, მრავალფეროვანი ყვავილების კვლები, იასამნის, ვაშლების ბუჩქები, – და ყველაფერ ამასთან ერთად მინიატურული ბილიკები თეთრი ქვიშით. ყოველი უბრალო ხელოსანიც კი სახლის უკანა ეზოში თავისი პატარა ბაღის ქონას ოცნებობს, სადაც მშვენიერი, გაცილებით უჩვეულო ყვავილი ჰყვავის, ვიდრე მისი მეზობლების ბაღებში – ვარდი, შროშანი, ზამბახი თუ სუმბული.

ბუნების ეს თაყვანისცემა – ერთგვარი ექოა უძველესი მცენარეული კულტისა – განათლებული სიყვარულის ყველანაირ ნიშანს შეიცავდა. ლეიდის, ასევე სხვა ქალაქების უნივერსიტეტებში, მცენარეული სამყაროს უდიდესი სპეციალისტები კითხულობდნენ ლექციებს, როგორც მაგალითად, ფრანგი ლეკლუზე, რომელსაც

კლუზიუს (Clusiusem) უწოდებდნენ (მის შესახებ კიდევ ვილაპარაკებთ). პირველი ბოტანიკური ბაღი 1587 წელს მან გააშენა. შემდეგ მეცნიერი ეგზოტიკური ბუნების საიდუმლოებათა შესაცნობად შორეულსა და საშიშ ექსპედიციაში გაეშურა. საზოგადოების დიდი ნაწილი მცენარეთა მოვლა-მოყვანისადმი მიძღვნილ წიგნებს კითხულობდა. ამ მდიდარი ლიტერატურის შეჯამება იან ვან დერ მეურსის სოლიდურ, სამტომიან გამოცემაში მოხვდა, რომლის სათაურიც იყო Arboretum Sacrum.

ჰააგის მუზეუმ Mauritshuis-ში ინახება ყვავილების გამოჩენილი ოსტატის, მხატვარ ამბროზიუს ბოსჰარტ უფროსის მიერ შესრულებული ნამუშევარი – „თაიგული". რამდენჯერაც არ უნდა მენახა ეს სურათი, იმდენჯერ ჩემში უცნაურ და მოუსვენარ გრძნობას იწვევდა, თუმცა არ მავიწყდებოდა, რომ ამის მიზეზი არ შეიძლება ყოფილიყო თავად მხატვრის მიერ არჩეული თემა. რაა იმაზე უფრო დამამშვიდებელი, უფრო იდილიური, ვიდრე საოცარი უბრალოებით დაწნული ვარდების, გეორგინების, ორქიდეებისა თუ ზამბახების გვირგვინი, დახატული შორეული მთისა და ცის ფონზე, რომელიც სილურჯეში იკარგება?! მაგრამ თავად თემის ხასიათი არის დამაფიქრებელი და ოდნავ საშინელიც კი. ამ სურათზე ყვავილები, – ბუნების ეს ჩუმი, მდუმარე მსახურები, – თავს იწონებენ, ერთპიროვნულად ბატონობენ, აქამდე არნახული ინტენსიურობითა და ძალით ხელმწიფობენ. როგორც ჩანს, აღსრულდა გათავისუფლების მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი აქტი. ბუნების ამ ჩუმმა, „მდუმარე მსახურებმა" უკუაგდეს ორნამენტის როლი – ისინი სრულიადაც არ არიან მადლიერები, თავგზა არ ებნევათ, მთელი თავისი ძალით, სიამაყით, შეგნებული ინდივიდუალობით მნახველზე იერიში მიაქვთ, ისინი თითქოს ზებუნებრივები არიანო, მათი არსებობა ისეთი გამომწვევია. და ეს ყველაფერი იმიტომ კი არ ხდება, რომ მხატვრის შინაგანი დაძაბულობის გამოხატულებად გვევლინებიან (ისევე, როგორც ვან გოგის მზესუმზირები), არამედ უფრო პირიქით, თითოეული ყვავილის ფორმა, ფერი და ხასიათი გადმოცემულია ბოტანიკისა და ანატომიის უდიდესი სიზუსტით, ცივი მიუკერძოებლობით. სურათის „ობიექტური" სინათლე იმას ნიშნავს, რომ მხატვარმა უარი თქვა chiaroscuro-ს, მხატვრული იერარქიის ცდუნებაზე, რაც ნიშნავს ერთი საგნის ჩრდილში მოთავსებას და სამაგიეროდ, სინათლის შუქის დახმარებით სხვების გამოყოფას. „თაიგული კამაროვან ფანჯარაში" შეიძლება შედარდეს ფრანს ჰალსის ჯგუფურ პორტრეტს, რომელზეც მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ადამიანებად დაყოფა არა ხდება. ბოსჰარტის სურათი დაიხატა დაახლოებით 1620 წელს, ხელოვანის გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

ამბები, რომელთა შესახებაც ახლა ვაპირებთ მოყოლას, რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა. მაგრამ უკვე ამ სურათზე შეიძლება შევამჩნიოთ მოსალოდნელი ქარიშხლის ამოვარდნის ნიშნები. განა ეს ემანსიპირებული, დომინირებული, აგრესიული ყვავილები, რომლებიც დაუფარავად მოითხოვენ თაყვანისცემასა და პატივისცემას, არ გვევლინებიან თავისებური კულტის გამოვლინებად? ამაზე მეტყველებს თუნდაც თავად ყვავილების კომპოზიცია. თაიგული მოთავსებულია მაღალ ფანჯარაზე, თითქოს სამლოცველოზე, ის მთელ ბუნებაზე მაღლდება, როგორც ყვავილების წარმართული ტაძარი. ბოსჰარტის სურათზე ჩანს ასევე რამდენიმე ავისმომასწავებელი ტიტაც.

ეს სულაც არაა დაუჯერებელი, ავადმყოფობას ხომ თავისი ისტორია აქვს. ყოველ ეპოქაში ადგილი აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ავადმყოფობას, რომელიც მოცემული ფორმით ადრე არ გვხვდებოდა და რომელიც მერე აღარასოდეს განმეორდება. ტიტა აღმოსავლეთის საჩუქარია, ისევე, როგორც მრავალი სხვა საჩუქარი, როგორც კურთხეული, ისე ავბედითი – რელიგია, ცრურწმენები, სამკურნალო თუ გამაბრუებელი მცენარეები, წმინდა წიგნები და ძლევამოსილი არმიები, ეპიდემიები და ხილი. დასახელება წარმოდგება სპარსულიდან და ტოლბანდს ნიშნავს. საუკუნეთა განმავლობაში ის საყვარელი ყვავილი იყო სომხეთის, თურქეთის და სპარსეთის ბაღებში. სულთნების სამეფო კარზე ყოველწლიურად მისი საპატივსაცემო დღესასწაულები იმართებოდა, მას უმღეროდნენ პოეტები ომარ ხაიამი და ჰაფიზი, ის მოხსენიებულია „ათას ერთი ღამის" ზღაპრების წიგნში – ასე რომ, ვიდრე ევროპამდე ჩააღწევდა, მას უკვე მრავალსაუკუნოვანი აღმოსავლური ისტორია ჰქონდა.

დასავლეთში მის გამოჩენას ერთ დიპლომატს, კერძოდ ჟ- ოგერ გისლენ დე ბიუბეკს უნდა ვუმადლოდეთ. ის კონსტანტინოპოლში სულეიმან ლამაზის კარზე ჰაბსბურგების დინასტიის ავსტრიის იმპერატორების ელჩი იყო. ბიუბეკი მეტად განათლებული და მრავალი რამით დაინტერესებული ადამიანი ყოფილა (შემონახულია მისი მოგზაურობის საინტერესო აღწერილობა), წერდა ამომწურავ სამსახურებრივ მოხსენებებს. ბიუბეკი განსაკუთრებული მგზნებარებით ძველ ბერძნულ ხელნაწერებს, ანტიკურ წარწერებს და ასევე ბუნების ქმნილებებს აგროვებდა. 1554 წელს მან ვენის მეფის კარს ტიტების ბოლქვები გაუგზავნა. აი, ასეთი გულუბრყვილო დასაწყისი ჰქონდა შემდეგში განვითარებულ ბოროტ მოვლენებს.

ამ დროიდან ტიტა უჩვეულოდ სწრაფად გავრცელდა მთელ ევროპაში. კონრად გესნერმა, რომელსაც გერმანელ პლინიუსს უწოდებდნენ, მოგვცა პირველი მეცნიერული აღწერა ამ მცენარისა თავის ნაშრომში «De hortis Germaniae» (1561 წ.). იმავე წელს ფუგერების ბანკირის სახლის სტუმრებს თავიანთ აუგსბურგის ბაღებში ჰქონდათ ტიტები, რომელიც ჯერ კიდევ ი-



ამბროზიუს ბოსჰარტ უფროსის ნახატი

ვიათი ყვავილი იყო ევროპაში, კვლების ხილვის შესაძლებლობა. ცოტა ხანში ტიტა გამოჩნდება საფრანგეთში, ნიდერლანდებსა და ინგლისში, სადაც ჯონ ტრან-დესცენტი – კარლ I-ის მებაღე, ამაყობდა იმით, რომ ამ ყვავილის 50-მდე ჯიში მოაშენა. მცირე ხნის განმავლობაში გასტრონომები ცდილობდნენ მდიდარ ოჯახებში ტიტა საკმაზადაც გამოეყენებინათ და მისი დახმარებით კერძები გაეგემრიელებინათ: გერმანიაში მას შაქართან ერთად მიირთმევდნენ, ხოლო ინგლისში, პირიქით – ზეთისხილისა და ძმრის ცხარე სანელებლებთან. მაგრამ ამ წამოწყებამ, ისევე, როგორც ფარმაცევტების საზიზღარმა შეთქმულება-მცდელობამ, ტიტა მუცლის გაბერვის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებად გამოეყენებინათ, ფიასკო განიცადა. ტიტას საკუთარი სახე არ დაუკარგავს, დარჩენილიყო ბუნების პოეზიად, რომლისთვისაც უცხოა უხეში უტილიტარიზმი. ამრიგად, დასაწყისში ეს იყო მონარქების, მდიდარი ოჯახების წარმომადგენელთა და ესთეტების ყვავილი – ძალზე იშვიათი და ძვირფასი, ბაღებში შენახული, უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელი.

თანამედროვეები მას ერთგვარ სულიერ ხასიათს მიაწერდნენ: მიაჩნდათ, რომ ის განასახიერებს ელეგანტურობას, დახვეწილობას და ცხოვრებაზე ჩაფიქრებულობას. მისი ნაკლიც კი – სუნის არქონა – ღირსებად იყო მიჩნეული, როგორც თავშეკავებულობის განსახიერება. არსებითად, ცივი სილამაზე აჭარბებდა ინტროვერტულ ხასიათს. ტიტა ნებას აძლევდა ადამიანს, მოსიყვარულებოდა, თუმცა ვნებიან გრძნობებს არ იწვევდა. ეს ერთგვარი ფარშევანგი იყო ყვავილების ბაღში. ყოველ შემთხვევაში, სასახლის კარის „ბაღის ფილოსოფოსები" ასე წერდნენ. მაგრამ ისტორიამ აჩვენა, თუ რა მწარედ ცდებოდნენ ისინი.

როგორც ცნობილია, სასახლის კარის გამოვნება და მოდა გადამდებია. ხალხი, მით უფრო დაბალი ფენა, ხშირად მას ბაძავს, რისთვისაც დამსახურებულ ღვთის სასჯელს იმსახურებს. XVII საუკუნის დასაწყისის ქრონიკა პირველ შემთხვევებს, მოდით ამას ასე დავარქვათ, ტიტების ციებ-ცხელებას აღწერს.

1608 წელს ერთმა მხატვარმა ტიტას ძალზე იშვიათი ჯიშის ბოლქვში თავისი წისქვილი გაცვალა; ერთი ახალგაზრდა სასიძო, როგორც ჩანს, აღფრთოვანდა, როდესაც ცოლმა მზითევში სიმამრისაგან ტიტას ძვირფასი ბოლქვი შესაფერისი მოხდენილი სახელით: „Mariage de ma filie" მიიღო; ასეთსავე ბოლქვში გაცვალა თავისი მეტად მომგებიანი ლუდსახარში სხვა ყვავილების მოყვარულმა. ტიტამანიის სხვა უამრავი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგრამ მხოლოდ ჰოლანდიაში მიიღო მან ეპიდემიის ძალა და მასშტაბები.

მისი დასაწყისი ნათლად არ იკვეთება. ასევე ძნელია მისი საზღვრების დადგენა. ეს „შავი ჭირის" შემთხვევაში გაცილებით იოლია: ერთ მშვენიერ დღეს ნავსადგურში აღმოსავლეთიდან გემი შემოვიდა, მისი ეკიპაჟის ნაწილს ძლიერი ციებ-ცხელება აქვს, მათ სხეულზე ჩირქოვანი მუწუკები უჩანთ. ზოგი მათგანი გადის ქალაქში, მათ ათავსებენ საავადმყოფოებში, სახლებსა და სასტუმროებში. მალე პირველი გარდაცვლილებიც ფიქსირდებიან, რის შემდეგაც დაავადებულთა რაოდენობა, რომლებიც კვდებიან, სწრაფად იზრდება. მთელი ქალაქი, მთელი პროვინცია, მთელი ქვეყანა დასნეულებულია. იხოცებიან უფლისწულები და ღატაკები, წმინდანები და თავისუფლად მოაზროვნეები, დამნაშავენი და თოთო ბავშვები. მსგავს სენს არაერთხელ მოუსრავს მოსახლეობა და ისტორიკოს ფუკიდიდედან მოყოლებული კარგადაც არის აღწერილი. მაგრამ აი, ტიტამანია დაიწყო და პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით – ეს უკვე მენტალური, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი ფსიქოზია. ისევე, როგორც სხვა ფსიქოზები – რელიგიური, სამხედრო, რევოლუციური თუ ეკონომიკური, ისეთი, როგორიც იყო 1929 წელს ამერიკულ ბირჟაზე – მიუხედავად მრავალგზისი და საოცარი მსგავსებისა, ვერ ხერხდება (სამწუხაროდ!) მისი არსის გადამდები დაავადებების ტერმინებით გამოხატვა. ჩვენ არა გვაქვს ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა რაოდენობრივად განგვესაზღვრა ეპიდემიის მასშტაბები, მისი „გადამდებიანობის" დონე, „დაავადებულთა" შორის

მძიმე და მსუბუქი ფორმების განსაზღვრა, და ასევე „ტემპერატურის მრუდი" მანიით მოცული ცალკეული ადამიანების. ისლა დაგვრჩენია, მოვლენათა ატმოსფეროში შეგრძნებების, მომხდარი შემთხვევების დამახასიათებელი ჩანაწერების ყურადღებით წაკითხვის მეთოდით ვიხელმძღვანელოთ.

ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ, თუ პირველად როდის გამოჩნდა ნიდერლანდებში ტიტა; ალბათ ძალიან ადრე. ვიცით, მაგალითად, რომ 1562 წელს ანტვერპენის ნავსადგურში მიიღეს ტიტების ბოლქვებით სავსე გემი. მაგრამ სერიოზული დაინტერესება ამ ყვავილით დაიწყო რამდენიმე ათეული წლის შემდეგ და ეს იმ მოდის გამოხატულება იყო, რომელიც მაშინ გაბატონებული იყო ზოგიერთ სამეფო კარზე, განსაკუთრებით საფრანგეთის.

XVI და XVII საუკუნეების მიჯნაზე მოხდა რაღაც, რაც, ერთი შეხედვით, კრიმინალური ქრონიკების არც თუ ისე მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა არსებითად ჰოლანდიის ტერიტორიაზე ტიტამანიის ერთ-ერთ პირველ გამოვლენად გვევლინება.

აი, ზემოთ ნახსენები კარლ კლუზიუსი, ბოტანიკის პროფესორი ცნობილ ლეიდენის უნივერსიტეტში, რომელიც მანამდე ვენაში იმპერატორის ბაღების დირექტორის თანამდებობას იკავებდა, იყო ძალზე ცნობილი მეცნიერი, თუმცა ამასთანავე მეტად მოლაყბე და, შესაძლოა, ცოტა მსუბუქი ჭკუის ადამიანიც. ის შემთხვევას არ გაუშვებდა, ნაცნობებისთვის არ მოეყოლა იმ მცენარის შესახებ, რომელიც მაშინ გამოჰყავდა, უვლიდა და ზრდიდა. უფრო ხშირად, ენთუზიაზმითა და დაუფარავი სიამაყით ლაპარაკობდა ტიტებზე, რომლებსაც, მისი მტკიცებით, მსოფლიოს არცერთ სიმდიდრეზე არ გადაცვლიდა. ეს აშკარა გამოწვევა იყო, რასაც მეცნიერი ალბათ არ ითვალისწინებდა. და აი, ერთ, ასე ვთქვათ, უმთვარო და ბნელ ღამეს უცნობი პირები გადაიპარნენ უნივერსიტეტის ბაღში და კლუზიუსის ტიტები მოიპარეს. როგორც ჩანს, ბოროტმოქმედები საკმარის სამეცნიერო უნარსა და კვალიფიკაციას ფლობდნენ, რამდენადაც მათი ნადავლი ტიტას იშვიათი და ძვირფასი ჯიში აღმოჩნდა. განაწყენებულ მეცნიერს სიცოცხლის ბოლომდე ეს მცენარე მეტად არ მოუშენებია.

მთელი ეს ისტორია სასწაულმოქმედის მონაფეზე ბალადას მოგვაგონებს. მოხდა მოულოდნელი ტრანსმუტაცია: მოთმინებითი სამეცნიერო და შესაძლოა, უანგარო შრომის საგანი უცებ უაზრო ფინანსური მაქინაციების საგნად იქცა. და ახლა ისმევა მნიშვნელოვანი კითხვა: რატომ სახელდობრ ტიტამ და არა რომელიმე სხვა ყვავილმა არ გამოიწვია ეს გადარეული ვითარება? ამ რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ ტიტა იყო არისტოკრატიული და ფრიად საყვარელი ყვავილი. ძნელ წარმოსადგენი არაა, თუ როგორი სასიამოვნო იყო იმ ყვავილის ფლობა, რომელიც მონარქების საამაყო ჩაგანს წარმოადგენდა. სნობისტური მიდრეკილებების გარდა, არსებობდა სხვა, შეძლება ითქვას, წმინდა ბუნებრივი მიზეზები... საქმე ისაა, რომ ტიტების მოყვანა დიდი საძნელო საქმე არაა. ეს კეთილშობილი ყვავილი ადვილი ასათვისებელი და მოსავლელია. ყველას, ვინც კი თუნდაც მიწის მცირე ნაკვეთს ფლობდა, შეეძლო ეს ვნება დაეკმაყოფილებინა. იმ დროს ჰოლანდიის ბაღებში ბობოქრობდა რომელიღაც სახის ვირუსი, რომლის წყალობითაც ტიტას ფოთოლი ხშირად ფანტასტიურ ფორმას იღებდა ტალღოვანი და დაკბილული კიდეებით. ამ პათოლოგიიდან ხალხმა მალე სარგებლის ნახვა ისწავლა. დაბოლოს, – რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი მსჯელობისას ტიტამანიის ბუნებრივი საფუძვლების შესახებ – არცერთ ყვავილს არა აქვს ამდენი სახე, რამდენიც ტიტას. არსებობდა აზრი იმის თაობაზე, რომ ამ მცენარისათვის დამახასიათებელი იყო, ადრე თუ გვიან, ადამიანის ყოველგვარი ჩარევის გარეშე ახალი მუტაციის, ახალი მრავალფეროვანი ყვავილის შექმნა. ამბობდნენ იმასაც, რომ ბუნებამ შეიყვარა ეს ყვავილი და მასთან უსასრულოდ თამაშობს. აზრი უფრო მარტივად რომ გამოვთქვათ, ეს ნიშნავდა, რომ ტიტას ბოლქვების მეპატრონე იყო იმ ადამიანის სიტუაციაში, რომელიც ლატარეის გათამაშებაში მონაწილეობს. ბრმა ბედს შეეძლო მისი საოცარი სიმდიდრით დაჯილდოება.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში ჰოლანდიაში სამ რაღაცას მიაგებდნენ დიდ პატივს: უძლიერეს და დაუმარცხებელ ფლოტს, „თავისუფლების სიტკბოს, გაცილებით დიდს, ვიდრე სხვაგან სადმე" და – თუკი შეიძლება ერთ წინადადებაში როგორც მნიშვნელოვანი, ისე უმნიშვნელო რამის მოქცევა – რამდენიმე ათეული ჯიშის ტიტას.

ხდებოდა ხოლმე, რომ ლექსიკონი ფეხს ვერ უბამდა ბუნების ამ სიმდიდრეს. ამ დროს არსებობდა ხუთი სახეობის „სასწაული", ოთხი „ზურმუხტი", თითქმის ოცდაათი „სრულყოფილფორმიანი" (რაც გარკვეული სემანტიკური ბოროტად გამოყენებაა) დიდი ფანტაზიის მქონე ტიტას მესაკუთრენი მისთვის პოეზიით სავსე ახალ-ახალ სახელებს იგონებდნენ: „სამეფო აქატი", „დიანა", „არლეკინო". რაც შეეხება უფანტაზიო ხალხს, ისინი თავიანთ ყვავილებს უბრალო სახელებით: „ქალიშვილი", „ჭრელი", „წითელ-ყვითელი" მოიხსენიებდნენ. მზარდი მოთხოვნილებებისათვის ფეხის ასაწყობად, შემოიღეს ასევე სამხედრო წოდებები, საამისოდ ისტორიებიც კი იქმნებოდა. მაგალითად, „ადმირალი ვან ენცხუიზენი", „გენერალი ვან ეიცკი" და სხვა მრავალი. დროთა განმავლობაში ტიტების ერთმა მოხერხებულმა მომყვანმა გაბედულად გამოიყენა ეს მდგომარეობა, ყველას აჯობა და თავის ჯიშებს დაარქვა: „გენერალთა გენერალი", „მეფე", „ვიცე მეფე" და „თავადი", თითქოს ტიტათა მთელი ამ ქაოსის მოსაზღვრე მრავალფეროვნების სამხედრო-არისტოკრატიულ ნესრიგში მოყვანა სურსო.

ტიტების ის უამრავი ჯიში, რომელიც მაშინ ჰოლანდიაში მოდიოდა და მრავლდებოდა, ადამიანის აღფრთოვანებას იწვევდა და, ამასთან, ეს ყოველივე კატასტროფის ნიშნებსაც შეიცავდა.

თუ თამაში მცირე რაოდენობის კარტით მიმდინარეობს, მაშინ ის, როგორც წესი, უბრალო, ბანალურია და სწრაფად მთავრდება. მაგრამ როდესაც მოთამაშეები ფლობენ რამდენიმე დასტა კარტს, მაშინ ეშმაკური კომბინაციებისათვის, კარგად გათვლილი სტრატეგიისათვის, აწონ-დაწონილი რისკისათვის ფართო მინდორი იხსნება. ასევე მოხდა ტიტას შემთხვევაშიც. მხოლოდ იმაზე შეთანხმება იყო საკმარისი, თუ რომელი ჯიში უნდა მიკუთვნებოდა „ტუზებს" და რომელი – „ექვსიანებს". ეს, ცხადია, პირველი გაუბედავი მცდელობა იყო თემასთან მიახლოებისა. სათამაშო ელემენტებს მასში უკანასკნელი ადგილი როდი ეკავა, მაგრამ არსებითად ტიტამანია წარმოადგენდა ძალზე რთულ მოვლენას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი პრობლემის ეკონომიკური ასპექტი იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფასეულობათა ბუნებით დადგენილი იერარქია შეცვალა საბირჟო იერარქიამ და ტიტამ დაიწყო ყვავილისათვის დამახასიათებელი თავისი თვისებებისა და მომხიბლველობის დაკარგვა, კარგავდა ფერსა და ფორმას და აბსტრაქტულ ცნებად, საგნად, სიმბოლოდ იქცეოდა, რომელიც გარკვეული რაოდენობის ფულზე უნდა გადაცვლილიყო. დგებოდა რთული ცხრილები, რომლებშიც ამ ყვავილის შესაბამისი ჯიშები ხვდებოდა ცვალებადი საბაზრო ღირებულების ქვეშ, ფასიანი ქაღალდისა თუ ვალუტის კურსის მსგავსად. დადგა დიდი სპეკულაციის ხანა. მთელი ამ ტიტამანიის განმავლობაში – ანუ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში – ერთსა და იმავე საფასურში, როგორც მზე ზენიტში, მუდმივად «Semper Augustus» ჯიშის ტიტა იმყოფებოდა.

მე პირადად ამ ჯიშის ტიტა არ მინახავს. ამაო იქნებოდა მისი ძებნა ჰოლანდიის მაღაზიებში, რომლებიც, ისევე, როგორც ჩვენი მაღაზიები, ოდენ სტანდარტული ჯიშის ვარდებით, სტანდარტული კვერცხებით, სტანდარტული ავტომობილებით ვაჭრობენ. ჩემი ბრალია. მე რომ ვსტუმრებოდი ბოტანიკურ ბაღებს ისეთივე მონდომებით, როგორც მუზეუმებს, შესაძლოა, ნისი ხილვის ბედნიერება მეც მრგებოდა. თუმცა ეს ჯიში ჩემთვის ცნობილია ძველი აკვარელის წყალობით. ის ჭეშმარიტად საუცხოო და მშვენიერია თავისი სიკოხტავისა და ამავდროულად ფერთა უბრალო ჰარმონიულობის გამო. მას უზადოდ თეთრი ფოთლები აქვს, რომელთაც გასწვრივ გასდევს ლალისფერი ძარღვები. რაც შეეხება თავად ყვავილის ფაკერს – იქ ზუსტად ისეთ ფერს ვხედავთ, როგორიც ცაა მზიან ამინდში. ეს მართლაც რომ იშვიათი სილამაზის ყვავილია, მაგრამ ფასი, რომელსაც მიაღწია «Semper Augustus»-მ – 5 ათასი ფლორინი (ამ ფაად სახლის შეძენა შეიძლებოდა თავისი დიდი ბაღით) ადამიანა ციებცხელებიანივით კანკალს ანცებინებს.

სალი გონების საზღვრები აქ ნამდვილად დარღვეულია. ამიერიდან ჩვენ იძულებული ვიქნებით, ვიმოძრაოთ ავადმყოფი ფანტაზიის, გამდიდრების მოუთოკავი წყურვილის, შეშლილი ილუზიებისა და მწარე სასოწარკვეთილების ძალზე მსხვრევად, მყიფე ნიადაგზე. ხდებოდა ხოლმე, რომ გარიგებას ბარტერული ხასიათი ჰქონდა, რაც იმის საშუალებას გვაძლევს, კიდევ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ამ სიშლეგის მასშტაბები.

მაგალითად, ტიტა „ვიცე-მეფის" ბოლქვში (ის კი „Semper Augustus"-ის დაახლოებით ნახევარი ღირდა) ერთხელ გადაიხადეს შემდეგი სახის და ოდენობის საქონელი: 2 ურემი ხორბალი; 4 ურემი ბზე; 4 კარგად ნაკვები ხარი; 8 კასრი ღორის ქონი; 12 ფუნტი ცხვრის ქონი; 2 კასრი ღვინო; 4 ბარელი კარგი ლუდი; 2 ტონა მცენარეული ზეთი; 1000 ფუნტი ყველი.

ყველა ამ სასმელს, საჭმელსა და მსხვილ ცხოველს დაუმატეა კიდევ საოჯახო ინვენტარი: საწოლი, კოსტუმი და ვერცხლის თასი. ტიტამანიის საწყის სტადიაზე ფასები მუდმივად ზევით იწევდა და, როგორც მაკლერი იტყოდა, ყვავილის ბაზარზე ტენდენცია თავიდან თითქმის კეთილსასურველად გამოიყურებოდა. შემდეგ ის კიდევ უფრო გააქტიურდა, ვიდრე ბოლოს, – და ეს დრო საკმაოდ სწრაფად დადგა, – გონების მიერ სრულიად უკონტროლო ეიფორიაში არ გადაიზარდა.

აი, მაშინ კი წარმოიქმნა უზარმაზარი უფსკრული შეთავაზებული ბოლქვის რეალურ ღირებულებასა და იმ ფასს შორის, რომელსაც მასში იხდიდნენ. ამასთან, იხდიდნენ სიამოვნებით, სიხარულით, თითქოს ბედის გაღიმებას ნათლად გრძნობენო. მათი უმრავლესობა, ვისაც ტიტამანია შეეხო, ფასის გაზრდაზე თამაშობდა, ისინი იმ რწმენით ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ, რომ ფასია ზრდის კონიუნქტურა სამუდამოდ გაგრძელდებოდა (ეს ფინანსურ პირამიდას ხომ არ მოგვაგონებს?) და რომ დღეს ნაყიდი ტიტას ბოლქვის ფასი ხვალ მინიმუმ გაორმაგდებოდა. ამ ფანტასტიურ სპეკულაციაში, თუ მას სერიოზულად მივუდგებით, ირონიის გარეშე (რამეთუ ისტორიის „სიძველე" ამისკენ არ გვიბიძგებს), შეიძლება გაცილებით ღრმა მოვლენები დავინახოთ – მაგალითად, ძველი ადამიანური მითი გამრავლების სასწაულზე. ხოლო თუ მიწიერი კატეგორიებით ვიმსჯელებთ, საქმე ასე გამოიყურებოდა: გამყიდველები სრულიად არ ილებდნენ მხედველობაში მყიდველთა შესაძლებლობებს, ხოლო მყიდველთ, რაც გაცილებით უარესია, თითქოს სრულიად დაკარგოდათ თვითგადარჩენის ინსტინქტი და საკუთარ შესაძლებლობებს არ ითვალისწინებდნენ.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, ბირჟაზე ციებ-ცხელების განწყობას თუ რა სახე აქვს. მაგრამ ტიტამანიის შემთხვევაში ეს მაინც განსაკუთრებული იყო, უფრო პათოლოგიური, ვიდრე უბრალოდ „განწყობა". ფსიქიკური გადახრა, რომელსაც სახელად „მანია" ეწოდება, ერთ საერთო ხასიათს ავლენს. ადამიანი, ვისაც ეს შეეხება, მიდრეკილია შექმნას დამოუკიდებლად, ავტონომიურად წარმოსახული სამყარო, რომელსაც ის საკუთარი კანონებით მართავს. ჩვენს შემთხვევაში ეს მოგვაგონებდა ყვავილის უდიდეს ლატარეას, რომელშიც ყველა მის მონაწილეს მთავარი პრიზის მოგების იმედი ჰქონდა. მა-

გრამ ეს თამაში ამისათვის საგანგებოდ გამოყოფილ კუნძულზე კი არ მიმდინარეობდა, არამედ ქვეყანაში, სადაც ფუნდამენტალურ მიღწევებად ითვლებოდა კეთილგონიერება, ზომიერება და, რაღა თქმა უნდა, გადახდისუნარიანობა. მეშჩანურ ანგარიშიანობაზე დამყარებულმა სისტემამ ვერ შეძლო შეგუებოდა ფინანსურ ფანტასმაგორიას. სურვილების სამყაროს შეჯახება რეალურ სინამდვილესთან გარდაუვალი და, როგორც ეს ხდება ხოლმე, ძალზე მტკივნეული გახდა.

ახლა ღირს ასეთი კითხვის დასმა: რომელ ადგილებში, როგორ და რომელ საზოგადოებრივ ჩარჩოებში მიმდინარეობდა ტიტების ბოლქვებით სპეკულაცია? სიმართლესთან ყველაზე ახლო მდგარი პასუხი ასე გამოიყურება: ნორმალური სამეურნეო ცხოვრების განაპირას, შესაძლოა, ბნელ ქუჩაბანდებში, სარდაფებში. არასოდეს უარსებია და არც შეიძლებოდა ეარსება ტიტას ოფიციალურ ბირჟას, რამდენადაც ეს დაწესებულება მოითხოვს გამჭვირვალებას, ის გარიგებების საშუალებას აძლევს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ადამიანებს, ვისაც ამ მოედანზე ნდობა აქვს მოპოვებული, ხოლო ვაჭრობის შედეგები ყველა დაინტერესებულ პირს ეცნობება.

სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ტიტებით წარმოშობილმა ველურმა ვაჭრობამ მოსვენება დაუკარგა ხელისუფლების ორგანოებს. მათ გამოუშვეს დადგენილება, რომლის მიზანიც, თუ სრულიად აკრძალვა არა, ამ საშიში საზოგადოებრივი მოვლენის შედეგების შემსუბუქება მაინც იყო. მაგრამ ამან საქმეს ოდნავადაც ვერ უშველა, უფრო სწორად, პირდაპირ იმის საწინააღმდეგო შედეგს იძლეოდა, რაც განზრახული ჰქონდათ. რბილი გადაწყვეტილებებით სტიქიას ვერ ჩააქრობ. ქვეყანა ციებცხელებიანივით ცხოვრობდა. მათ, ვინც ომი მეხსიერებაში შემოინახა, მშვენივრად იცის, რომ ყველაზე ფანტასტიკურსა და დაუჯერებელ ინფორმაციას შეუძლია ხალხის სასოწარკვეთილებიდან გამოყვანა და ოპტიმიზმისა და მაცდური იმედების გაჩენა. რაღაც მსგავსი იყო ჩვენს შემთხვევაშიც: ტიტების დახმარებით სწრაფი გამდიდრების ცნობამ ელვის სისწრაფით მოირბინა ქვეყანა.

რომელიღაც ამსტერდამელმა მოქალაქემ, პატარა ბაღის პატრონმა, ვითომ 4 თვის განმავლობაში 60 ათასი ფლორინი გამოიმუშავა. ეს ის თანხაა, რომელიც საშუალო ვაჭარს თავისი მრავალწლიანი განუწყვეტელი შრომით გავლილი სიცოცხლის ბოლოს არც კი დაესიზმრებოდა. მსგავს რამეს ჰყვებოდნენ ასევე ვიღაც ინგლისელზე, რომელიც თუმცა ყვავილების ბიზნესთან ახლოს არ იყო, მაგრამ შეძლო 5000 ფუნტის მიღება გონივრული სპეკულაციის წყალობით. საჭირო იყო, ადამიანს სტოიკური ხასიათი ჰქონოდა, რომ მსგავსი ცდუნებისთვის გაეძლო. რამდენადაც მთელი პროცედურა არაოფიციალური იყო და, უფრო მეტიც, აკრძალული თამაშის ტრფიალთათვის იმდენად უფრო მიმზიდველი ხდებოდა ის, თამაში კი დღითიდღე ახალსა და ახალ მომხრეებს იძენდა.

ზუსტად ისე, როგორც „მშრალი კანონის" დროს სპირტიანი სასმელის ზომიერი მოყვარულებიც კი ამ კანონის შემოღების შემდეგ ალკოჰოლის ჭარბი მიღების თავისუფლების მოთხოვნით გამოდიოდნენ. რა თქმა უნდა, არ არსებობს რაიმე სტატისტიკა, რომელიც იმას გვეტყოდა, თუ რამდენი ადამიანი იყო ჩაფლული ტიტამანიაში. მხოლოდ ის შეიძლება, რომ სიმართლესთან ახლოს მდგომი აზრი გამოვთქვათ იმის შესახებ, რომ მათი რიცხოვნობა რამდენიმე ათეულ ათასს შეადგენდა. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებელია მათი მიკუთვნება რომელიმე გარკვეული სოციალური ჯგუფისათვის. მათ შორის იყვნენ მდიდრებიცა და ღარიბებიც, ვაჭრებიც და ხაბაზებიც, ყასბებიც და სტუდენტებიც, მხატვრებიც და გლეხებიც, ტორფის მჭრელებიც და პოეტებიც, ქალაქელი ჩინოვნიკებიც და მეზღვაურებიც, ადამიანებიც, რომლებიც უაღრესად დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ საზოგადოებაში და სისხლის სამართლის დამნაშავეებიც. ჰოლანდიაში არსებული ოცზე მეტი რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენელიც კი მონაწილეობდა მოგების დევნის ამ ოლიმპიადაში.

ცხადია, ღარიბები სხვაზე მეტად რისკავდნენ, რადგან ისინი ყველაფერს სჩადიან მსგავს თამაშში. როდესაც კითხულობ, რომ ერთი ავაზაკი, რომელიც ჩაება სპეკულაციის ამ ორომტრიალში, იძულებული გახდა გირაოში თავისი საქურდო ინსტრუმენტები ჩაედო, მაშინ ხვდები ვითარების მთელ სიმწვავეს. რელიგიის მსახურები ამბიონებიდან წყევლა-კრულვას არ იშურებდნენ ყველგან არსებული ტიტამანიის მისამართით, მაგრამ თავად, როგორც ამის შესახებ ბოროტი ენები ამბობდნენ, სხვა ქალაქში ჩუმად მიდიოდნენ, რათა ყოველგვარი მოწმის გარეშე მისცემოდნენ ამ ცოდვით სავსე ვნებას. მაგრამ საქმე მღვდლებში როდია. ისინი, როგორც იქნება, გამართლდებიან ღვთის სასამართლოს წინაშე. გაცილებით უარესია, პირდაპირ საზიზრობა იყო ის, რომ ეს ისტორია ბავშვებსაც შეეხო. რადგან ამ თამაშში წარმატება დიდად იყო განპირობებული რაც შეიძლება მეტი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაზე (ტიტას ფასები, გარიგების დადების ადგილი, კონიუნქტურის ცვალებადობა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეზობელმა რომელი ტიტას ბოლქვები გაიტანა სახლიდან კალთას ამოფარებული და რამდენად გაყიდა ისინი დუქანთან, რომელსაც „ყროყინა ვირის ქვეშ" ეწოდება) — მთელი ეს ამბავი ბავშვს უნდა გაეგო, რომელიც მისთვის შეუფერებელ ჯაშუშის როლს თამაშობდა. ციებ-ცხელება და უძილობა. ეს უკანასკნელი იმიტომ, რომ ტიტების ყიდვა-გაყიდვაზე ხელშეკრულება ძირითადში ღამით ფორმდებოდა. სპეკულაციაში აქტიური მონაწილეობის მიღებას დღე-ღამეში 10 საათზე მეტი მაინც მიჰქონდა. ასეთი საქმიანობისას ძნელად, რომ სხვა, უფრო ნაყოფიერი რამის გაკეთება შეგძლებოდა. ის, ვისაც თავად მოჰყავდა ტიტა, ისე ცხოვრობდა, როგორც ძუნწი ოქროთი სავსე ტომარაზე. ბაღებში დამონტაჟებული იყო სიგნალიზაციის რთული სისტემა, რომელიც პატრონს ფეხზე წამო-

აგდებდა ყველა იმ შემთხვევაში, როცა კი ვინმე დაუპატიჟებელი მისი ყვავილების კვალს მიუახლოვდებოდა.

ტიტამანიის ეპიდემიურ ხასიათზე მოწმობს მისი უაღრესად ფართო ტერიტორიაზე გავრცობა. ის შეეხო არამხოლოდ ტრადიციულად მებაღეობით ცნობილ ისეთ რეგიონს, როგორიც ჰაარლემი იყო, არამედ ასევე ამსტერდამს, ალკმაარს, ჰოორნს, ენჰუიზენს, უტრეხტს, როტერდამს, – ანუ ჰოლანდიის ყველა მსხვილ დასახლებას. და სახელდობრ, ამ რეგიონებში იყო ყველაზე მეტი დაზარალებულიც. ტიტამანიის ბაცილა ყველგან ვრცელდებოდა, ყველას ემუქრებოდა. რამდენადმე ადვილია ხილული მტრის დახვედრა: დაკეტავენ ქალაქის კარიბჭეს, გალავანზე უშიშარი მეომრები ავლენ... მაგრამ ნამდვილად არსებობს რაღაც, რასაც გონების ძალას ვუწოდებთ და სახელდობრ ის ხდება (არა ყოველთვის, რა თქმა უნდა) შედეგიანი იარაღი ხელფეხგახსნილი ირაციონალური ძალების წინააღმდეგ. კარგადაა ცნობილი, რომ ჰოლანდია ნიგნიერი ხალხის, ბრძენი ავტორების, განათლებული წიგნით ვაჭრების და გამომცემლების ქვეყანა იყო. აქტუალური ცხოვრებისეული პრობლემები იქ სწრაფად ჰპოვებდა პრესაში გამოხმაურებას, და ეს ეხებოდა არამხოლოდ სერიოზულ პოლიტიკურსა და რელიგიურ კამათს, არამედ ტიტამანიას, რომლის მასშტაბებიც გასაგებ მოუსვენრობას და ფხიზელი მოქალაქეების მხრიდან პროტესტსა და კრიტიკას იწვევდა. მაგრამ ეს ვერაფერს გახდებოდა, რადგან სახელმწიფო იყო ლიბერალური, საზოგადოებრივი აზრი – არაერთგვაროვანი, და გონიერი სტატიების გვერდით ისეთი წერილებიც ჩნდებოდა, რომლებიც პირიქით, ტიტამანიას უწყობდა ხელს. იყო ამ ყველაფერში რაღაც მეთოდი, რიტუალიც კი. აი, მაგალითად, ერთი ავტორი ურჩევდა მკითხველს: თუ ვინმე შეძლებს ჯერაც უცნობი ჯიშის ტიტას გამოყვანას, მაშინ ის შემდეგნაირად უნდა მოიქცეს: დაუყოვნებლივ (დრო ხომ არ იცდის, ხომ შეიძლება, ფოკუსი სხვა ვინმესაც გამოუვიდეს!) უნდა გაემართოს მებაღესპეციალისტთან, ამასთან უნდა წავიდეს არა მარტო, არამედ ამხანაგებთან, ნათესავებთან, თუნდაც შემთხვევით გაცნობილ ხალხთან ერთად. ამის მიზეზი გასაგებია: ასეთ მოვლენას რაც შეიძლება ფართო რეზონანსი (publicity) უნდა მიეცეს. მებაღესთან უნდა ჩატარდეს სამუშაო თათბირი, რომლის დროსაც ყოველი იქ მყოფი თავის აზრს გამოთქვამს ახალი ბოტანიკური მოვლენის თაობაზე. ზუსტად ისევე, როგორც უმაღლესი საეკლესიო სასამართლო წყვეტს საკითხებს ნამდვილი და ყალბი საოცრებების შესახებ. მერე დგება ძალზე არსებითი მომენტი, რომლისთვისაც შეიძლებოდა კომპარატივისტული გვეწოდებინა: ახალი სახის ყვავილის შედარება უკვე არსებულ ჯიშთან. თუ ის ჰგავს რომელიმე ცნობილ „ადმირალს", მაგრამ მაინც ოდნავ ჩამორჩება სილამაზით, მაშინ აჯობებდა მისთვის უფრო მორიდებული სახელი, „გენერალი" გვეწოდებინა. მონათვლის ეს რიტუალი ძალზე მნიშვნელოვანია.

ტიტა ინათლება, იღებს სახელს, ხდება პიროვნება, ხოლო თუ ნაკლებ მაღალფარდოვან საბირჟო ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, „დაშვებულია ფასეულობათა ბრუნვაში". ბოლოს, აუცილებელია ყველა იქ დამსწრის კარგი ღვინით გამასპინძლება, მათ ხომ ცნობა უნდა გაავრცელონ იმის შესახებ, რომ ახალი ჯიშის ტიტა დაიბადა და თანაც, მისი ღირსებები უნდა გააცნონ ხალხს. ტიტას ბოლქვებით ვაჭრობა მიმდინარეობდა ტრაქტირებში, დუქნებში, რომლებიც გაჯერებული იყო ლუდის, ღვინისა და მოხარშული ცხვრის ხორცის სუნით. ზოგიერთ ამ დაწესებულებაში საგანგებო დარბაზი იყო გამოყოფილი ტრანსაქციების გასაფორმებლად, როგორც კლუბში, ან დიდი, კარგად გასაიდუმლოებული ბირჟის ფილიალში. ადვილი წარმოსადგენია, როგორი ცხარე კამათი მიდიოდა იქ ტიტას ყოველი ბოლქვისათვის. თუ რამდენიმე მუშტარს ერთდროულად ენდომებოდა მისი ხელში ჩაგდება, ბოლქვზე დადებულ ისედაც მაღალ ფასს კიდევ ეტლსა და წყვილ ცხენს კიდევ დაამატებდა.

მთელი ქვეყანა დაიფარა მეტ-ნაკლებად ცნობილი ტიტას აზარტის „ბუდეების" ქსელით. აქ არ ყოფილა რომელიღაც დემონური ძალის გავლენა, უბრალოდ ყოველი „დიდი თამაშის", ყოველი სერიოზული მანკის წესია თავის ქსელში რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი ჩაითრიოს. რამდენადაც სისულელეს ლოგიკის დახმარებით ვერ ახსნი, ამდენად დასახმარებლად სტატისტიკა უნდა მოიშველიო – ასე იქცევა ყველა ან თითქმის ყველა, მათ შორის, პოლიტიკოსებიც. უნდა გამორიცხულიყო ან არსებითად შემცირებულიყო მათი რიცხოვნება, ვინც გვერდით იდგა, კრიტიკულად უყურებდა, საზეიმო განწყობილებას აფუჭებდა. ტიტას მანიაკების სამყარო იქით მიისწრაფოდა, რომ ტოტალურ სამყაროდ ქცეულიყო. როგორ ხორციელდებოდა ეს პრაქტიკაში?

არსებობს დოკუმენტი, თუნდაც ლიტერატურული, მაგრამ სრულიად სანდო, რომელიც ძვირფას ინფორმაციას გვაძლევს ახალი მიმდევრების მიმხრობაზე. საუბარი ორ მეგობარს შორის მიდის. ერთი მათგანი, პეტრე – სტაჟიანი სპეკულიანტია, ხოლო მეორე, იანი – „პირველად მოსული გულუბრყვილო ქალიშვილის" როლს თამაშობს. პეტრე: მე შენ ძალიან მიყვარხარ, იან. ამიტომ ერთი ძალზე სარფიანი საქმე მინდა შემოგთავაზო. მე ამას უანგაროდ ვაკეთებ, მხოლოდ ჩვენი მეგობრობის გამო. იანი: ყურადღებით გისმენ, მეგობარო. პეტრე: მე მაქვს ტიტა „არლეკინოს" ბოლქვი. ეს ძალზე ლამაზი ჯიშია და ამასთან, ბაზარზე მასზე დიდი მოთხოვნაა. იანი: ხო, მაგრამ მე ხომ ცხოვრებაში ყვავილებთან საქმე არა მქონია. ბაღიც კი არა მაქვს. პეტრე: შენ არაფერი არ გესმის. გთხოვ, ყურადღებით მომისმინო, არ შემაწყვეტინო, რადგან, ვინ იცის, იქნებ ბედნიერება აგერ, აქ, შენი კარის ზღურბლზე გიცდის. შემიძლია გავაგრძელო? იანი: დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. პეტრე: მაშ ასე, „არლეკინოს" ბოლქვი 100 ფლორინი ღირს, შესაძლოა, მეტიც. ჩვენი არაფრით შებღალული მეგობრობის ნიშნად, როგორც

ეს უკვე ვთქვი, მე მზად ვარ ის ორმოცდაათ ფლორინად დაგითმო. დღესვე, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეგიძლია მისი გაყიდვით დიდი ფული იშოვო. იანი: მართლაც მეტად საინტერესო წინადადებაა! ასეთი ისტორია მე ჯერ ცხოვრებაში არ გადამხდენია. შენ უკეთესია, მასწავლე, ღვთის გულისათვის, რა უნდა გავაკეთო ამ „არლეკინოთი"? მაგ ბოლქვით გზაჯვარედინზე ხომ არ დავდგები. პეტრე: მე შენ ერთ საიდუმლოს გაგიმხელ. კარგად დაიხსომე, რასაც გეტყვი. რას წრიალებ? იანი: მე გისმენ, უბრალოდ თავში თითქოს რაღაც დამიბნელდა... პეტრე: ზუსტად ისე გააკეთე, როგორც გეტყვი. მიდი ფუნდუკ „ლომთან" და მის მეპატრონეს შეეკითხე, თუ სად იკრიბებიან ტიტებით მოვაჭრენი. შეხვალ მითითებულ ოთახში. ვიღაც ძალზე უხეში ხმით წარმოთქვამს (მაგრამ შენ არ შეშინდე): „აქ ვიღაც უცხოა!" პასუხად შენ ქათამივით უნდა დაიკრიახო. და მაშინ შენ მოვაჭრეთა სიაში შეგიყვანენ..."

ღმერთმა დაიფაროს იანის კალვინისტური სული! ჩვენ მას ფარსის ზღურბლზე, ტრაგედიამდე ცოტათი ადრე უნდა დავშორდეთ. მისი შემდგომი ბედი ბინდითაა დაფარული. ისიც კი არაა ცნობილი, გადამწყვეტ მომენტში შეძლო თუ არა საკმარისად დამაჯერებლად აკრიახებულიყო. ზემოთ მოტანილი დიალოგის საფუძველზე ძალზე მკრთალად გამოიყურება იმის იმედი, რომ ის ტიტას ბიზნესის ნიანგად გადაიქცა. უფრო საფიქრებელია, რომ მას უფრო მსხვერპლის ხვედრი ელოდა. კიდევ ერთი დეტალი იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. ახალბედას შეყვანა ტიტას მანიაკების წრეში ზოგიერთ ჩვენთვის კარგად ცნობილ ამბავს გვაგონებს. ყველა პროპორციის დაცვით ის განდობის რიტუალს წააგავს. რა თქმა უნდა, მასონური ლოჟა მას დიდი ზარ-ზეიმითა და ეზოთერული მეცნიერების უფრო დიდი ცოდნით ატარებდა. რაც შეეხება მანიას, ეს სულის ამაღლებული მდგომარეობაა. ვისაც ის თუნდაც ის ერთხელ მაინც არ განუცდია, რაღაცა აზრით, სხვებზე ღარიბია. და გარდა ამისა, გარკვეულ პირობებში მას სარგებლობა მოაქვს. აი, ყველასათვის უცნობი, ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც არაა არც პოეტი, არც მხატვარი, არც სახელმწიფო მოღვაწე, ტიტამანიის ეპოქას იხსენებს ნამდვილი აღფრთოვანებით, გარკვეული სენტიმენტით.

მას ვერმონტი ერქვა, ის ერთსა და იმავე ტავერნაში მსახურობდა და მაკლერის ფუნქციას ასრულებდა. საქმიან გარიგებებს შორის „მიირთმევდა შემწვარ ხორცსა და თევზს, ასევე ვარიისა და კურდღლის ხორცს. უფრო მეტიც: საუცხოო პაშტეტსაც შეექცეოდა დროდადრო. მას დილიდან ღამის სამ-ოთხ საათამდე კარგ ღვინოს ან ლუდს აყოლებდა და ყოველთვის ჯიბით გაცილებით მეტი ფული მიჰქონდა, ვიდრე დღის დასაწყისში ჰქონდა". აი, თქვენ ჭეშმარიტი სამოთხე [illegible] ლარი სიზარმაცის ქვეყანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

*გადამდებ დაავადებას ზოგჯერ*
*განმეორების ტენდენცია*
*ახასიათებს, და ამიტომ,*
*რათა უზრუნველყოფილი იყოს ეს განმეორებითობა,*
*მას, მდგომარეობის გათვალისწინებით,*
*სახეცვლილება უწევს.*

*შარლ ნიკოლი*

ტიტამანია განსაკუთრებით 1634-1637 წლებში გაძლიერდა. 1637 წლის ზამთარში ძლიერ კრახს ჰქონდა ადგილი: მთელი წარმოსახვითი სამყარო ნაწილებად დაიშალა. ვინმეს რომ შეძლებოდა „ტიტას ციებ-ცხელების მრუდის" აგება, აღმოჩნდებოდა, რომ ის ძალიან წააგავს ძლიერი გადამდები დაავადებით დასნეულებულის ტემპერატურის გრაფიკს – ხაზი ჯერ სწრაფად იწევს ზევით, შემდეგ, გარკვეული დროით, ძალზე მაღალ დონეზე შეჩერდება, ხოლო ბოლოს მსწრაფლ ძირს ეცემა.

მაგრამ ისმის კითხვა – რომელმა ბედისწერამ თუ მოვლენათა ულმობელმა ლოგიკამ გამოიწვია ის, რაც სახელდობრ 1637 წელს მოხდა? პასუხი მრავალია, და ის ერთს ნიშნავს – დასასრულს. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ტიტას ეპიდემიაზე გამარჯვება ჰოლანდიის საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის დამსახურებაა. რომ მან ვითომ სანიტარული დერეფანი შექმნა, ბარიკადები აღმართა დაავადების გავრცელების საწინააღმდეგოდ. არც ისეთი ადამიანების ნაკლებობა იგრძნობოდა, რომლებიც მართლაც ეწინააღმდეგებოდნენ ტიტამანიას. როგორც ჩანს, ოპოზიცია ძლიერი იყო, რადგან იმ ეპოქიდან ჩვენს დღეებამდე შემონახულია მრავალი ბროშურა, ჟურნალი, სატირული ფურცელი, ლექსი და კარიკატურა, სადაც დაუნდობლად დასცინიან უბედურ მანიაკებს. მათ „საწვიმარლაბადიანებს", ანუ შეშლილებს უწოდებდნენ. ჰოლანდიაში ფსიქიკურად დაავადებულებს იმ დროს სახე საწვიმარი ლაბადით უნდა დაეფარათ, ეს თავისებური „ვიზუალური" თვითდაცვა იყო საზოგადოების ჯანმრთელი ნაწილისაგან. მხატვარმა ჰენდრიკ პოტმა, რომელიც ჯგუფურ პორტრეტებს, რელიგიურ და ჟანრობრივ სცენებს ხატავდა, ის მანია, რომელსაც მისი სამშობლო შეეპყრო, ალეგორიული სურათის, „შეშლილთა ურემი"-ს სახით წარმოადგინა. საკმაოდ გამჭვირვალე ალეგორიაა. ურემზე ჩვენ ვხედავთ ბუნების მფარველს, ფლორას, რომელსაც ხელში სამი ყველაზე ძვირფასი ჯიშის ტიტა: «Semper Augustus», „გენერალი ბოლი" და „ადმირალი ჰოორნი" უკავია. ფლორას პირდაპირ მოთავსებული ხუთი სიმბოლური ფიგურა: „უქნარა", „სიმდიდრის მაძიებელი", „ლოთი" და ორი ქალბატონი – „ამაო იმედი" და „გაჭირვება". ურემს უკან მისდევს ბრბო, რომელიც გაჰყვირის: „ჩვენც გვინდა ტიტების გაყიდვა!"

იმ დროს შექმნილი უამრავი რაოდენობის სასაცილო მოთხრობა, ანეკდოტი და ხუმრობა იმაზე მეტყველებს, რომ

ტიტამანიის საპასუხოდ წარმოიშვა შემხვედრი ტიტაფობია, რომელიც გაავებული დაესხა თავს ამ არსებითად უდანაშაულო და უმანკო მცენარეს. ჭეშმარიტად არ დაუმსახურებია მას არც გონების დაკარგვამდე სიყვარული და არც ასეთი უსაზღვრო სიძულვილი. მაგრამ ჩვენ იმ დროზე მოგითხრობთ, როდესაც ვნებები ბობოქრობდა.

ამბობენ, რომ არა ვინმე სხვა, არამედ ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორი, ამასთან, არა ვინმე თეოლოგი, არამედ ბოტანიკის სპეციალისტი ფორსტიუსი, როგორც კი ტიტას სადმე დაინახავდა, მყისვე მივარდებოდა და ხელჯოხით მის განადგურებას იწყებდა. ამრიგად, ის მეცნიერიდან (არც თუ ისე გააზრებულად) მორალისტად და ინკვიზიტორად იქცეოდა.

ფორსტიუსის ხელჯოხი არ ფლობდა რაიმე მაგიურ ძალას, და ყველაზე მწვავე და გესლიან პამფლეტსაც კი არ შეეძლო ამ სიგიჟის შეჩერება. ისეთებიც არიან, რომლებიც ამტკიცებენ, ტიტამანიას სასიკვდილო დარტყმა ხელისუფლებამ, მისმა გონივრულმა გადაწყვეტილებებმა და კანონებმა მიაყენა. ის ანგარიშს უწევდა იმას, რომ მისთვის ასე მოთმინებით ყურება უკვე აღარ შეიძლებოდა, რამდენადაც რაიმე ჩარჩოთი შეუზღუდავი სპეკულაცია ეროვნული მეურნეობის სტაბილურობას ემუქრებოდა.

ზოგიერთმა ორგანიზაციამ, მეყვავილეთა გილდიიდან დაწყებული და გენერალური შტატებით, ანუ პარლამენტით დამთავრებული, გადაწყვიტა ამ სიგიჟის შეჩერება. ამ მიზნით გამოიცა მრავალი კანონი და დადგენილება, რომელთაც თუ დასაწყისში რბილი, მორიდებული ხასიათი ჰქონდა, და შესაბამისად არაეფექტური იყო, ბოლოს, 1637 წელს, დასრულდა გენერალური შტატების რადიკალური დეკრეტით, რომელმაც ყველა გარიგება ამ სფეროში გააუქმა და ტიტას ბოლქვზე მაქსიმალური ფასი დააწესა. ის 50 ფლორინს შეადგენდა. „Semper Augustus" ფასი ახლა ერთ მეასედს შეადგენდა მისი ადრინდელი საბაზრო ფასისა.

ეს ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, როგორც სასახლის კარის გადატრიალება, როგორც მეფის გადაყენება, სამხედრო გადატრიალება. ხელისუფლების ძალისხმევა ტიტამანიისათვის ალვირის ამოსადებად, ზრუნვა მოქალაქეებსა და მათ ქონებაზე, ბუნებრივია, მოწონებას იმსახურებს და უნდა დავაფასოთ. მაგრამ გვეჩვენება, რომ დამკვირვებელთა უმრავლესობა მცდარად აღწერს მას გადამწყვეტ როლს. გამოცდილებიდან ვიცით, რომ ყოველგვარი აკრძალვა და შეზღუდვა, მაგალითად, ნარკომანიის მკვეთრი ზრდის პირობებში, სასურველზე სრულიად საპირისპირო ეფექტს იძლევა. ადამისა და ევას სამოთხეში ყოფნის დროიდან აკრძალული ხილი კიდევ უფრო ტკბილდება და სასურველი ხდება. გენერალურმა შტატებმა გადაწყვეტილება საკმაოდ გვიან, ძალიან მიიღო, მაშინ, როდესაც მანია თითქმის უკვე ქრებოდა. როგორც ჩანს, ეს იყო უკვე სასიკვდილოდ განადებულთან შეკრებილი კონსილიუმი, ან თუ ტავრომახიის სახელმძღვანელოს ტერმინს გამოვიყენებთ, coup de grace (ბოლო გასროლა, რომლითაც სასიკვდილოდ განწირულს სიბრალულის გამო კლავენ. მთარგ.). უკვე აღარაფრის გადარჩენა აღარ შეიძლებოდა. ჩვენი რწმენით, ტიტამანიამ ჩაკლა თავისივე სიშლეგე. ამ თეზისის დასამტკიცებელი არგუმენტები შესაძლოა მივიღოთ ტიტას ბირჟაზე არსებული განწყობებით.

ეიფორიის პერიოდში სპეკულიანტთა მოგება ძალზე დიდი იყო. ამასთან, ის ხშირად არა მიმოქცევაში მყოფი ვალუტით, არა ნაღდი ფულით, არამედ კრედიტით გამოიხატებოდა. «Semper Augustus»-ის ჯიშის ტიტას მესაკუთრე საყოველთაოდ ცნობილი იყო, როგორც უმდიდრესი ადამიანი, მას შეეძლო ყვავილის გირაოს ქვეშ საკმაოდ დიდი მოცულობის სესხის აღება და ხშირად ასეც იქცეოდა. უაზრო საბირჟო ბრუნვები თანდათან სულ უფრო აბსტრაქტული ხდებოდა. ახლა უკვე არამხოლოდ ბოლქვები (მათი ღირებულება სრულიად პირობითი, ძალზე მოწყვეტილი გახდა რეალური სინამდვილიდან და საღ აზრს ეწინააღმდეგებოდა), არამედ ამ ბოლქვების დასახელებაც, მსგავსად აქციებისა. ისინი ხშირად დღეში ათჯერ მაინც იცვლიდნენ მესაკუთრეს. ფასები იზრდებოდა, და ხალხი ფიქრობდა, რომ მათ ზრდას დასასრული არ ექნებოდა. ასეთია მანიის ლოგიკა. ვაჭართა მნიშვნელოვანი ნაწილი ინახავდა თავის ძვირფას ბოლქვებს, რათა ისინი ბაზარზე მაშინ გაეტანა, როდესაც მისი ფასი უმაღლეს წერტილს მიაღწევდა. და სწორედ ეს „შორსმჭვრეტი" მესაკუთრენი – ჩვეულებისამებრ ასე ემართებათ დამგროვებლებს, რომლებიც აზარტის ქსელში ებმებიან – დაისაჯნენ ყველაზე მეტად. უკვე 1636 წელს ხალხს ტიტამანიის ნათელ მომავალზე რწმენა შეერყა. ნდობისა და ილუზიების სასახლე ჩამოიშალა. ტიტების მიწოდების მოცულობები იზრდებოდა და იზრდებოდა, ხოლო მოთხოვნა, პირიქით, თანდათან მკვეთრად იკლებდა, ხალხს მოუსვენრობა იპყრობდა. ბოლოს ყველამ მოინდომა მისი გაყიდვა, მაგრამ არ ჩანდა ისეთი გაბედული, ვინც მათ ყიდვას გარისკავდა. სწორედ ტიტამანიის ეს ფაზა ასახა ასე კარგად თავის სურათზე ჰენდრიკ პოტმა. ბრბოს სასოწარკვეთილი კივილი, რომელიც ფლორას ეკიპაჟს მისდევს, ამ კონტექსტში სრულიად გასაგებია. ამრიგად, კრიზისი მნიშვნელოვნად წინ უსწრებდა ხელისუფლების ჩარევას.

1637 წლის 3 იანვარს, ანუ გენერალური შტატების მიერ დეკრეტის გამოცემამდე, ერთმა ამსტერდამელმა მებაღემ შემთხვევით შეიძინა ძვირფასი ბოლქვი 1250 ფლორინად. თავიდან დიდად გახარებულმა მალევე მოისაზრა, რომ სურვილის შემთხვევაში მას ამ ფასის ნახევრადაც, მეათედადაც ვერ გაყიდიდა. დადგა გარდატეხის დრო და დაიწყო ფასის შემცირებაზე თამაში: საქმე უკვე ის როდი იყო, რომ ბევრი გამოემუშავებინათ, არამედ ის, რომ, რაც შეიძლება ნაკლები დაეკარგათ. ამ უბედური აფიორის მთელი ისტორია ორ პოლუსს შუა მიმდინარეობდა: დიდი ხნის განმავლობაში გამდიდრების მსურველ ბრბოს შეტევასა და მოულოდნელ, ველურ ალიაქოთს შორის.

მაშასადამე, ჩვენ ვემშვიდობებით ტიტამანიას, და ეს იქნება ცრემლებით, ოხვრითა და კვნესით სავსე დამშვიდობება. ნამდვილად ვერ დაამშვიდებს დაზარალებულებს იმის მტკიცება, რომ სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. და როგორი იყო საბოლოო შედეგი?

რამდენადაც ეს ყველაფერი ჩუმად, საიდუმლოდ, ბნელ სარდაფებსა და დერეფნებში, ოფიციალური ცხოვრების მინისქვეშეთში მიმდინარეობდა, ძნელია ამ კატასტროფის სიდიდე, თუნდაც მიახლოებით, დაადგინო. მაგრამ შედეგი, უდავოა, ტრაგიკული იყო. უამრავი დაკარგული სიმდიდრე, ათობით ათასი უმუშევრად დარჩენილი და ამასთან, სასამართლო განჩინების მომლოდინე ადამიანი. გადახდისუუნარობა, როგორც წესი, სასტიკად – ციხით ისჯებოდა. ხოლო ისეთი მოთამაშეების რაოდენობა, რომლებიც დაუფიქრებლად ებმებოდნენ საკრედიტო ქსელში, ლეგიონებს შეადგენდა. და ბოლოს ის, რასაც სტატისტიკა არ აჩვენებს: გრძელი სია სრულიად უდანაშაულო ადამიანებისა, რომლებმაც საარსებო სახსარი დაკარგეს; საშიმშილოდ განწირული ბავშვები, ანდა სამადლოდ გასაზრდელები, მამაკაცები, რომელთაც კარიერა დაემსხვრათ, მათი განადგურებული რეპუტაცია და შებღალული ღირსება.

გაკოტრებულისათვის მხოლოდ ორი გამოსავალი დარჩენილიყო: ფლოტში დაეწყო მუშაობა (ამისათვის გარკვეული კვალიფიკაცია იყო საჭირო) ან ემათხოვრა – ამისათვის არავითარი უნარი არ მოეთხოვებოდა.

არა ღირს ჩვენი იმაში დარწმუნება, რომ ეს „მხოლოდ" მეშჩანების ტრაგედია იყო. სპეკულიანტთა ვნებების დიაპაზონის შედარება შეიძლება მხოლოდ ოპერაში გმირი-ტენორის ხმასთან. ბირჟაზე ვაჭრების ხმა ერთდროულად მჭექარეც იყო და მონოტონურიც – რაც სრულიად გასაგებია. მაგრამ თუ ამ თეატრალურ ანალოგიას განვაგრძობთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ თამაში მიდიოდა „უბურთოდ და უსისხლოდ", საწამლავის გარეშეც კი. მაშ, ეშმაკმა დალახვროს, ასე რატომ აღელვებდა წარმოსახვას? ტიტამანიის მთელი დროის განმავლობაში ადგილი ჰქონდა როგორც პატარა, ისე დიდ ადამიანურ დრამას.

მრავალ მაგალითთა შორის, რომლებიც მეხსიერებამ შემოინახა, ავირჩიოთ ერთი. თემა თითქოს ცოცხლადაა აღებული ჩეხოვის მოთხრობიდან, ხარლემის ყვავილების გილდია სენსაციურმა ცნობამ ყალყზე დააყენა და ციებ-ცხელებიან მდგომარეობაში ჩააგდო. საქმე იმაშია, რომ ვიღაც ყველასათვის უცნობმა ჰააგელმა მეწაღემ ახალი, უჩვეულო ჯიშის ტიტა გამოიყვანა, რომელსაც „შავი ტიტა" დაარქვა. მიღებულია გადაწყვეტილება, დაიწყოს დაუყოვნებელი მოქმედება, ან ადგილზე გაირკვეს, და, თუკი ეს შესაძლებელია, შეიძინონ ის ყვავილი. ხუთი შავებში ჩაცმული ბატონი შედის მეწაღის პატარა ოთახში. იწყება სავაჭრო, ძალზე უცნაური მოლაპარაკებები, რამდენადაც ხარლემელი ბატონები კეთილისმყოფელთა როლს თამაშობენ: ვითომ ისინი აქ მხოლოდ ფილანტროპული მიზნებით ჩამოვიდნენ, რათა საწყალ ხელოსანს დაეხმარონ. მაგრამ ამავე დროს ისინი არ მალავენ, რომ დაინტერესებული არიან „შავი ტიტა"-ს ხელში ჩაგდებით. კალაპოტისა და ძაფის გამ[illegible]ვის ოსტატი სიტუაციაში მალე ერკვევა და ყვავილში დიდ ფასს ითხოვს. ვაჭრობა გრძელდება, ბოლოს გარიგება სრულდება – ათასხუთასი ფლორინი, მართლაც რომ არასახუმარო ფასი. როგორც ჩანს, მეწაღეს ბედმა გაუღიმა.

და მაშინ ხდება რაღაც ისეთი, რასაც დრამაში შემობრუნების პუნქტს უწოდებენ. ვაჭრები ასეთ მაღალ ფასად შეძენილ ბოლქვს მიწაზე ანარცხებენ და ფეხებით თელავენ. „სულელო! – უყვირიან ისინი გაოგნებულ მეწაღეს, – რა გგონია, ჩვენ არ გვაქვს „შავი ტიტა"-ს ბოლქვი?! ჩვენ გარდა კი დედამიწის ზურგზე არავის არა აქვს! არც მეფეს, არც იმპერატორს, არც სულთანს. შენ რომ შენი ბოლქვისათვის 10 ათასი ფლორინი და კიდევ წყვილი ცხენი მოგვეთხოვა, ჩვენ მაგასაც უსიტყვოდ მოგცემდით. კარგად დაიხსომე: მეორედ ბედი ასე აღარ გაგიღიმებს, რადგან შენ დიდი მოლაყბე ხარ." და სახლიდან გადიან.

მეწაღემ ბარბაცით გასწია სხვენისაკენ, საწოლზე დაწვა, გადასაფარებელი დაიფარა და სული ამოუშვა.

ტიტამანია – ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ღრმა ბოტანიკური სიგიჟის, სიშლეგის შემთხვევა – მხოლოდ ეპიზოდი იყო, რომელიც დიდი ისტორიის ფურცლებზე ჩაიწერა. ჩვენ ის უმიზეზოდ ავირჩიეთ. პატიოსნად უნდა ვაღიაროთ: ჩვენ უაღრესად უხერხულ მდგომარეობაში ვართ, ვინაიდან წარმოგიდგინეთ ამ ქვეყანაში მომხდარი ასეთი დიდი სისულელე, რომელიც სხვა ქვეყნებისაგან თავისი რაციონალიზმით გამოირჩეოდა. ჩვენ მოგვწონს იმ კატასტროფების აღწერა, რომელიც მშვიდი, უშფოთველი პეიზაჟის ფონზე მიმდინარეობს. მაგრამ არსებობს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზები, ვიდრე პირადი ან ესთეტიკური ვნება. განა აფიორის აღწერა არ გვაგონებს მეორე, უფრო საშიშ სიშლეგეს კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც ბედნიერების ერთადერთ სიმბოლოზე, ერთადერთ ფორმულაზე, უგუნურ სიყვარულზეა დაფუძნებული? ამიტომ არ შეიძლება დიდი წერტილის დასმა თარიღ „1637 წელზე" და ამ საქმის დასრულებულად ჩათვლა. უგუნურება იქნებოდა მისი ამოშლა მეხსიერებიდან და მისი წარსულის იდუმალი ახირებულობის, უცნაურობისათვის მიკუთვნება. თუ ტიტამანია ფსიქიკური ეპიდემიის ერთ-ერთი სახეობა იყო (ხოლო მე ვბედავ და ვამბობ, რომ ეს ასეც იყო), მაშინ არსებობს შესაძლებლობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამა თუ იმ სახით ის კვლავ გვესტუმრება... შორეული აღმოსავლეთის რომელიღაც ნავსადგურში ის უკვე გემის ქიმზე ფეხს აბიჯებს.

*პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა*

# კაგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატიანა ტოლსტაია

მელანეზიის კუნძულებზე, პაპუა-ახალი გვინეას მაღლობებზე და ყურეებში, ახალი გებრიდების არქიპელაგზე XIX საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, ხან ერთ, ხან მეორე სოფელში დროგამოშვებით იფეთქებდა ხოლმე კაგოს (kago) კულტი. ფიჯინ-ინგლიშზე, ინგლისური ენის ადგილობრივ ვარიანტს რომ წარმოადგენს, სწორედ ასე ჟღერს სიტყვა cargo, ანუ „ტვირთი". მორწმუნენი წინაპართა სულების მიერ გამოგზავნილი ძვირადღირებული ტვირთების ჩამოსვლას მოელოდნენ. 1945 წლიდან ინგლისურენოვან ლიტერატურაში ეს მოვლენა მოხსენიებულია, როგორც cargo cult და ეს ტერმინი საკმაოდ ფართოდ გამოიყენება, თუმცა თვით ამ კულტებმა საგრძნობლად იკლო, ზოგან კი გაქრა კიდეც. ამ სექტანტებს ალბათ შეიძლება ტვირთთაყვანისმცემლები ვუწოდოთ, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „ტვირთი" აქ მხოლოდ მატერიალური კი არა, სულიერი ფასეულობების აღმნიშვნელია. ეს, პირველ რიგში, კარგი ნივთების სიმრავლეა, მაგრამ, აგრეთვე, უეცარი საიკეთო ცვლილებებიც: კუნძულელთა შავი კანის გათეთრება, მთების ზღვად ქცევა, ზღვისა კი – მთებად, მოხუცთა გაახალგაზრდავება, სნეულებათა გაქრობა.

ვფიქრობ, სჯობს, ამ რწმენას მეც, ადგილობრივთა მსგავსად, კაგო ვუწოდო. ასე უფრო მართებული მგონია.

კაგო თავს იჩენს ტექნიკურად განუვითარებელი ცივილიზაციის მაღალგანვითარებულთან შეჯახებისას. როდესაც პრიმიტიულ საზოგადოებას, რომელიც მაგიითა და წინაპართა ძალმოსილების რწმენით ცხოვრობს, ერთბაშად თავს დაატყდება შეუდარებლად უფრო განვითარებული საზოგადოების მიერ შექმნილი პროდუქტებისა და საგნების ნიაღვარი, მას შოკი ემართება, ზოგჯერ კი – ფსიქოსომატური გამოვლინებების მქონე ფსიქიკური აშლილობაც. პაპუაში ამგვარი სიგიჟის პირველი შემთხვევა – ვაილალას შეშლილობა (Vailala Madness) 1919 წელს დაფიქსირდა; ადგილობრივები მას „თავბრუსხვევას" უწოდებდნენ. ის გლასოლალიით, როკვით, თავდავიწყებით, ყვირილითა და წინასწარმეტყველებით გამოიხატებოდა. წინასწარმეტყველებათა ძირითად შინაარსს წარმოადგენდა სულთა ხომალდის მოლოდინი, რომელსაც გარდაცვლილი წინაპრები მართავენ. ხომალდს უნდა ჩამოეტანა ტვირთი: კონსერვები და ხელსაწყოები. სექტანტები თავიანთი შტაბ-ბინიდან სულეთთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ; ამ მიზნით ქოხის გვერდით მიწაში ჩასობილ ჯოხზე გოგრა წამოაცვეს.

ოციანი წლების დასასრულის ვაილალას შეშლილობა შეწყდა, მაგრამ ანალოგიური ცრურწმენები დროდადრო იფეთქებდა ხოლმე მელანეზიისა და მიკრონეზიის სხვადასხვა რეგიონში.

მოსალოდნელი ტვირთის შესახებ რწმენის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ტვირთს მათ წინაპრები უგზავნიან, თეთრკანიანებმა კი უბრალოდ შავკანიანთა კუთვნილი სიმდიდრე მიითვისეს და არ უბრუნებენ. ამას უკავშირდება კაგოს კულტის კიდევ ერთი თავისებურება: თეთრკანიანებისადმი მიბაძვა (ანთროპოლოგებმა როდი მოახერხეს ყველა ცერემონიის გაშიფრვა, მაგალითად, ევროპული ჩაის სმისადმი მიბაძვა თითქოს არაფრით უკავშირდება წინაპართა კულტს: პაპუასები კროტონის ბუჩქის *(Croton tiglium)* რტოებით მორთული მაგიდის გარშემო ტაბურეტებზე სხდებოდნენ და რაღაც თავიათ საკვებს მიირთმევდნენ; ამის შემყურე ანთროპოლოგი ფ. უილიამსი ამტკიცებდა, რომ ეს შეიძლება მხოლოდ მაგიურ რიტუალად ჩავთვალოთ, რადგან აბორიგენს სხვა ვერაფერი აიძულებს ისეთი ტანჯვის ატანას, როგორიც ტაბურეტზე ჯდომაა).

თეთრკანიანებმა რაღაც ისეთი სწორი რიტუალები იციან, რომელთა შედეგადაც ჩნდება კაგო. ამიტომაც კულტის მონაწილენი ბუჩქნარს კაფავენ და სულეთიდან მოსასვლელი სატვირთო თვითმფრინავებისათვის ასაფრენ-დასაშვებ ბილიკებს აწყობენ, ნატურალური ზომის თვითმფრინავებსაც ამზადებენ ხელმისაწვდომი მასალისაგან; თივისაგან სადისპეტჩერო ჯიხურებს აგებენ და შიგ ყურსასმენებიან „რადისტს" სვამენ. ყურსასმენები ქოქოსის ნაჭუჭისგანაა გამოთლილი. ვისაც პლანტაციებზე მუშაობა მოუწია, ანდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამერიკელი ჯარისკაცების წვრთნისათვის უდევნებია თვალი, არაერთი სხვა სასარგებლო რიტუალიც შენიშნა: მწყობრით სიარული, კომენდანტის საათი, ამერიკული დროშის აღმართვა – შენც ასე მოიქეცი და კაგოს ეღირსები.

წინაპართა ხმები ქოქოსის ყურსასმენებში დაპირებებს ჩასჩურჩულებდნენ, ჩალის რადიომიმღებები იუწყებოდნენ, ხომალდები უკვე ახლოსააო, დასაშვები ზოლები თვითმფრინავებს მოუხმობდნენ; მელანეზიელებმა თვალები დაიბრმავეს, მაგრამ არც თვითმფრინავები გამოჩენილან ლურჯ ცაზე, არც ხომალდები ოკეანის ლურჯ სიშორეში. კაგო არ მოსულა და თანდათან ეგზალტაციამაც იკლო. კულტები ქრებოდა.

ოცდაათიანთა დასასრულს კუნძულ ტანაზე (ფიჯისა და ახალ გვინეას შორის რომაა განლაგებული) ირწმუნეს თეთრი ღვთაება სახელად ჯონ ფრუმი (John Frum ან Jonfrum). გაუგებარია, ვინ იყო ეს და საიდან გაჩნდა; ვარაუდობენ, რომ frum დამახინჯებული from არის, ანუ ინგლისურად წარმომავლობას აღნიშნავს („-დან"). ჯონი, ვთქვათ, ამერიკიდან; ორმოციან წლებში ამერიკის საჯარისო ნაწილები ახალ გებრიდებზე

300 000 ადამიანის ოდენობით იყო განთავსებული (1980 წლიდან ამ არქიპელაგს სახელწოდება შეუცვალეს, ახლა მას ვანუატუ ეწოდება). მეზღვაურის თეთრი ფორმით შემოსილი ამდენი საკვირველი ადამიანის დანახვაზე, ასეთ უმდიდრეს კაგოს რომ ფლობდნენ და მას კუნძულელებსაც კი უნაწილებდნენ, მორწმუნეებმა საბოლოოდ დაიჯერეს, რომ ჯონ ფრუმი ამერიკელია. მისი კულტი, სხვა სატვირთო კულტებისაგან განსხვავებით, კიდევ უფრო გამტკიცდა და დღემდე არსებობს. ითვლება, რომ კუნძულელებზე უდიდესი შთაბეჭდილება იმან მოახდინა, რომ მეზღვაურებს შორის შავკანიანი ადამიანებიც იყვნენ და ისინი სადილობისას თეთრკანიანებთან ერთად ისხდნენ სუფრასთან! ის თეთრები, ვისთანაც ადგილობრივებს აქამდე ჰქონდათ საქმე – ევროპელი მისიონერები – მუდამ მოსახლეობისაგან განცალკევებით ილებდნენ საკვებს. ერთობლივი პურისჭამა კი ნდობის უძველესი გამოხატვაა. ამგვარად, ამერიკულმა დემოკრატიზმმა გამოუცნობი ჯონ ფრუმი ღვთაებად და მეფედ აქცია: ძია სემი და იესო ერთ პიროვნებაში – ის მოქმედი ვულკანის, იასურის წიაღში ბინადრობს და ზოგჯერ წყალქვეშ გადადის ხოლმე ამერიკაში.

ამერიკელების მიერ მიღებული კაგო ყოველგვარ წარმოსახვას აღემატებოდა: ჯიპები, აღჭურვილობა, მაცივრები, კოკა-კოლა, ატმის კონსერვი, თოფები, გოფრირებული ფოლადის ჯიხურები, სიგარეტი, კანფეტი, სარეცხი მანქანები, მოტოციკლები, რადიომიმღებები, მოშუშული ხორცის კონსერვი, წითელჯვრიან კოლოფებში ჩალაგებული წამლები! ყველაფერ ამას წინაპართა სულები ჩვენ კი არ გვიგზავნიდნენ, – ვიღაც ამერიკელებს. აი, რის შემძლე ყოფილა ჯონ ფრუმი! ამერიკელები აშენებდნენ აეროდრომებს, ხიდებს, საავადმყოფოებს, ნავსადგურებს, წინაპრები კი გზავნიდნენ და გზავნიდნენ კაგოს. თეთრკანიანთა უბადრუკი მცდელობები, აბორიგენებისათვის აეხსნათ, აქაოდა, მთელი ეს სიმდიდრე მიცვალებულთა ძღვენი კი არა, ცოცხალთა ნახელავია, „სკეპტიციზმით იქნა მიღებული", – გვატყობინებს ანთროპოლოგი. როგორც იტყვიან, არ გინდა ეგ ლაი-ლაი. ვიცით!.. კაციშვილს არ უნახავს, ამერიკელს საკუთარი ხელით შეექმნა კოკაკოლას ბოთლი, ანდა მაცივარი. აი, ქაღალდის ფურცლებს ერთი ადგილიდან მეორეზე თუ გადაიტან და ცოტა ხნით ყურსასმენებს გაიკეთებ, კაგოც გაჩნდება.

ომის დასრულებისა და ამერიკელების წასვლის შემდეგ ჯონ ფრუმის კულტი უწინდელზე მეტადაც კი გაძლიერდა. მის მნიშვნელოვან ნაწილს წითელი ჯვრის, ამერიკის დროშისა და რაღაც ბრწყინვალე მომწვანო ქვების თაყვანისცემა შეადგენს. ქურუმები მას დრო და დრო „რადიოთი" ესაუბრებიან. ორმოცდაათიან წლებში ამ მიწის ერთ ხანშიშესულ წინასწარმეტყველ ქალბატონს თავიდან ფეხებამდე ელექტროსადენებში ახვევდნენ, რის შემდეგაც ის ტრანსში ვარდებოდა, ქურუმი კი მის ნალაპარაკებს გასაგებ ენაზე თარგმნიდა. ყველა რელიგიის მსგავსად, ჯონ ფრუმის კულტსაც თავისი ახლავს ერესი: კორეულ თევზსაჭერ გემზე მუშაობის პერიოდში წინასწარმეტყველ ფრედს ღმერთი გამოეცხადა და ამცნო, რომ მაღალმთიანი სიეის ტბა ჯებირს გარღვევდა და წყალი ოკეანეში ჩაიღვრებოდა. ხმელეთზე დაბრუნების შემდეგ მან წინასწარმეტყველება დაიწყო და მას ბევრნი გაჰყვნენ, ამასთან რწმენისაგან განდგომილი ფრედი – წარმოგიდგენიათ?! – კაგოს უარყოფდა! ნახევარ წელიწადში კი ტბა ოკეანეში ჩაიქცა. რასაკვირველია, ამან ძმათა შორის საშინელი რელიგიური ომი გამოიწვია, თუმცა მას, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია, მხოლოდ 25 ადამიანი დაიჭრა.

ჯონ ფრუმის მეორედ მოსვლა რომელიღაც წლის 15 თებერვალსაა მოსალოდნელი. ამ დღეს ტანას მაცხოვრებლები ფეხშიშველები სამხედრო ნაბიჯით დადიან, ზურგზე წითელი საღებავით იწერენ სიტყვას USA, თითოეულს მხარზე ბამბუკის თოფი აქვს შემოდებული. ისინი გალობენ, თავიანთ ღმერთს ადიდებენ და ბევრ კაგოს სთხოვენ.

ითვლება, რომ კაგოს კულტებს საფუძვლად უდევს მცდარად გაგებული მიზეზობრივი მოდელი: აბორიგენთა ლოგიკის ფარგლებში აუცილებელი წინაპირობა საკმარისთანაა არეული. ასე მაგალითად, ტვირთის მისაღებად, დასაშვები მინდვრის ქონა აუცილებელია, მაგრამ არა *საკმარისი*. ტერმინი cargo cult დღეს ინგლისურენოვან სამყაროში მხოლოდ ანთროპოლოგიასთან დაკავშირებით როდი იხმარება; ტერმინი cargo cult science დიდმა რიჩარდ ფეინმანმა ფსევდომეცნიერების აღსანიშნავად შემოიტანა.

ხოლო ჩვენს, რუსულ სამყაროში გამუდმებით გვეძლევა უშრეტი სიამოვნება, თვალი ვადევნოთ კაგოს კულტის აყვავებას. ჩვენში ვერ ნახავთ ისეთ სფეროს – იქნება ეს მეცნიერება, პოლიტიკა, კანონმდებლობა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, სასამართლო სისტემა – სადაც ყვავილებითა და მომწვანო ქვებით დახუნძლულ მორწმუნეთა ბრბო არ შეკრებილიყოს. ჯერ კიდევ სკკპ-ს ხრუშჩოვისეული პროგრამა ხალხს აღუთქვამდა მატერიალური სიმდიდრე „უხვ ნიაღვრად წამოედინება" და მას კაგოს გარდაცვლილი წინაპრები – ლენინი და ბოლშევიკები – გამოგვიგზავნიან, ეს კი „20 წლის შემდეგ", უფრო ზუსტად, 1981 წლის 31 ოქტომბერს მოხდებაო.

„პერესტროიკაც" გვპირდებოდა კაგოს, მანაც მოსვლა არ დააყოვნა, მაგრამ ის თეთრკანიანებმა წაგვართვეს.

ბოლოდროინდელი არჩევნები კულტის ტიპური აღსრულება გახლდათ: ჩალის საარჩევნო ურნები, ქოქოსის ბიულეტენები, - ყველაფერი ყალბი, მიმბაძველობითი, პაპუასური. ეს ქოქოსი, აი, იმ ჩალის გროვაში რომ ჩავაგდოთ, ჰორიზონტისა და მარჯვნივ რიფებიდან, ლურჯ ტალღებზე ჩვენკენ დემოკრატია გამოცურდება

და ჩვენი პაპუა გაძლიერდება და აყვავდება.

***რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძე***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ახალი საუნჯის" გამოწერა შეიძლება შემდეგ გამავრცელებლებთან:

ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელი კომპანია „მაცნე", საირმის ქუჩა, 8.

ტელ.: 2 14 39 06, 2 14 74 22

ELVA.GE, იოსებიძის ქუჩა, 49.

ტელ.: 2 38 26 73, 2 38 26 74

o2/111

ეროვნული
ბიბლიოთეკა



Jon
Belgrad
1982

ISSN 0134-9848
9 770134 984002

ახალი საუნჯ